PRIME Time

N24 (222) ორშაბათი 17 ივნისი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge



ალასანია დამოუკიდებელი საპრეზიდენტო კანდიდატი ხდება?

„რეალურია, რომ ალასანია სესიაშვილმა ჩაანაცვლოს. მითხრეს, რომ ეს ცვლილება პრეზიდენტის არჩევნებამდე მოხდებოდა“

ვინ ჩაანაცვლებს თავდაცვის მინისტრს

საგმელეთო ჯარების მთავარი სერჟანტი „პრაიმტაიმს“ თავდაცვის უწყებაში არსებულ კორუფციულ სქემას უმიფრავს

EXCLUSIVE

სკანდალური ექსკლუზივი

ელენე ხოშტარია: „პრორუსული პოლიტიკა არის ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკა... ნინო ბურჯანაძე ასრულებს კონკრეტულ დავალებას. ის ერთ-ერთი ნაღმია“

EXCLUSIVE

ექსკლუზიური ინტერვიუ კოტე კუბლაშვილთან

„რამდენიმე კანდიდატი ამბობდა: თუ მე ამირჩევთ, ხელფასები მოგემატებათ, რადგან კავშირები მაქვს მოქმედ ხელისუფლებასთანო“

EXCLUSIVE

შსს ჩამორთმეულ მანქანებს მესაკუთრეებს უბრუნებს

რა ინიციატივით მიმართა პარლამენტს ირაკლი ღარიბაშვილმა?

EXCLUSIVE

ლევან კორტავას მკვლელობის სკანდალური ვერსია

EXCLUSIVE

„სუბარიდან დაწყებული, ყველაზე აღძრან საქმე. თუ არადა, ამოვთხრი ჩემს შვილს და მიჭუყვან ივანიშვილს მის რეზიდენციასთან...“

„სადისტურად სცემეს, სამკუთხედი თავი ჩავაყოლე მიწაში ბიჭს. მარჯვენა მხარეს თავის ქალა არ უჩანდა, ფქვილივით იყო. ხერხემლის ფუძეც ფქვილივით იყო. სხეულის ნაწილი არ აქვს დარჩენილი, რომ დაზიანება არ ჰქონდეს“

EXCLUSIVE

სააკაშვილი გადადგება, ივანიშვილი პრეზიდენტობის კანდიდატი გახდება

„ეს ცვლილება უკვე ბიძინა ივანიშვილს მისცემს საშუალებას, თვითონ გახდეს პრეზიდენტობის კანდიდატი“

ნანა კაკაბაძეს იჭერენ?

EXCLUSIVE

„არც ერთი ძალოვანი უწყებისთვის არ მიმიმართავს, რადგან თავად მითვალთვალებდნენ...“

ხაშურში ჩატარებული სპეცოპერაციის დეტალები

სამართალდამცველებმა მკვლელობაში ბრალდებული ულუმბოს მონასტერში აიყვანეს

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ფილარეტ გალჩევის გასაიდუმლოებული ვიზიტი საქართველოში

my View
მირიან ბოძოლიშვილი

7 მილიარდამდე კაპიტალის მფლობელი ბიზნესმენი წალკაში რეზიდენციას იშენებს

26 მაისს წალკის რაიონის სოფელ ტორსონში საზეიმო განწყობა სუფევდა... იყო სიმღერები, ფოიერვერკები, სადღეგრძელოები და ა.შ. არადა დამოუკიდებლობის დღეს ნამდვილად არ აღნიშნავდნენ. საქმე ის გახლავთ, რომ სრულიად მოულოდნელად სოფელს რუსეთში მოღვაწე ცნობილი მილიარდერი ფილარეტ გალჩევი ესტუმრა. მისი ვიზიტი მედიისთვის გასაიდუმლოებული გახლდათ, თუმცა ადგილობრივებს მაღალი კლასის ავტომობილების გადაადგილება მხედველობიდან არ გამოჰპარვიათ. „პრაიმტაიმის“ ინფორმაციით, ფილარეტ გალჩევი წალკას 50 წლის იუბილეს აღსანიშნავად სტუმრობდა. ეროვნებით ბერძენი მილიარდერი წარმოშობით სწორედ წალკის რაიონის სოფელ ტორსონიდან გახლავთ, საშუალო განათლება მან წალკაში მიიღო. ის სოფელ ტორსონში 1963 წლის 26 მაისს დაიბადა. როგორც ჩანს, ფილარეტ გალჩევმა 50 წლის იუბილეს აღნიშვნა ორიგინალურად, მშობლიურ სოფელში გადაწყვიტა. თუმცა, როგორც ადგილობრივები ამბობენ, სახლი, სადაც ილია გალჩევი (მილიარდერის მამა) წლების წინათ ოჯახთან ერთად ცხოვრობდა, პრაქტიკულად აღარ არსებობს. გალჩევების ნასახლარზე ცოტა ხნის წინ ერთ-ერთმა კომპანიამ სამშენებლო სამუშაოები წამოიწყო, თუმცა მშენებლები მკაცრად გაფრთხილებულნი არიან, რომ ადგილობრივებთან კონტაქტი არ იქონიონ. შესაბამისად, ამ დრომდე უცნობი იყო, რა მშენებლობა მიმდინარეობდა სოფელ ტორსონში მილიარდერის ნასახლარზე. 26 მაისის მოულოდნელი ვიზიტის შემდეგ წალკელები დარწმუნდნენ, რომ მშობლიურ მხარეში საკუთარი რეზიდენციის მშენებლობას ფილარეტ გალჩევი აწარმოებდა.



ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ გალჩევის 50 წლის იუბილესადმი მიძღვნილი სპეციალური ფილმის გადაღებაც იგეგმებოდა, რომელშიც ტელეკომპანია „მირის“ საქართველოს ფილიალის ხელმძღვანელი, ბადრი ნაჭყებია გახლდათ ჩართული. „პრაიმტაიმი“ ინფორმაციის გადასამოწმებლად ნაჭყებიას დაუკავშირდა.

– ბატონო ბადრი, გავიგეთ, ფილარეტ გალჩევი იყო საქართველოში ჩამოსული და თქვენ მისი 50 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ფილმის მომზადებაში ჩაერთეთ...

– მოდით, ამჟამად ამ საკითხზე საუბრისგან თავს შევიკავებ.

– ისე, შეგიძლიათ, დაგვიდასტუროთ, რომ მილიარდერი ნამდვილად სტუმრობდა მშობლიურ სოფელს?

– მე არ მაქვს ამ თემაზე საუბრის უფლება. უკაცრავად.

მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანის გასაიდუმლოებული ვიზიტის შესახებ ინფორმაცია საბერძნეთის სათვისტომოში დაგვიდასტურეს. სათვისტომოს თავმჯდომარე ფოტი ჩიტლიდესი „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ამბობს, რომ ვიზიტი შედგა, თუმცა წარმოშობით ბერძენმა მილიარდერმა საბერძნეთის სათვისტომოს წარმომადგენლებთან შეხვედრა არ ისურვა.

ფოტი ჩიტლიდესი, საქართველოში ბერძნული სათვისტომოს თავმჯდომარე:

– ჩვენ ფილარეტ გალჩევს არ შევხვედრივართ, თუმცა ვიცით, რომ ის ნამდვილად იმყოფებოდა საქართველოში. როგორც ჩანს, სათვისტომოს წარმომადგენლებთან შეხვედრა არ მოისურვა.

– თქვენი ინფორმაციით, რა მიზნით იყო ჩამოსული ცნობილი მილიარდერი?

– 50 წლის იუბილე გადაიხადა საკუთარ სოფელში, თუმცა ვერ გეტყვით, კონკრეტულად ვინ ესწრებოდა დაბადების დღეს და რა შემადგენლობით ჩამოვიდა მისი დელეგაცია. ფაქტია, რომ ეს იყო გასაიდუმლოებული ვიზიტი. მანამდე სამშენებლო ფირმა მუშაობდა იმ სოფელში, სადაც ის დაიბადა და გაიზარდა.

როგორც „პრაიმტაიმის“ წყარო ყვება, ფილარეტ გალჩევის იუბილეზე მიწვეული იყო პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილიც, რომელმაც, გალჩევის მსგავსად, მილიარდობით კაპიტალი რუსეთში დააგროვა. ესწრებოდა თუ არა ივანიშვილი წალკაში გამართულ ღონისძიებას? ამის გადასამოწმებლად ჩვენ პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურს დავუკავშირდით, სადაც განგვიმარტეს, რომ „26 მაისს პრემიერმა ბაზალეთში დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას უმასპინძლა, შესაბამისად, ის ფილარეტ გალჩევის იუბილეს ვერანაირად ვერ დაესწრებოდა“.

P.S. „ფორბსის“ ბოლო, 2013 წლის მონაცემებით, ფილარეტ გალჩევის კაპიტალი 6,9 მილიარდ დოლარს აღწევს და უმდიდრესი ადამიანების რეიტინგში საქართველოს მოქმედ პრემიერ-მინისტრს დაახლოებით 1 მილიარდი დოლარით უსწრებს. გალჩევის ბიზნესის აყვავება 90-იან წლებში კრასნოდარის მხარეში დაიწყო, სადაც ის ქვანახშირის ბიზნესში იყო ჩართული. მის ჰოლდინგში შედის კომპანია „ევროცემენტიც“, რომელიც რუსეთის სამშენებლო ბაზრის 50 პროცენტს ამარაგებს. ჰოლდინგი მოიცავს 14 სამშენებლო ქარხანას და აქტიურად ოპერირებს ევროპაშიც.

რა მიზნით სტუმრობდა წალკას რუსეთში მოღვაწე მილიარდერი და შეხვდა თუ არა ის ბიძინა ივანიშვილს?

ირაკლი ალასანია და

ნინო დათაშვილი

ირაკლი ალასანია შეიძლება გადადგეს ან გადააყენონ, მის ადგილს კი ირაკლი სესიაშვილი დაიკავებს. ასეთი ინფორმაცია კულისებში რამდენიმე დღის წინ გავრცელდა. თუკი ასეთი საკადრო ცვლილება არჩევნებამდე ნამდვილად განხორციელდება, მაშინ ირაკლი ალასანია აუცილებლად იყრის კენჭს საპრეზიდენტო არჩევნებზე. ის გიორგი მარგველაშვილს დაუპირისპირდება. ყველა სოციოლოგიურ კვლევაში ირაკლი ალასანია ერთ-ერთი ლიდერია, ის სხვა მინისტრებსაც კი უსწრებს რეიტინგებში. ყველა სოციოლოგიური კვლევის მიხედვით კი, გიორგი მარგველაშვილი, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა უკვე წამოაყენა, ბოლო ადგილს იკავებს. USD-ის კვლევებშიც გიორგი მარგველაშვილი წარმატებულ მინისტრებში მეათე ადგილზე იყო, ირაკლი ალასანია კი პირველ პოზიციებს იკავებდა. თუმცა, ბიძინა ივანიშვილმა, როგორც იტყვიან, ყველა სოციოლოგიური კვლევის თავზეც გაიარა და კანდიდატად მარგველაშვილი დაასახელა.

ყველამ იცოდა, რომ ეს მწვავე დარტყმა იქნებოდა ირაკლი ალასანიას ამბიციებზე. საპრეზიდენტო მარათონისთვის ის ჯერ კიდევ ადგილობრივი არჩევნებიდან მოყოლებული ემზადება. ანუ სწორედ იმ დროიდან, როცა მერობის პოსტზე გიგი უგულავას დაუპირისპირდა. არჩევნები წააგო, წაგება აღიარა, თუმცა მისი ქართული ოცნება მაინც ანთებული დარჩა და ბიძინა ივანიშვილის წერილმაც სწორედ რომ დროულად მოუსწრო ალასანიას მბჟუტავ ოცნებას. როგორც კი ის კოალიცია „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ ლიდერი გახდა, საპრეზიდენტო მარათონისთვის მზადებაც დაიწყო. საქმე იქამდეც მივიდა, რომ უკვე არჩევნების შემდეგ, ალასანია ივანიშვილის მეგობრებზე გავიდა და საპრეზიდენტოდ დახმარება სთხოვა. მოსმენით მოუსმინეს, მაგრამ მერე ყველაფერი ქართული ტრადიციისამებრ განვითარდა. ამ ამბავმა ივანიშვილის ყურამდეც მიაღწია და ირაკლი ალასანიას მაშინვე გამოუჩნდა საყვარელი ქალი, საიდუმლო ვიზიტები ნაციონალებთან და, ალბათ, კიდევ ბევრი სხვა რამეც გამოჩნდებოდა, ირაკლი ალასანიას შუა გზაში რომ არ ეთქვა: ჩემსა და პრემიერს შორის არავითარი გაუგებრობა არ არისო. ამის ნიშნად, პრემიერი თავდაცვის მინისტრს სამინისტროშიც ესტუმრა, ღიად თბილი ფრაზებიც გაცვალეს და თითქოს ამით დასრულდა... მაგრამ მოგვიანებით ცნობილი ხდება თავდაცვის მინისტრის არასაპარლამენტო პარტიებთან კავშირების შესახებ. მათ რიცხვში არიან გიორგი თარგამაძე და კახა კუკავა. ეს სწორედ ის პარტიებია, რომლებიც ჯერჯერობით გაცხადებულ არც ერთ საპრეზიდენტო კანდიდატს მხარს არ უჭერენ და ძიებაში არიან. ლევან ვასაძის შემდეგ ისინი საპრეზიდენტო მარათონზე უკვე ირაკლი ალასანიას ასვლას ელიან. გიორგი თარგამაძე ღიად დაჯდა ვასაძის თემებზე. ევროპა და დასავლეთი მისთვის თითქოს უკვე ერთსქესიანი ქორწინების სიმბოლოდ იქცა. ადრე ნინო ბურჯანაძესთან კოალიციაზეც თანახმა იყო, მისი პროპუტინური ორიენტაციის მიუხედავად, მაგრამ „სდელკა“ ჩაიშალა. როგორც ჩანს, მოლოდინი ვიღაცის მიმართ დარჩა. და ეს ვიღაც ალასანია იქნება, თუკი ინფორმაცია მისი გადაყენების შესახებ მართალია. ამ ინფორმაციას პარლამენტში არ ადასტურებენ, არასაპარლამენტო ოპოზიციას კი მოლოდინი აქვს.

ირაკლი სესიაშვილი, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე:

– საერთოდ, მსგავს ჭორებზე კომენტარის გაკეთება არ მიყვარს. ეს სრული სისულელეა. ბატონი ირაკლი არის ერთ-ერთი საუკეთესო მინისტრი. მის პროფესიონალიზმში ეჭვი არავის ეპარება. ასე რომ, მსგავსი ინფორმაცია არ გამიგია და ამაზე კომენტარის გაკეთება არ მინდა.

კახა კუკავა, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი:

– ბოლო ერთი თვის განმავლობაში ვისმენ მსგავს ინფორმაციას. შესაძლოა და რეალურია, რომ ალასანია სესიაშვილმა ჩაანაცვლოს. ადრე თუ გვიან, ასეც მოხდება. მითხრეს, რომ ეს ცვლილება პრეზიდენტის არჩევნებამდე მოხდებოდა. ზუსტ დროს ვერ გეტყვით.

– ეს ხომ არ ნიშნავს, რომ შესაძლოა, ალასანიამ საპრეზიდენტო არჩევნებში ცალკე კანდიდატად იყაროს კენჭი?

– კარგი იქნება, თუ ალასანია ასეთ გადაწყვეტილებას მიიღებს. მე მივესალმები ამას. ვფიქრობ, ერთი სერიოზული საპრეზიდენტო კანდიდატი მაინც გვეყოლება.

გიორგი თავდგირიძე, ექსპერტი სამხედრო საკითხებში:

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მოუკიდებლად იყრის კენჭს საპრეზიდენტო არჩევნებში

„როდესაც ხელისუფლებაში ამბიციური გეგმებით მოდიხარ, ნაბიჯებიც ამბიციური და წონადი უნდა იყოს“

„ვფიქრობ, ერთი სერიოზული საპრეზიდენტო კანდიდატი მაინც გვეყოლება“

– ის შეცდომები, რაც თავდაცვის სამინისტროში თავდაცვის მინისტრმა დაუშვა, ალბათ, მოითხოვს რეაგირებას. შეიძლება თუ არა, ეს იყოს მინისტრის ცვლილება, ეს სხვა თემაა. ყოველ შემთხვევაში ამ ცვლილებებს ყველა ელოდება. შეცდომებში იგულისხმება, მაგალითად, გაურკვეველი საკადრო პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ შეიცვალა პოლიტიკური ხელისუფლება, მნიშვნელოვანი საკადრო გადაადგილებები და ცვლილებები, რომელიც შეიარაღებულ ძალებში ახალ აქტიურობებს გამოიწვევდა, არ მომხდარა. ვეტერანთა საკითხი კვლავ ჰაერშია გამოკიდებული. რამდენიმე შეცდომა ჩვენს უმთავრეს მისიაში, ავღანეთში... გარკვეულწილად არასწორმა შეფასებებმა გარკვეული მსხვერპლი მოგვიტანა. პლუს ამას, შვიდი თვეა გასული და ცვლილებების არანაირი პაკეტი, რომელიც საზოგადოების მიერ აღქმული იქნება, როგორც სერიოზული ცვლილება თავდაცვის სისტემაში, მომზადებული არ არის. უბრალოდ, დეკლარირებული იყო რამდენიმე იდეა, რომელსაც ძალიან საეჭვო ხარისხი აქვს. საუბარი მაქვს სამხედრო სავალდებულო სამსახურის გაუქმებაზე, ანუ შეიარაღებული ძალები უნდა ყოფილიყო მხოლოდ პროფესიული არმია. ამ ლამაზი სიტყვების უკან იმალება ის, რომ ეს იყო ქვეყნისთვის დაქირავებული არმიის იმედად ყოფნა. ეს იყო შეცდომა. შეიძლება არც იყო შეცდომა, მაგრამ არანაირი გათვლები ამას არ მოჰყოლია. მინისტრი არ ამბობდა, რაზე ან ვისზე დაყრდნობით იღებდა ამ გადაწყვეტილებას, ან საზოგადოებას რატომ ამზადებდა ამ ცვლილებისთვის ისე, რომ კონსულტაცია არ ჰქონდა არავისთან გავლილი. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, პრობლემურია. ერთია, რომ ირაკლი ალასანიას მოსვლის შემდეგ შეწყდა არასაწესრიგო ურთიერთობა ჯარისკაცების, რიგითებისა და კაპრალების მიმართ, მაგრამ ეს არ არის საკმარისი. როდესაც ხელისუფლებაში ამბიციური გეგმებით მოდიხარ, ნაბიჯებიც ამბიციური და წონადი უნდა იყოს.

ერთ-ერთი ინფორმაციის თანახმად, პოსტის დატოვების სურვილი გამოთქვა იუსტიციის მინისტრმა. როგორც მიანიშნებენ, თეა წულუკიანმა გადადგომის შესახებ განცხადება დაწერა და პრემიერსაც მიუტანა. მოტივი, ალბათ, გასაგებია – ომახიანი მუქარები კოტე კუბლაშვილის წინააღმდეგ არ შედგა, წულუკიანის ეგრეთწოდებული სასამართლო რეფორმა ჩავარდა. რეალურია, რომ წულუკიანს ეკითხა საკუთარი თავისთვის, თუ ბიძინასთვის არა: ვინ უფრო მნიშვნელოვანია „ქართული ოცნებისთვის“ – წულუკიანი თუ კუბლაშვილი?

სავარაუდოდ, ამ შეკითხვაზე პრემიერს პასუხი აქვს. ანუ ორივე მათგანს თავისი ადგილი უკავია და ისინი ერთმანეთს ვერ გადაკვეთენ. ამიტომაც პრემიერმა ამ განცხადებას ხელი არ მოაწერა. არც ვერტიკალზე ადასტურებენ ამ ინფორმაციას, არასაპარლამენტო ოპოზიცია კი ირწმუნება, რომ ყველაფერი ზუსტად ასეა.

გადადგომას უწინასწარმეტყველებენ საგარეო საქმეთა მინისტრს მაია ფანჯიკიძესაც. მისი კრიტიკა დიდი ხანია დაიწყო. ხმები მისი გადაყენების შესახებ დღეს გავრცელდა, თუმცა, ჯერ არ გამართლებულა. „ქართულ ოცნებაში“ ამ ინფორმაციას უარყოფენ, მაგრამ ყველა – არა. პირად საუბრებში ისეთებიც არიან, ვინც ზუსტად იცის, რომ ივანიშვილი მას მალე გადააყენებს. „პრაიმტაიმი“ ექსპერტ სოსო ცინცაძეს დაუკავშირდა.

სოსო ცინცაძე, ექსპერტი:

– კარგი ელჩი ჯერ კიდევ არ ნიშნავს კარგ მინისტრს. ვისაც ვიცნობ ერთი ნოდარ ხადურია, კარგი ელჩი და ბრწყინვალე მენეჯერი. დანარჩენი ვერავისზე ვერაფერს გეტყვით, რადგანაც აქ სხვა მონაცემებია საჭირო. ჩვენ არ უნდა ვიმეორებდეთ იმ შეცდომებს, რასაც კომუნისტები უშვებდნენ თავის დროზე. ჩვენ თუ გვჭირდება პროფესიონალი მინისტრი, გვჭირდება ორ-სამ სფეროში. პირველი, ეს არის ფინანსთა მინისტრი, მეორე – საგარეო საქმეთა მინისტრი და მესამე, ეს არის სოფლის მეურნეობის მინისტრი. სხვათა შორის, ასეთი საუბარი სამი-ოთხი თვის წინაც იყო, მაშინ უკვე ასახელებდნენ შემცვლელს – ირაკლი მენაღარიშვილს.

რაც შეეხება იუსტიციის მინისტრს, ის უმაღლესი პროფესიონალია. ჩემი სტუდენტი იყო წულუკიანი, მას, დიპლომატიური აკადემიის გარდა, სხვა სასწავლებლებიც აქვს უცხოეთში დამთავრებული. მე მაგის პრინციპულობა ვიცი და ის თავის ნებით განცხადებას არ დაწერს. მაგრამ „წყალქვეშა დინებები“ ძალიან სწრაფია ქართულ პოლიტიკაში და ამიტომაც გამორიცხული არაფერი არ არის. ძალიან ბევრს შურს მაგისი! როცა პროფესიონალი და პრინციპული ხარ, გავლენა სხვანაირი გაქვს!

როგორ განვითარდება მოვლენები, ჯერ ძნელი სათქმელია. ფაქტია, რომ ყველა რაღაცის მოლოდინშია. ივანიშვილმა ისევ „პრაიმტაიმთან“ საუბარში განმარტა, რომ ის ცვლილებებს არ აპირებს. თუმცა, პოლიტიკა ცვალებადი რამ არის და ხშირად იძულებული ხდები, გააკეთო ის, რასაც ადრე არ გეგმავდი.

„რეალურია, რომ ალასანია სესიაშვილმა ჩაანაცვლოს. მითხრეს, რომ ეს ცვლილება პრეზიდენტის არჩევნებამდე მოხდებოდა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ოლეგი და მარეხი ერთმანეთს სასამართლოში შეხვდებიან

ნინო ჩიბჩიური

რამდენიმე დღეში კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი ოლეგ იაძე მარეხ ყამბეგაშვილს პირისპირ შეხვდება. 2012 წლის არჩევნების შემდეგ ამ ორი პიროვნების მიერ ერთმანეთზე გავრცელებულ ფრაზებზე უკვე სასამართლოში იმსჯელებენ. მარეხ ყამბეგაშვილი კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელს მორალური ზიანის მიყენებაში ადანაშაულებს და მისგან საჯაროდ ბოდიშის მოხდას მოითხოვს. მარეხ ყამბეგაშვილის საჩივარი სასამართლომ წარმოებაში მიიღო. ამის შესახებ „დაზარალებულმა“ მხარემ „პრაიმტაიმს“ ექსკლუზიურად უამბო.

მარეხ ყამბეგაშვილი: „ადმინისტრაციული წესით შევიტანეთ სარჩელი. ერთხელ და სამუდამოდ ოლეგ იაძემ უნდა დაასრულოს ჩვენი ლანძღვა და სისაძაგლეების თქმა ჩვენს მიმართ. კასპის რაიონის სოფელ ქვემოჭალაში ვართ აქტიური ქალები, რომელთა მიმართაც დღემდე ოლეგ იაძე შეურაცხმყოფელ სიტყვებს არ იშურებს. ის, რაც მასობრივი საშუალებებით გადიოდა, ეს ერთია და რასაც ცალკე გვაძახებდა კიდევ, მეორე. ცუდი ნარსულის მქონეებო, არასწორი ცხოვრებით მაცხოვრებლებო, სუსტი ჭკუის ქალებო და ა.შ. მოვითხოვთ, რომ ბოდიში ისევ მასმედიის საშუალებით მოგვიხადოს. მე პირადად ინდივიდუალური სარჩელი შევიტანე, რადგან სოციალურად დაუცველი ვარ და ბაჟს არ ვიხდი, ისე, ქვემოჭალის ქალებს კოლექტიური სარჩელის შეტანა გვქონდა გადაწყვეტილი“.

ოლეგ იაძე 10 დღის განმავლობაში სარჩელის შინაარსს გაეცნო და შესაგებელიც მოამზადა, რომლის მიხედვით ოლეგ იაძე ფიქრობს, რომ მარეხ ყამბეგაშვილის სარჩელი ზღუდავს მისი აზრის გამოხატვის თავისუფლებას.

„სადაც დებატები გვქონდა (არა სატელევიზიო) მაშინ მე არ ვასრულებდი სამსახურებრივ მოვალეობას და შესაბამისად, ჩვეულებრივი მოქალაქე ვიყავი. ამდენად, ყველა მოქალაქეს აქვს უფლება თავისი აზრი გამოთქვას“. -წერია ოლეგ იაძის მისაგებელ წერილში, რომელიც სასამართლოს გაუგზავნა.

სასამართლო პროცესი 19 ივნისს გაიმართება. მარეხ ყამბეგაშვილი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში აპირებს, რომ ზემდგომ ინსტანციას მიმართოს.

რა სქემა იმალება ა

ქეთი ხატიაშვილი

პარლამენტში მორიგი საკონსტიტუციო ცვლილებები შევიდა. კონსტიტუციიდან 29-ე მუხლის პირველი პრიმა პუნქტის ამოღებას გარკვეული პოლიტიკური შეფასებებიც მოჰყვა. „საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად უცხო ქვეყნის მოქალაქეა“ - ამ ნორმის გაუქმება 72 დეპუტატის მიერ არის ინიცირებული. დეპუტატების განმარტებით, ორმაგი მოქალაქეობა არ შეიძლება გახდეს დამაბრკოლებელი ფაქტორი ზემოთ ჩამოთვლილი პირებისთვის, რადგან ეს უთანასწორობას იწვევს.

რა სქემა იშიფრება ამ ცვლილებების მიღმა და რამდენად რეალურია, რომ ამ ცვლილებების უკან სერიოზული პოლიტიკური პროცესები იმალებოდეს, ისეთი, როგორიც სააკაშვილის ვადაზე ადრე გადადგომა და ბიძინა ივანიშვილის გაპრეზიდენტებაა. ამ საკითხზე „პრაიმტაიმს“ სამართალმცოდნე და ექსპერტი ლევან ალაფიშვილი ესაუბრა:

– საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირების აუცილებლობა ამჯერად არ არსებობდა. ამის აუცილებლობა რომ დამდგარიყო, საკონსტიტუციო ცვლილებები ერთხელ უკვე განახორციელა მმართველმა გუნდმა და მაშინ შეეძლო ამაზე ფიქრიც.

პრეზიდენტს დარჩა დაახლოებით 45-47 დღე მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების გამოცხადებამდე. ამ ვადაში პრეზიდენტს შეუძლია ორი მიმართულებით გადაწყვეტილებების მიღება და სცენარების განვითარება.

პირველი მიმართულება: სააკაშვილი მიდის პოსტიდან და პირველ აგვისტომდე საპრეზიდენტო არჩევნებს ნიშნავს... საბოლოო ჯამში კი, ძალიან ცუდად ამთავრებს პოლიტიკურ კარიერას იმ ასაკში, რომელიც პოლიტიკური თვალსაზრისით აქტიურია. ამავე დროს ვიცით მისი ნატურა, ქარიზმა თუ პოპულისტური ქმედებები. ძნელი სავარაუდო არ უნდა იყოს, რომ მას პოლიტიკაში დარჩენის სურვილი ექნება. ასე რომ, ეს პირველი ვარიანტი შესაძლოა, მისი მიზნებისთვის ოპტიმალური სულაც არ იყოს.

მეორე სცენარი: 1-ელ აგვისტომდე სააკაშვილი მიიღებს გადადგომის გადაწყვეტილებას, რითაც არსებითად ცვლის უახლოესი ხუთი-ათი წლის განმავლობაში პოლიტიკურ მიმართულებას.

ლსაც ერთი პრობლემა აქვს – ის კონსტიტუციის შეცვლას ვეღარ ასწრებს. სააკაშვილის გადადგომის შემთხვევაში ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები 45 დღეში უნდა დაინიშნოს.

სწორედ ამ სცენარის საწინააღმდეგოდ შემოიტანეს, ალბათ, მოულოდნელი ცვლილება, რომელიც მოქალაქეობის პრობლემას ხსნის პრეზიდენტისთვის, პრემიერისთვის და პარლამენტის თავმჯდომარისთვის. ანუ ამ თანამდებობებზე შეიძლება არჩეულნი იქნენ ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირები. ეს ცვლილება უკვე ბიძინა ივანიშვილს მისცემს საშუალებას, თვითონ გახდეს პრეზიდენტობის კანდიდატი.

რი აქვს ნათქვამი საფრანგეთის მოქალაქეობაზე. დავა, რამდენადაც ვიცი, სასამართლოშია. ეს მან თვითონ განაცხადა ერთ-ერთ მედიაშეხვედრაზე. შესაბამისად, კონსტიტუცია მას უპირობო გზას ვერ უხსნის პრეზიდენტობის კანდიდატურისკენ, თუკი ამჯერად ინიცირებული საკონსტიტუციო ცვლილებები არ განხორციელდება. 29-ე პირველი პრიმა მუხლის შეცვლა პრემიერს აძლევს საშუალებას, თვითონ იყოს საპრეზიდენტო კანდიდატი.

ამ სცენარის შემთხვევაში შენარჩუნდება პოლიტიკური ერთობაც, კოალიციაც, მაგრამ საკმაოდ რთული საფრთხის მატარებელი პოლიტიკური

ირაკლი ალასანია. ეს ერთი და მეორე, „რესპუბლიკური პარტია“ და სხვები შეეცდებიან არსებული მოდელის შენარჩუნებას.

– თუ ბიძინა ივანიშვილმა თავისი კანდიდატურა დააყენა, რა, სააკაშვილი ვერ გადადგება?

– მმართველი კოალიცია ერთ-ერთ ვერსიად უშვებს, რომ შესაძლებელია, გადადგეს პრეზიდენტი და ამ სცენარისთვის ემზადება. თავისუფლება ამ შემთხვევაში პრეზიდენტის მხარეს უფროა, რადგან ის ვადაში შეზღუდული არ არის. თუმცა მმართველი კოალიცია ამ სცენარისთვის რომ მზად იყოს, საკონსტიტუციო ცვლილება უნდა მო-

„ეს ცვლილება უკვე ბიძინა ივანიშვილს მისცემს საშუალებას, თვითონ გახდეს პრეზიდენტობის კანდიდატი“

გადადგება და იტყვის: მე კიდევ ერთხელ ავიღე პასუხისმგებლობა და გავეცალე პოლიტიკურ პროცესს, დავუთმე ახალ გუნდს ასპარეზი და მივეცი მათ საშუალება არჩევნების გზით აერჩიათ ახალი პრეზიდენტი და რაც მთავარია – მე წავედი, ვადაზე ადრე დავამთავრე ჩემი მოღვაწეობა.

ამ სცენარის განვითარების შემთხვევაში არ გამოვრიცხავ, რომ მის ირგვლივ ნელ-ნელა გარკვეული პოლიტიკური სუბიექტების გაერთიანება მოხდეს. შეიძლება ახალი გაერთიანებებიც ვიხილოთ. აქ უმთავრესი არის სხვა რამ: პრეზიდენტის ვადამდე გადადგომის შემთხვევაში, კონსტიტუციის ის მოდელი, რომელიც საშემოდგომოდ უნდა ამოქმედდეს – შეკვეცილი უფლებები პრეზიდენტს და გაზრდილი უფლებები პრემიერს – არასოდეს აღარ ამოქმედდება.

– ასეთი დასკვნის საფუძველს რა იძლევა?

– კონსტიტუციაში წერია ძალიან მკაფიო და კონკრეტული თარიღი, რომელიც ინტერპრეტაციების საშუალებასაც არ იძლევა. ყველა მუხლში არის ასეთი მითითება: ეს ნორმა ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების დღეს. რაც ნიშნავს, რომ, თუ ეს ორი პირობა ერთად არ შესრულდა, ახალი კონსტიტუციური მოდელი არასდროს ამოქმედდება. პრეზიდენტის გადადგომის შემთხვევაში ჩატარდება რიგგარეშე არჩევნები, ეს ერთი და მეორე, 2013 წლის ოქტომბერი ვერანაირად ვერ იქნება 2013 წლის ივნისი, ივლისი, აგვისტო ან სექტემბერი.

ლევან ალაფიშვილი

ასეთი ცვლილებები აუცილებელი ხდება, რადგან მაღალი ალბათობით იზრდება შანსები, რომ საკუთარი კანდიდატურა ირაკლი ალასანიამ წამოაყენოს. თუკი ბიძინა ივანიშვილს ექნება კონსტიტუციური უფლება, პრეზიდენტობის კანდიდატი თავად გახდეს, მაშინ ის შეინარჩუნებს კოალიციას.

ვიცით, რომ ბიძინა ივანიშვილს უა-

სიტუაცია შეიძლება ჩამოყალიბდეს. წარმოიდგინეთ, ერთი ადამიანის ხელში აღმოჩნდება სუპერუფლებამოსილების მქონე პრეზიდენტის პოსტი და პრაქტიკულად მოჭარბებული ფინანსური თუ სხვა პოლიტიკური რესურსები. ეს შეიძლება იყოს საფრთხის მატარებელი. აქ საჭირო იქნება საზოგადოებისა და უცხოელი პარტნიორების აქტიურობა.

გამოსავალი: საპრეზიდენტო კანდიდატად წარდგენისთანავე პრემიერმა უნდა წარადგინოს კონსტიტუციის ის მოდელი, რომლითაც თვითონვე წარმართავს საარჩევნო კამპანიას და იქნება გაცხადებული ე.წ. დაბალანსებული მოდელი.

– სააკაშვილის გადადგომის მიზეზი რა შეიძლება გახდეს?

– უპირობოდ შეუძლია მას გადადგომა. გააჩნია, პოლიტიკური რიტორიკა რას დაუდებს საფუძვლად. ბევრი რამ შეიძლება გახდეს მიზეზი.

– უპირობო გადადგომა ნაკლებად წარმომიდგენია

– გეთანხმებით...

– ირაკლი ალასანია ახსენეთ, შეიძლება ისე განვითარდეს მოვლენები, რომ პროდასავლურმა ძალებმა შექმნან ცალკე კოალიცია და „ქართული ოცნება“ ცალკე იყოს, რადიკალური პრორუსული ძალები კი – ცალკე?

– თუკი ალასანიას კანდიდატურა დასახელდება რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნებისთვის, დიდი ალბათობაა, რომ კოალიციის ნაწილი მას მხარს დაუჭერს. რადგან ამ შემთხვევაში წარმმართველი ხდება

ესწროს. ამისთვის მათაც ცოტა დრო რჩებათ პირველ აგვისტომდე.

– ვარაუდობთ, რომ ალასანიას კანდიდატურას ნაციონალებმაც დაუჭირონ მხარი?

– ამ სცენარში „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც მოთამაშის, მნიშვნელობა და გავლენა არაგადამწყვეტი იქნება.

– არ აქვს მნიშვნელობა, მე მაინტერესებს, შესაძლებელია თუ არა, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ არ დააყენოს თავისი კანდიდატი და ალასანიას დაუჭიროს მხარი?

– არ მგონია, რომ ამ კონტექსტით წარიმართოს. მით უმეტეს, ვინც არ უნდა დასახელდეს მათი მხრიდან, ალასანიასთვის კონკურენციის გამწევი ვერ იქნება. გარდა ამისა, ნინო ბურჯანაძისა და შალვა ნათელაშვილის კანდიდატურაა დასახელებული და რეალურად თამაში წავა მეორე ტურზე, სადაც უპირობოა, რომ ალასანია უპირატესულ მდგომარეობაშია.

– ვერ მივხვდი, სააკაშვილი რატომ უნდა გადადგეს?

– თავისი პოლიტიკური მომავლისთვის.

– რამდენადაც ვხვდები, ეს არის სცენარი, რომელიც ალასანიას უფრო აწყობს. გამოდის, რომ „ნაციონალები“ ალასანიას გაუხსნიან გზას?

– რა თქმა უნდა, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობა“, ასევე, შეინარჩუნებს თავის პერსპექტივასაც.

– ანუ, სააკაშვილი თავისი გადადგომით გზას ალასანიას გაუხსნის, ეს უკანასკნელი კი ნაციონალებს პოლიტიკაში დარჩენის გზას დაუტოვებს?

– შესაძლებელია, თუმცა „ნაციონალური მოძრაობის“ რაღაც ნაწილის გადარჩენა არ ნიშნავს, რომ ისინი, ჯერ ერთი, ჩაერთვებიან რიგგარეშე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲔᲑᲐ, ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ �კᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ, ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ - ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ

ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲘᲢᲧᲕᲘᲡ: „ᲛᲔ ᲒᲐᲕᲔᲪᲐᲚᲔ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲡ, ᲓᲐᲕᲣᲗᲛᲔ ᲐᲮᲐᲚ ᲒᲣᲜᲓᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ ᲓᲐ ᲠᲐᲪ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ – ᲛᲔ ᲬᲐᲕᲔᲓᲘ“

საპრეზიდენტო არჩევნებში და მეორე, იქნებიან წარმატებული. მიშას წასვლის შემთხვევაში, არ ვარ დარწმუნებული, რომ შიგნითაც არ შეექმნებათ პრობლემები. ამიტომ ვამბობ, რომ ყველაზე სუსტად ამ სცენარში მათი მონაწილეობა წარმომიდგენია, თუმცა შესაძლებელია იყოს, რაიმე შეთანხმების საგანი. ვფიქრობ, პრეზიდენტის გადადგომის შემთხვევაში ეს ჯგუფი დაიშლება.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ იურისტებს შორის დაიწყება დავა იმაზე, რომ სააკაშვილის გადადგომა შეაფერხებს ახალი კონსტიტუციის ამოქმედებას...

– არა, ეგ უპირობოდ უდავოა. პოლიტოლოგმა, წარსულში პოლიტიკოსმა, რესპუბლიკელმა და ახლა ექსპერტმა ვახტანგ ნადირაძემაც ბრძანა ეს, დღეს მოქმედმა პოლიტიკოსმა თინა ხიდაშელმა თქვა, ეს კონსტიტუცია არ ამოქმედდებაო...

– თუკი 29-ე მუხლის შეცვლა შეიძლება, რატომ არ შეიძლება ამ ჩანაწერის შეცვლა?

– ეს სხვადასხვა რამეა. ჩანაწერის შესაცვლელი კანონპროექტის ინიცირება მმართველ გუნდს არ მოუხდენია. „ნაციონალური მოძრაობა“ კონსტიტუციური ვაჭრობის დროს, გაზაფხულზე, სთავაზობდა მმართველ კოალიციას, რომ ოთხ თვეში რაც უნდა ამოქმედდეს, თანახმა ვარ, დღესვე ავამოქმედოთო. მაშინ „ოცნება“ არ წავიდა ამაზე. ეს ჩანაწერები ამ შემთხვევაში კონსტიტუციას მოსცილდებოდა და სხვა წესით ამოქმედდებოდა. თუმცა დღეს გვაქვს ეს ჩანაწერი და იმათი შესაცვლელი კონსტიტუციური კანონპროექტის ინიცირებაც ველარ ესწრება.

– ფიქრობ, რომ მოვლენების ასე განვითარებას არ მოჰყვება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები?

– ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ძნელად წარმომიდგენია, რადგან ამ შემთხვევაში ვიღაცამ უნდა დაითხოვოს, ან ვადა უნდა ჰქონდეს გასული. თვითდათხოვნის მექანიზმი ჩვენთან არ არსებობს.

– ამის მოთხოვნა არსებობს არასაპარლამენტო პარტიებშიც...

– გეთანხმებით, არა მხოლოდ არასაპარლამენტოში, მმართველ კოალიციაშიც ბევრჯერ მოგვისმენია ეს. ვიცე-სპიკერსა და პრემიერსაც აქვს საჯაროდ გაცხადებული, რომ ოთხი წელი ძნელი იქნება ამ პარლამენტის გაძლება და ვფიქრობთ, როგორ შეიცვალოს ესო, მაგრამ კონსტიტუციის გვერდის ავლით ამას ვერ გააკეთებენ.

– ინიციენტი, რომელიც საგარეჯოში მოხდა – იქ გამგებელი და გამგეობის წევრები დააკავეს, ეს მიუთითებს რაიმე დაპირისპირებაზე რესპუბლიკელებსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის?

– მე ვფიქრობ, კი. დაგაბრუნებთ წინასაარჩევნო პერიოდში და გაგახსენებთ გამოქვეყნებულ ფარულ ჩანაწერებს, თინა ხიდაშელთან არადადებით კონტექსტში მოსაუბრე ორი ფიგურანტი დღეს ქვეყნის მმართველ ტოპმენეჯმენტშია. შემდგომ მთავარმა პროკურორმა ამ ჩანაწერებზე საკმაოდ ბუნდოვანი განცხადება გააკეთა. მან თქვა, რომ ამ ჩანაწერებს ექსპერტიზას არ ვუკეთებთ იმიტომ, რომ მათ მიმართ ინტერესი დავკარგეთო. ანუ ვერავინ იტყვის, რომ ეს ჩანაწერები ნამდვილი არ არის, და სანამ ეს არ დადასტურებულა, ჩანაწერი ნამდვილია. ამის შემდგომ ბათუმის ინციდენტს გაგახსენებთ. სხვათა შორის, მაშინ „რესპუბლიკურმა პარტიამ“ და თინა ხიდაშელმა პოლიტიკური მიზანშეწონილობით ფრთხილი განცხადებები აკეთეს. შემდგომ უკვე მივიღეთ საგარეჯოს ინციდენტი.

– ეს უკვე ტენდენციაა?

– ჩემი აზრით, კი. სხვათა შორის, კიდევ ერთი. განათლების ახალ კანონპროექტს „რესპუბლიკური პარტიის“ ძირითადმა ბირთვმა მხარი არ დაუჭირა. ეს ყველაფერი შიდა დაპირისპირებისთვის სერიოზულ მესიჯად შეიძლება იყოს აღქმული.

– პარალელურად ვხედავთ ალასანიას წინააღმდეგაც კულუარულ ბრძოლებს. აქედან გამომდინარე, რამდენად სავარაუდოა, რომ რესპუბლიკელები მეორე სცენარის მიხედვით, რომელზეც თქვენ საუბრობდით და რომელიც საკაშვილის გადადგომას ითვალისწინებს, რესპუბლიკელები ალასანიას მიემხრობიან...

– ალასანია და რესპუბლიკელები იქნებიან გადამწყვეტი და მნიშვნელოვანი ფაქტორი კოალიციის ერთიანობის დაშლისა. თუკი კონსტიტუციის ამ მოდელში დავრჩით, ალასანია გავიდა და დაასახელა საპრეზიდენტო კანდიდატი და მას არ დაუჭირა კოალიციამ მხარი, რესპუბლიკელები პრინციპულად არ იქნებიან მომხრე ამ საპრეზიდენტო მოდელში, ამ კოალიციის ფარგლებში განაგრძონ ხუთწლიანი ცხოვრება. ფაქტორი, რის გამოც შესაძლებელია ეს ყველაფერი არ მოხდეს, არის ის, რომ პრემიერმა თვითონ იყაროს კენჭი საპრეზიდენტო კანდიდატად, რადგან მარგველაშვილის პერსპექტივები რიგგარეშე არჩევნებში ძალიან მცირეა.

– აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, პარლამენტში ძალთა ბალანსი შეიცვალოს?

– აუცილებლად შეიცვლება. მნიშვნელოვნად შეიცვლება. ალასანიას გუნდს ჰყავთ ფრაქციები, შემდგომ „ნაციონალური მოძრაობიდან“ გამოყოფილი ფრაქციები მიემატა ამას და საკმაოდ ფრაგმენტირებულ პარლამენტს მივიღებთ, სადაც პოლიტიკური პროცესები ასე იოლად ველარ წარიმართება.

– ხშირად იყო საუბარი ივანიშვილისგან და ხუხაშვილისგან, რომ ოპოზიცია შეიქმნა კოალიციის შიგნით, ხუხაშვილმა ერთხელ ღიად დაასახელა, რომ ეს რესპუბლიკელები იქნებიან. რამდენად შეიძლება, რომ პარტიების დამოუკიდებლობის ხარისხი ოპოზიციაში იყოს მაღალი და ისინი არ იქნებიან თამაშის ნაწილი?

– ეს შეფასება სწორი იქნებოდა, თუ ისის მოდელი ამოქმედდებოდა, რომელიც შემოდგომაზე უნდა ამოქმედდეს. ეს პროცესი ბუნებრივად წავა.

მახსოვს, როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ მარგველაშვილის კანდიდატურა წამოაყენა, მაშინ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ თქვა, ის იმდენად სუსტი კანდიდატია, სავარაუდოდ, ივანიშვილი შეცვლისო, მინიშნებები ბიძინა ივანიშვილზეც გაკეთდა...

მაშინ ეს მეც ვთქვი. ამ სცენარშიც კი ბიძინა ივანიშვილისთვის პრობლემად რჩებოდა მოქალაქეობა. მოვლენების ჩვეულებრივი განვითარების პირობებში რატომ არ მოხდა ინიცირება და ამ ტიპის კონსტიტუციური ნორმის ამოღება. ვფიქრობ იყო გათვლა, რომ იქნებ მოიძებნოს კიდევ სხვა ვინმე. მოხდა ცვლილების ინიცირება, რადგან ერთადერთი ადამიანი, ვისაც მოქალაქეობის პრობლემა აქვს, არის პრემიერი.

– და პრემიერის მოვალეობას შეასრულებს მარგველაშვილი?

– თუ პრემიერი დასახელდა საპრეზიდენტო კანდიდატად, მის მოვალეობას ასრულებს პირველი ვიცე-პრემიერი, კახი კალაძე.

– საერთო ჯამში, პრემიერ-მინისტრი ვინ გახდება?

– ვფიქრობ, რომ პირველი სიმპათია გამოხატულია და პრემიერის მხარდაჭერა აქვს კალაძეს, ღარიბაშვილს, პიროვნული მხარდაჭერა აქვს მარგველაშვილსაც. არ გამოვრიცხავ, რომ ირაკლი ღარიბაშვილი საპრეზიდენტო კანდიდატურადაც მოიაზრებოდა. ერთმა გარემოებამ შეუშალა ხელი – ეს არის ასაკი. არ გამოვრიცხავ, რომ პრემიერი წავიდოდა იმაზეც, რომ კოალიცია დაშლილიყო, რადგან ივანიშვილის მხარდაჭერილი ღარიბაშვილი მაინც მოიგებდა რიგგარეშესაც, უბრალოდ, ისეთი კანდიდატი არ ჰყავს, რომელსაც სრულად ენდობა.

– პრემიერ-მინისტრს ხომ არ აქვს ასაკობრივი შეზღუდვა...

– დიახ, დიახ, არ გამოვრიცხავ, რომ ღარიბაშვილი გახდეს პრემიერ-მინისტრი. კახი კალაძე არ მგონია, ბევრი ფაქტორის გამო. პირველ რიგში, პიროვნულის გამო. მგონია, უფრო ღარიბაშვილისკენ გადაიხრება, თუ თავისი კანდიდატურა საპრეზიდენტო კანდიდატად წარმოადგინა.

„ᲓᲘᲐᲮ, ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲕᲠᲘᲪᲮᲐᲕ, ᲠᲝᲛ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ“

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

დავით ზურაბიშვილი: „ვიღაცას ჰქონდეს იმედი, რომ კოალიციაში შემოვა, თანაც რესპუბლიკელების გაგდების ხარჯზე – ეს არ გამოუვა“

ხათუნა მგალობლიშვილი

„ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის რეიტინგი სოციალური ქსელების კვლევების მიხედვით დაბალია. თუმცა „ქართული ოცნება“ ამაზე რატომღაც არ დარდობს. აცხადებენ, რომ ნამდვილი გამოკითხვები ჯერ არ ჩატარებულა და როცა ის დაიდება, პროცენტები სხვაგვარი იქნება. თუმცა შესაძლოა, უდარდელობის მიზეზი სულაც სხვა იყოს. კოალიციაში ყველამ კარგად იცის, რომ მარგველაშვილს მხარს ისევ და ისევ ბიძინა ივანიშვილის ხათრით დაუჭერენ. ახლა მთავარია, თავად ივანიშვილის რეიტინგმა არ დაიწყოს ვარდნა. აი, ამაზე კი კოალიციაში ზრუნავენ. თუმცა ვინ როგორ... რეალობას ყველაზე სწორად განათლების მინისტრის მოადგილე, დავით ზურაბიშვილი აღიქვამს. „რესპუბლიკური პარტიის“ წევრი მიიჩნევს, რომ ხალხისთვის რაღაც უნდა გაკეთდეს, თორემ ნაციონალების ლანძღვა მათ კარგს არაფერს მოუტანს...

დავით ზურაბიშვილი, განათლების მინისტრის მოადგილე:

– ის რეიტინგები, რაც ინტერნეტში იდება, არაფერს ნიშნავს. ეს ცხადყო თუნდაც შუალედურმა არჩევნებმა, რომელიც ნაძალადევში ჩატარდა. თავიდან იყო მოსაზრება, რომ სხვა სურათი იხატებოდა და შედეგი სულ სხვა დადგა. იმაში, რომ არჩევნები წესიერად და სამართლიანად ჩატარდა, ეჭვი არავის შეჰპარვია. სხვათა შორის, კითხვები არც წაგებულს გასჩენია. ასე რომ, ეს ძალიან სპეციფიკური საკითხია. რეალური გამოკითხვები ჯერჯერობით არ ჩატარებულა. როცა ჩატარდება, დარწმუნებული ვარ, აბსოლუტურად სხვა სურათი დაიდება. რაც შეეხება ნინასაარჩევნო კამპანიას, ის მას შემდეგ დაიწყება, როცა საპრეზიდენტო არჩევნები გამოცხადდება. ჯერჯერობით არ გამოცხადებულა. ვიცით, რომ არჩევნები ოქტომბერში უნდა ჩატარდეს, მაგრამ ეს პირველ ოქტომბერს იქნება, თუ 31 ოქტომბერს, არ ვიცით. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს.

– როცა საპრეზიდენტო არჩევნებზეა საუბარი, ამბობენ, რომ ამომრჩეველი ხმას მისცემს ბიძინა ივანიშვილს და არა გიორგი მარგველაშვილს. შეიძლება, რომ გუნდის ნაკლები ინტერესი მარგველაშვილის რეიტინგის მიმართ სწორედ ამით იყოს გამოწვეული?

– ის, რომ გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურა მხარდაჭერილია ბიძინა ივანიშვილის მხრიდან, რა თქმა უნდა, სერიოზული ფაქტორია. ეს დიდწილად განაპირობებს მის გამარჯვებას. ვინც არ უნდა ყოფილიყო მარგველაშვილის მაგივრად, იგივე სურათი იქნებოდა, თუმცა რეიტინგი, ბუნებრივია, თავად მარგველაშვილის პიროვნებიდან იქნება გამომდინარე. ყველამ ვიცით, რომ ახალ პრეზიდენტს განსხვავებული ფუნქციები ექნება, ეს არ იქნება ის, რაც მიხეილ სააკაშვილს ჰქონდა. პრეზიდენტობის ახალ მოდელს კი ძალიან კარგად ესადაგება მარგველაშვილის პერსონა. ბუნებრივია, თავად კანდიდატიც იაქტიურებს. როცა საარჩევნო კამპანია დაიწყება, გამოვა, ილაპარაკებს და ამომრჩეველს თავს მოანონებს.

– ივანიშვილმა განაცხადა, რომ შესაძლოა, საპრეზიდენტო არჩევნებში მეორე ადგილი ბურჯანაძემ აიღოს. ფიქრობთ, რომ „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერს ამის შანსი აქვს?

– არ ვიცი, ვინ გავა მეორე ადგილზე... ჩემი აზრით, ამ არჩევნებზე ბრძოლა მეორე ადგილისთვის უფრო იქნება. რეალური ბრძოლა გაიმართება იმისთვის, რომ რომელიღაც ძალამ თავი დააფიქსიროს მეორე ძალად – მთავარ ალტერნატიულ პოლიტიკურ გუნდად.

– როცა ამბობთ, რომ არ იცით, ვინ გავა მეორე ადგილზე, ამ ნაბიჯით ნაციონალებსა და მათ რეიტინგს ნინო ბურჯანაძესთან ათანასწორებთ?

– არავის არავისთან არ ვათანასწორებ, საერთოდ არ ვიცი, ვინ აიღებს მეორე ადგილს. ეს არ არის ჩემი გასარჩევი.

– თუმცა ცნობილია, რომ ბაქრაძეს ბევრად მაღალი რეიტინგი აქვს, ვიდრე ნინო ბურჯანაძეს...

– არ ვიცი, ვის როგორი რეიტინგი აქვს, ამას არჩევნები გამოაჩენს.

– არასაპარლამენტო ოპოზიციაც ემზადება არჩევნებისთვის. ისინი ცდილობენ, ერთიანი კანდიდატით წარდგნენ და ამბობენ, რომ ამ შემთხვევაში სერიოზულ კონკურენციას გაგიწევენ...

– მათი გადასაწყვეტია. მე რატომ უნდა ვიფიქრო მათზე? თვითონ უნდა გადაწყვიტონ, როგორ გაერთიანდებიან და ვის წარადგენენ კანდიდატად.

– მეორე ტურს გამორიცხავთ?

– მეორე ტურს აბსოლუტურად გამორიცხავ.

– მესამე ძალა ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ითხოვს და რეფერენდუმის ჩატარებასაც გეგმავს...

– ვერანაირ საჭიროებას ვერ ვხედავ ვადამდელი არჩევნებისა. რატომ უნდა ჩატარდეს?

– მათი არგუმენტი არის ის, რომ დღევანდელი პარლამენტი არ ასახავს ქართული საზოგადოების ინტერესებს. ითქვა ისიც, რომ უმრავლესობას ოპონენტად ნაციონალები ურჩევნია...

– იცით, რა? რამდენი წამოსაძახებელიც არ უნდა გვქონდეს ნაციონალებზე, საბოლოოდ ამომრჩეველი შეგვაფასებს იმით, რა გავაკეთეთ ქვეყნისთვის. თავიდან, როცა სააკაშვილი მოვიდა, შევარდნაძეზე აპელირებას საკმაოდ დიდხანს ახდენდა. ამბობდა, აი, ჩვენ ეს გავაკეთეთ, რაც არ იყო შევარდნაძის დროს... მაგრამ საბოლოოდ ამან არ უშველა. ასევე იქნება ჩვენ შემთხვევაშიც, თუ ხალხმა სერიოზული ცვლილებები არ იგრძნო, ნაციონალებზე ცუდის ლაპარაკი ვერ გვიშველის. მართლა უნდა გავაკეთოთ რაღაც. ვადამდელი არჩევნების საჭიროება შეიძლება დადგეს მაშინ, თუ პოლიტიკური კრიზისი იქნება, ან მმართველი გუნდი დაუშვებს შეცდომას. არ არის ამის საჭიროება, დამიჯერეთ. მე ისიც არ მგონია, რომ ეს არჩევნები რაიმე განსაკუთრებულ ცვლილებას მოიტანს. ერთადერთი შედეგი, რაც შეიძლება მოიტანოს, იქნება ის, რომ „ქართულ ოცნებას“ ბევრად მეტი დეპუტატი ეყოლება პარლამენტში, „ნაცმოძრაობას“ კი – ნაკლები.

– ანუ სხვა ძალების შესვლას გამორიცხავთ?

– სხვა ძალები ან მოხვდებიან, ან – არა. დიდი-დიდი ორი-სამი კაცი გაიყვანონ და ამაზე მეტი ცვლილება არ იქნება.

– ანუ მეორე ძალად ნაციონალებს აღიარებთ?

– არ ვიცი, მეორე ძალაა ნაციონალები თუ კიდევ სხვა, მაგრამ ვადამდელი არჩევნებით „ქართული ოცნება“ შეიძლება საერთოდაც სამი-მეოთხედით შევიდეთ. არ ვთვლი, რომ ვიღაც პარტიებს აქვთ რეალური ძალა და არ არიან წარმოდგენილები პარლამენტში. ამას არავის რეიტინგი არ ადასტურებს. მერე როგორ შეიცვლება სიტუაცია, ვნახოთ...

– რესპუბლიკელების წინააღმდეგ კამპანია კიდევ მიმდინარეობს?

– ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ვიღაცებს ჰქონდათ ილუზია, ან უნდოდათ, რომ კოალიციის შიგნით მოხვედრილიყვნენ. მათი სამიზნე ძირითადად რესპუბლიკელები იყვნენ. ივანიშვილს ურჩევდნენ, მოდი, ესენი გაყარე და ჩვენ მიგვიღე, ჩვენ უფრო კარგი ტიპები ვართო... ეს ხალხი დარწმუნდა, რომ ივანიშვილმა არჩევანი ისევ იმ ძალებზე შეაჩერა, ვინც თავიდანვე დაიყენა გვერდით: რესპუბლიკელები და თავისუფალი დემოკრატები. პოლიტიკური ძალები, რომლებიც გვებრძოდნენ, დარწმუნდნენ, რომ ივანიშვილის ჩვენთან ურთიერთობა საკმაოდ სერიოზული და ღრმაა და მგონი, განზრახვაზე, რომ ბიძინა ივანიშვილი ჩვენ მალე გაგვაგდებს კოალიციიდან, ხელი აიღეს. ნაკლებადღა აქვთ ამის იმედი და უფრო რაციონალურ პოზიციაზე დგანან. ახლა უკვე ცდილობენ, რომ ოპონირება გაგვიწიონ. ეს, სხვათა შორის, სწორი გადაწყვეტილებაა. ბიძინა ივანიშვილი არ არის ის ტიპი, რომელიც შეიძლება შენს ჭკუაზე ატრიალო. როცა პარტნიორებად დაგვასახელა, ეს მან სრულიად შეგნებულად გააკეთა. ის აფასებდა ჩვენი პარტიების საქმიანობას. ჩვენ ერთად ვიქნებით და არ ვაპირებთ დაცილებას. ბუნებრივია, მრავალპარტიული კოალიცია სხვადასხვა სახის ინტერესებს მოიცავს, მაგრამ ვიღაცას ჰქონდეს იმედი, რომ კოალიციაში შემოვა, თანაც რესპუბლიკელების გაგდების ხარჯზე – ეს არ გამოუვა.

„რეალური გამოკითხვები ჯერჯერობით არ ჩატარებულა. როცა ჩატარდება, დარწმუნებული ვარ, აბსოლუტურად სხვა სურათი დაიდება“

„ჩემი აზრით, ამ არჩევნებზე ბრძოლა მეორე ადგილისთვის უფრო იქნება. რეალური ბრძოლა გაიმართება იმისთვის, რომ რომელიღაც ძალამ თავი დააფიქსიროს მეორე ძალად – მთავარ ალტერნატიულ პოლიტიკურ გუნდად“

„თუ ხალხმა სერიოზული ცვლილებები არ იგრძნო, ნაციონალებზე ცუდის ლაპარაკი ვერ გვიშველის“

„პოლიტიკური ძალები, რომლებიც გვებრძოდნენ, დარწმუნდნენ, რომ ივანიშვილის ჩვენთან ურთიერთობა საკმაოდ სერიოზული და ღრმაა და მგონი, განზრახვაზე, რომ ბიძინა ივანიშვილი ჩვენ მალე გაგვაგდებს კოალიციიდან, ხელი აიღეს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

შსს ჩამორთმეულ მანქანებს მესაკუთრეებს უბრუნებს

რა ინიციატივით მიმართა პარლამენტს ირაკლი ღარიბაშვილმა?

მირიან ბოქოლიშვილი

რამდენიმე დღის წინ პარლამენტში შინაგან საქმეთა მინისტრის ინიციატივა დარეგისტრირდა, რომლის საფუძველზეც ასობით დაზარალებულ მოქალაქეს საკუთრების უფლების აღდგენა შეეძლება. საუბარია უცხოეთიდან შემოყვანილ ავტომობილებზე, რომელიც შეცვლილი საიდენტიფიკაციო მონაცემების გამო მესაკუთრეებს ერთმეოდათ და შინაგან საქმეთა სამინისტროს ბალანსზე ირიცხებოდა. კონკრეტულად რას ითვალისწინებს მინისტრის ინიციატივა? ამის გასარკვევად „პრაიმტაიმი“ შსს-ს დაუკავშირდა, სადაც განგვიმარტეს, რომ წლების განმავლობაში საქართველოს უამრავ მოქალაქეს ექმნებოდა მნიშვნელოვანი პრობლემები უცხოეთიდან შემოყვანილი ავტომანქანების გაფორმებისა და რეგისტრაციის კუთხით. კერძოდ, საქართველოში შემოყვანილი ავტომანქანის რეგისტრაციის პროცესში დგინდებოდა საიდენტიფიკაციო კოდის (VIN) შეცვლის ფაქტი, რაც გამოძიების უპირობოდ დაწყების საფუძველი იყო. „სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების დაწყების პარალელურად ხდებოდა ავტომანქანების ჩამორთმევა და 3 თვის ვადით ე.წ. „საჯარიმო სადგომზე“ გადაყვანა. საბოლოო ჯამში, ჩამორთმეული ავტომანქანები მიექცეოდა სახელმწიფო საკუთრებაში ან გადაეცემოდა მათ მესაკუთრეებს, რის გამოც, პირველ რიგში, ზიანი ადგებოდა იმ პირებს, რომლებმაც ნამდვილად შეიძინეს ავტომანქანები და შეძენის მომენტისათვის არ იყვნენ ინფორმირებული ავტომანქანასთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულის შესახებ. ასეთი შემთხვევები საკმაოდ ბევრია. სამწუხაროდ, წინა ხელისუფლებამ არა თუ ვერ შეძლო აღნიშნული პრობლემის მოგვარება, არამედ გარკვეულწილად წაახალისა კიდეც აღნიშნული პრაქტიკა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეისწავლა ზემოაღნიშნული პრობლემები, გააანალიზა მოქმედი საკანონმდებლო ბაზა და ავტომანქანების მესაკუთრეთა, აგრეთვე, მათ შემძენ პირთა ინტერესების გათვალისწინებით, მოამზადა საკანონმდებლო ცვლილებების პროექტი, რომლის მიხედვითაც ერთიანად მოგვარდება წლების განმავლობაში ავტომანქანების ჩამორთმევასთან დაკავშირებული პრობლემები“, – განმარტავენ შსს-ში.

„სამწუხაროდ, წინა ხელისუფლებამ არა თუ ვერ შეძლო აღნიშნული პრობლემის მოგვარება, არამედ გარკვეულწილად წაახალისა კიდეც აღნიშნული პრაქტიკა“

ირაკლი ღარიბაშვილის საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, ავტომანქანები გამომძიებლის დადგენილებით ან მოსამართლის განჩინებით დაუბრუნდება იმ პირებს, რომლებმაც ნამდვილად შეიძინეს აღნიშნული ავტომანქანები და შეძენის მომენტისთვის არ იყვნენ ინფორმირებული ავტომანქანასთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულის შესახებ. აღნიშნული წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ავტომანქანა უკვე მიქცეულია სახელმწიფო საკუთრებაში ან მისი წაყვანა უზრუნველყო ავტომანქანის კანონიერმა მესაკუთრემ.

მინისტრის ინიციატივა პარლამენტში ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, ეკა ბესელიამ დაარეგისტრირა. „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ბესელია ამბობს, რომ აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება 2013 წლის პირველ ივლისამდე ჩამორთმეული ავტომობილის მფლობელებს საშუალებას აძლევს, საკუთრების უფლება აღიდგინონ.

ეკა ბესელია, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე:

– დიახ, ახალი საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც ეკუთვნის შინაგან საქმეთა მინისტრს, პირადად მე უკვე დავარეგისტრირე პარლამენტში. ეს ცვლილება მიზნად ისახავს კანონიერი და კეთილსინდისიერი მესაკუთრეების უფლებების აღდგენას, საუბარია იმ პირებზე, ვისაც საკანონმდებლო ხარვეზის გამო არ ჰქონდათ შესაძლებლობა, კუთვნილი ავტომობილი დაებრუნებინათ. პირებს, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზით ჩამოერთვათ ავტომობილი, ახლა ვაძლევთ შესაძლებლობას, კანონიერი პროცედურების გავლით დაიბრუნონ საკუთრება. ეს ეხება იმ მესაკუთრეებს, რომლებმაც შეძენის მომენტში არ იცოდნენ, რომ ეს მანქანა დანაშაულებრივი გზით იყო გასხვისებული, ან არ იცოდნენ, რომ აღნიშნული მანქანით რაიმე უკანონობა იქნა ჩადენილი.

ოფიციალური ინფორმაციით, ზემოხსენებული მიზეზით ჩამორთმეული ავტომობილების რაოდენობა 300-ს აჭარბებს, თუმცა არაოფიციალურად ეს ციფრი გაცილებით დიდია. საკანონმდებლო ცვლილებები, რომელსაც 300-ზე მეტი ავტომობილის მძღოლი მოუთმენლად ელის, უახლოეს ხანში შევა ძალაში. შინაგან საქმეთა მინისტრის ინიციატივის საკომიტეტო განხილვა პარლამენტში მომავალ სასესიო კვირას იწყება.

ეკა ბესელია:
„ცვლილება მიზნად ისახავს კანონიერი და კეთილსინდისიერი მესაკუთრეების უფლებების აღდგენას, საუბარია იმ პირებზე, ვისაც საკანონმდებლო ხარვეზის გამო არ ჰქონდათ შესაძლებლობა, კუთვნილი ავტომობილი დაებრუნებინათ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

EXCLUSIVE ინტერვ

my View
მირიან ბოძოლიშვილი

კონსტანტინე კუბლაშვილი კმაყოფილია, თეა წულუკიანი – იმედგაცრუებული... როგორც ჩანს, იუსტიციის მინისტრი მოსამართლეთა კონფერენციის შედეგებით უკმაყოფილოა, თუმცა თავადაც აღიარა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არჩევნები თავისუფალ გარემოში ჩატარდა. მოსამართლეთა კონფერენციამ, რომელიც სასამართლო ხელისუფლების თვითმმართველი ორგანოა, საკუთარი რიგებიდან შვიდი წევრი აირჩია იუსტიციის უმაღლეს საბჭოში – ორგანოში, რომელიც სასამართლო სისტემას კურირებს და რომელსაც მოსამართლეების დანიშვნისა და განთავისუფლების, ასევე, მოსამართლეების წინააღმდეგ დისციპლინარული დევნის უფლებამოსილება გააჩნია.

როგორ აფასებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლეთა კონფერენციას? რაზე ესაუბრა კოტე კუბლაშვილი ბიძინა ივანიშვილს? რა ცვლილებებს საჭიროებს სასამართლო ხელისუფლება სრულ დამოუკიდებლობამდე?

ამ თემებზე „პრაიმტაიმი“ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, კონსტანტინე კუბლაშვილს ესაუბრა:

– პირველი, რაც შემიძლია გითხრათ, როგორც მოსამზადებელი პროცესი, ისე თავად კონფერენცია ჩატარდა საჯაროდ და ძალიან გამჭვირვალედ, რითაც, ცხადია, კმაყოფილი ვარ. მოსამართლეებმა მართლაც თავისუფლად, ყოველგვარი ჩარევების გარეშე მიიღეს გადაწყვეტილება, ამით ყველა ადამიანი კმაყოფილი უნდა იყოს. მეორე საკითხია, თვითონ გადაწყვეტილების შინაარსი. ზოგს შეიძლება მოეწონოს, ზოგს – არა, თუმცა ვფიქრობ, ყველამ პატივი უნდა სცეს იმას, რომ მოსამართლეებმა საკმაოდ დიდი უმრავლესობით აირჩიეს თავისივე კოლეგები მნიშვნელოვან თანამდებობებზე და მხარი დაუჭირეს რეგლამენტში ცვლილებებს. შეგახსენებთ, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამი წევრი აირჩიეს სხდომაზე დამსწრეთა (237 მოსამართლე) ორ მესამედზე მეტით, ყველა დანარჩენი – სრული შემადგენლობის უმრავლესობით. ასე რომ, კარგად გამოჩნდა, რამდენად ერთიანია მოსამართლეთა კორპუსი. ბუნებრივია, არსებობდნენ მოსამართლეები, რომლებიც სხვა კანდიდატს უჭერდნენ მხარს, მაგრამ მთავარი არის ის, რომ ყველას შეეძლო, საკუთარი აზრი გამოეხატა.

– თუმცა პროცედურებთან დაკავშირებით კონფერენციაზევე გამოითქვა გარკვეული ტიპის პრობლემები... ბევრისთვის გაუგებარი დარჩა, რატომ შეიქმნა კანდიდატებისთვის კითხვის დასმის პრობლემა?

– ჩემი აზრით, ეს პრობლემა არ შექმნილა. ერთი საათის განმავლობაში ჩვენ ვისმენდით კანდიდატების გამოსვლებს. შეგვეძლო, ამ დროსვე დაგვესვა კითხვები, მაგრამ თვითონ მოსამართლეებმა გადაწყვიტეს, რომ მოესმინათ გამოსვლები და გაერკვიათ, ვინ რის გაკეთებას აპირებდა. კითხვები ერთმანეთთან კონფერენციამდე თვე-ნახევრით ადრე ჰქონდათ დასმული მოსამართლეებს. თქვენ იცით, რომ ეს არ გახლდათ მხოლოდ ერთი დღის პროცესი. ადამიანები, რომლებიც კენჭისყრას აპირებდნენ, ძალიან აქტიურობდნენ ამ თვე-ნახევრის განმავლობაში, ზოგმა თითქმის მთელი საქართველო შემოიარა და ყველა მოსამართლესთან წინასწარვე ჰქონდა კომუნიკაცია და ყველას შეეძლო, მისთვის აქტუალურ კითხვებზე პასუხი წინა კამპანიის დროს მიეღო. ამ კამპანიას ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იყვნენ მოსამართლეები, რომლებიც ჯგუფად დადიოდნენ რეგიონებში და ეწეოდნენ კამპანიას, რათა თავიანთი მოსაზრებები კოლეგებამდე მიეტანათ. ის, რომ კონფერენციაზე კიდევ დამატებითი კითხვები დასმულიყო, ამის აუცილებლობა თავად მოსამართლეებმა ვერ დაინახეს. იყვნენ ისეთები, რომლებიც ამბობდნენ, კიდევ დავუსვათ კითხვებიო, მაგრამ უმრავლესობამ, რომელმაც ყველაფერი ისედაც ხუთი თითივით იცოდა, ეს საჭიროება ვერ დაინახა.

– იუსტიციის მინისტრმა შეაფასა მოსამართლეთა კონფერენცია და აღნიშნა, რომ ეს არჩევნები თავისუფალი იყო, თუმცა მოსამართლეებმა უცნაური გადაწყვეტილება მიიღეს და პირველივე ჯერზე იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ოდიოზური ფიგურა აირჩიესო. როგორ ფიქრობთ, რატომ ეუცნაურება თეა წულუკიანს მოსამართლეთა გადაწყვეტილება?

– მე მას ვეთანხმები, რომ ეს მართლაც თავისუფალი არჩევნები იყო. რაც შეეხება მისი მოსაზრებების მეორე ნაწილს, როდესაც მოსამართლეების უმრავლესობის მიერ არჩეულ კანდიდატზე ამბობს, რომ ის არის ოდიოზური, ეს არის შეურაცხყოფა არა მხოლოდ კონკრეტული კანდიდატის, არამედ მთელი მოსამართლეთა კორპუსის. თეა წულუკიანი საუბრობდა ზაზა მეიშვილზე, რომელიც მთელ სისტემაში გამოირჩევა თავისი პროფესიონალიზმით. შეფასება ყოველთვის სუბიექტურია, თუმცა ჩვენთვის ეს მიუღებელი და დაუშვებელია.

– რაც შეეხება ზაზა მეიშვილს, მის მიმართ იყო კითხვები სულხან მოლაშვილის საქმესთან დაკავშირებით, ასევე კითხვები გაჩნდა კიდევ ერთ კანდიდატთან, რომელიც ასევე იქნა არჩეული და რომელმაც უშუალოდ გამოიტანა ბიძინა ივანიშვილისთვის ქონებრივი სანქციებისა და მოქალაქეობის ჩამორთმევის გადაწყვეტილება... ეს კონკრეტული ქეისები არ იყო საკმარისი საფუძველი, რომ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მათი კანდიდატურები არ გასულიყო?

– ვიღაცამ შეიძლება ეს კითხვები დასვას, ვიღაცა შეიძლება არ დაეთანხმოს მოსამართლის გადაწყვეტილებას, მაგრამ ძალიან ბევრ კოლეგას კარგად ესმის, რომ ეს მოსამართლეები, რომლებიც აირჩიეს, სისტემაში ყოველთვის იყვნენ გამორჩეულები თავისი მაღალი პროფესიონალიზმითა და წესიერებით. ნებისმიერ გადაწყვეტილებას მოსამართლე იღებს განურჩევლად იმისა, თუ რას ფიქრობს საზოგადოება, ის ხელმძღვანელობს კანონმდებლობით. მართლმსაჯულება არ მოქმედებს საზოგადოების განწყობებზე, მოსამართლემ არ უნდა მიაქციოს ყურადღება იმას, რომ საზოგადოების რაღაც ჯგუფს შეიძლება მისი გადაწყვეტილება არ მოეწონოს. იგივე იყო ახლაც, მოსამართლეებმა ჩათვალეს, ბატონი ზაზა მეიშვილიც და სხვა არჩეული პირებიც დაიცავენ სასამართლოს ინტერესებს. ასევე, ღია და გახსნილები იქნებიან ყველასთან, თუ ეს არ იქნება სასამართლო სისტემის საწინააღმდეგო ქმედება.

– ყოფილი მოსამართლის მერაბ ტურავას ინტერვიუს ვკითხულობდი, სადაც ის სწორედ სასამართლოს ინტერესების დაცვაზე საუბრობს... მისი თქმით, იგივე სულხან მოლაშვილის საქმეზე მოსამართლე ზაზა მეიშვილმა, სასამართლოს დამოუკიდებლობის დაცვის ნაცვლად, პირდაპირ პროკურატურის, კერძოდ კი, ზურაბ ადეიშვილის მითითება შეასრულა...

– არასოდეს ასეთ განცხადებებს არ აღვიქვამ სერიოზულად, მით უმეტეს, როცა ამას ამბობს ყოფილი მოსამართლე, რომელსაც პირადი წყენა აქვს და შურისძიების მოტივი იკითხება მის შეფასებაში. თუ ვინმეს აინტერესებს კონკრეტული საქმე, ჩაიხედოს, როგორ იყო დასაბუთებული და რა მოხდა რეალურად. კიდევ ერთხელ ვამბობ, ბატონი ზაზა აირჩია თითქმის მთელმა მოსამართლეთა კორპუსმა და ერთი ყოფილი მოსამართლის აზრი ნაკლებად საინტერესოა, ამ შემთხვევაში.

– იყო ასევე მოსაზრება, რომ მოსამართლეებთან თქვენი შეხვედრების დროს იყო დაპირება, რომ, თუ იუსტიციის საბჭო არსებული შემადგენლობით დაკომპლექტდებოდა, მოსამართლეებს გაეზრდებოდათ ხელფასები, პენსია და დაწესდებოდა მთელი რიგი შეღავათები... გარდა ამისა,

„ПРЕМИЕРМА ДАБЕЖИТЕБИТ ТЕКВА ЩЕМТАН САУБАРШИ, РОМ ИС МИСИ МТАВРОБИДАН АРАВИС МИСЦЕМС УФЛЕБАС, САСАМАРТЛО ХЕЛИСУФЛЕБИС МУШАОБАШИ ЩАЕРИОС

„ГУЛУКИАНИС ГАНЦХАДЕБА ШЕУРАЦХЧОФАА АРА МХОЛОД КОНКРЕТУЛИ КАНДИДАТИС, АРАМЕД МТЕЛИ МОСАМАРТЛЕТА КОРПУСИС“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ᲘᲣ ᲙᲝᲢᲔ ᲙᲣᲖᲚᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ

„ᲔᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ, ᲗᲣᲙᲘ ᲐᲛᲐᲡ ᲛᲘᲕᲐᲦᲬᲔᲕᲗ“

მათ მიერ პრაქტიკაში ჩადენილი გადაცდომები თუ დარღვევები არ იქნებოდა დასჯილი... რეალურად თუ იძლეოდით ასეთ დაპირებებს?

– პირიქით, ამას რამდენიმე კანდიდატი ამბობდა: თუ მე ამირჩევთ, ხელფასები მოგემატებათ, რადგან კავშირები მაქვს მოქმედ ხელისუფლებასთანო. იურიდიულ ენაზე, ამას ამომრჩევლის მოსყიდვა ჰქვია. რაც შეეხება ჩემთან შეხვედრებს, მე მათ ყოველთვის ვესაუბრებოდი, რომ აქვთ ძალიან ბევრი გარანტია, მაგრამ დარჩენილი გარანტიების მისაღებად, როგორიცაა, მაგალითად, უვადოდ დანიშვნა, ჩვენ თვითონ უნდა ვიბრძოლოთ. იმისთვის, რომ ხელფასმა მოიმატოს, წინასწარ კი არ უნდა ვიყოთ ხელისუფლებასთან გარიგებულნი, არამედ პრინციპულად უნდა მოვითხოვოთ ერთად ეს საკითხი. დიახ, ხელფასმა უნდა მოიმატოს, რადგან დღეის მდგომარეობით არსებული ხელფასი უკვე არაადეკვატურია, განსაკუთრებით პირველ ინსტანციაში, სადაც აუარებელი საქმე შედის. ყოველ წუთს უნდა დავაყენოთ საკითხი, რომ მოხდეს მოსამართლეების უვადო დანიშვნა და მოქმედი მოსამართლეები გადაინიშნონ უვადოდ. ზოგიერთი ამას აფასებს ისე, თითქოს მოსამართლეების ანკესზე წამოგება ხდებოდა ხმის მიცემის სანაცვლოდ. რა არის უვადოდ დანიშვნის პრინციპი? როდესაც ეს მოხდება, მოსამართლე უფრო დაცული გახდება, დამოუკიდებელი იქნება ჩემგანაც, თქვენგანაც, ხელისუფლებისგანაც და ოპოზიციისგანაც. როდესაც მოსამართლეები უვადოდ დაინიშნებიან, მათთვის უკვე სულერთი იქნება, მე ვიქნები უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ივანიშვილი იქნება პრემიერ-მინისტრი თუ სააკაშვილი პრეზიდენტი. ეს არის უზარმაზარი სტაბილურობისა და გარანტიის საფუძველი. თუ ვთანხმდებით იმაზე, რომ სასამართლო იყოს დამოუკიდებელი, ეს პრობლემა აუცილებლად უნდა გადაწყდეს.

– საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სხვა რამდენიმე თანამდებობის პირთან ერთად აქტიურად განიხილებოდა თქვენი იმპიჩმენტის საკითხი... ბოლო პერიოდში ეს საუბარი შეწყდა, ძირითადად მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრს შეხვდით და ივანიშვილმა პოზიტიური განცხადებები გააკეთა თქვენი მისამართით... რით მოინადირეთ ივანიშვილის გული? საინტერესოა, რაზე ისაუბრეთ დახურულ შეხვედრაზე?

– ზუსტად იგივე ვუთხარი მას, რაც თქვენ. აუცილებელია, რომ უვადოდ დაინიშნონ მოსამართლეები-მეთქი. გარდა ამისა, საუბარი იყო ხელფასის მომატებაზე. მე ყველას ვაჩვენებ, მათ შორის პრემიერ-მინისტრსაც, რომ ჩემი აქ ყოფნის მიზანი მართლაც დამოუკიდებელი სასამართლოს შექმნაა. შეიძლება ბევრი ხარვეზით, მაგრამ აქეთკენ მოვდიოდით. მოქმედი ხელისუფლების ისტორიული შანსია, რომ ამ პროცესს ხელი შეუწყოს. ეს ხელისუფლება მართლა დარჩება ისტორიაში, თუკი მივაღწევთ იმას, რომ ყველა გარე ფაქტორი ჩამოსცილდება სასამართლოს. ძირითადი პრინციპები აისახება კონსტიტუციასა და კანონებში. ამიტომ ახლა საჭიროა, არანაირი წამოძახილები აღარ იყოს – ვაიმე, იუსტიციის საბჭოში ეს კანდიდატები რომ აირჩიეს, რეფორმა ჩაგვივარდა. ესე იგი, ეს რას ნიშნავს? ვიღაც სხვები რომ აგვერჩია, აღმასრულებელი ხელისუფლება განახორციელებდა რეფორმას და ეს უკეთესი იქნებოდა? არა, რეფორმა შეთანხმებული უნდა იყოს სასამართლო ხელისუფლებასთან. აღმასრულებელი ხელისუფლებისგან წამოსული წინადადებებიდან ბევრი შეიძლება მისაღები იყოს, მაგრამ ბევრიც – მიუღებელი, რადგან ჩვენი ხედვით ეს შეიძლება ხელს უშლიდეს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას. პრემიერის დამოკიდებულებას ვაფასებ. მან რამდენჯერმე დაბეჯითებით თქვა ჩემთან საუბარში, რომ ის მისი მთავრობიდან არავის მისცემს უფლებას, სასამართლო ხელისუფლების მუშაობაში ჩაერიოს.

„ᲔᲡ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲓᲐᲠᲩᲔᲑᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ, ᲗᲣᲙᲘ ᲐᲛᲐᲡ ᲛᲘᲕᲐᲦᲬᲔᲕᲗ“

„ᲓᲘᲐᲮ, ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲘᲛᲐᲢᲝᲡ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲓᲦᲔᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲗ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲐᲠᲐᲐᲓᲔᲙᲕᲐᲢᲣᲠᲘᲐ, ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲘᲜᲡᲢᲐᲜᲪᲘᲐᲨᲘ“

– იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი გამოთქვამს ეჭვს, რომ თქვენსა და ბიძინა ივანიშვილს შორის მოხდა გარიგება, რომელიც პირდაპირ კავშირშია ვანო მერაბიშვილის დაპატიმრებასთან...

– ეს ცოტა სასაცილოა. რომელ გარიგებაზე შეიძლება იყოს საუბარი, არ მესმის. ბატონი ხატიაშვილი რომ დარწმუნდეს, რა უნდა ვქნათ ახლა ჩვენ? „ნაციონალური მოძრაობის“ კიდევ ერთი ლიდერი დააკავონ და შემდეგ ჩვენ გავათავისუფლოთ? თავისთავად არასერიოზულია ასეთი მიდგომა.

– სასამართლო რეფორმის ფონზე, რამდენად სწორად მიგაჩნიათ იუსტიციის სამინისტროსთან მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნა?

– დიდი ხანია, ამ საკითხზე მუშაობს იუსტიციის სამინისტრო, ამჟამად პროექტი ვენეციის კომისიაშია გადაგზავნილი. პირველ ვარიანტთან შედარებით, ბოლო ვარიანტში ბევრი ცვლილება შევიდა და საკმაოდ გადახალისდა პროექტი, თუმცა ერთ-ერთი შეხვედრისას მე იუსტიციის მინისტრთან დავაფიქსირე ჩემი დამოკიდებულება, რომ არ მოხდეს სასამართლოს პარალელური ორგანოს შექმნა. ეს საკითხი ჯერჯერობით კვლავ რჩება უთანხმოების საგანი. ვნახოთ, რა დასკვნას დადებს ვენეციის კომისია, თუმცა მინდა გითხრათ ისიც, რომ ნებისმიერი გარე ორგანიზაციის დასკვნა არ გახლავთ საკმარისი საქმეების გადასასინჯად. ეს გადაწყვეტილება ისევ სასამართლომ უნდა მიიღოს. ეს საქმეები ისევ სასამართლოში უნდა შემოვიდეს, მოქმედ პალატებში. ამ მიზნით ახალი პალატის შექმნა კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. გარდა ამისა, პრინციპული საკითხია, რომ არავითარ შემთხვევაში არ დადგეს კონკრეტული მოსამართლის პასუხისმგებლობის საკითხი. ამას ალტერნატივა არ აქვს.

– ამაზეც მიდის მსჯელობა?

– ღიად საუბარი ამაზე არ ხდება, მაგრამ შემიძლია გითხრათ, რომ ვიღაცები ამაზე ფიქრობენ, ანუ თუ ჩაითვალა, რომ გადაწყვეტილებაში რაღაც ხარვეზები იყო, ამას მოჰყვეს მოსამართლის პასუხისმგებლობაც, რაც თანამედროვე ცივილიზებული სამყაროსთვის მიუღებელია.

– დაბოლოს... თუ გაქვთ ინფორმაცია, რა ეტაპზეა მოსამართლის თანაშემწის საქმე, რომელსაც, გავრცელებული ინფორმაციით, სამართალდამცველები პირადი ცხოვრების გასაჯაროებით აშანტაჟებდნენ....

– ეს არის ძალიან პრინციპული და მნიშვნელოვანი საკითხი პირადად ჩემთვის და მთლიანად სასამართლო სისტემისთვის. ვიცით, რომ გამოძიება დაწყებულია, თუმცა, სამწუხაროდ, შედეგი არ გვაქვს. გარკვეული პერიოდის წინ შევეხმიანე მთავარ პროკურორს. კბილაშვილმა მითხრა, რომ, ვინც მოსამართლის თანაშემწემ ამოიცნო, ის პიროვნება საქართველოში არ იმყოფებოდა, ამიტომ საქმე გარკვეულწილად გაჭიანურდაო. ჩემი აზრით, ამის დადგენა არ იყო განსაკუთრებულ პრობლემებთან დაკავშირებული. მე ველოდები, როგორ განვითარდება მოვლენები ამ საქმეზე, თუმცა ჯერჯერობით არავინ შემომხმიანებია.

„ᲛᲝᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲛ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲘᲐᲥᲪᲘᲝᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲘᲛᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲦᲐᲪ ᲯᲒᲣᲤᲡ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲔᲬᲝᲜᲝᲡ“

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

რატომ იმატა სუიციდის შემთხვევებმა საქართველოში?

მარიამ ნადირაძე

უკანასკნელ ხანს თვალშისაცემი გახდა გახშირებული თავდასხმები ოჯახის წევრებზე და ამ ნიადაგზე მკვლელობები. „პრაიმტაიმმა“ სტატისტიკისთვის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ უწყებას ასეთი ტიპის დანაშაულთა ცალკე სტატისტიკა არ ჰქონია. ამიტომ ჩვენს მკითხველს ჩვენ მიერ მოძიებულ ინფორმაციებს შევთავაზებთ საერთო სურათის დასანახად:

- დანით მოკლა მეუღლე და 4 წლის ქალიშვილი...
- ქმარმა ცოლი ეჭვიანობის ნიადაგზე საკუთარ ავტომანქანაში დანით მოკლა...
- 65 წლის კაცმა ნაჯახით მოკლა მეუღლე...
- მამამ ერთი თვის შვილი ღმერთს შესწირა...
- 20 წლის გოგო მეხუთე სართულიდან გადმოხტა...
- 16 წლის გოგონამ თავი მოიკლა...
- ჯარისკაცმა თავი მოიკლა...
- პატიმარმა თავი მოიკლა...

რაში იმეტებს ფულს ჯანდაცვის სამინისტრო და რა ხდება ფსიქიატრიულ ცენტრებში?

11 ივნისი

სოფელ დიღომში ქმარმა დანით მოკლა მეუღლე და 4 წლის ქალიშვილი, რომელიც ტრაგედიის დროს ლოგინში იწვა. ამის შემდეგ გოჩა ფარცვანიამ თვითმკვლელობა სცადა და ყელი გამოიჭრა. თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა 1980 წელს დაბადებული გოჩა ფარცვანია ოჯახის წევრების მკვლელობის ფაქტზე, მომხდარიდან რამდენიმე წუთში, შემთხვევის ადგილზე დააკავეს. მკვლელობის მოტივი ჯერჯერობით უცნობია. ეჭვმიტანილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე 108-ე მუხლით აღიძრა, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

როგორც ოჯახის მეზობლები აცხადებენ, ოჯახი 5 წელია, აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს. მათივე თქმით, მათ „ნორმალურ ოჯახად“ იცნობდნენ. მოკლული ბავშვის გარდა, მამაკაცს დარჩა კიდევ ორი შვილი. მეზობლებისვე თქმით, ფარცვანია მანამდე „სპეცნაზში“ მუშაობდა და სამსახურიდან წამოსვლის შემდეგ ჰქონდა ფსიქიკური პრობლემები.

20 მარტი

ორხევის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე ქმარმა ცოლი ეჭვიანობის ნიადაგზე საკუთარ ავტომანქანაში დანით მოკლა. მოგვიანებით, ამავე მანქანით, ცხედრიანად მივიდა პოლიციაში და სამართალდამცველებს ჩაბარდა. მათ ოთხი შვილი ჰყავთ.

მოკლული თბილისის მე-3 ბაგა-ბაღში აღმზრდელად მუშაობდა...

2 თებერვალი

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთის სამხარეო სამმართველოსა და ჭიათურის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დაკავებულია მოქალაქე, რომელმაც ურთიერთშელაპარაკების შედეგად ჭიათურის რაიონის სოფელ ვაჭევში, ნაჯახის გამოყენებით მოკლა მეუღლე. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება 108-ე მუხლით. მეუღლის მკვლელობაში ეჭვმიტანილი 65 წლის მამაკაცი ბარძაყის მოტეხილობით ზესტაფონის სამედიცინო ცენტრში შოკურ მდგომარეობაში მიიყვანეს.

25 მაისი

ქალაქ რუსთავში 1978 წელს დაბადებულმა ფსიქიკურად დაავადებულმა გივი ჩიქობავამ საცხოვრებელი სახლის მეორე სართულის ფანჯრიდან შვილი, ერთი თვის ლადო ჩიქობავა გადმოაგდო. ჩვილი ადგილზე გარდაიცვალა. როგორც გაირკვა, გარდაცვლილის დედაც, მეუღლის მსგავსად, ფსიქიკურად დაავადებულია. თვითმხილველთა თქმით, როდესაც მამამ შვილი ფანჯრიდან გადააგდო, ჩაილაპარაკა, „ღმერთს შევწირეო“.

ამ ძალადობის კვალდაკვალ მატულობს სუიციდის შემთხვევებიც:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ოზურგეთის მცხოვრებმა ა.ფ-მა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

პოლიციის ცნობით, თვითმკვლელობა განხორციელდა ცეცხლსასროლი, ავტომატური იარაღის გამოყენებით. როგორც ახლობლები აღნიშნავენ, თვითმკვლელობის მიზეზი შესაძლოა, მძიმე სოციალური პირობები გამხდარიყო.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში მომხდარი 10 თვითმკვლელობიდან, 9 მძიმე დეპრესიის ფონზე მოხდა. დეპრესია კი, თავის მხრივ, მძიმე სოციალური პირობებით იყო განპირობებული.

7 ივნისს თბილისში ჭავჭავაძის #24-ში მეხუთე სართულიდან 20 წლის გოგონა, ნანა ჩოხტაური გადმოხტა. ის „თავისუფალი უნივერსიტეტის“ სტუდენტი იყო...

13 მაისი

სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანში 16 წლის გოგონამ სანადირო თოფით თავი მოიკლა. დაჭრილი წნორის სამედიცინო ცენტრში ოპერაციის დროს დაიღუპა. რა გახდა გოგონას თვითმკვლელობის მიზეზი, ამ ეტაპზე უცნობია.

„ინციდენტის დროს გოგონა სახლში მარტო იმყოფებოდა. ხმაურზე სახლში მეზობლები შევიდნენ და დაჭრილი გოგონა საავადმყოფოში წაიყვანეს, თუმცა ექიმებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს. გოგონამ სახლში წერილიც დატოვა.

25 მაისი

„საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს შეიარაღებული ძალების მეორე ქვეითი ბრიგადის ჯარისკაცის, რიგითი მამუკა გეგეჭკორის გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

საქმეს საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი იძიებს. საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით“, – აღნიშნულია თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში.

1 მაისი

„ქუთაისის #2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მსჯავრდადებული კ.ა. გარდაიცვალა. კ.ა. სასჯელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლით იხდიდა. როგორც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისთვის გახდა ცნობილი, 2013 წლის 1-ელ მაისს მსჯავრდადებულმა კუჭის ტკივილი მოიმიზეზა და სეირნობაზე უარი განაცხადა. სეირნობიდან დაბრუნებულმა თანასაკნელებმა მსჯავრდადებული კ.ა. გარდაცვლილი იპოვეს. საგამოძიებო სამსახურის პირველადი ვერსიით, ადგილი ჰქონდა თვითმკვლელობას. (საკუთარი ზეწრის გამოყენებით – ასფიქსია)“, – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

საქმეს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური იძიებს.

ბუნებრივია, მოსახლეობაში მსგავსმა ფაქტებმა შიში გააჩინა. ბევრი მიიჩნევს, რომ საერთო ფსიქიკური ფონი ქვეყანაში გაუმართავი ფსიქიატრიული ჯანმრთელობის სისტემის ბრალია.

„პრაიმტაიმი“ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარეს, მანანა შარაშიძეს ესაუბრა:

– კიდევ კარგი, ეს არ არის მარტო ჩვენი ქვეყნის პრობლემა. ეს არის მთელი დედამიწის პრობლემა. კვლევა გვიჩვენებს, რომ აგრესიულობის კოეფიციენტი ჯანმრთელებს უფრო მეტი აქვთ, ვიდრე ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანებს, რადგან მათში ადამიანური ენერგეტიკული პოტენციალის ვარდნა ხდება. მათ არც აქვთ დანაშაულის ჩადენის თავი, თუ არ მოხდა პროვოცირება. უფრო მეტად პიროვნული აშლილობის მქონე ადამიანები სჩადიან დანაშაულს, ვიდრე შიზოფრენიით დაავადებულები. ამ ბოლო პერიოდში რამდენმა ჯანმრთელმა მოკლა ადამიანი? მაგრამ თქვენ გაამახვილეთ ყურადღება იმაზე, რომ მამაკაცმა მოკლა ცოლი და 5 წლის შვილი. ანუ სახეზეა ფსიქიკური აშლილობა.

– ამას გარდა, მამამ ერთი თვის შვილი შეწირა თურმე ღმერთს. რასთან გვაქვს საქმე და როგორ შეიძლება საზოგადოებისგან ასეთი ადამიანების იზოლირება? არის თუ არა ეს სისტემა აწყობილი საქართველოში?

– ადრე „ფაშისტები“ ფიქრობდნენ, რომ ფსიქიკურად დაავადებული ადამიანი უსარგებლოა და რა გენეტიკა უნდა მისცენ მათ ქვეყანას. ჯერ ახდენდნენ მათ კასტრაციას და შემდეგ გაზის კამერებში უშვებდნენ. იმედია, ამას კაცობრიობა აღარასდროს გაიმეორებს. ავტორიტარულ ქვეყნებში ნაკლებად იცით, რატომ ხდებოდა ასეთი დანაშაულები? ყველა ავადმყოფი აუცილებელ აღრიცხვაზე იყო და გარდა ამისა, რეჟიმისთვის არასასურველი ხალხი ფსიქიატრიულში ჰყავდათ გამოკეტილები. დანარჩენები კი „კაგებეს“ ლუპის ქვეშ იყვნენ. მაგრამ ჩვენ ხომ არ გვინდა ეს ავტორიტარული სისტემა? ჩვენ გვინდა ვიცხოვროთ ქვეყანაში, სადაც ფსიქიკურად აშლილი ადამიანების ინტეგრაც-

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ეს არ არის მარტო ჩვენი ქვეყნის პრობლემა. ეს არის მთელი დედამიწის პრობლემა“

„სახელმწიფომ უფრო მეტი თანხა რომ ჩადოს პოლიკლინიკების სისტემაში, მაშინ ადამიანები აღარ მოხვდებიან ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, რომელიც უფრო ძვირადღირებულია“

ია მოხდება საზოგადოებაში და არა მათი იზოლაცია.

– მაგრამ ამ ინტეგრაციის ეშინია ხალხს. იმ ადამიანმა, რომელმაც შვილი ფანჯრიდან გადააგდო, 15 წუთის წინ შეიძლება თქვენ გაგიარათ გვერდით. შეიძლებოდა მხარი გაგეკრათ და პოტენციური მსხვერპლი გამხდარიყავით...

– იცით, რა? ინტეგრაციას სჭირდება ერთგვარი კულტურა, ტოლერანტობა. სამწუხაროდ, ჩვენ ასეთები ვერ ვართ. მე უკვე გითხარით, რომ ჯანმრთელი უფრო მეტად სჩადის დანაშაულს და თანაც ანგარებით, ვიდრე ფსიქიკურად აშლილი. თუ ასეთი მაინც სჩადის დანაშაულს, მას ხშირ შემთხვევაში ან იყენებენ, ან თავად არის ძალადობის მსხვერპლი. იმისთვის, რომ პროფილაქტიკა მოვახდინოთ, ყველა ჯანმრთელ ადამიანს ხომ არ ჩავსვამთ ციხეში?

– მაგრამ აქ „ჯანმრთელიც“ პირობითი სიტყვაა, რადგან ჯანმრთელად ითვლება ყველა ის, ვისაც ფსიქიატრიული დახმარებისთვის არ მიუმართავს...

– სწორედ ეს არის საქმე. როცა ინტეგრაციაზე ვსაუბრობთ, ეს ჯერჯერობით მხოლოდ სიტყვებია. იმ ადამიანს, რომელმაც 5 წლის მძინარე შვილი მოკლა, ჰქონდა ფსიქიკური აშლილობა, მაგრამ მას საერთოდ არ მიუმართავს ფსიქიატრიული სამსახურებისთვის. არსებობს სხვადასხვა მიზეზი. ბევრმა არ იცის, რა არის ფსიქიატრიული აშლილობა. რა არის მისი სიმპტომები. როდესაც ოჯახის წევრი ხდება ავად, სხვა წევრები ვერ ხვდებიან, მას რა სჭირს. მაგალითად, ჰგონიათ, რომ, უბრალოდ, გაზარმაცდა, ჭირვეულობს, როდესაც ხედავს, რომ ლოგინში წევს და დღეები არ დგება... პირველ რიგში, ოჯახის წევრს მიჰყავს პაციენტი ფსიქიატრთან. თუ ის ვერ აცნობიერებს ამას, მით უმეტეს ვერ გააცნობიერებს ავადმყოფი, რომ ის ავად არის. მეორე: ადამიანს ეშინია ექიმთან მისვლა, რომ მას დიაგნოზი არ დაუსვან. უფრო ხშირად, ყველას ჰგონია, რომ ფსიქიატრი შიზოფრენიის დიაგნოზს დაუსვამს. კიდევ უფრო მეტად ეშინია საზოგადოების – „ჩემმა მეზობელმა რომ გაიგოს, რომ ფსიქიატრთან ვიყავი, ჩემს ოჯახზე იტყვიან, რომ მას გიჟი ჰყავს სახლში“. ხშირად ოჯახის წევრებიც ძალიან დაუნდობლები არიან. ამას წინათ იყო შემთხვევა, ქმარმა მიმართა ფსიქიატრს, რომელმაც დაუსვა დიაგნოზი: ბიპოლარული აშლილობა, მანიაკალური დეპრესია და როდესაც ჩვეულებრივი კონფლიქტი მოხდა ოჯახში, ცოლმა უთხრა, შენ ფსიქიატრთან დადიხარ, მანიაკი ხარო. მაგრამ მანიაკალური აშლილობა მანიაკობას სულაც არ ნიშნავს. არის ოჯახის წევრებისგან გარიყვა – ქმარი ფსიქიკურად დაავადებულ ცოლს ვერ უძლებს, გარბის, ტოვებს. როდესაც ოჯახს შეეძინება გონებრივად შეფერხებული შვილი, მამაკაცი ძალიან ხშირად გარბის...

– ასეთი შემთხვევების მატებას უკანასკნელი წლების განმავლობაში დაგროვილ აგრესიასაც აბრალებენ, რომელიც ჯინივით გადის ბოთლიდან... ამბობენ, რომ ამიტომაც არის სუიციდის და ოჯახის წევრთა მკვლელობის გახშირებული შემთხვევა.

– არის ამაში რაციონალური მარცვალი. როცა ვამბობთ, რომ მოიმატა სუიციდმა, ნამდვილად მოიმატა იმასთან შედარებით, რაც იყო, ვთქვათ, 10-15 წლის წინათ. მაგრამ ჩვენ მაინც ბოლო ადგილზე ვართ თვითმკვლელობების მიხედვით პოსტსაბჭოთა სივრცეში. პირველზეა ლიტვა, მეორეზე – რუსეთი, მესამეზე ესტონეთი... კვლევებმა, რომელიც პოსტსაბჭოთა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში ჩატარდა, აჩვენა, რომ პოლიტიკურმა რყევებმა მოიტანა ფსიქიკურ აშლილობათა გახშირება, სტრესთან ასოცირებული. შეიცვალა ადამიანთა სოციალური სტატუსი. განსაკუთრებით მამაკაცები განიცდიან სოციალურ კიბეზე ჩამოქვეითებას. იყო, ვთქვათ, უნივერსიტეტში პედაგოგი და გახდა მძღოლი. ის საშინლად განიცდის ამას. ქალი უფრო მეტად ადაპტირებულია. მოიმატა საგზაო შემთხვევებმა, თვითაგრესიამ, მოიმატა თამაშზე დამოკიდებულებამ... ალკოჰოლიზმმა, ნარკომანიამ, სუიციდმა. საქართველოში ასეთი კვლევა არ არის ჩატარებული, მაგრამ კვლევის გარეშეც ჩანს, რომ თვითმკვლელობებმა მოიმატა. მაგრამ არა ისე, როგორც სხვაგან, რადგან ჩვენს ფსიქიკას თავისებურად იცავს სოციალური კონტაქტები და დიდი ოჯახები.

– თქვით, რომ ოჯახის წევრს სიმპტომები ოჯახმა უნდა შეამჩნიოს. მერე როგორ უნდა მოიქცეს? სად წავიდეს?

– გარდამავალ ქვეყნებში ფსიქიატრიული სამსახური არ აღმოჩნდა მზად, რომ მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. ფსიქიატრიული სამსახური ჩვენთანაც ძალიან სუსტია. რაც იყო საბჭოთა კავშირში, ჯერ მოიშალა. მხოლოდ ახლა, 2011-ში გარემონტდა რამდენიმე ფსიქიატრიული საავადმყოფო და შეიქმნა სამი ფსიქიატრიული განყოფილება საერთო პროფილის კლინიკებში. მაგრამ რაც ყველაზე მთავარი იყო, ამბულატორიული დახმარება დაკნინდა. საქართველოში იყო 19 ფსიქონერვოლოგიური დისპანსერი და აქედან რამდენიმე დაიხურა. ფსიქიატრიული სისტემა დასავლეთში რამდენიმე რგოლისგან შედგება. ეს არის: ჰოსპიტალი, ძალიან მწვავე მდგომარეობისთვის. მერე არის დღის ცენტრი, კრიზისული ინტერვენციის ცენტრი, სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი, პოლიკლინიკები. საერთო პროფილის პოლიკლინიკაში მიდიხარ ოჯახის ექიმთან. თუ უძილობა გაქვს, ის ექვსთვიანი ტრენინგის საფუძველზე შეძლებს თქვენს განკურნებას, მაგრამ თუ არის ბოდვა და მას ეჩვენება, რომ ვიღაც უთვალთვალებს და დასდევს, მიმართავს ფსიქიატრს. ანუ შენ არ მიდიხარ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, რომელიც არის სტიგმატიზებული და საგიჟეთს ეძახიან. გაადვილებულია ექიმთან მისვლა. ჩვენთან ამ სისტემის აგება დაიწყო უკნიდან.

– მოდით, უფრო დავკონკრეტდეთ. ვთქვათ, ოჯახს გაუჩნდა მსგავსი პრობლემა. სანამ საქმე დანაშაულამდე მივა, ვის უნდა მიმართონ?

– უნდა მიიყვანონ ფსიქონევროლოგიურ დისპანსერში, რომელიც ვერ მუშაობს გამართულად. თბილისში იყო სამი ფსიქონევროლოგიური დისპანსერი და ახლა დარჩა ორი. ერთ-ერთი, რომელიც მთელ თბილისს, მილიონნახევრიან ქალაქს ემსახურება, ქავთარაძის ქუჩაზეა. იქ მეორედ მისვლა არ მოგინდებათ. არის სივიწროვე, არის ჩახუთული დერეფანი. დაცული არ არის ანონიმურობა. ფსიქიკურ აშლილობას მარტო ფსიქიატრი არ კურნავს. ამისთვის ფსიქოთერაპევტიც საჭიროა და სოციალური მუშაკიც, რადგან დარღვეულია სოციალური კონტაქტები, დასაქმების თერაპევტიც საჭიროა. ეს არის ბიოფსიქოსოციალური მიდგომა. რომელიც ჩვენს ქვეყანაში მძიმედ ინერგება, რადგან ღარიბი ქვეყანა ვართ, ჯანდაცვა არასდროს ყოფილა პრიორიტეტი.

– ხშირად ავადმყოფი ვერ ხვდება, რომ ავად არის. ხდება მისი იძულებითი ჰოსპიტალიზაცია?

– ამას არეგულირებს კანონი ფსიქიატრიული დახმარების შესახებ. თუ ადამიანს აქვს სოციალურად საშიშროების კრიტერიუმები, მხოლოდ იმ დროს გაქვს უფლება, რომ ის ძალით დაანვინო.

– ეს კრიტერიუმები როგორ გამოიხატება?

– თუ ეს ადამიანი ერჩის საკუთარ თავს, ან ახლობლებს... მაგრამ ეს უნდა დაადასტურო. ამას ხვდება ფსიქიატრი. სასწრაფო დახმარების ექიმები ასკვნიან, რომ ამა თუ იმ ადამიანს სოციალური საშიშროების კრიტერიუმები არ აქვს. მაგრამ იქ რომ ფსიქიატრი იყოს, მიხვდება, რომ ეს ადამიანი ახლა გატრიალდება და თავს მოიკლავს. ანუ ჩვენს შემთხვევაში მიდის სასწრაფო და თუ გადაწყვეტენ დაწვენას, მერე მიდის პატრულიც. მაგრამ ჩვენს სასწრაფოს არც აღჭურვილობა აქვს და არც სათანადო ცოდნა. როცა ადამიანი არის სოციალურად საშიში, მხოლოდ მაშინ მოხდება მისი იძულებითი ჰოსპიტალიზაცია. შემდეგ 24 საათის განმავლობაში ტარდება სასამართლო იმის დასადგენად, ხომ არ არის ეს ადამიანი მიზანმიმართულად წაყვანილი. მაგრამ სამი ფსიქიატრი სვამს დიაგნოზს. და შემდეგ ხდება სტაციონარში იზოლირება.

– ანუ, ე.წ. ასათიანი ისევ ფუნქციონირებს?

– არა. ეს ტერიტორია გაიყიდა, მაგრამ შეიქმნა სამი განყოფილება ღუდუშაურში, რეფერალური საავადმყოფოს ტერიტორიაზე და მეხუთეში, ბავშვთა განყოფილება. იაშვილში არის ბავშვთა დღის ცენტრი და ქავთარაძის ქუჩაზე ფსიქიატრიული ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი, სადაც არის 30 მწვავე საწოლი და 30 საწოლი ქრონიკული აშლილობისთვის. იქვე არის ის დისპანსერი, რომლის შესახებაც უკვე გითხარით და რომელსაც აქვს მძიმე სამუშაო პირობები. ასევე, არის გლდანის ფსიქიატრიული საავადმყოფო.

– ევროპულ ქვეყნებში როგორ ხდება?

– მაგალითად, ბალტიისპირეთში არის მობილური ჯგუფი, ეს არის ერთგვარი სასწრაფო დახმარება. როგორც წესი, ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანი აგრესიას იჩენს ოჯახის წევრების მიმართ. მიდის ბრიგადა, სადაც არის ფსიქიატრი, ფსიქოთერაპევტი, ნარკოლოგი, ფსიქოლოგი... ფსიქიკურად აშლილი აგრესიას განსაკუთრებით მაშინ გამოხატავს, როდესაც დაავადება გართულებულია ნარკოტიკით. ნარკომანია არის ფსიქიკური აშლილობა. მობილური ბრიგადა არ არსებობს საქართველოში და ეს არის ძალიან დიდი ნაკლი ჩვენი ფსიქიატრიული სამსახურის. ამჟამად ერთი ასეთი ბრიგადაა, რომელსაც აფინანსებს სოროსის ფონდი, ისიც პერიოდულად. ევროპაში კი, ვთქვათ, კონფლიქტია ოჯახში, ეს ბრიგადა აგვარებს ამას. ჯერ ერთი, ოჯახის წევრებს ასწავლის, როგორ უნდა მოექცნენ ამ პიროვნებას, თავად დაავადებულს ასწავლის, როგორ უნდა მოიქცეს. თუ ის სოციალურად საშიშია, მისი დაწვენა ხდება. მაგრამ ავადმყოფმა იცის, რომ ამას არ დასჭირდება დიდი დრო. მხოლოდ 2-3 კვირა. ის ბრუნდება სახლში, მაგრამ ამის შემდეგ დღის ცენტრში უნდა განაგრძოს მკურნალობა, რომელიც თბილისში ერთია, მთელ საქართველოში – სამი.

– არსებობს კიდევ დაფინანსების პრობლემა. ამბობენ, რომ ოჯახის ჯიბეს ურტყამს ასეთი ტიპის ავადმყოფის მკურნალობა და ეს სახელმწიფო პროგრამაში არ ზის...

– სახელმწიფომ ვალდებულება აიღო ფსიქიკური ჯანმრთელობის დაფინანსების, მაგრამ ფინანსდება მხოლოდ ფსიქოზური რეგისტრის აშლილობები, რომელიც ქრონიკული მიმდინარეობისკენ არის მიდრეკილი. რაც მთავარია, არ ფინანსდება პიროვნული აშლილობა, რის დროსაც ყველაზე მეტად ხდება აგრესიის გამოვლინება. სახელმწიფომ უფრო მეტი რომ ჩადოს პოლიკლინიკების სისტემაში, მაშინ ადამიანები აღარ მოხვდებიან საავადმყოფოებში, რომელიც უფრო ძვირადღირებულია. თუ ჩვენ ისე ვუმკურნალებთ, რომ ადამიანი საავადმყოფოში არ მოხვდეს, ეს უფრო ჰუმანურიც არის და უფრო იაფიც დაჯდება. დაფინანსება უნდა მოხდეს ფუნქციის და არა დიაგნოზის მიხედვით. ადამიანს შეიძლება ისეთი მძიმე ნევროზი ჰქონდეს, რომ ის სახლიდანაც ვერ გამოდიოდეს. ასეთს სჭირდება სახელმწიფოს მიხედვა.

ერთი სიტყვით, პრობლემა მართლაც მწვავეა და ჩვენი მკითხველი, ალბათ, იმაშიც დაგვეთანხმება, რომ ამ გახშირებული შოკისმომგვრელი მკვლელობებისა და თვითმკვლელობების ფონზე, ალბათ, ღირს, ჯანდაცვის სამინისტროში უფრო სერიოზულად დაფიქრდნენ ფსიქიკური ჯანმრთელობის სისტემის გამართვაზე.

„უფრო მეტად პიროვნული აშლილობის მქონე ადამიანები სჩადიან დანაშაულს, ვიდრე შიზოფრენიით დაავადებულები“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ნატოში შესვლისთანავე რუსეთი, უბრ

ელენე ხოშტარია: „თეორიულად, საქართველოს სხვა შანსს, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და სამომავლოდ უსაფრთხოების გარანტიის მოპოვებისა, უბრალოდ, ვერ ვხედავ“

ქეთი ხატიაშვილი

როგორია ახალი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკა, დაკარგავს თუ არა საქართველო ოკუპირებულ ტერიტორიებს ნატოში გაწევრიანებით, როგორია რეალური სქემა ერთიანობის აღდგენის და რატომ არის ნინო ბურჯანაძე ანტისახელმწიფოებრივი მოვლენა? ამ და სხვა საკითხებზე „პრაიმტაიმს“ ექსპერტი ელენე ხოშტარია ესაუბრება.

– ელენე, უცხოელი დიპლომატები ხშირად ამბობენ, რომ მათ არ გააჩნიათ კითხვები ახალი ხელისუფლების საგარეო ორიენტაციასთან დაკავშირებით და ისინი მიიჩნევენ, რომ ივანიშვილი ნამდვილად მიდის ნატოსკენ... მაშინ როდესაც ქვეყანაში მთავარი ოპოზიციური ძალა – „ნაციონალური მოძრაობა“ ამბობს, რომ საგარეო ვექტორი შეიცვალა. რატომ ხდება ასეთი აცდენა შეფასებაში?

– ის, რომ ნატოში ინტეგრაცია დღევანდელი მთავრობის დღის წესრიგში დგას, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ამაზე მეტყველებს საქართველოში ჩრდილოატლანტიკური საბჭოს ჩამოსვლა, ნატოს კვირეული, განცხადებები, რომელიც პრემიერ-მინისტრმა გააკეთა მაპ-თან და 2014 წლის სამიტთან დაკავშირებით. მნიშვნელოვანია, რომ სწორედ პრემიერისგან იყო ნატოს მიმართულებით საუბარი, განსაკუთრებით რუსეთთან მიმდინარე მოვლენების ფონზე – არავის არ უნდა შეექმნას შთაბეჭდილება, რომ რუსეთთან დათმობას ვცდილობთ... კოალიციაში არის დიდი გუნდი, რომელთა პროდასავლურობაში ეჭვი არ მეპარება და რუტინული სამუშაოც კეთდება ვილნიუსის სამიტისთვის, რაც ცხადყოფს, რომ ეს მიმართულება დღის წესრიგში რჩება.

პრობლემაა იმ მხრივ, რამდენად წარმატებული ტაქტიკური თუ პოლიტიკური გეგმა აქვს ახალ ხელისუფლებას ამ მიზნის მისაღწევად. ის შეთამაშებები რუსეთთან, რომელიც უკვე საშიშ სტადიაშია გადასული, არის ის საფრთხე, რომელმაც შეიძლება, უბრალოდ, ჩაჩეხოს დასავლეთში ინტეგრაციის კურსი. რუსეთთანაც დავარეგულირებთ ურთიერთობას და ნატოშიც შევალთ – ეს არის აპრიორი გამორიცხული ამოცანა, რადგან რუსეთის ერთ-ერთი სტრატეგიული ინტერესია, არ გაუშვას საქართველო დასავლურ სტრუქტურებში. არა იმიტომ, რომ ნატო არ უყვარს, არამედ იმიტომ, რომ ეს იქნება შეუქცევადად ჩვენი უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ეს იქნება შეუქცევადად ჩვენზე გავლენის დაკარგვა. რუსეთის მთავარი ამოცანა მთელ ამ რეგიონში გავლენების დაბრუნებაა, მათ შორის ერთ-ერთ ცენტრალური ქვეყანაში, საქართველოში. ამიტომ ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენ კრემლში ცეკვით, „ბორჯომის“ გემოთი ან რაღაცით რუსეთის ეს სტრატეგიული ინტერესი შევცვალოთ, წარმოუდგენელია.

პრობლემა რომ მხოლოდ რიტორიკა ყოფილიყო, მაშინ სხვა საუბარი იქნებოდა. ამიტომ ამ მთავრობას არ აქვს წარმოდგენილი მწყობრი ხედვა. არის მხოლოდ დეკლარაცია, რომ თან ურთიერთობას დავათბობთ და თან ნატოში შევალთ, იმის იქით როგორ ხედავენ ამ გზას, არ ჩანს. ეს არის ყველაზე დიდი საფრთხე, რომ რუსეთთან ამ გაურკვეველმა პოლიტიკამ და შეცდომებმა საგარეო კურსზეც იმოქმედოს.

მე არც ერთ შემთხვევაში არ ვგულისხმობ, რომ პრემიერ-მინისტრი პუტინის კაცია, ან ვიღაც ძალით აფუჭებს რამეს, არავითარ შემთხვევაში არ ვამბობ ამას. თუმცა შეცდომებმა და ნაღმებმა, რაც ამ გზაზე დევს, შეიძლება ჩვენი დასავლური ინტეგრაცია ააფეთქოს. ნაღმებია ჩვენი განცხადებები იმის შესახებ, რომ ჩვენ დავინყეთ 2008 წელს საომარი მოქმედებები, ასევე პრემიერის განცხადებები, მით უმეტეს გამოძიების გარეშე, რომ ჩვენ ვამზადებდით ტერორისტებს. ასევე, არასწორი შეფასება გაკეთდა დიცის ინციდენტზე, სადაც ჩვენ, ფაქტობრივად, ამ მოვლენის შეფასება შევარბილეთ. როდესაც ამბობ, რომ ეს ცუდია, ეს არ არის შეფასების სრული პაკეტი. შეფასების სრულ პაკეტს სჭირდება, თქვა, რას ნიშნავს ეს ცუდი... რას ნიშნავს ცუდის ნაწილში კი პრემიერმა თქვა, რომ ამას არა კრემლი, არამედ ადგილობრივი აკეთებს. ეს არბილებს მოვლენის მნიშვნელობას, რაც ინვევს დასავლური ზეწოლის შესუსტებას.

ჩემთვის ნაღმი და შეცდომა იყო აბაშიძე-კარასინის სრულიად არაადეკვატური შეხვედრა, სადაც ლაპარაკობენ, რომ ეს ცუდია და შეისწავლიანო. ვინ შეისწავლის? ადამიანი, რომელიც წინა დღეს გამოვიდა და თქვა, ამას ჩვენ ვაკეთებთო? ეს არის თამაში ცუდი წესებით. კარასინი გამოვიდა და თქვა, ოკუპაციის კანონი უნდა გაუქმდესო, შემდეგ პუტინი გამოვიდა და ძალიან ბევრი საფრთხის შემცველი განცხადება გააკეთა. ახლა რუსეთი თანმიმდევრულ შეტევაზე გადმოვა, რომ ჩვენი დასავლური ინტეგრაცია შეაფერხოს და ჩვენი მომავალი ჩაიგდოს ხელში. შესაბამისად, ეს არის მთავარი საფრთხე და არა ის, რომ ივანიშვილი გამოვა და იტყვის, რომ უნდა ნატო.

– რამდენად მოსალოდნელია, რომ სოჭის ოლიმპიადამდე რუსეთს საქართველო ხავერდოვანი ზეწოლის ფაზაში ჰყავდეს, ოლიმპიადის შემდეგ კი სიტუაცია დაიძაბოს და რუსეთი რადიკალური გახდეს თავის მოთხოვნებში?

– დღეს რუსეთს რადიკალურობა არ სჭირდება. რუსეთი, როცა მოქმედებს, როგორც ყველა პრაგმატული და თანმიმდევრული ქვეყანა, წინასწარ საზღვრავს, რა პოლიტიკური ფასი დაუჯდება ეს. დღეს რომ რუსეთმა ტანკი დაქოქოს და საქართველოზე გამოუშვას, ეს მას ძალიან ძვირი დაუჯდება და არც სჭირდება. ამ პროცესს, რაც ახლა ხდება, იმიტომ ჰქვია მცოცავი ოკუპაცია, რომ პოლიტიკაა ასეთი: ნელ-ნელა, სხვადასხვა ბერკეტების გამოყენებით, ისინი ეცდებიან ჩვენს საგარეო პოლიტიკაზე ზეწოლას.

რუსეთის მთავარი მიზანია ჩვენი ევრაზიულ კავშირში შესვლა, მაგრამ მოკლევადიანი და ძალიან მნიშვნელოვანი მიზანია საერთაშორისო მხარდაჭერის იმ ძაფების ჩაწყვეტა, რომელიც დღემდე ჩამოყალიბდა. მხედველობაში მაქვს დასავლეთის რეაქციები რუსეთის მოვლენებზე, ანუ ის, რომ დასავლეთში ყოველთვის დღის წესრიგში იდგა საქართველოს ურთიერთობა რუსეთთან. მხედველობაში მაქვს იგივე ჟენევის ფორმატის შესუსტება. ფაქტია, რომ დიცზე შესაბამისი რეაგირება არ მოხდა. ეს იყო ერთი პრეცედენტი, ამას შეიძლება მოჰყვეს მეორე, მესამე და ეს უკვე ტენდენცია იქნება. ამ ტენდენციის შემოტრიალება კი ძალიან რთული აღმოჩნდება.

– შეიძლება, რომ ბიძინა ივანიშვილმა შევარდნაძის ტაქტიკა აირჩიოს – დისტანცირება ორივესგან?

– არის გარკვეული მსგავსებები მაშინდელ პოლიტიკასთან. პრინციპში, დეკლარირებულად რასაც ამბობს პრემიერი, ეს არის ნატოც და რუსეთიც. ვფიქრობ, რომ პრემიერს ჰგონია, რომ შესაძლებელია რუსეთსა და დასავლეთს შორის ლავირება. ბოლომდე ვერ შევაფასებ, რადგან არ მიმუშავია ამ ადამიანთან. თუმცა ჩემი შთაბეჭდილებით, მას ნამდვილად სწამს, რომ სტრატეგიულად საქართველოს პოლიტიკა უნდა იყოს ლავირება დასავლეთსა და რუსეთს შორის, რაც ჩვენს შემთხვევაში დამღუპველი იქნება, რადგან რუსეთი ლავირების საშუალებას არ დაგვიტოვებს იმ ბერკეტებით, რაც მას აქვს. ამიტომ, თუ პრემიერის ხედვა ასეთია, ჩემი ხედვა მისგან ფუნდამენტურად განსხვავდება, რადგან, ჩემი აზრით, საქართველოს მომავლის უზრუნველყოფის ერთადერთი საშუალება დასავლეთში ინტეგრაციაა. ეს ყველა პრობლემას გამოკვანძავს, რაც რუსეთთან საუკუნეების განმავლობაში დაგვიგროვდა. ამ ლავირების გზით დასავლურ შანსს დავკარგავთ და უნებლიეთ წამოვეგებით იმ ნაღმებს, რასაც რუსეთი დაგვიდებს.

– ამ შემთხვევაში ყოველთვის დგას აფხაზეთისა და ცხინვალის საკითხი. წარმოვიდგინოთ, რომ საქართველო შედის ნატოში. როგორ მოხდება ეს – საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიების ფარგლებში?

– ბუნებრივია. აქ არანაირი პრობლემა არ არსებობს. ჩვენ საერთაშორისო სამართლებრივად აღიარებული ტერიტორიების ფარგლებში ვარსებობთ და დე იურე ამ ტერიტორიებით შევალთ ნატოში. შეიძლება ტექნიკურად ისეთი გადაწყვეტილების მოფიქრება, რომ რა-

„მე არც ერთ შემთხვევაში არ ვგულისხმობ, რომ პრემიერ-მინისტრი პუტინის კაცია“

„მგონია, რომ ქართულ საზოგადოებაში არ მოინახება უმრავლესობა, რომელიც ანტისახელმწიფოებრივ პარტიას დაუჭერს მხარს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ალოდ, როგორც ჩვენი საფრთხე, ქრება“

„პრორუსულში ვგულისხმობ იმას, რასაც ბურჯანაძე აკეთებს და არა რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების სურვილს“

ღაც დროით არ გავრცელდეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მეხუთე მუხლი. ეს საკითხი რაღაცნაირად უნდა დავარეგულიროთ, ამის პოტენციალი არსებობს.

რატომ არის ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ერთადერთი საშუალება ნატოში შესვლა? ერთი, ნატოში შესვლით სამომავლოდ ვუკეტავთ კარს რუსეთის ამბიციებს. ანუ ნატოში შესვლისთანავე, რუსეთი, უბრალოდ, როგორც ჩვენი საფრთხე, ქრება. რუსეთს ვერასდროს ვეღარ ექნება ამბიცია, საქართველოზე გავლენა მოიპოვოს და ევრაზიულ კავშირში შეათრიოს. ნატოში შესვლით ეს საკითხი მთავრდება.

გარდა ამისა, რატომ მეჩვენება ტერიტორიების პრობლემის გადაჭრა ნატოში შესვლის გზით ყველაზე ოპტიმალურად? ნატოში შესვლით რუსეთს ეცლება მთავარი მოტივაცია, რატომაც აქვს ეს ტერიტორიები დღეს ოკუპირებული. მას იმიტომ არ აქვს ეს ტერიტორია ოკუპირებული, რომ კიდევ ერთი სოფელი უნდა. ზოგადად, ამ ოკუპაციის მთავარი მიზანია არა მიწაა, არამედ – ჩვენზე გავლენის მოპოვების მცდელობა. ნატოში შესვლით რუსეთს ეს მთავარი მოტივაცია ეცლება და ცხინვალი და აფხაზეთი რუსეთისთვის, ფაქტობრივად, ტვირთად რჩება. ნატოში შესული საქართველოს საერთაშორისო მხარდაჭერა ასჯერ უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე ეს დღეს არის. ნატოში შესული საქართველოსთვის, ნატოს წევრი ქვეყნებისგან რუსეთზე ზეწოლა არის ასჯერ უფრო ძლიერი და შესაბამისად, რუსეთის ინტერესებშივე იქნება, რომ ეს ტერიტორიები მისთვის უფრო ღირებულ და ღირსეულ რაღაცაზე გაცვალოს. რა თქმა უნდა, ეს მთელი პროცესია და ასე მარტივი არ არის, როგორც მე ამას ვყვები. მაგრამ თეორიულად, საქართველოს სხვა შანსს, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და სამომავლოდ უსაფრთხოების გარანტიის მოპოვებისა, უბრალოდ, ვერ ვხედავ. ახალმა მთავრობამა ვერ მოახერხა, აეხსნა, სხვა რა გზით შეიძლება ამ ყველაფრის მიღწევა, რადგან რუსეთთან ურთიერთობების დათბობა არ არის პასუხი.

არც ერთ შეხვედრაზე საკითხი, რომ საქართველო ნატოში ტერიტორიების გარეშე უნდა შევიდეს, არანაირი განხილვის საგანი არ ყოფილა. ყველაზე მნიშვნელოვანი ნატოსთან ურთიერთობაში არის ის, რომ ისინი, რუსეთისგან განსხვავებით, არასდროს გთავაზობენ ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც შენს ინტერესებს ეწინააღმდეგება. ეს არის ფასეულობებზე, დემოკრატიასა და სამართლიანობის პრინციპებზე დაფუძნებული ქვეყნები და ორგანიზაციები. შესაბამისად, შეიძლება ყოველთვის არ გვესიამოვნოს, რასაც ისინი გვეუბნებიან, მაგრამ ისინი ძალით არ გკარნახობენ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომელიც შენს ინტერესებს არღვევს.

– რამდენიმე დღის წინ ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ ჩვენ შეიძლება ოკუპირებულ ტერიტორიებს დროებით დაკავებული და არაოკუპირებული ტერიტორიები ვუწოდოთო. იგივე დიცის შეფასებისას მან განაცხადა, რომ რუსეთმა ეს ტერიტორია დაიკავა...

– დიდი იმედი მაქვს, რომ ნინო ბურჯანაძის პოლიტიკურ შეხედულებებს საზოგადოებაში არანაირი რეალური საფუძველი არ გააჩნია, რადგან ეს გაცხადებულად პრორუსული შეხედულებაა. უფრო ზუსტად ეს პრორუსული კი არა, ანტისახელმწიფოებრივი შეხედულებაა, რადგანაც პრორუსული ნიშნავს საკუთარი ქვეყნის სუვერენიტეტზე უარის თქმას, სწორედ ეს არის ის, რასაც შენ რუსეთი გთავაზობს. შესაბამისად, პრორუსულსა და ანტისახელმწიფოებრივს შორის ტოლობის ნიშანი უნდა გაივლოს. პრორუსულში ვგულისხმობ იმას, რასაც ბურჯანაძე აკეთებს და არა რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების სურვილს. ეს სურვილი ნორმალურია. ორიენტაციულად პრორუსული პოლიტიკა არის ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკა და ამ პოლიტიკის გამზიარებელია ქალბატონი ნინო ბურჯანაძე. ის ასრულებს კონკრეტულ დავალებას. ის ერთ-ერთი ნაღმია.

რუსეთის მოკლევადიანი ამოცანა არის ის, რომ საერთაშორისო მხარდაჭერის მექანიზმები, რაც საქართველოს გარშემო შეიქმნა, აღარ არსებობდეს. ბუნებრივია, ტერმინ ოკუპაციისა და ოკუპაციის კანონის გაუქმება იქნება ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი. მგონია, რომ ქართულ საზოგადოებაში არ მოინახება უმრავლესობა, რომელიც ანტისახელმწიფოებრივ პარტიას დაუჭერს მხარს.

– ამ ეტაპზე ჩვენთვის მთავარია, ჩატარდეს დემოკრატიულად საპრეზიდენტო არჩევნები და არ ჩატარდეს ვადამდელი არჩევნები?

– ვადამდელ არჩევნებსა და დემოკრატიულ ხარვეზებზე ლაპარაკიც არ არის. როგორც მინიმუმ, ჩვენ მდგომარეობა არ უნდა გავაუარესოთ, უნდა გავაუმჯობესოთ. მე ვსაუბრობ საგარეო საფრთხეზე.

– ნინო ბურჯანაძემ როგორც თქვა, თუ ის გაიმარჯვებს...

– თუ ნინო ბურჯანაძე გაიმარჯვებს, საერთოდ უნდა დავივიწყოთ ნატოზე საუბარი. სხვა პრობლემები გვექნება უკვე. იმედს ვიტოვებ, რომ საქართველოში არ არის ამ იდეოლოგიის მხარდაჭერა. მოდით, ნუ დავკავდებით მარჩიელობით და რეალურ კონიექტურაზე ვისაუბროთ. რეალური კონიექტურა არის ის, რომ, სავარაუდოდ, გაიმარჯვებს „ოცნების“ კანდიდატი. მნიშვნელოვანია, რამდენს აიღებს „ოცნების“ კანდიდატი და ეს იქნება პოლიტიკური ინდიკატორი ჩვენი ცხოვრების; რამდენს აიღებს ოპოზიციური ძალები და რამდენს აიღებს ნინო ბურჯანაძე. ეს განსაზღვრავს შემდგომ პოლიტიკურ ცხოვრებას. მნიშვნელოვანია, მათ შორის არ იყოს დისტანცია და დაფიქსირდეს სწორი ბალანსი.

არც კი განვიხილავ სერიოზულად პარლამენტის ვადამდელ დაშლას, რადგან ეს არის პოლიტიკური პროცესების მორგება რომელიმე პოლიტიკურ ძალაზე, რაც ჩვენი დემოკრატიული ინსტიტუტებისთვის დამანგრეველი იქნება. ამას არც განვიხილავ, როგორი გავლენა იქნება ნატოში ინტეგრაციაზე. მნიშვნელოვანია, რომ იგივე დაკავებები, რასაც სამართლიანობის აღდგენას ეძახიან, ამ ნიშნით არ გაგრძელდეს. მიუხედავად იმისა, რომ წინა ხელისუფლებაში იყო ბევრი შეცდომა და მათ შორის – დანაშაულებიც, რომელიც ყველამ ვნახეთ, იქნება ეს ციხეების კადრი, გირგვლიანის საქმე, 7 ნოემბერსა და 26 მაისს ძალის გადამეტება და ასე შემდეგ, მაგრამ მთავრობის ამოცანა უნდა იყოს ამ დანაშაულების გახსნა. თუ ოპონენტების მასობრივი დაჭერის პროცესი დაიწყო, ბუნებრივია, ეს ცუდად აისახება დასავლურ პერსპექტივაზე. დასავლეთი სიმართლის დადგენას არ ეწინააღმდეგება, მაგრამ სიმართლე არ იყოფა პარტიული ნიშნით. მივესალმე ხვედელიძის მოხსნას, მაგრამ უსიამოვნოა, როდესაც სამართლიანობაზე ამხელა პრეტენზიის მქონე მთავრობა მას საზღვარგარეთ უშვებს.

– დაბოლოს, სააკაშვილის ხელისუფლებას ჰქონდა ის პლუსი, რომ მისი გუნდი ერთმნიშვნელოვნად პროდასავლური იყო და ერთიანი ხედვა ჰქონდა. შესაბამისად, მათი დამოკიდებულებაც ყველა მოვლენისადმი ერთიანი გახლდათ, რასაც ბიძინა ივანიშვილთან ვერ ვხედავთ. მას ჰყავს როგორც მკვეთრად პროდასავლური ძალები, ისე პრორუსულიც. რამდენად დადგება ბიძინა ივანიშვილი არჩევანის წინაშე?

– რა თქმა უნდა, კოალიციას ეს პრობლემა აქვს. ამ პრობლემას ჩვენ ძალიან ხშირად ვაწყდებით. აქ არ არის საუბარი იმაზე, რომ ყველამ უნისონში უნდა ილაპარაკოს. გარკვეულწილად აზრების გამოთქმის მრავალფეროვნება ნამდვილად გაუმჯობესებულია, ვიდრე ეს იყო წინა ხელისუფლების დროს. თუმცა აქ არის პრობლემა კონცეპტუალური მიდგომების თვალსაზრისით. მაგალითად, როდესაც 17 მაისის მოვლენებზე საგანელიძის განცხადება აბსოლუტურად ეწინააღმდეგებოდა პრემიერის განცხადებას. აღარ ვსაუბრობ საგარეო პოლიტიკაზე, სადაც, ჩემი აზრით, ზაქარეიშვილის პოლიტიკა აბსოლუტურად განსხვავებულია იმისგან, რასაც უსუფაშვილისგან ვისმენთ. არის ეს აზრთა სხვადასხვაობა. ეს საკითხი მოსაგვარებელია, რადგან გაურკვევლობა მთავრობის გზავნილებში ჩვენი ქვეყნისთვის პრობლემებს ქმნის. ჩვენ უნდა გვქონდეს მკაფიო ორიენტირი და მცდარი ინტერპრეტაციის საშუალება არავის არ უნდა მივცეთ.

„დღეს რომ რუსეთმა ტანკი დაქოქოს და საქართველოზე გამოუშვას, ეს მას ძალიან ძვირი დაუჯდება“

„პრორუსული პოლიტიკა არის ანტისახელმწიფოებრივი პოლიტიკა და ამ პოლიტიკის გამზიარებელი არის ქალბატონი ნინო ბურჯანაძე. ის ასრულებს კონკრეტულ დავალებას. ის ერთ-ერთი ნაღმია“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

უნივერსიტეტს დამოუ

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

ლევან ბერძენიშვილი: „მირჩევნია, უნივერსიტეტის საბჭომ აირჩიოს არასწორი, ჩვენი ან ვინმეს წარმოდგენით რექტორი, ვიდრე ჩვენ დავნიშნოთ ის“

„არ მიიღოთ კანონი ჩვენზე უჩვენოთ“ – ეს ჯერ მხოლოდ თხოვნაა. მაგრამ დიდი ალბათობით მოთხოვნაში გადაიზრდება. უნივერსიტეტის სტუდენტები და ლექტორები არ აპირებენ საპროტესტო აქციების შეწყვეტას. ისინი პარლამენტისგან „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილების განხილვის გადადებას ითხოვენ, განათლების სამინისტროსგან კი ცვლილებების რეგულირების შეცვლას. „ოცნების“ პრეზიდენტობის კანდიდატი ჯერ განათლების მოქმედი მინისტრია. მსგავსი ცვლილებების ავტორობა მხოლოდ და მხოლოდ მის საწინააღმდეგოდ მოქმედებს.

ცვლილებების თანახმად უნივერსიტეტის რექტორი გარდამავალ ეტაპზე განათლების მინისტრის წარდგენით პრემიერ-მინისტრის მიერ დაინიშნება. რექტორებისთვის და კათედრის გამგეებისთვის კი აკადემიური ხარისხი სავალდებულო ხდება. ცვლილებების პროექტი იმდენად არადემოკრატიულია, რომ მას თვითონ უმრავლესობის წევრებიც კი ეწინააღმდეგებიან. ლევან ბერძენიშვილის გაფრთხილებას, რომ მას მხარს არ დაუჭერდნენ, კონკრეტული ნაბიჯები მოჰყვა. სხდომა, რომელზეც განათლების შესახებ კანონში ცვლილებების კენჭისყრა უნდა მომხდარიყო, რატომღაც მანანა კობახიძეს მიჰყავდა. უშუალოდ ცვლილებების განხილვის პროცესის დროს პარლამენტის თავმჯდომარე, დავით უსუფაშვილი დარბაზში არ იმყოფებოდა. კენჭისყრისას კი მისი ხმა წინააღმდეგთა სიაში დაფიქსირდა.

ლევან ბერძენიშვილი, უმრავლესობის წევრი:

- ჩემთვის პრინციპულად მიუღებელია ის პუნქტი, რომელიც განსაკუთრებულ შემთხვევებში პრემიერის მიერ უნივერსიტეტების რექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნას ითვალისწინებს. არ მიმაჩნია სწორად, თუნდაც დროებით შეიზღუდოს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული უნივერსიტეტების ავტონომია. მირჩევნია, უნივერსიტეტის საბჭომ აირჩიოს არასწორი, ჩვენი ან ვინმეს წარმოდგენით რექტორი, ვიდრე ჩვენ დავნიშნოთ ის.

საზოგადოებაში გაჩნდა მოსაზრება, რომ ახალი ხელისუფლება უნივერსიტეტის დამორჩილებას სწორედ პოლიტიკური გათვლებით ცდილობს. რა ძალა აქვს სტუდენტობას ეს პოლიტიკოსებმა ყველაზე უკეთ იციან. შესაბამისად, პრემიერის და გნებავთ განათლების ჯერ კიდევ მოქმედი მინისტრის მიზნებიც მარტივი გასაშიფრი უნდა იყოს – კარს მომდგარი საპრეზიდენტო არჩევნების პოლიტიკური ტემპერატურა უფრო და უფრო მატულობს. თავის დროზე ოპოზიცია ხელისუფლებას არჩევნების მოგების ერთ-ერთ მთავარ ძალად სწორედ სტუდენტებს უთვლიდა.

თათა ცოფურაშვილი, ილიას უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი:

- ბუნებრივია, ჩნდება აბსოლუტურად გონივრული ეჭვი იმისა, რომ ეს ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ იმას, რომ ახალმა პოლიტიკურმა ძალამ თავისი პოლიტიკური კონიუნქტურის ქვეშ მოაქციოს უნივერსიტეტები, ანუ გააკეთოს ის, რასაც ნლების განმავლობაში ის საყვედურობდა წინამორბედ პოლიტიკურ ძალა.

უნივერსიტეტსა და ხელისუფლებას შორის დაპირისპირება ყოველთვის იყო. თუცმა ყველაზე მწვავედ და ღიად ეს 2006 წლის ივნისში დაფიქსირდა. მაშინ, როდესაც უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების ნაწილმა მაშინდელი რექტორის, გია ხუბუას გადადგომა მოითხოვეს. მიზეზად ხუბუას მიერ ხელისუფლების ინტერესების გატარება დასახელდა. დაპირისპირება ძალიან დიდხანს გაგრძელდა და ბოლოს იქამდეც მივიდა, რომ პოლიციამ ლექტორები იძულებით გამოიყვანა უნივერსიტეტის შენობიდან.

2006 წლის ივნისში პროფესორების ნაწილმა ალტერნატიული საბჭო შექმნეს და ასევე ალტერნატიული რექტორი დანიშნეს. ისინი ხუბუას უკანონო რექტორად აცხადებდნენ. ერთ დღეს კი ხუბუას კაბინეტში შევიდნენ და მას უნივერსიტეტის დასატოვებლად ათი წუთი მისცეს. ბუნებრივია, ხუბუამ თანამდებობის დატოვებაზე უარი განაცხადა და ბრძოლაც სწორედ მაშინ დაიწყო. პოლიციამ ლექტორები ხუბუას კაბინეტიდან იძულებით გამოიყვანა. კაბინეტიდან გაყრილმა ლექტორებმა უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გადაინაცვლეს და პროტესტის გამოხატვას იქ აგრძელებდნენ. თუმცა, როგორც ამბობენ, ხუბუას მითითებით უნივერსიტეტის დაცვამ მათ საპირფარეშოსკენ მიმავალი გზაც კი გადაუკეტა და შენობას წყალიც გაუთიშეს. გათვლა მარტივი იყო: დაუმორჩილებელი ნაწილისთვის ისეთი პირობები უნდა შეექმნათ, რომ უნივერსიტეტი ნებით დაეტოვებინათ. გოგი გოგოლაშვილი მაშინდელი დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა. დღევანდელ ცვლილებებს ის საუკეთესო გამოსავლად აფასებს და ძველ დაპირისპირებასაც იხსენებს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ПИДЕЖЛОЖАС АРТИМЕВЕН

გოგი გოგოლაშვილი:

„რა თქმა უნდა, ეს არ არის საუკეთესო გადაწყვეტილება, მაგრამ ეს არის აუცილებელი ნაბიჯი იმისთვის, რომ უნივერსიტეტში შექმნილი ვითარება გამოსწორდეს“

გოგი გოგოლაშვილი, პროფესორი:

- 2005 წელს მოვიდა ხუბუა და მაშინდელი ხელმძღვანელობა ცდილობდა უნივერსიტეტიდან გაეყარა ყველა, ვინც მათ ინტერესებს არ ატარებდა. სწორედ მაშინ დაიწყო რეფორმა კანონების უხეში დარღვევით.

- რა რეფორმები ტარდებოდა დარღვევით?

- დანიშნული კონსურსები, აკადემიური საბჭოს არჩევა – ეს ყველაფერი მიმდინარეობდა დარღვევებით. ჩვენ ვითხოვდით ეს ყველაფერი მოქცეულიყო კანონის ფარგლებში. ეს იყო პრინციპული მოთხოვნა, მაგრამ ის არ სრულდებოდა. ამიტომ მაშინ უნივერსიტეტის დიდმა საბჭომ გადავწყვიტეთ, რომ ხუბუა უნივერსიტეტისთვის შეუფერებელი იყო და მოვითხოვეთ მისი უნივერსიტეტიდან გადადგომა. ხუბუა, ბუნებრივია, არ დაეთანხმა ჩვენს წინადადებას. ჩვენ მასთან ძალიან პრინციპული, საქმიანი, კონკრეტული საუბარი გვქონდა, მაგრამ მან ვერ გაგვცა პასუხი ვერც ერთ კითხვაზე. სწორედ ამის შემდეგ, მან გამოიძახა პოლიცია. ჩვენ იძულებით დავტოვეთ რექტორის კაბინეტი და ავედით უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, რომ მოგვეთათბირებინა თუ როგორ გაგვეგრძელებინა მოქმედება. ჩვენ ჩვენი პირობები გვქონდა, ჩვენს გვერდით იყო საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილი. პოლიციის მეშვეობით მათ ჩაგვიკეტეს ყველა კარი, ყველა ფანჯარა და შეგვიქმნეს ყველა პირობა, რომ ვერ გაგვეძლო და დაგვეტოვებინა უნივერსიტეტი. საპირფარეშოსკენ გასასვლელი კარიც კი ჩაგვიკეტეს, წყალი გაგვითიშეს და როცა წყლით სავსე ბოთლებს გარედან თოკებით გვანვდიდნენ, პოლიცია ამ თოკებსაც გვიჭრიდა. ასეთ პირობებში ჩვენ ერთი დღე და ღამე გავძელით. ამ ქმედებას კვალიფიკაცია მიეცა, როგორც იძულებით თავისუფლების აღკვეთა. ეს იყო გაუგონარი ქმედება.

- უნივერსიტეტის შიგნით პროფესორ-მასწავლებლებს შორის აზრთა სხვადასხვაობების გამო იყო დაპირისპირება?

- იცით, როგორ იყო. საკონკურსო კომისიებისთვის არსებობდა პროფესორ-მასწავლებლების სამი კატეგორია: ნაწილი, რომლებსაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეღოთ მონაწილეობა კონკურსში, არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამხდარიყო უნივერსიტეტის თანამშრომლები, რადგან ხელმძღვანელობას არ აწყობდა. მეორე ნაწილი, რომელიც აუცილებლად უნდა გასულიყო კონკურსში და ასევე აუცილებლად უნდა გაემარჯვათ, რადგან მორჩილები იყვნენ და ამ ფონზე თუ დარჩებოდა თავისუფალი ადგილები, გინდა მიგეღო მონაწილეობა და გინდა არ მიგეღო, მათთვის სულ ერთი იყო. ეს მესამე კატეგორია არ აინტერესებდათ. ჩვენ ჩვენ კოლეგებს არ ვუპირისპირდებოდით, დღემდე ვთვლით, რომ ეს ყველაფერი მათ ნამუსზე უნდა იყოს. ომის გამოცხადება არც მაშინ და არც შემდეგ არ გვიფიქრია.

- დღევანდელ ცვლილებებს როგორ აფასებთ?

- რა თქმა უნდა, ეს არ არის საუკეთესო გადაწყვეტილება, მაგრამ ეს არის აუცილებელი ნაბიჯი იმისთვის, რომ უნივერსიტეტში შექმნილი ვითარება გამოსწორდეს. ვთქვათ, მიეცა უფლება აკადემიურ საბჭოს, რომ აირჩიოს რექტორი. ისინი აუცილებლად აირჩევენ ისეთივე რექტორს, როგორიც გია ხუბუა იყო. ეს ადამიანი იყო „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერი და მათივე ნების მორჩილი შემსრულებელი. 2004 წლიდან დღემდე, ფაქტორბირვად, ყველა არჩევნები ფორმალური იყო. რატომ აქამდე არ იღებდნენ ხმას? ახლა აყვირდნენ ისინი, ვინც უნივერსიტეტში უკანონოდ მოვიდა. ეს არის მნიშვნელოვანი, თორემ, რა თქმა უნდა, ჯობია დამოუკიდებელი იყოს უნივერსიტეტი და მხოლოდ საბჭო ირჩევდეს რექტორს. მაგრამ დამიჯერეთ, დღეს ილიას უნივერსიტეტში ხუთკაციანი საბჭო აირჩევს იმას, ვისაც გიგი თევზაძე ეტყვის. ჯობი რომ დასვას თევზაძემ და თქვას, რომ ეს იქნება რექტორი, იმ ჯოხს მისცემენ ხმას. არც ერთი გადაწყვეტილებაზე, არც ერთ აკადემიურ საბჭოს წინააღმდეგობა არ გაუწევია არაფერზე, რაც აქამდე ხდებოდა უნივერსიტეტში.

- თუმცა გადაწყვეტილება დაგმეს უმრავლესობის წევრებმა, ბევრმა მათგანმა განაცხადა, რომ მხარს არ დაუჭერს ამ ცვლილებას...

- ეს იმათი საქმეა ვინც ამას ამბობს. მაგრამ უმრავლესობამ ერთ კითხვაზე უნდა გასცეს პასუხი: ის, რაც ხდებოდა 2004-2012 წლებში იყო თუ არა უკანონობა? ის პროცესები, რაც ამ წლებში მიმდინარეობდა უნივერსიტეტში, უნდა გამოსწორდეს თუ არა.

- ამ გზით გამოსწორდება?

- ამ გზით გამოსწორდება იმ გაგებით, რომ ახალმა დროებითმა მმართველობამ უნდა მოახდინოს შეფასება 2004-2012 წლებში რა მოხდა, რა გაფუჩჭდა, რა დაინგრა უნივერსიტეტში. აუცილებლად უნდა შეფასდეს ეს წლები. ამის შემდეგ გარდამავალ პერიოდში უნდა მომზადდეს ოპტიმალური ვარიანტი, როგორი უნდა იყოს უნივერსიტეტი. ამის აუცილებლობა არ დადგებოდა ამ წლებში, რომ არ დანგრეულიყო უნივერსიტეტი. ის, რაც ლომაია-ხუბუამ უნივერსიტეტში ჩაიდინეს, არის საუკუნის დანაშაული.

- მთავარი არგუმენტი არის ის, რომ ვისაც პრემიერი დანიშნავს დროებით შემსრულებლად, სწორედ ის იქნება შემდეგ არჩეული არჩევნებზეც.

- ალბათ, დადგება საკითხი, რომ ნორმალური საბჭო შეიქმნას. ყოველ შემთხვევაში მოვალეობის შემსრულებელმა თუ გამოიჩინა თავი, შეიძლება აირჩიონ კიდეც, რა მოხდა მერე? ამიტომ დროებით შემსრულებლად უნდა დანიშნონ ის, ვინც მისაღები იქნება უნივერსიტეტისთვის. რაც აქამდე კეთდებოდა უნივერსიტეტში ნაციონალების მიერ, ყველაფერი საუნივერსიტეტო ნების საწინააღმდეგო იყო. ხუბუას მოსვლიდან კვიტაშვილის წასვლამდე მუდმივად ვსაუბრობდით იმაზე, რომ ყოველ ლოდღიურად ფუჭდებოდა საქმე, მაგრამ ამას არავინ აქცევდა ყურადღებას. თუ არ იქნება მისაღები პიროვნება, ისევ უნივერსიტეტის საზოგადოება ამოიღებს ხმას. ვინც კითხვებს სვამს, მათ გასაგონად დავსვამ კითხვას: ან კვიტაშვილი, ან ხუბუა დემოკრატიულად იყო არჩეული? ეს ხომ თამაშია?

- თქვენ თვლით, რომ საბჭო უნდა შეიცვალოს?

- პირველ რიგში, უნდა შეჩერდეს ეს ნგრევა. ამის შემდეგ გარდამავალი პერიოდის დებულება შეიქმნება და მასში უნდა ჩაიდოს ისეთი რამ, რაც ამ ცვლილებას გაამართლებს. ამ ცვლილების პროგნოზირება ახლა ძალიან რთულია. 9 წელი ინგრეოდა უნივერსიტეტი და ექვს თვეში ვერ აღდგება. უბრალოდ, ამ ექვს თვეში ცოტა ნორმალური სიტუაცია უნდა შეიქმნას. დღეს არც ერთი დანიშვნა უნივერსიტეტის ინტერესების გათვალისწინებით არ ხდება. გადაწყვეტილებები მიიღება იმის მიხედვით ვინ ვისი მორჩილია, ვინ ვისი თაყვანისმცემელია. სწორედ ეს არის მთავარი კრიტერიუმი. ასეთი მიდგომები უნდა დამთავრდეს. კვიტაშვილს არ შეიძლება ჰქონდეს პრეტენზია, რომ მას არადემოკრატიულად ექცევიან, რადგან სწორედ თავად არის არადემოკრატიულად მოსული. კვიტაშვილს ჰყავდა კონკურენტი, რომელსაც ჰქონდა მეცნიერების დოქტორის ხარისხი, პროფესორის წოდება, იყო მრავალი სახელმძღვანელოს, მონოგრაფიის ავტორი, ჰქონდა დიდი სტაჟი უნივერსიტეტში მუშაობისა, მენეჯერული გამოცდილება, ანუ ჰქონდა აბსოლუტურად ყველა თვისება, მაგრამ მაინც კვიტაშვილს გაამარჯვებინეს. კვიტაშვილის კონკურენტმა მაშინ ვერც ერთი ხმა ვერ მიიღო. აი, ეს კაცი დღეს პრეტენზიას გამოთქვამს არადემოკრატიულობაზე. ვფიქრობ, ცოტა უნდა დაფიქრდეს რას ამბობს, რადგან საზოგადოებამ ყველაფერი იცის.

ელენე ხოშტარია: „არ შეიძლება კონკრეტულ სიტუაციაზე და რომელიღაცა ადამიანის გაშვებისთვის დაწერილი კანონების მიღება“

მაშინდელი დაპირისპირება სამდღიანი სასამართლო პროცესით დასრულდა. 10 პროფესორს, მათ შორის გოგი გოგოლაშვილსაც ხულიგნობისთვის 100-ლარიანი ჯარიმები შეეფარდათ. თავად აცხადებენ, რომ ეს მათთვის გაფრთხილება იყო, თუმცა გოგოლაშვილის განცხადებით ბრძოლა მაინც არ შეუწყვეტიათ და სასამართლო პროცესების ნაწილი დღემდე გრძელდება. ოთხი საჩივარი კი სტრასბურგშია გაგზავნილი.

ეს არ იყო ხუბუას ერთადერთი დიდი შეცდომა. მის სახელს უკავშირდება ასევე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საცავიდან მეთექვსმეტე საუკუნის ქართული წიგნების დაკარგვა. ხუბუამ წიგნების გაუჩინარება თავის დროზე დაადასტურა, თუმცა შეცვლილი ისტორიით. ხუბუა ბოლომდე ირწმუნებოდა, როცა წიგნები დაიკარგა, პირადად მივმართე დასახმარებლად შინაგან საქმეთა სამინისტროს და პროკურატურასო...

დღევანდელი ცვლილებების მოწინააღმდეგეები მთავარ არგუმენტად სწორედ ამ ისტორიებს იხსენებენ და აცხადებენ, რომ ხუბუას პერიოდისდროინდელი ფაქტები რომ არ განმეორდეს, სწორედ ამიტომ არის საჭირო უნივერსიტეტის სრული დამოუკიდებლობა.

- ეს პროცესი რითი არის ცუდი და რა შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს?

ელენე ხოშტარია, ექსპერტი:

- იქიდან გამომდინარე, რომ ექსპერტი ამ საკითხებში არ ვარ, არ მინდა ზედაპირული ანალიზი გამომივიდეს. ზოგადად ორი რამე მაწუხებს ამ კანონპროექტში. ერთი, რომ აქ არის ძალიან მკაფიო და უხეში ჩარევა აკადემიურ ავტონომიურობაში, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამ სფეროს განვითარებისთვის. განათლება ერთ-ერთი დიდი გამოწვევაა დღეს. შესაბამისად, ამ სისტემაში პრემიერისგან რექტორის დანიშვნა სამომავლოდ საშიშ მოვლენად მიმაჩნია. მეორე, რაც მე მაწუხებს, ის არის, რომ არ შეიძლება კონკრეტულ სიტუაციაზე და რომელიღაცა ადამიანის გაშვებისთვის დაწერილი კანონების მიღება. მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს კანონი საშუალებას აძლევს ხელისუფლებას, რომ მოიშორონ ის რექტორები, ვინც მათთვის არ არიან სასურველნი. როგორც პრეზიდენტი ეს არ უნდა შედგეს. მე მგონია, რომ მიუხედავად მარგველაშვილის ცინიკური შეფასებისა, რომ ერთი დღე იქნება ნიუსი კვიტაშვილის გადადგომაზე და მერე გადაივლისო, მე მგონი განათლების მინისტრი ცოტა სერიოზულად უნდა მოეკიდოს ამ საკითხს. აქ არ არის საუბარი კვიტაშვილის გადადგომა არგადადგომაზე, აქ საუბარია ამ კანონის სერიოზულ კრიტიკაზე საზოგადოებისგან და იგი ვალდებულია ამას მოეკიდოს სერიოზულად და ყველანაირი ცინიზმის გარეშე. მე იმედს ვიტოვებ, რომ მთავრობა მიხვდება, რომ ეს არის საზიანო მათთვის და ქვეყნისთვის და ამ შეცდომას გამოასწორებენ.

- როგორ მახსოვს, თავის დროზე, როდესაც უნივერსიტეტში რეფორმები მიმდინარეობდა, მაშინ ითქვა, რომ ხელისუფლებას ეს იმისთვის სჭირდება, რომ მართოს სტუდენტობა და დანიშნონ სტუდენტურ მმართველობებში ის ადამიანები, ვინც მათ ვერტიკალს დაეთანხმებოდა. დღეს „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც ოპოზიცია, დაახლოებით იგივე რიტორიკას ავითარებს...

- მე არ ვიცნობ ამ საუნივერსიტეტო ცხოვრებას. მიუხედავად ამისა, მაქვს ძალიან მკაფიოდ ნეგატიური დამოკიდებულება იმ თვითმმართველობების მიმართ, რაც იყო „ნაციონალური მოძრაობის“ ახალგაზრდების მიმართ. მიმაჩნია, რომ ეს ერთ-ერთი დიდი და საზიანო შეცდომა იყო. 2006 წლიდან ეს ავტონომიურობა იყო და ლექტორს ირჩევდა აკადემიური საბჭო. ამის შეცვლა დაუშვებელია. ყველა სფეროში ერთი და იგივეს ვამბობთ. თუ წინა მთავრობას ჰქონდა შეცდომები, ამ მთავრობამ უნდა გამოასწოროს და ერთმანეთის ჯინაზე რაღაცების კეთება ქვეყნისთვის საზიანოა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნანა კაკაბაძეს იჭერენ?

„არც ერთი ძალოვანი უწყებისთვის არ მიმიმართავს, რადგან თავად მითვალთვალებდნენ და შესაბამისად, მათთვის მიმართვას აზრი არ ჰქონდა“

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

ნანა კაკაბაძე ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ივანიშვილის ახლად არჩეულ მთავრობას დაუპირისპირდა. თანაც საზოგადოების სახელით. პოლიტპატიმრებმა ბოლო 8 თვის განმავლობაში ყველაზე მაღალი აქტიურობა აჩვენეს. რა თქმა უნდა, კაკაბაძის მეთაურობით. მოკრძალებით დაწყებული მოთხოვნები მკაცრ ტონში მალევე გადაიზარდა. კაკაბაძეც და პოლიტპატიმრებიც სააკაშვილის ხელისუფლების გასამართლებას ითხოვდნენ. ამ მოთხოვნით მათ ყრილობაც დააანონსეს, რომელიც სამჯერ გადაიდო. მთავარი ორგანიზატორი თავის დროზე ამბობდა, რომ სხვადასხვა ხელისშემშლელი პირობების გამო უწევდა თარიღის შეცვლა. მესამე გადავადებისას კი დაიმუქრა, თუ კიდევ არ მომეცემა ყრილობის ჩატარების საშუალება, ვიტყვი, ვინ მიშლის ხელსო... როგორც ჩანს, მიმხვედრი მიხვდა და ყრილობის ჩატარების ნებართვაც გაიცა. თუმცა კაკაბაძემ საიდუმლო დიდხანს ვერ შეინახა. უკვე დღეს ის ხმამაღლა საუბრობს, რომ მთავარი ხელშემშლელი სწორედ ახალი ხელისუფლება იყო.

ნანა კაკაბაძე, არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე:

– უთვალთვალებდნენ ყველას, ვინც ჩვენთან, ორგანიზაციაში მოდიოდა. ამასთანავე, როდესაც ოფისში საკითხს გადავწყვეტდით, ორ წუთში ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენლებისგან ზარი ხორციელდებოდა, რა ხდებაო. არაფერს ვამბობ იმაზე, როგორ გადამადებინეს სამჯერ ყრილობა, რომელსაც სააკაშვილის რეჟიმის გასამართლების მოთხოვნით ვმართავდით. პირდაპირი მოთხოვნა იყო ხელისუფლებისგან, პროკურატურისა და შსს-სგან, ყრილობა გადამეტანა, შემდეგ კი ჩემს წინააღმდეგ შავი პიარი დაიწყო, თითქოს ამ მასას ჩემი მიზნებისთვის ვიყენებ. მე პოლიტიკაში მოსვლას არ ვაპირებ, შესაბამისად, არც მასა მესაჭიროება. პირველად მოვესწარი ხელისუფლებას, რომელსაც მხარს ვუჭერ და ვერ ვიქნები მისი მტერი, მაგრამ მხარდაჭერა ადამიანის უფლებების დაცვაზე და სერიოზულ პრობლემებზე ყურადღების გამახვილებაზე უარს ვერ მათქმევინებს. ყველაფერი უკანონობის უკან, რაც დღეს ხდება, ხელისუფლების გარკვეული წარმომადგენლები დგანან. მიხეილ სააკაშვილის დროსაც კი არ ჰქონდა ადგილი ამდენ წინააღმდეგობას, რასაც სადღეისოდ აქვს.

უფლებადამცველი თვალთვალზე ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ საუბრობდა. დაახლოებით ორიოდე თვის წინ კაკაბაძემ ისიც აღიარა, რომ სამართალდამცველები მას პრობლემებს უქმნიან და არ არის გამორიცხული, ეს პრობლემები მისი დაკავებითაც კი დასრულდეს. როგორც ამბობენ, კაკაბაძის აქტიურობა ძალიან აღიზიანებს ახალ ხელისუფლებას, მისი რადიკალიზმის გამო. კაკაბაძის ყოველი ნაბიჯი რომ კონტროლდება, ამაზე თავადვე საუბრობს. თავდაცვის მიზნით კაკაბაძემ მხოლოდ სახალხო დამცველს მიმართა. ნანუაშვილი გაფრთხილებულია, შესაბამისად, ამ ნაბიჯით კაკაბაძემაც თავი გადაიზღვია. არ არის გამორიცხული, თავად კაკაბაძემდეც მივიდა ინფორმაცია, რომ მისით სამართალდამცველები დაინტერესდნენ.

ნანა კაკაბაძე, უფლებადამცველი:

– არც ერთი ძალოვანი უწყებისთვის არ მიმიმართავს, რადგან თავად მითვალთვალებდნენ და შესაბამისად, მათთვის მიმართვას აზრი არ ჰქონდა. მივმართე მხოლოდ სახალხო დამცველს. მოსმენები, როგორც წინა, ახალი ხელისუფლების პირობებშიც ხორციელდება. უბრალოდ, არ მინდა, ხალხი დავზაფრო და მათში ნიჰილიზმის განცდა გავაჩინო, მით უმეტეს, იმის შემდეგ, რაც გადაიტანეს. 1-ელ ოქტომბერს გაჩნდა იმედი და არ მინდა, საზოგადოება კვლავ სასოწარკვეთილებაში ჩავარდეს.

როგორც ჩანს, თავად კაკაბაძე უკვე სასოწარკვეთილებაშია. თუმცა ამას სულაც არ შეუშლია ხელი იმისთვის, რომ სააკაშვილისთვის საბრალდებო დასკვნა მოემზადებინა. სწორედ ეს დასკვნა გადასცა კაკაბაძემ ბესელიას და კომიტეტზე მისი განხილვა მოსთხოვა. რაკი სააკაშვილს არ იჭერენ, პოლიტიკური შეფასება მაინც მიეციათო... თუმცა, როგორც პირად საუბრებში ამბობენ, ბესელია არ აპირებს არც დოკუმენტის განხილვას და მით უფრო არც პოლიტიკური შეფასების დადებას... როგორც ჩანს, ასეთი ქმედებებით ცდილობს, თუკი ასეთი ქმედება მის წინააღმდეგ განხორციელდება – პოლიტიკური მოტივებით გადაფაროს. შეგახსენებთ, პირველად კითხვის ნიშნები მის მიმართ მაშინ გაჩნდა, როცა „კანონიერი ქურდების“ ამნისტირებას, ბევრ შემთხვევაში კი მათთვის პოლიტპატიმრის სტატუსის მინიჭებას ითხოვდა. ამ მიმართულებით კაკაბაძე იმდენად იყო განერვიულებული, რომ პარლამენტში ტირილიც კი დაიწყო. ტირილი კი დეპუტატებმა არა სისუსტედ, არამედ ფინანსურ დაინტერესებად ჩაუთვალეს, ასეთი რა ვალდებულებები აქვს აღებული, რომ ტირილიც კი დაიწყოო. ამ ეჭვებს პასუხი არ გასცემია.

ჯარს ისევ ახალაია

„გენერალური შტაბის ჩუმი საბოტაჟი დაძლეული იქნებოდა, თუმცა მინისტრს არ ჰყავს სამხედრო მრჩევლები“

მარიამ ნადირაძე

ქუთაისის სამხედრო ნაწილში 11 ჯარისკაცის მოწამვლის ფაქტზე სამხედრო პოლიციაში სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება დაიწყო. დასკვნები მომავალში, ალბათ, უსათუოდ დაიდება, თუმცა, მანამდე ამ ფაქტმა თავდაცვის სისტემაში ახალი საკადრო წმენდის სტიმულირება განაპირობა. ზოგიერთი ექსპერტი იმასაც ვარაუდობს, რომ მინისტრ ალასანიას საშუალება მიეცა, გენერალური შტაბისთვის თითიც დაექნია, რომელიც ამ ხნის განმავლობაში მას ჩუმ საბოტაჟს უწყობდა.

თავდაცვის უწყებაში ორხელისუფლებიანობის თემა, მოდით, მოგვიანებით გავშალოთ, მანამდე კი თვალი გადავავლოთ იმ დინამიკას, რაც უკანასკნელი თვეების განმავლობაში სწორედ ჯარის კვებას შეეხებოდა:

ბოლო დროს ჯარის უკმაყოფილება ნორმირებულ კვებაზე გადასვლამ გამოიწვია. ანუ, თუ მანამდე ნებისმიერ სამხედროს შეეძლო სასადილოში ნებისმიერი საკვების დაგემოვნება სასურველი ოდენობით, მაისიდან ჯარში დღეში სამჯერ განსაზღვრულ დროსა და განსაზღვრული ულუფებით დაიწყეს კვება. სამინისტროს ხელმძღვანელობა ამ ცვლილებას იმით ამართლებდა, რომ მეცნიერულად შემუშავებული კვების ნორმებზე დაყრდნობით სპეციალური მენიუები შედგა, რომელშიც შედის ხორცი, გარნირი და ასე მიეწოდება ჯარს საკვები. თანაც, სტრუქტურულად საკვები პროდუქტის შემოწმება ასე ხორციელდება: თავდაცვის სამინისტროს ლოჯისტიკის სამსახურში ჰყავს სპეციალური ჯგუფები, რომლებიც აკონტროლებენ საკვები პროდუქტების ხარისხს. სამხედრო ნაწილის ექიმი საკვებს ყოველდღე იღებს და ინახავს სტერილიზებულ ქილებში. მერე ამოწმებს და ადგენს სპეციალურ დოკუმენტს, სადაც ხარისხს აფიქსირებს. დოკუმენტზე ექიმის ხელმოწერას ადასტურებს ნაწილის უფროსიც. შემდეგ კი ლოჯისტიკის სამსახური ამას შესაბამისი აქტით აფიქსირებს. როგორც ჩანს, ამ ჩახლართულმა სქემამ მაინც ვერ ივარგა პრევენციისთვის...

მოდით, ერთად ვნახოთ, როგორ იკვებებოდა ჯარი ხელისუფლების შეცვლამდე და რა მდგომარეობაა დღეს:

ეს საქმე შპს „ქართული კვების კომპანიას“ ებარა, რომლის 100 %-იანი წილის მფლობელი თავდაცვის სამინისტროს სსიპ-ი სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო ტექნიკური ცენტრი „დელტა“ გახლდათ. ეს სწორედ ის დაწესებულებაა, სადაც „დიდგორი“, „ანაკლია“ და უპილოტო საფრენი აპარატები ეწყობოდა. მას ბაჩანა ახალაიას მარჯვენა ხელი, რეზო ჭარბაძე ხელმძღვანელობდა. სწორედ „დელტას“ საშუალებით ხორციელდებოდა ყველა შესყიდვა, რაც იმ დროისთვის ახალაიას დასჭირდებოდა. რეზო ჭარბაძე, როგორც ამბობენ, არჩევნების შემდეგ გაიქცა. მაგრამ „ქართული კვების კომპანია“ თითქმის სრულად ძველი შემადგენლობით ბოლო დრომდე კვებავდა ჯარს. ეს სქემა, რა თქმა უნდა, დღემდე იწვევს გარკვეულ ეჭვებს, მაგრამ, როგორც ჩანს, მხოლოდ ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტი გახდება მისი გახსნისა და ახსნის საფუძველი.

რა თქმა უნდა, ჩვენი მკითხველი იკითხავს, უკვე რამდენი თვეა, სამინისტროში ტენდერებზე საუბრობენ და რატომ დარჩა ჯარის ამ რგოლში იგივე კომპანია იგივე შემადგენლობითო?

ამას თავისებური ახსნაც აქვს: რეგიონებში დისლოცირებულ ბაზებზე სამხედროების კვების უზრუნველყოფისთვის სამინისტრომ თავიდანვე ოთხი ტენდერი დააანონსა. ამ ტენდერების მთავარი პრიორიტეტი ქართული პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა უნდა ყოფილიყო. როდესაც ამ განცხადებას აკეთებდა, მინისტრ ალასანიას მაშინ სოფლის მეურნეობის აწ უკვე ყოფილი მინისტრი დავით კირვალიძე უმშვენებდა გვერდს. მაისიდან ჯარის კვებით მომსახურებაზე გამოყენებული ქართული პროდუქტის მთლიანი ღირებულება 15%-დან 45%-მდე უნდა გაზრდილიყო. თავდაცვის სამინისტროს გამარჯვებული კომპანიებისთვის სამზარეულოს მანქანა-დანადგარებიც უნდა გადაეცა...

თავდაცვის სამინისტრომ თებერვალში გამოაცხადა ორი ელექტრონული ტენდერი ჯარის კვებაზე. ორივე პარლამენტის საპროცედურო კომიტეტის ხელმძღვანელის, ირინა იმერლიშვილის მეუღლის, შალვა ბებოშვილის კომპანიამ მოიგო. ის ამ კომპანიაში ტენდერებში წინადადებების მიღებამდე ერთი დღით ადრე დაინიშნა გენერალურ დირექტორად. შპს „ფუდ ლაინ ჯორჯიამ“ 74-მილიონიანი და 34-მილიონიანი ტენდერები მოიგო. თუმცა, მოგვიანებით ტექნიკური დოკუმენტაციის გაუმართაობის გამო მისი დისკვალიფიკაცია მოხდა... მაშინ ხელისუფლება ელიტურ კორუფციაში გიორგი კანდელაკმა დაადანაშაულა. ამ სკანდალის აგორება უცნაურად დაემთხვა ირინა იმერლიშვილის მიერ სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურის საეჭვო ხარჯების შესახებ დოკუმენტების გამომზეურებას... რაკი ტენდერების პროცესი გაჭიანურდა, დღეს ჯარს ისევ „ქართული კვების კომპანია“ კვებავს.

თუმცა, ეს არ გახლავთ ერთადერთი შემთხვევა, რომელიც ნაციონალების „საკბილო“ გახდა. გასულ კვირასაც, ამჯერად გივი თარგამაძემ და ირმა ნადირაშვილმა სხვა ტენდერის თემა განიხილეს, რომლის მიხედვითაც 4 იანვარს დაფუძნებულმა კომპანიამ 3 კვირაში სამი ტენდერი მოიგო. კომპანია „პროგრესი პლუსმა“, რომლის 100-პროცენტიანი წილის მფლობელად, სამეწარმეო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით, ვინმე გიორგი სიმონიანი გვევლინება, რომელიც, როგორც გაირკვა, გია ყარყარაშვილის მძღოლი გახლდათ და მანამდე არავითარი ბიზნესგამოცდილება არ გააჩნდა. მან მოიგო სამინისტროს ტენდერი საწმენდ საშუალებებზე (70 ათასი) ლარი, სატრანსპორტო საშუალებების ნაწილებზე (1 მილიონ 372 ათასი ლარი) და აკუმულატორებზე (238 ათასი ლარი).

ამ თემას სამინისტროდან მინისტრის მოადგილე, ზაზა ბროლაძე გამოეხმაურა: „სამწუხაროა, რომ გლოვის დღეს ირმა ნადირაშვილმა და გივი თარგამაძემ არ დამალეს პირადი ზიზღი, რომელიც ირაკლი ალასანიას მიმართ აქვთ... ეს არის მათი მხრიდან აბსოლუტურად ამორალური საქციელი. რაც შეეხება სატენდერო პროცესს, არის აბსოლუტურად ღია და გამჭვირვალე. ჩვენთვის არ აქვს მნიშვნელობა, რომელი კომპანია გაიმარჯვებს. მთავარია, მან წამოაყენოს საუკეთესო ტექნიკური პირობები და დაბალი ფასები“.

ერთი სიტყვით, ჯარისკაცების მოწამვლის ფაქტი, ერთი მხრივ, ისევ პოლიტიკური პაექრობის საბაბი გახდა, თუმცა მინისტრი ალასანია, თავის მხრივ, ძალიან კატეგორიულ განცხადებებს აკეთებს:

„ბუნებრივია, დაველოდებით გამოძიებას და ყველა, ვინც უპასუხისმგებლოდ ეკიდება თავის მოვალეობას, – განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება ჩვენი ჯარის კვებას, რომელსაც მე და თავდაცვის სამინისტროს მთელი ხელმძღვანელობა ვთვლით, რომ ისევე უნდა მოეკიდო, როგორც შენი შვილის კვებას, – იქნება კანონის მთელი სიმკაცრით დასჯილი. როგორც კი გამოძიება დასრულდება და თუკი გამოიკვეთა დამნაშავეები, ჩემ მიერ აუცილებლად იქნება უმკაცრესი ზომები მიღებული და თავები დაგორდება. თავები დაგორდება ყველასი, ვინც ვერ იაზრებს, რა პასუხისმგებლობაა, როდესაც შენ გაბარია ჯარის კვება და ჯარის მომსახურება“.

ანალიტიკური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი, გიორგი თავდგირიძე ჯარში არსებული მდგომარეობის შესახებ „პრაიმტაიმთან“ საუბრისას სულ სხვა პრობლემასაც ხედავს:

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„სქემა არის უამრავი, მაგრამ ეს გამოძიების საქმეა. ამიტომ პრევენცია არასდროს არ არის დახურული ტენდერი“

გენშტაბი ალასანიას საბოტაჟს უწყობს

– „ნაციონალური მოძრაობის“ დროს შეიარაღებული ძალები თვითონ იყო დაკავებული თავისი კვებით. ანუ ჰქონდათ სახელმწიფო შპს, რომელიც ახორციელებდა ჯარის კვებას. ეს თავისთავად ბევრ კითხვას ბადებს, რადგან, როგორც წესი, ყველა ასეთი რეფორმა მართლდება ფულის დაზოგვით. მაგრამ, საბოლოო ჯამში, როდესაც სტრუქტურა თვითონ არის დამკვეთიც, შემსრულებელიც, შემმოწმებელიც, ბევრი შეკითხვა შეიძლება გაჩნდეს.

– ფულის გარეცხვასთან დაკავშირებით?

– თავისთავად. მაკონტროლებელი ორგანო შეიძლება კონტროლის პალატა იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში, როდესაც არანაირი ოპოზიცია არ იყო წარმოდგენილი, რომელსაც რამე ინფორმაცია შეიძლებოდა მიეღო, შესაბამისად, პოლიტიზებული იყო შეიარაღებული ძალები.

– მაგრამ ჯარი კარგად იკვებებოდა...

– ასე ვერ ვიტყვით. სხვადასხვა ნაწილში სხვადასხვა კვება იყო. ეს იყო ჯარისკაცების უკმაყოფილება. კვების ხარისხი მარტო გემო არ არის. მთავარია, რამდენად იყო უსაფრთხოება დაცული. როგორ იყო კალორაჟი შერჩეული, ეს კალორაჟი დგებოდა ხარისხიანი საკვებით, თუ უხარისხოთი. შეიძლება ბევრი რამ დავიცვა, ანუ გარეგნული ნიშნები, მაგრამ ის შეიძლება იყოს სახიფათო საკვები. ყველაფერს სჭირდება ანალიზი, შესწავლა და ასე ზედაპირულად ძნელია, ვინმეს რამე დააბრალო.

– დღესაც იგივე შემადგენლობა კვებავს ჯარს...

– იგივე სისტემა შენარჩუნდა. საკმაოდ გაჯანჯღლდა ტენდერების საკითხი. ფაქტობრივად, მაისში ჩატარდა ტენდერების დამაგვირგვინებელი აქტები.

– იმერლიშვილის ქმრის კომპანიამ რომ გაიმარჯვა?

– კი, ბატონო... მას ჰქონდა საუკეთესო პირობები. მერე შემოწმდა იურიდიული საბუთები და მერე უნდა დაწყებულიყო... მაგრამ მთავარი ის არის, რომ სისტემა თუ არ შეიცვალა, ყოველთვის იქნება ასეთი პრობლემები.

– რა უნდა შეიცვალოს?

– აი, მაგალითად, ელექტრონული ტენდერები: ვთქვათ, დათვალა შეიარაღებულმა ძალებმა, რომ ერთი ჯარისკაცის კვებისთვის სჭირდება 9 ლარი. ელექტრონული ტენდერით კი იმარჯვებს ის, ვინც ყველაზე ნაკლებ ფასს შესთავაზებს. ეს ნონსენსია. მარტივ მაგალითს გეტყვით: გერმანიაში ერთი და იგივე მოდელის „ოპელს“ შორის ხაკისფრად შეღებილი შეიარაღებული ძალებისთვის დაახლოებით 60-70 პროცენტით მეტი ღირს. სამხედრო შეკვეთა ყოველთვის უფრო ძვირია. ამიტომ, როდესაც ჯარისკაცის კვებაზეა საუბარი, მთავარია, რომ მას უნდა ჰქონდეს არა იაფი, არამედ უსაფრთხო კვება. მთავარია, შემოწმდეს შესყიდული პროდუქტის ხარისხი და სანამ ეს პროდუქტი გადამუშავდება და ჯარისკაცამდე მივა, მთელი ციკლი უნდა იყოს დაცული. თვითონ დღეს არსებული სისტემა, რომელიც ძველი ხელისუფლებიდან მომდინარეობს, არ გამორიცხავს ჯარისკაცის მოწამვლას. 7 თვეა უკვე გასული, მთელი ჯარის რეორგანიზაციაა გასაკეთებელი. შეიძლება ასეთი ნიუანსები ვიღაცას გამორჩეს მხედველობიდან. მით უმეტეს, შეიარაღებულ ძალებში მმართველი რგოლი, მაინცდამაინც არ შეცვლილა. პრობლემა სწორედ ესაა. უნდა შექმნილიყო წარმომადგენლობითი კომისია, რომელიც ჯერ შეაფასებდა სისტემურ პრობლემებს, მიიღებდა გადაწყვეტილებას, რა არის შესაცვლელი და სანამ შეიცვლება, რა უნდა გაკეთდეს უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის. დღეს ყველაფერი პრობლემურია: ტენდერის ჩატარების წესი, ამის შემდგომ დადებული კონტრაქტების შემოწმების წესი...

– არის მოსაზრება, რომ ამას შეგნებულად ბლოკავს გენშტაბი...

– გეთანხმებით. ყველაზე დემოკრატიულ შეიარაღებულ ძალებშიც კი გარკვეული მმართველი რგოლი, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში არის მმართველობაში, არის გარკვეულწილად კონსერვატიულად განწყობილი და აფერხებს ნებისმიერ ცვლილებას. ბლოკავს ცოტა ხმამაღალი ნათქვამია, რადგან, რომ იყოს პოლიტიკური ნება, გენერალური შტაბის ჩუში საბოტაჟი დაძლეული იქნებოდა. თუმცა, მინისტრს არ ჰყავს სამხედრო მრჩევლები. ვინც ჰყავს, ის ფუნქციონერია, ამიტომ გარეთა სისტემის ხედვა მას უჭირს. კეზერაშვილის დროს სხვა პრობლემები იყო, ოქრუაშვილის დროს – სხვა, ახალაიას დროს – სხვა და დღეს სხვა პრობლემებია. მაგრამ პრობლემები ყოველთვის იყო. ანუ სისტემა ვერასდროს ანეიტრალებდა ახალი მინისტრის კერძო ჩანაფიქრებს. შტატების შეიარაღებული ძალები ვერასდროს გრძნობს ხელმძღვანელ პოსტებზე საკადრო ცვლილებებს. რა თქმა უნდა, ვიღაცას თავისი იდეები შემოაქვს, მაგრამ ეს იდეები გადის მთელ წრეს სათანამდებობო გაცხრილვის, მსჯელობებისა და ა.შ. ეს კი იმიტომ, რომ იქ არსებობს სისტემა.

– ეს ჯარისკაცები რომ არ მოწამლულიყვნენ, ეს პრობლემა კულუარებში მოიხარშებოდა...

– ჩვენ თავიდანვე ვამბობდით, რომ ტენდერის ასეთი ფორმა მხოლოდ პიარისთვის ჟღერს ლამაზად, მით უმეტეს, როდესაც მას არასამთავრობოები ესწრებიან...

– მაგრამ ამ სისტემამ დღეს არგუმენტი დაუდო ოპონენტებს, რომლებიც ირწმუნებოდნენ, რომ მინისტრმა ტენდერი მოაგებინა ყარყარაშვილის მძღოლის კომპანიას...

– თვითონ ტენდერი ტარდება ბრმად, მაგრამ გეტყვით სხვა რამეს: ვთქვათ, ლოტი არის 100-ათასიანი და მინისტრისგან მაქვს გარანტია, რომ მე ჩამოვიყვან მას მაქსიმალურად დაბალ ფასში... მერე კი ფორსმაჟორში ვიტყვი, რომ ბაზარი გაძვირდა და კვლავ მინისტრი დამიჭერს მხარს, რომ ფასი ავწიო. ამ სქემით მე ჯერ მოვუგებ კონკურენტებს დემპინგური ფასით, მაგრამ მერე ამ ფასს ავწევ.

– ანუ, შეთანხმება შეიძლება კულუარულად შედგეს ტენდერის დაწყებამდე?

– რა თქმა უნდა. მე არ ვირწმუნები. რომ ეს სქემა აუცილებლად მოქმედებს, მაგრამ ფაქტია, რომ კანონი ფასის აწევის საშუალებას მაძლევს. სქემა არის უამრავი, მაგრამ ეს გამოძიების საქმეა. ამიტომ პრევენცია არასდროს არ არის დახურული ტენდერი.

– გამოსავალი?..

– უნდა შეიქმნას სამსახურები...

– მაგრამ ამ „ორხელისუფლებიანობის“ პირობებში ეს შეიძლება?

– მაშინ ამ სკანდალის ფონზე მუდმივად ვიღაც გვეყოლება მოწამლული. დღესვე უნდა გადავწყვიტოთ: თუ მე არ მაქვს ინტერესი, არ მინდა „ატკატი“, რაღაც მაქინაციები, მაშინ ქვასავით მაგარი ვარ და ვაკეთებ იმას, რაც ჯარს სჭირდება. ვინც რა უნდა თქვას, მე ყოველთვის მართალი ვიქნები. როცა ამას არ აკეთებს ხელმძღვანელი, ისმის კითხვა, რასთან გვაქვს საქმე – არაკომპეტენტურობასთან, თუ მას ამღვრეული წყალი სჭირდება? ალასანიას აქამდე ასეთი თანამდებობის გამოცდილება არ ჰქონდა და ვითვალისწინებ რა ამას, ვფიქრობ, მათ იმდენი საქმე დაეყარათ თავზე, ამ 7 თვის განმავლობაში გაუჭირდებოდა, ყველაფერში დეტალურად გარკვეულიყო. იმის მაგივრად, რომ გენერალური შტაბი მას ეხმარებოდეს, ხელს უშლიან...

– ამბობენ, რომ პრაქტიკულად თითქმის მთელი გენერალური შტაბი ყოფილი ხელისუფლების გავლენების ქვეშ არის...

– არ მინდოდა ასეთი კატეგორიული ვყოფილიყავი, მაგრამ გეთანხმები ამ მოსაზრებაში.

– როგორ ფიქრობთ, რამდენად ადეკვატური იყო ალასანია, როცა სამსახურიდან დაითხოვა კვების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და საკმაოდ მკაცრი განცხადებებიც გააკეთა?..

– ეს განცხადებები ძალიან კარგია, მაგრამ საქმე უნდა გამოჩნდეს... ბევრი მეთაური მყოლია, რომელიც ბევრს ყვიროდა, მაგრამ საქმე, როგორც წესი, ჩუმად კეთდება, ზედმეტი დაძაბულობების გარეშე. ის უნდა ჩაუღრმავდეს თემებს. როგორი უნდა იყოს ჯარის კვება სამოქალაქო მინისტრის საქმეა, რადგან თავდაცვის პოლიტიკის გამტარებელი სწორედ ის არის.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რა კავშირი აქვს ლუკა კურტა

მარიამ ნადირაძე

უკვე ლამის ორი კვირაა, ქვეყანა ახალ-ახალი სკანდალური ინფორმაციების ბადეში გაეხვია. ბუნებრივია, ჩნდება ეჭვები მოვლენების ლოგიკურ კავშირზე, მაგრამ რაც უფრო მეტი ინფორმაცია შემოდის ჩვენი ტვინების „სავარჯიშო მოედანზე“, მით უფრო იხლართება გზები...

6 ივნისი, დღის პირველი ნახევარი: ინტერნეტმომხმარებელს თავზარს სცემს ე.წ. თალიბებისგან გამოცხადებული ჯიჰადის შესახებ „Youtube“-ზე ატვირთული კლიპი. მით უმეტეს, რომ რამდენიმე საათში ქვეყანა ავღანეთში ქართულ ბაზაზე განხორციელებული ტერაქტის შესახებ თავზარდამცავ ამბავს იგებს, რომელმაც გვაუწყა, რომ ტერაქტის შედეგად 7 ქართველი სამხედრო გარდაგვეცვალა... იმავე საღამოს სოციალურ ქსელებში კიდევ ერთი ანალოგიური ვიდეოკლიპი ჩნდება. იწყება გამოძიება... გამოითქმის ვერსიები. ერთ-ერთის მიხედვით, მოსალოდნელია ტერაქტი პრეზიდენტზე, რომელიც შემდგომ თალიბებს დაჰბრალდებათ... მკითხველს აღარ დავღლით იმის შესახებ საუბრით, როგორ აბრალებს ერთმანეთს ამ ქვეყნის ორი ხელისუფალი ხალხის ფსიქოლოგიურ ტერორს და ამ კლიპის ავტორობას. ფაქტია, რომ ოფიციალურ დონეზე დადასტურდა ინფორმაცია მისი საქართველოდან ატვირთვის შესახებ...

მეორე დღესვე „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნდა სტატია იმის თაობაზე, თითქოს ქართველი სამხედროები ავღანეთში ადგილობრივ მოსახლეობას განსაკუთრებული ცინიზმითა და სისასტიკით ეპყრობიან. ამ სტატიის შინაარსი საოცრად ჰგავდა პათოსს, რომელიც ზემოხსენებულ კლიპში იყო წარმოდგენილი...თუმცა, „პრაიმტაიმს“ ინფორმირებული ადამიანები სრულიად საპირისპიროს უამბობენ. მათი თქმით, იმ პროვინციებში, სადაც ქართული ბაზები იყო განლაგებული, ხშირად ამერიკელი სამხედროები საკუთარ დაჯავშნილ მანქანებს ქართულ დროშას უკეთებდნენ სწორედ იმიტომ, რომ ამ დროშის დანახვაზე მათ არავინ დაესხმოდათ თავს. პრინციპში, ასეც იყო: ამ წლის მაისამდე ქართულ კონტინგენტში მსხვერპლი ძირითადად ნაღმზე ფეთქდებოდა...

მერე იყო უშიშროების საბჭოს სხდომა...

13 ივნისს, გამთენიისას ღარიბაშვილის უწყებამ საქართველოში დააკავა მიკაილ კადიევი და რიზვან ომაროვი. მათი დროებითი საცხოვრებლიდან ამოიღეს დიდი რაოდენობით ასაფეთქებელი ნივთიერება, სავარაუდოდ, პლასტიდი და ელექტროდეტონატორები, აგრეთვე, ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა და პირადობის დამადასტურებელი ყალბი დოკუმენტაცია. სამინისტროს ინფორმაციით, ინტერპოლით ძებნილი კადიევი საქართველოს თავს 2011 წლიდან აფარებდა, მაგრამ ზოგჯერ დროებით ტოვებდა მას. სამართალდამცველები აცხადებენ, რომ ის უცხო ქვეყანაში მკვლელობის გამო იძებნებოდა და გასულ წელს ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში მისი თანამზრახველი, განსაკუთრებით საშიში დამნაშავეც დააკავეს. ამაზე მეტად ინფორმაციას აღარ აკონკრეტებენ. თუმცა „პრაიმტაიმი“ თავის მკითხველს შემოთავაზებულ სტატიაში, ბუნებრივია, შეუვსებს ამ ნაკლებობას, მაგრამ ჯერჯერობით ისევ ქრონოლოგიას მივყვებით...

14 ივნისს ცნობილი ხდება, რომ კადიევი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ცხოვრობდა პრეზიდენტის მფრინავის, ზაურ ქორთოშიძის სახლში. ქორთოშიძე იძულებული ხდება, გამოძიების გარდა, განმარტებები მედიასაც მისცეს...

ამ მოვლენების ჯაჭვს „პრაიმტაიმთან“ საუბრისას დასაწყისს კიდევ უფრო მეტად უგრძელებს **კავკასიის ხალხთა კონფედერაციის ხელმძღვანელი, ზაალ კასრელიშვილი:** „ყველაფერი ერთ ჯაჭვშია, თუმცა მისი რგოლების ჩამოთვლას თქვენ შუიდან იწყებთ. მანამდე იყო პირველი თავდასხმა ქართულ ქვედანაყოფზე, როცა სამი ადამიანი გარდაიცვალა. მერე იყო სააკაშვილის ვიზიტი ავღანეთში, 26 მაისს, რომელმ-

„მან ჩვენება მისცა ინგლისის სპეცსამსახურებს, რომ ის დაიქირავა ბერეზოვსკიმ ერთი კონკრეტული სპეცოპერაციის ჩასატარებლად“

„თიბისი ბანკის“ ახალი პროექტი – ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა „7 ნაბიჯი წარმატებისკენ!“

„თიბისი ბანკმა“ საზოგადოებას ახალი პროექტი – ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა „7 ნაბიჯი წარმატებისკენ!“ წარუდგინა. ეს არის „თიბისი ბანკის“ უნიკალური პროექტი, რომლის მიზანია საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა.

პროგრამა 7 სხვადასხვა კომპონენტისგან შედგება, რომელთაგანაც თითოეული მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერას გულისხმობს.

ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამის კომპონენტებია: უფასო ტრენინგები მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის; საგანმანათლებლო ვებ-პლატფორმა, რომელიც მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის სხვადასხვა საინფორმაციო რესურსებს მოიცავს; თემატური კონფერენციები, რომელიც გამოცდილების გაზიარებისა და კომუნიკაციის გააქტიურების საშუალებას იძლევა; სხვადასხვა დარგის სპეციალისტებისთვის უფასო კონსულტაციები; იურიდიული პირებისთვის ინტერნეტბანკი, მობაილბანკი და SMS-სერვისი.

პროექტს „თიბისი ბანკი“ აზიის განვითარების ბანკის (ADB) მხარდაჭერით ახორციელებს.

ვახტანგ ბუცხრიკიძე, „თიბისი ბანკის“ გენერალური დირექტორი: „მცირე და საშუალო ბიზნესსექტორს საქართველოში განვითარების დიდი პერსპექტივა და შესაძლებლობები აქვს. ბიზნესსექტორში ქვეყნის მასშტაბით 500 000-მდე ადამიანია დასაქმებული, აქედან მნიშვნელოვანი წილი სწორედ მცირე და საშუალო ბიზნესზე მოდის. მცირე და საშუალო ბიზნესი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა „თიბისი ბანკისთვისაც“. ბანკი ამ ეტაპზე ემსახურება 43 000-მდე იურიდიული პირს, რომელთაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ. მცირე და საშუალო ბიზნესის გაძლიერება, ამ პროექტის ფარგლებში, ბანკის ერთ-ერთი პრიორიტეტია“.

ნოდარ ხადური, ფინანსთა მინისტრი: „ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ბანკები იწყებენ ასეთი ტიპის საქმიანობას. ჩვენ ბიზნესში არა მარტო კაპიტალი, არამედ ახალი ცოდნა გვჭირდება, ამიტომაც კარგია, რომ „თიბისი ბანკი“ გამოდის ინიციატივით და უფასოდ ატარებს ტრენინგებს ბიზნესის წარმომადგენელთათვის. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ „თიბისი ბანკი“ ამ მხრივაც ნოვატორია“

ქეით ჯულიანი, აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენელი: „მე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო „თიბისი ბანკს“. ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს მხარდაჭერას ამ პროექტის მიმართ. ეს არის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა საქართველოში კერძო სექტორის მეტად გაძლიერებისა და განვითარებისთვის“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნიძეს ჩეჩენ ტერორისტებთან?

მამუკა არეშიძე: „ის არის საერთაშორისო ავანტიურისტი და ქილერი, რომელსაც სხვადასხვა ტიპის ოპერაციაში აქვს მონაწილეობა მიღებული“

აც შოკში ჩააგდო ყველა პოლიტიკოსი მსოფლიოში, ვისაც კი ოდესმე ჰქონია კავშირი ომთან და ძალოვან სტრუქტურებთან. მანამდე იყო ლაფანყურის სისხლიანი ოპერაცია. ლაფანყურამდე 6 თვით ადრე იყო ოფიციალური გარიგება გაურკვეველი ნარმომავლობის ბოევიკებთან. ასე რომ, ჯაჭვი, რა თქმა უნდა, ერთია, ჩვენ ამ ჯაჭვს დავარქვით „კავკასიური ცარცის კრიმინალური ნრე“. ასე რომ, დღეს ძალიან ძნელია იმის თქმა, ვინმემ ვინმეს მოუწყო ეს ყველაფერი, თუ პროცესები ვითარდება უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების სასარგებლოდ და მათი უშუალო მონაწილეობით“.

ექსპერტი მამუკა არეშიძე კიდევ უფრო შორს მიდის და აცხადებს, რომ კადიევი იმ ცნობილ დაჯგუფებას მიეკუთვნება, რომლის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ცნობილი პაპასკირი, მეტსახელად ზოონია, რომელიც საქართველოში 2010 წლიდან ჩნდება, ხდება საქართველოს მოქალაქე და შემდგომში თურქეთის სპეცსამსახურები, უაის ახმედოვთან ერთად, აკავებენ 4 ჩეჩენი ბოევიკის მკვლელობისთვის, ეს უკანასკნელი კი პანკისის 2001 წლის ცნობილი მოვლენების დროს ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო. ის არის საერთაშორისო ავანტიურისტი და ქილერი, რომელსაც სხვადასხვა ტიპის ოპერაციაში აქვს მონაწილეობა მიღებული. არეშიძის თქმით, ახმადოვი ფიგურირებს ერთ ძალიან ცნობილ საქმეში. მან ჩვენება მისცა ინგლისის სპეცსამსახურებს, რომ ის დაიქირავა ბერეზოვსკიმ ერთი კონკრეტული სპეცოპერაციის ჩასატარებლად.

რაც შეეხება კადიევის მიერ „უცხო ქვეყანაში“ ჩადენილ დანაშაულს, რომლის გამოც ის ინტერპოლით იძებნებოდა, შემდეგია: 2009 წლის 27 სექტემბერს მან და ჰაბიბ უმახანოვმა მოსკოვში „კალაშნიკოვით“ დახვრიტეს ალიმპსოლტან ალხამატოვი და მიიმალნენ. დანაშაულის კვალზე დაიჭირეს მათი მძღოლი. 2012 წლის აგვისტოში ინტერპოლმა ბანდის კიდევ ორი სხვა წევრის აყვანის ოპერაციის დროს მოკლა ერთ-ერთი, ყველაზე მეტად ინფორმირებული ზაურბეკ მოგამედოვი. იმავე წლის ნოემბერში გერმანიაში დააკავეს თავად უმახანოვიც. მისი ოჯახი დაღესტანში ერთ-ერთ გავლენიან კლანად მიიჩნევა. მისი მამა დეპუტატია, ბიძა კი – მერი. როგორც ირკვევა, მკვლელობა შურისძიების ნიადაგზე მოხდა. როგორც ამბობენ, გარდაცვლილმა უმახანოვს მანამდე ძმა მოუკლა. მიკაილ კადიევზე კი ძებნა მანამ გრძელდებოდა, სანამ 14 ივნისს მას საქართველოში დააკავებდნენ.

ეს ინფორმაციები, ბუნებრივია, გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს საერთაშორისო დონის ტერორისტთან, რომელსაც, სამწუხაროდ, საქართველოში თავისუფლად გადაადგილების საშუალება ეძლეოდა წლების განმავლობაში. რაც შეეხე მეორე დაკავებულს, ომაროვს, მისი წარსული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია, პრაქტიკულად, არ იძებნება. ამიტომაც, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ ის კადიევის დამხმარე პერსონა იყო მხოლოდ.

კიდევ ერთი დეტალი: 14 მაისს პრემიერ-მინისტრთან გამართულ პრეს-კონფერენციაზე კახეთის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელმა გელა მთივლიშვილმა ივანიშვილს კითხვა დაუსვა ორი დაკარგული მოჯაჰედის, მიქაელ ქადოევის და მოგამედ მოგამედოვის შესახებ... პრემიერს ამ კითხვაზე პასუხი არ ჰქონდა, თუმცა მისი პრესსამსახურის თანამშრომელმა, მანანა თოქმაჯიშვილმა იქვე უპასუხა მთივლიშვილს: „როგორც შსს-ს პრესსამსახურმა გვაცნობა, არავინ არ არის გაუჩინარებული და ეს ფაქტი შსს-ს მიერ არ დასტურდება“.

მოგვიანებით ჩვენი მკითხველი დარწმუნდება, რომ პრესსამსახური ამ შემთხვევაში არ ცრუობდა, რადგან ქვემოთ გიამბობთ იმის შესახებ, რომ კადიევის ადგილსამყოფელის თაობაზე მისი მამა ინფორმირებული იყო. როგორც ჩანს, ამის შესახებ ინფორმაცია შსს-ს 14 მაისს უკვე ჰქონდა. მაშინ რატომ აძლევდა სამინისტრო კადიევს თავისუფლად გადაადგილების შესაძლებლობას?

ახლა კი ყველაზე დამაინტრიგებელი რგოლი მოვლენათა ჯაჭვში: ვინ არის ზაურ ქორთოშიძე და რა კავშირი ჰქონდა მას პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან?

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ანდრო ბარნოვი ირწმუნება, რომ სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს, უბრალოდ, კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული ავიაკომპანია „თუშეთთან“, რომელიც ქორთოშიძეების ოჯახურ ბიზნესს წარმოადგენდა და ეს სულაც არ არის იმის დასტური, რომ პრეზიდენტს რომელიმე მფრინავთან პირადი ნაცნობობა უნდა ჰქონოდა.

ზაურ ქორთოშიძე კადიევთან ნაცნობობას ასე ხსნის: „მამაჩემს დაღესტნიდან დაუკავშირდა თავისი ახლობელი, რომელმაც უთხრა, რომ ახლობლის შვილი, რომელიც სპორტსმენია და თბილისში ვარჯიშობს, ბინას ეძებს და დახმარებოდა. მამაჩემმა მითხრა ამის შესახებ და მისი თხოვნით გადავწყვიტე, დავხმარებოდი. 2011 წელს, ჩემი შვილი, რომელიც ასევე მფრინავია, იმყოფებოდა საზღვარგარეთ. მასაც მოვუყევი მამაჩემის თხოვნის შესახებ და მითხრა, რომ სანამ ჩამოვიდოდა, მის სახლში შემეშვა. შემდეგ კი ბინა მოგვეძებნა. სწორედ აქედან გამომდინარე, 3 კვირის განმავლობაში კადიევი ჩემი შვილის ბინაში ცხოვრობდა, რის შემდეგაც სხვა ბინაში გადავიდა... მას მხოლოდ სამჯერ შევხვდი, ისიც დახმარების მიზნით. მამაჩემის ახლობლის ახლობელმა ასევე გვთხოვა, რომ სანამ მისი შვილი მოეწყობოდა, თანხით დავხმარებოდი და 150 დოლარი მიმეცა. ერთხელ ამ მიზნით შევხვდი, მეორედ ჩემი შვილის სახლში, ხოლო ბინა მას ჩემმა მძღოლმა 2012 წლის ბოლოს, ან 2013 წლის დასაწყისში ამოვნინა. ჩემს მძღოლს ის თავად დაუკავშირდა და შავი ზღვის ქუჩაზე ერთ-ერთ ბინაში გადავიდა საცხოვრებლად... როდესაც შევხვდი, მომესალმა და ქრისტიანულ რელიგიაზე დამინყო საუბარი. მითხრა, რომ ვაკეში კლუბ „ფალავანში“ ვარჯიშობდა“...

ზაურ ქორთოშიძის თქმით, კადიევმა, რომელიც მას მიკით გაეცნო, უთხრა, რომ ლუკა კურტანიძესთან ვარჯიშობდა...

ლუკა კურტანიძე კი კადიევს ვერ იხსენებს და აცხადებს, რომ ის ვერც ამ გვარს იხსენებს და ვერც კადიევს ფიზიკურად (მას ფოტო აჩვენეს). „ახლო ნაცნობობა ბევრ დაღესტნელ მოჭიდავესთან მაკავშირებს, მაგრამ ეს სახელი და გვარი არაფერს მეუბნება“, – აცხადებს პოლიციის აკადემიის რექტორი.

„ფალავანთა კლუბში“ კი განმარტავენ, რომ მიკაილ კადიევი კლუბის წევრი არ არის, თუმცა არ გამორიცხავენ შესაძლებლობას, რომ ის იქ სავარჯიშოდ მისულიყო.

ახლა კი ისევ ქორთოშიძეების ოჯახს მივუბრუნდეთ: გაგვიგონია, რომ ის პატიოსნებით არის ცნობილი, თუმცა რაკი მათი საქმიანობის გარშემო ინტერესი მაღალია, ჩვენც ჩვენს მკითხველს ზოგიერთ დეტალს დავუკონკრეტებთ:

ავიაკომპანია „თუშეთი“ საქართველოში 1999 წლიდან ფუნქციონირებს. ის ექსპლუატაციას უწევს 4 საჰაერო ხომალდს: ორი MI-8 MTV-1, ერთი MI-8T და ერთი EC-155B. ამ უკანასკნელით დაფრინავს პრეზიდენტი. მისი დამფუძნებლები ძმები ქორთოშიძეები არიან, წარმოშობით დაღესტნელები, მაგრამ დაიბადნენ საქართველოში, თუშეთის სოფელ დიკლოში. დაამთავრეს ქვემო ალვანის საშუალო სკოლა. მათი უმცროსი ძმა, აფხაზეთის ომიდან დღემდე დაკარგულად ითვლება. ოჯახში თითქმის ყველა მფრინავია და ამ კომპანიაში ყველა სხვადასხვა თანამდებობაზეა დასაქმებული. ამ ავიაკომპანიის დაფუძნება დროში ემთხვევა ერთ-ერთი ძმის კარიერის დასაწყისს საქართველოში.

შამილ ქორთოშიძე კრემეჩუგის საავიაციო სასწავლებლის დასრულების შემდეგ სასაზღვრო ავიაციას უდგება სათავეში. 2008 წელს სასაზღვრო ავიაცია თავდაცვის ავიაციასთან გაერთიანდა. ის ალექსეევკის ბაზის მეთაურიც გახლდათ, მაგრამ 2011 წელს ამ უწყების შვეულმფრენმა ავარია განიცადა და დაიწვა. ეკიპაჟის წევრები გადარჩნენ, რომელთა შორის უკრაინული გადამღები ჯგუფი იყო. გამოძიება სამხედრო პოლიციამ დაიწყო და დაასკვნა, რომ ავარიის მიზეზი ბუნებრივი პირობების მოულოდნელი გაუარესება იყო. თუმცა ამ ინციდენტს შამილ ქორთოშიძის თანამდებობა შეეწირა, ის მაშინდელი გენერალური შტაბის უფროსის მოადგილემ, გიგი კალანდაძემ მოხსნა... თუმცა ინციდენტამდე ერთი წლით ადრე, 2010 წლის 26 მაისის აღლუმზე სიტყვით გამოსვლის შემდეგ ის პრეზიდენტმა ღირსების ორდენით, გენერალ დევი ჭანკოტაძესთან, ნინო ანანიაშვილთან, კობა ნაყოფიასთან, ლადო გურგენიძესთან, როლანდ ახალაიასთან, სუხიშვილებთან, ეკა ზღულაძესთან, რამაზ ნიკოლეიშვილთან, ირაკლი ეზუგბაიასთან ერთად, დააჯილდოვა „ქართული საფრენოსნო სკოლის შექმნის საქმეში მრავალწლიანი საქმიანობისთვის ქართულ ავიაციაში“... ასე რომ, სააკაშვილის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განცხადება, თითქოს პრეზიდენტს პირადი ნაცნობობა არ ჰქონია მფრინავთან, შესაძლოა, ეჭვქვეშ დადგეს. თუმცა ბატონი შამილის ძმა, ზაურ ქორთოშიძე ირწმუნება, რომ ისინი შევარდნაძესთანაც მუშაობდნენ და პატიაშვილთანაც.

ერთი სიტყვით, მთელ ამ მოვლენათა ჯაჭვის ბოლოს ერთი დასკვნის გაკეთება დანამდვილებით შეიძლება: საქმე გვაქვს ძალიან სახიფათო თამაშებთან, რომლის „დირიჟორები“ უცხო ქვეყნის სპეცსამსახურები არიან. ხოლო რომელი ძალა ყვება მათ ამ თამაშში, ამის ორიენტირისთვის 2 დეტალია ძალიან საყურადღებო: პირველი: ზემოთ წარმოდგენილ ჩვენს ექსპერტებს ამ მოვლენათა ჯაჭვში გამორჩათ ერთი მოვლენა – დიცში საოკუპაციო ზოლის 200 მეტრით გადმოწევის ფაქტი, რომელიც არცთუ სახარბიელო პოზიციაში აყენებს ივანიშვილის ხელისუფლებას და მეორე: სტატია „ნიუ-იორკ ტაიმსში“, რომლის შინაარსი საეჭვოდ ემთხვევა ე.წ. თალიბების კლიპის სიუჟეტის შინაარსს. თუ გავითვალისწინებთ სააკაშვილის უკვე აღიარებულ კავშირებს გავლენიან პრესასთან, ამ შემთხვევაში სასწორი მის მხარეს ნამდვილად ვერ გადაიხრება...

ტვინის ჭყლეტის სხვა მიმართულებები კი მოდით, შემდეგისთვის გადავდოთ, ვინაიდან მოვლენათა თანმიმდევრობა გვაფიქრებინებს, რომ წინ კიდევ ბევრი „სიურპრიზი“ გველის.

ზაურ ქორთოშიძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ხაშურში ჩატარებული სპეცოპერაციის დეტალები

EXCLUSIVE

სამართალდამცველებმა მკვლელობაში ბრალდებული ულუმბოს მონასტერში აიყვანეს

ვინ გადაიყვანა საზღვარზე გახმაურებულ მკვლელობაში ბრალდებული?

მირიან ბოქოლიშვილი

„პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა 9 ივნისს ხაშურის რაიონის სოფელ გომში, ულუმბოს მამათა მონასტერთან ჩატარებული სპეცოპერაციის შესახებ, რა დროსაც სამართალდამცველებმა განზრახ მკვლელობის ბრალდებით ძებნილი პირი, 22 წლის საბა კაპანაძე დააკავეს. აღნიშნულ პიროვნებას საგამოძიებო ორგანოები 2011 წლიდან წყალტუბოში მომხდარი გახმაურებული მკვლელობისთვის ეძებდნენ. გამომდინარე იქიდან, რომ ძებნილის დაკავება დიდი ხნის განმავლობაში ვერ მოხერხდა, გარდაცვლილ გიორგი ჯიმშელეიშვილის ოჯახს გაუჩნდა ეჭვი, რომ მკვლელს ვიღაც მფარველობდა. ცოტა ხნის წინ მათ ოფიციალური წერილითაც კი მიმართეს შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს და მკვლელობაში ბრალდებულის დასაკავებლად ქმედითი ღონისძიებების გატარება მოსთხოვეს. ზუსტად ერთ თვეში კი ჯიმშელეიშვილებს შეატყობინეს, რომ მკვლელობაში ბრალდებული დაკავებულია.

ინფორმაცია წყალტუბოს რაიონში მომხდარ მკვლელობაში ბრალდებულის დაკავების შესახებ იმერეთის სამხარეო პოლიციაშიც დაგვიდასტურეს.

ზურაბ გამეზარდაშვილი, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის შს სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსი:

„დიახ, შემიძლია, დაგიდასტუროთ, რომ განზრახ მკვლელობისთვის ძებნილი დავაკავეთ. დაკავების ოპერაცია შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოსა და წყალტუბოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ერთობლივად ჩაატარეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა 2011 წლის 29 იანვარს წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩაზე, 1986 წელს დაბადებულ გიორგი ჯიმშელეიშვილს ცივი იარაღის გამოყენებით სასიკვდილო დაზიანებები მიაყენა, რომელიც შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. ბრალდებული კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. წყალტუბოს რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა ბრალდებული ძებნილად გამოაცხადეს. ჩადენილი დანაშაულისთვის მას 9 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა იმავე წელს დაუსწრებლად მიესაჯა. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ბრალდებული თავს აფარებდა ხაშურის რაიონის სოფელ გომს. დაიგეგმა მისი დაკავების ოპერაცია, რომელიც წარმატებით განხორციელდა 9 ივნისს. ამჟამად ის ქუთაისის სასჯელაღსრულების მე-2 დაწესებულებაშია გადაყვანილი“.

გარდაცვლილი გიორგი ჯიმშელეიშვილი

გარდაცვლილის და: „მკვლელი სარფის საბაჟოზე მამა მარკოზმა გადაიყვანა, თურქეთიდან დაბრუნებული კი მონასტერში იმალებოდა“

რა მოხდა წყალტუბოში ორი წლის წინათ? როგორ მოახერხა მკვლელობაში ბრალდებულმა გაქცევა და ვინ დაეხმარა საზღვრის გადაკვეთაში?

24 წლის გიორგი ჯიმშელეიშვილი ქალაქ წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩაზე, 2011 წლის 29 იანვარს მოკლეს. იმ დღეს ჯიმშელეიშვილი, მეგობრებთან ერთად, რესტორან „ნაძვებში“ იმყოფებოდა. სწორედ რესტორნიდან გამოსვლის შემდეგ ახალგაზრდებს შორის სიტყვიერი შელაპარაკება მოხდა, რა დროსაც ინციდენტში ჩაერთო საბა კაპანაძეც, რომელმაც, თვითმხილველების თქმით, დანის გამოყენებით რამდენიმე სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა გიორგი ჯიმშელეიშვილს. თავდაპირველად სამართალდამცველებმა რამდენიმე პირი დააკავეს, თუმცა მათ მკვლელობა ვერ დაუმტკიცეს. მომხდარიდან რამდენიმე დღეში გამოძიება რეალურ კვალზე გავიდა, თუმცა ეჭვმიტანილი იმ დროისთვის უკვე მიმალვაში იმყოფებოდა. მან სარფის საკონტროლო-გამშვები პუნქტის გავლით ქვეყანა იმავე დღეს დატოვა, თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, მალევე უკან დაბრუნდა და ეკლესიას შეაფარა თავი. განაჩენში, რომლითაც საბა კაპანაძეს დაუსწრებლად მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, ვკითხულობთ, რომ მან თურქეთში გადასვლა ბიძის, დავით ვაშალომიძისა და მღვდელ-მონაზონ დავით ფანიაშვილის დახმარებით მოახერხა, თუმცა იქვე ირკვევა, რომ სასულიერო პირი არ ფლობდა ინფორმაციას, რა მიზნით მიემგზავრებოდა საბა კაპანაძე თურქეთში.

„პრაიმტაიმი“ გარდაცვლილის დას, რუსუდან ჯიმშელეიშვილს დაუკავშირდა. მისი თქმით, გიორგის მკვლელობიდან 6 თვეში გარდაიცვალა მამამისიც, რომელმაც შვილის გარდაცვალება ვერ გადაიტანა.

– ქალბატონო რუსუდან, ჩვენი ინფორმაციით, სამართალდამცველებმა თქვენი ძმის მკვლელობაში ბრალდებული საბა კაპანაძე დააკავეს...

– დიახ, შეგვატყობინეს ეს ამბავი. ეს ადამიანი ამდენი ხნის განმავლობაში იძებნებოდა... როგორც იქნა, სამართალი აღსრულდა და ჩემი ძმის მკვლელი დააპატიმრეს. რატომღაც ამდენი ხნის განმავლობაში ვერ მოიძებნა.

– რატომ ჭიანურდებოდა მისი მოძებნა? ვინმე მფარველობდა?

– ასეთი ეჭვები თავისთავად გაგვიჩნდა, რადგან თვეები გადიოდა და დამნაშავე გარეთ იყო. ვიცით, რომ მამა მარკოზმა გადაიყვანა საზღვარზე. რატომღაც მან სასამართლოზე ჩვენების მიცემაზეც უარი თქვა. არ ვიცით, რატომ. ყოველთვის გვქონდა ეჭვი, რომ რომელიღაც მონასტერს იყო შეფარებული. გვაიმედებდნენ, რომ ორმოცისთვის მკვლელს იპოვიდნენ, მერე გვითხრეს, წლისთავამდე დავაკავებთო, მაგრამ დაპირება დაპირებად რჩებოდა. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ იძულებული გავხდით, პირადად მიგვეწერა წერილი შინაგან საქმეთა მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილისთვის და დახმარება გვეთხოვა. მოგვივიდა საპასუხო წერილი, თქვენი საქმე შესწავლილია და მიმდინარეობს შესაბამისი ღონისძიებებიო. ზუსტად ერთ თვეში კი დააკავეს. ამ ტრაგედიას გადაყვა მამაჩემიც, რომელიც გიორგის მკვლელობიდან 6 თვეში გარდაიცვალა. ერთი თვის მოყვანილი ჰყავდა მეუღლე ჩემს ძმას, ზუსტად იმ დილით შეიტყო, რომ ბავშვს ელოდებოდა. სამწუხაროდ, არ დასცალდა შვილის ნახვა... პატარას მისი სახელი დავარქვით.

– თქვენ თქვით, რომ სასულიერო პირმა გადაიყვანა საბა კაპანაძე საზღვარზე, თუმცა, როგორც ვიცით, თავად მოძღვრისთვის მკვლელობის შესახებ ინფორმაცია ცნობილი არ იყო...

– დიახ, მამა მარკოზმა თქვა, რომ მისთვის უცნობი იყო ეს ამბავი. მითხრა, რაღაც პრობლემა შემექმნაო, თუმცა არ დაუკონკრეტებიაო. მონასტერში იმალებოდა ორი წელი ეს პიროვნება. ვინ მიიყვანა იქ და ვინ მფარველობდა, ეგ უკვე სხვა საკითხია, თუმცა ნაკლებ საინტერესო. მთავარია, რომ სამართალი აღსრულდა და დამნაშავე დაისჯება.

P.S. ამჟამად მსჯავრდადებული საბა კაპანაძე სასჯელაღსრულების ქუთაისის #2 დაწესებულებაშია მოთავსებული. მას სასამართლოს მიერ გიორგი ჯიმშელეიშვილის განზრახ მკვლელობისთვის დაუსწრებლად უკვე შეეფარდა 9 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნიკა რურუა: „მიმდინარეობს პრეზიდენტის დემონიზაცია და მასზეა მიბმული ნატოს იდეაც“

„რუსეთი არის ძალიან ვერაგი პარტნიორი. მათ წინასწარვე უნდა იცოდნენ, რომ ყველა დაპირება, რომელიც რუსეთისგან წამოვა, არის ტყუილი, რადგან ჩვენ არ გვაქვს თანაბარი სავაჭრო ძალა“

EXCLUSIVE

my View
ხათუნა მგალობლიშვილი

რუსეთმა ბიძინა ივანიშვილს იმედები გაუცრუა. ეს თავად აღიარა, როცა მათულხლართები გააბეს რუსმა ჯარისკაცებმა სასაზღვრო სოფლებში. ამას არ ველოდიო, განაცხადა პრემიერმა და მას შემდეგ ზოგიერთი პოლიტიკოსის მოსაზრებით ახალი ხელისუფლების რიტორიკა მოსკოვის მიმართულებით ოდნავ შეიცვალა. იგივე მოსაზრებას იზიარებს ნიკა რურუაც. ყოფილ მინისტრს მიაჩნია, რომ ეს გამოფხიზლების ეტაპია და იმედი აქვს, რომ „ოცნების“ ლიდერების ბოლო განცხადებები გულწრფელია...

ნიკა რურუა:

– წინასწარ ხელის გაშვერა არ არის სერიოზული საქმე. გამოძიების დასრულებას დაველოდოთ და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საუბარი, ვინ გააკეთა ეს ვიდეო. რაც შეეხება ატვირთვას, ამის გაგება უფრო ადვილია, რადგან ის მისამართი ადვილი გამოსარიცხია, საიდანაც ვიდეო აიტვირთა. ამ ვიდეოს შემკვეთსა და დამამზადებელს მიზნად ჰქონდა ერთი ამოცანა – სამიზნე იყო საქართველოს ნატოში გაწევრიანების იდეა. მიმდინარეობს პრეზიდენტის დემონიზაცია და მასზეა მიბმული ნატოს იდეაც. ამბობენ, რომ სააკაშვილი არის ცუდი, შესაბამისად, მისი იდეა – ნატოც არის ცუდი, უბედურების მომტანი. ასეთი, ნაჯახით გამოჩორკნილი იდეაა ჩადებული ამ კლიპში. ვიდეო გათვლილია მინიმუმ მოსახლეობის ნერვების მოშლაზე, მაქსიმუმ კი – პანიკის დანერგვაზე.

– როგორც ჩანს, გეგმა ჩაეშალათ, ყოველ შემთხვევაში ჯერჯეროობით, რადგან ნატოს საწინააღმდეგო აქციაზე მხოლოდ ერთი კაცი მივიდა თბილისშიც და ქუთაისშიც...

– ბრიყვი ადამიანის პოვნა ყველგან შესაძლებელია: ევროპაშიც, ავსტრალიაშიც, კანადაშიც და საქართველოშიც. მით უმეტეს, ამ ბრიყვ ადამიანს თუ დაიქირავებ და ფულს გადაუხდი, გაჭირვებისა და უპრინციპობის გამო, შეიძლება რაღაც ჯგუფები შეკრიბო. მაგრამ სინამდვილეში ეს ჯგუფები იქნებიან ფასადური, უშინაარსო, ერთჯერადი „საფრთხობელა“, რომელიც შეგნებულ ადამიანებს აზრს ვერ შეაცვლევინებს. არა მგონია, რომ ჩვენ იმდენად მაზოხისტები და სუიციდურები აღმოვჩნდეთ, რომ პანიკისა და სულმოკლეობის გამო უარი ვთქვათ გრძელვადიან სამომავლო უსაფრთხოების გარანტიებზე, რასაც იძლევა თავისუფალი სამყაროს წევრობა. ჩვენ სწორედ ევროკავშირისკენ და ნატოსკენ მივდივართ, ეს გზა გრძელია. ჩვენ კიდევ ბევრი რეფორმა გვაქვს გასაკეთებელი, მაგრამ უალტერნატივოა. წარმოუდგენელია, რომ ჩვენ გამოვაცხადოთ ნეიტრალიტეტი. როგორც კი ამას გავაკეთებთ, იმწუთას შეგვჭამს ჩვენი არადემოკრატიული მეზობელი, როგორც ეს 1920 წელს გააკეთა. საქართველომ 1920 წელს ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, დავდეთ თავდაუსმენლობის ხელშეკრულება რუსეთთან და ზუსტად ერთ წელიწადში რუსეთი ტანკებით დაგვესხა თავს. მაშინ კაციშვილი არ იყო ჩვენი დამხმარე. 70 წელი ვიყავით დაპყრობილები. ასეთ სიბრიყვეს იმედია, არ გავიმეორებთ.

– ნატოსთან მიმართებაში რუსეთი ისევ გააქტიურდა. მედვედევმა განაცხადა, რომ იმ მეზობლების საქციელზე, რომლებსაც ნატოში გაწევრიანება სურთ, რეაგირებას მოახდენენ. 2008 წლის მუქარას ჰგავს...

– რეაგირებაში მედვედევი, ალბათ, მათთვის მიუღებლობას გულისხმობდა. ეს არის დაშინების ტაქტიკა, რომელსაც რუსეთი იყენებს. თუ ქვეყანამ მოინდომა და ყველა კრიტერიუმი შეასრულა, რომელსაც ნატო ითხოვს, რუსეთი ვერაფრით შეუშლის ხელს და ვერ მოახდენს რეაგირებას, გარდა ხმამაღალი განაცხადისა.

– განცხადების იქით არ წავა?

– რა თქმა უნდა. რუსეთი ნატო-ს ომს ვერ გამოუცხადებს და ვერც ნატო-ს წევრ ქვეყნებს. რუსეთი ასე იმუქრება. ადრე თუ გვიან, რუსეთი მიხვდება, რომ ნატო მისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. ნატო ბევრად ძლიერია რუსეთზე და საქართველოსა და ფინეთის დამატება სურათს არ შეცვლის. ეს თვითონ საქართველოსა და ფინეთისთვის იქნება კარგი, და არც რუსეთისთვის აღმოჩნდება ცუდი. უბრალოდ, რუსეთს უნდა, რომ გვერდით ჰყავდეს ისეთი პატარა ქვეყნები, რომლებსაც მაშინ წამოარტყამს თავში, როცა მოუნდება. სწორედ ამის დაკარგვა არ უნდა მას – მორჩილი მეზობლების. სწორედ ეს არის მთელი მათი ისტერიკის სათავე. ისინი რეაგირებას მოახდენენ სწორედ ასეთი ინსტრუმენტებით, რომ იქნებ რამენაირად, ისევ და ისევ ქართველების ხელით, გატეხონ ციხე ძიგნიდან.

– პრემიერისა და პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებები საკმაოდ განსხვავებული იყო კოალიციის ბევრი წევრის განცხადებებისგან. ფიქრობთ, რომ მათი პოზიცია უკვე მკაფიოდ დაფიქსირდა საგარეო კურსთან დაკავშირებით?

– ეს იმაზე მეტყველებს, რომ ივანიშვილიც, უსუფაშვილიც და ეს ხალხიც, ვინც ახლა ხელისუფლებაში მოვიდა, რეალობას შეეჯახნენ. ისინი უფრო რეალისტები გახდნენ.

– თქვენ ფიქრობთ, რომ მათი განცხადებები გულწრფელია?

– კი, მგონი, გულწრფელია. მგონი, მიხვდნენ, რომ რუსეთი მათ დათმობის შემთხვევაში უფრო არ დაინდობს. უფრო მეტი უბედურების მოლოდინში აღმოჩნდებიან, ამიტომ ისინი გახდნენ ოდნავ უფრო რეალისტები, ვიდრე იყვნენ. მიხვდნენ, რომ დაყვავებით, სხვა მხარეს ყურებით პრობლემა არ წყდება. პირიქით, ის იზრდება, იმიტომ რომ რუსეთში ეს სისუსტედ აღიქმება. ბოლო განცხადებები ოდნავ უფრო რეალისტური იყო და მე მივესალმები მათ კიდევ უფრო გამოფხიზლებას.

– თუ ეს მართლაც გამოფხიზლებაა, ამაზე რუსეთს როგორი რეაქცია შეიძლება ჰქონდეს?

– როგორი რეაქციაც ჰქონდათ აქამდე – ისტერიული, მაგრამ ვერაფერს დაგვიშავებენ. რუსეთს რაც შეეძლო, უკვე დაგვიშავა – მოახდინა სამხედრო ინტერვენცია, ოკუპაცია ორი ქართული მიწის, შემდეგ კი ამ სისულელის აღიარება. ამით მათ კუთხეში მიიმწყვდიეს თავი. აღიარება რომ არ ჰქონდეთ გაკეთებული, შეიძლება სწორედ ამით დაეწყოთ შანტაჟი და აუცილებლად მოახდენდნენ მანიპულირებას. მაგრამ ეს ნაბიჯი უკვე გადადგმული აქვთ. რუსეთი შეეცდება, საქართველოში არსებული პრორუსული ძალებიც გააძლიეროს და ასევე, შეეცდება, პრორუსულ ძალად აქციოს დღევანდელი ხელისუფლება. ისინი ძალიან ბევრ მაცდუნებელ წინადადებას დაუდებენ ხელისუფლებას მაგიდაზე. მინდა, დღევანდელმა პრემიერმა და დღევანდელმა ხელისუფლებამ ეს ანკესი არ გადაყლაპონ.

– შეიძლება ეს შეთავაზება ოკუპირებულ ტერიტორიებსაც შეეხოს?

– ყველაფერი შეიძლება. შესთავაზებენ ძალიან ბევრ რამეს. რუსეთი არის ძალიან ვერაგი პარტნიორი. მათ წინასწარვე უნდა იცოდნენ, რომ ყველა დაპირება, რომელიც რუსეთისგან ნამოვა, არის ტყუილი, რადგან ჩვენ არ გვაქვს თანაბარი სავაჭრო ძალა. რუსეთს შეუძლია, შეგვპირდეს და შემდეგ „გადაგვაგდოს“, თანაც დაუსჯელად. გარდა იმ დაპირებებისა, რომელიც გამაგრებული იქნება საერთაშორისო თანამეგობრობით. ასეთები დიდი შანსია, რომ შეუსრულდეს. თუმცა ამის მაგალითად შეიძლება იმ 6-პუნქტიანი ხელშეკრულების მოყვანა, რომელზეც რუსეთს ხელი აქვს მოწერილი და მიუხედავად ევროკავშირის თანამონაწილეობისა, მაინც არ ასრულებენ.

– ხელისუფლება ამბობს, რომ მთავარი ძალა – დასავლეთი ჩართეს რუსეთთან ურთიერთობისთვის, თუმცა ოპოზიცია ირწმუნება, რომ ყოფილი ჩინოვნიკების დაჭერით ივანიშვილის მთავრობა დასავლეთთან ურთიერთობას იფუჭებს...

– ყოფილი პრემიერის დაჭერა ძალიან აფუჭებს ურთიერთობებს. არანაირად არ იყო ამის კანონიერი აუცილებლობა და განსაკუთრებით პოლიტიკურადაა გაუმართლებელი, როდესაც ყოფილ მაღალჩინოსნებს სასამართლოს მიერ მტკიცებულებით გამაგრებული განაჩენის გარეშე აკავებენ. ეს არის დიდი შეცდომა. ეს დასავლეთის თვალში აზიანებს დღევანდელი ხელისუფლების იმიჯს. ეს ნაბიჯები თვითმიყენებული ჭრილობებია დღევანდელი ხელისუფლებისთვის.

– ფიქრობთ, რომ ისინი იძულებულები იყვნენ, ეს ნაბიჯი გადაედგათ საზოგადოების მხრიდან სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნის გამო?

– არა, არ იყვნენ იძულებულები. ეს მოლოდინები თავადვე შექმნეს და თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი მოლოდინების მსხვერპლნი არიან. არ შეიძლება გააჩინო შურისძიების ტალღა, რადგან ის უფრო და უფრო მეტ მსხვერპლს მოითხოვს. ლოგიკურია, თუ ისეთ მონსტრს გააჩენ, რომელიც ყოველ გადმოგდებაზე ახალ და ახალ ბარტყს მოითხოვს, ის არასოდეს დანაყრდება.

– წეღან განაცხადეთ, რომ ახალი ხელისუფლება რუსეთთან მიმართებაში განსხვავებულ რეალობას შეეჯახა და იმიტომ შეიცვალა პოზიციაო... შეიძლება იგივე დაემართათ, როდესაც წინასაარჩევნოდ მერაბიშვილზე, ახალაიაზე შეფასებებს აკეთებდნენ?

– კი, აქაც სხვა აღმოჩნდა რეალობა. პოლიტიკური შავი პიარი თავადვე დაიჭირეს და როგორც აღმოჩნდა, აქაც სხვა არის სინამდვილე. ამას ცხადყოფს თუნდაც ბაჩო ახალაიას სასამართლოები.

– საპრეზიდენტო არჩევნებზე საუბრისას ივანიშვილმა განაცხადა, რომ ნინო ბურჯანაძემ შესაძლოა, ნაციონალებს აჯობოს. ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

– ეჭვი მეპარება ამ ქალბატონის შესაძლებლობებში. იმიტომ რომ, ჯერ ერთი, ვიცნობ. ნინო ბურჯანაძესთან მქონდა ურთიერთობა მისი პარლამენტის თავმჯდომარეობის პერიოდში. გარდა ამისა, ასეთი პროპუტინური ვიოიაჟიც ძალიან დიდი მინუსია ამ ადამიანის პოლიტიკურ ღირებულებებში. ასე რომ, ჩემი აზრით, ასეთ პოლიტიკოსს შანსები არ უნდა ჰქონდეს საქართველოში.

– როგორც ამბობენ, მარგველაშვილის რეიტინგიც საკმაოდ დაბალია სხვადასხვა კვლევებში. შესაძლოა, რომ მეორე ტური ჩატარდეს?

– მარგველაშვილსაც კარგად ვიცნობ. ის ჩემი დიდი ხნის მეგობარია, შემიძლია ვთქვა. გიორგი არ არის მარტივი ადამიანი, ის განათლებული კაცია. თუ სერიოზულად დაკავდა კამპანიით, მით უმეტეს, ივანიშვილის მხარდაჭერით, მას სერიოზული შანსები ექნება. ამწუთიერთი რეიტინგი კი ბევრს არაფერს ნიშნავს, ეს ყველაფერი არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე გაირკვევა.

„ბრიყვი ადამიანის პოვნა ყველგან შესაძლებელია: ევროპაშიც, ავსტრალიაშიც, კანადაშიც და საქართველოშიც“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

მოუნესრიგებელი ნაგავსაყრელები კახეთის მოსახლ

my View
თამარ გორთამაშვილი

„სიმსივნური დაავადებების მატებას, ადგილობრივები ნარჩენების აალების შედეგად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას უკავშირებენ“

რადიო „ჰერეთის“ ფოტოები

გარემოს დაბინძურების პრობლემა, რაზეც „პრაიმტაიმი“ ბოლო პერიოდში სისტემატურად ამახვილებს ყურადღებას, როგორც აღმოჩნდა საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში მწვავედ დგას. თბილისში, დუშეთსა და გურიაში არსებულ სიცოცხლისთვის საშიშ კერებს კახეთიც ემატება, სადაც პრობლემა იმაზე მწვავედ დგას, ვიდრე ეს ერთ რეპორტაჟში შეიძლება დაინახოთ. მიუხედავად იმისა, რომ კახეთში არსებულ ანტისანიტარიაზე, ფეკალიებით დაბინძურებულ მდინარეებზე, უკონტროლოდ დატოვებულ ნაგავსაყრელებზე, თავად ადგილობრივი პრესაც არა ერთ საგანგაშო სტატიას წერს, პრობლემა არ გვარდება, სიტუაცია უცვლელია და მინიმუმ 1 წელი არც შეიცვლება, რადგან ინფრასტრუქტურის სამინისტროს კახეთის რეგიონში კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა 2013 წლის ბიუჯეტში არ აქვს გათვალისწინებული.

მაგდა პოპიაშვილი: „ამ წელს ბიუჯეტში გათვალისწინებული ნამდვილად არ არის, მაგრამ მომდევნო წლისთვის იგეგმება თელავის გამწმენდი ნაგებობის აშენება და ამაზე სამინისტრო ინტენსიურად მუშაობს.

– ანუ მხოლოდ თელავში იგეგმება და დანარჩენ 8 ქალაქში, სადაც საერთოდ არ არსებობს გამწმენდი ნაგებობები?

– პრობლემა ცხადია არის, უბრალოდ, იმის გამო, რომ პრაქტიკულად ნოემბერში მოვედით და დეკემბერში უკვე ახალი ბიუჯეტი დამტკიცდა, ბევრ ცვლილებას ვერ შევიტანდით, იმიტომ რომ ჩვენი ბიუჯეტის ძალიან დიდი ნაწილი გარდამავალი პროექტები იყო. შესაბამისად, ვერაფერს ახალს ვერ დავიწყებდით, თანაც ეს ძალიან ძვირადღირებული პროექტებია, ამიტომ სამინისტრომ გადაწყვიტა, რომ წელს დაიწყოს ამაზე მუშაობა, მოიძიოს დონორები და გაისად გარკვეული პროექტები ჩასვას, პირველ ეტაპზე, კახეთის რეგიონში თელავის გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა იგეგმება.

პრობლემას მთელი სიმწვავით აყენებს გარემოს დაცვის სამინისტრო და არ გამორიცხავს, რომ ფეკალური მასებით დაბინძურებულმა მდინარეებმა ალაზანმა და იორმა, შესაძლოა, ადამიანების ჯანმრთელობას საფრთხე შეუქმნას, მით უმეტეს მაშინ, როცა ზაფხულის პერიოდში, როგორც ადგილობრივებს, ისე ქალაქიდან სოფლად ჩასული მოსახლეობის ნაწილს, გასაგრილებლად მდინარეში ბანაობის გარდა სხვა საშუალება არც აქვთ. იმ მდინარეებში, სადაც ზაფხულობით ბავშვებიც გრილდებიან და კანალიზაცია პირდაპირი დინებით ჩადის, წყალი ორგანული ნივთიერებებით ბინძურდება.

გარემოს დაცვის სამინისტროს წყლის რესურსების სამმართველოს უფროსი მარიამ მაკაროვა „პრაიმტაიმთან“ საუბარში აცხადებს, რომ ფეკალური მასებით მდინარეების ალაზნის და იორის დაბინძურების პრობლემა ნლებია დგას და მის მოსაგვარებლად აქამდე არაფერი გაკეთებულა. მისივე საუბრიდან ირკვევა, რომ ამ ეტაპზე მხოლოდ დასავლეთ საქართველოს საკანალიზაციო სისტემების მოწესრიგება იგეგმება.

მარიამ მაკაროვა: „კახეთის არც ერთ ქალაქში არ არის საკანალიზაციო წყლების გამწმენდი ნაგებობები, შესაბამისად, განმენდის გარეშე ჩაედინება ეს წყლები მდინარეებში და მდინარის წყალი ბინძურდება, პირველ რიგში, ორგანული ნივთიერებით, აზოტით და ფოსფორის ნაერთებით. დაახლოებით იგივე სიტუაციაა ნაგავსაყრელებთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად მდინარეების ნაპირზე არის მოწყობილი არალეგალური ნაგავსაყრელები და ეს ნაგავი ჩადის მდინარეში, ხანდახან პირდაპირ მოსახლეობის მიერ იყრება ნაგავი პირდაპირ მდინარეში და აქედან ხდება კიდევ უფრო მეტი დაბინძურება.

როცა კანალიზაცია მდინარეში ჩადის, როგორც უკვე აღვნიშნე, მდინარის წყალი ბინძურდება ორგანული ნივთიერებებით, ასევე შეიძლება იყოს ბაქტერიოლოგიური დაბინძურებაც და ამ წყალს თუ ადამიანი დალევს, კარგი არაფერი დაემართება.

– როდესაც საუბარია ალაზნის და იორის დაბინძურებაზე, ეს ნიშნავს, რომ სასმელი წყლის პრობლემაც დგას?

– არა მგონია, იმიტომ რომ სასმელი წყალი აქ ძირითადად მიწისქვეშა წყალია, მდინარეებიდან, რამდენადაც მე ვიცი, კახეთში წყალს არ იღებენ. ამ წყალს ძირითადად სარწყავად იყენებენ, რაც მოსავლისთვის საზიანო არ არის, უფრო პირიქით, სასუქია, თუმცა აქ სხვა პრობლემა დგას, ამ მდინარეებში ხალხი ბანაობს და ადვილი შესაძლებელია, ვინმეს პირში მოხვდეს ეს წყალი, ეს უკვე საშიშროებას ქმნის.

– რას აკეთებთ თქვენ ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად?

– ჩვენ მჭიდრო კონტაქტში ვმუშაობთ ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან და წყალმომარაგების კომპანიასთან და ვიცით, რომ სხვადასხვა ქალაქებში გამწმენდი ნაგებობების მშენებლობაა დაგეგმილი, კონკრეტულად ვიცი, რომ თელავზე არის საუბარი, ეს იმხელა პრობლემაა, რომ ერთ დღეში ვერ მოწესრიგდება.

– თქვენ ზუსტად იცით, რომ ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2013 წლის ბიუჯეტში შეტანილი აქვს კახეთში გამწმენდი ნაგებობების მშენებლობა?

– 2013 წლის ბიუჯეტში არა მგონია. როგორც ვიცი, წყალმომარაგების კომპანიას აღებული აქვს 500 მილიონ დოლარიანი კრედიტი აზიის განვითარების ბანკისგან, მაგრამ რამდენადაც ვიცი, წყალმომარაგება, კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია, პირველ რიგში, მოხდება დასავლეთ საქართველოში, ფოთში, ქუთაისში და ა.შ.

კახეთში ნაგავსაყრელებით და კანალიზაციის მოშლილი სისტემით გარემოს დაბინძურების პრობლემაზე საუბრობენ ადგილობრივი გარემოს დაცვის ექსპერტებიც. კახა სუხიტაშვილი „პრაიმტაიმთან“ საუბარში აცხადებს, რომ რაც დროს გადის, პრობლემას პრობლემა ემატება, რაც უკვე მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობაზეც აისახება. სუხიტაშვილი, რომელსაც ყოველდღიური კონტაქტი აქვს ადგილობრივებთან, ამბობს, რომ ბავშვებში ალერგიის შემთხვევებმა, ზრდასრული ასაკის ადამიანებში კი სიმსივნურმა დაავადებებმა იმატა. სოფლების მოსახლეობა ამას სწორედ ნაგავსაყრელებიდან აალებული მავნე ნივთიერებებით დაბინძურებულ ატმოსფერულ ჰაერს უკავშირებს.

კახა სუხიტაშვილი (გარემოს დაცვის ექსპერტი): „რაც შეეხება კანალიზაციებს, ეს პრობლემა ყველა მუნიციპალიტეტის ქალაქშია. მხოლოდ თელავს არ აწუხებს ეს, ცხრავე ქალაქში მწვავედ დგას საკითხი. ზოგან კანალიზაციის სისტემა არის, მაგრამ ინფრასტრუქტურა არ არის საკმარისი და ხარისხიანი. ზოგ ქალაქში კი საერთოდ არ არის, მთლიანად მოშლილია საკანალიზაციო კოლექტორები. ამ მხრივ, მეტ-ნაკლებად გამონაკლისს თელავი წარმოადგენს, სადაც შედარებით უკეთესი მდგომარეობაა, თუმცა აქაც არის უბნები სადაც კანალიზაციის სექტორი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია და ასევე სიღნაღის ცენტრი, სადაც ტურისტული ინფრასტრუქტურის გამო შედარებით უკეთ არის მდგომარეობა. სხვა ქალაქებზე და სოფლებზე ლაპარაკი ზედმეტია, იქ საერთოდ არ არსებობს არანაირი გამწმენდი ნაგებობა და ფეკალური მასა მთლიანად მდინარე ალაზანში ჩაედინება. გამწმენდი ნაგებობები საბჭოთა კავშირის დროს იყო, მაგრამ ისინი მთლიანად მოშლილია და აღარ ფუნქციონირებს. საკანალიზაციო სისტემის უზრუნველყოფა, ზოგადად, ადგილობრივი თვითმმართველობების კომპეტენციაა, თუმცა, როცა საუბარია გამწმენდი ნაგებობების მშენებლობაზე, ეს ისეთი საკითხია, რომ ცენტრალური ხელისუფლების დახმარების გარეშე ვერ გაკეთდება. მე პირადად, არასდროს მსმენია, რომ აქ ვინმე ჩამოსულიყო და პრობლემას ადგილზე გაცნობოდა.

რაც შეეხება ნაგავსაყრელებს, ეს კიდევ უფრო დიდი პრობლემაა, ვიდრე კანალიზაცია. კახეთში არც ერთი ნაგავსაყრელი არ არის, რომელიც ელემენტარულ ნორმებს პასუხობს. მაგალითად, თელავის ნაგავსაყრელი, რომელიც სოფელ გულგულის მიდამოებში მდებარეობს. იქვეა მდინარე თურდო, რომლის პირასაც არის ეს ნაგავსაყრელი განთავსებული. წყალდიდობისას ეს ნაგავი პირდაპირ მდინარეში იყრება, ქარის დროს კი ჰაერში დაფრინავს და პირდაპირ სოფელში ხვდება. გარდა ამისა, ნაგავსაყრელს აქვს თვითაალების თვისება. იმ დღეს ერთი ადგილობრივი მეუბნებოდა, ყოველ დილით ისეთი სუნი დგას, სუნთქვა შეუძლებელიაო. თვითაალების შედეგად გამოიყოფა მეთანი, ამიაკი და ატმოსფერული ჰაერი ბინძურდება. ასევე, პრობლემაა ნიადაგის დაბინძურებაც და პრობლემაა მდინარის დაბინძურებაც, იმიტომ რომ ნარჩენების ლპობის შედეგად ნიადაგში გაჟონილი წყალი ჩადის მდინარე თურდოში, რომელიც ალაზანს უერთდება.

ეს არის ძალიან დიდი პრობლემა, რადგან ამ მასშტაბით გარემოს დაბინძურება ადამიანების ჯანმრთელობისთვის ძალიან საშიშია, ათას დაავადებებს იწვევს. როგორც ადგილობრივები მეუბნებიან, ამის გამო ძალიან არის გაზრდილი ალერგიის შემთხვევები, განსაკუთრებით ბავშვებში და სიმსივნური დაავადებები ზრდასრული ასაკის ადამიანებში.

რეგიონში ნაგავსაყრელების მოუწესრიგებლობა პრობლემას არა მარტო ადგილობრივებს, არამედ ტურისტებსაც უქმნის, შესაბამისად ზარალდება ბიზნესიც, რომელიც ტურისტების მოზიდვით არის დაკავებული. თელავის მახლობლად მდებარე სასტუმრო კომპლექს „შატო მერეს“ მფლობელი, ბიზნესმენი გია პირადაშვილი ამბობს, თელავის ნაგავსაყრელი დისკომფორტს მის სტუმრებსაც უქმნის, რომლებსაც კახეთის რეგიონ-

„დამპალი ნარჩენებიდან გამოჟონილი წყალი ალაზანში და იორში ხვდება“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ეობას ზაფხულში სერიოზულ პრობლემას შეუქმნის

„კახეთის ხმის“ ფოტო

„ბანაობა საფიფათოა – მდინარე ორგანული ნივთიერებებით არის დაბინძურებული!“

ის დასათვალიერებლად ხშირად უწევთ სხვადასხვა რაიონებში სიარული.

გია პირადაშვილი: „ეს საკითხი გადაუჭრელი იყო წინა ხელისუფლების დროს და გადაუჭრელი რჩება ახალი ხელისუფლების პირობებშიც, პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ნაგავსაყრელების ორგანიზება კარგად არ კეთდება, ისე, როგორც წესი და რიგია. როგორც ვიცი, ამისთვის გამოყოფილია ძალიან ცოტა თანხა, რაც საკმარისი არ არის ისეთი ტიპის ნაგავსაყრელის მოწყობაზე, რომელიც ელემენტარულად დააკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს, რომელიც გაითვალისწინებს ნარჩენების დახარისხებას, შემდგომში გადამუშავებას, რაც იმის გარანტიას მოგვცემდა, რომ ლპობის შედეგად გაჟონილი წყალი არ ჩავა მდინარეში.

ეს არ არის ხელოვნურად მოწყობილი ნაგავსაყრელები, ეს არის მუნიციპალური სამსახურის მიერ მოწყობილი ნაგავსაყრელები, რომლებიც წესით და რიგით, უნდა იყოს უზრუნველყოფილი, შესაბამისი შენობა ნაგებობებით, თუნდაც იმ ტიპის მოწყობილობებით და ზღუდეებით, რომელიც ხელს შეუშლის ნაგავში გამდინარე სხვადასხვა შხამიანი ნივთიერებებით დაბინძურებული წყლის გადინებას და საბოლოოდ იმ ხევებში მოხვედრას, რომლის წყალიც ალაზანს უერთდება.

მხოლოდ ნაგავსაყრელების პრობლემა არ დგას კახეთში, ძალიან სერიოზულად დგას კანალიზაციის პრობლემა, მაგალითად, თელავში კანალიზაცია რამდენიმე ადგილას გადმოდის გარეთ, ამას შეუიარაღებელი თვალითაც კარგად გაარჩევს ადამიანი, იმიტომ რომ უსიამოვნო სუნი დგას.

– წყლის ხარისხი თუ მოწმდება კახეთში, ხომ არ უქმნის ეს ყოველივე პრობლემას სასმელ წყალს?

– გააჩნია სად, თუ ეს არის არტეზიული ჭებიდან ამოღებული წყლები, რა თქმა უნდა, ნორმალური მდგომარეობაა, იმიტომ რომ თვითონ არტეზიული ჭის მფლობელები არიან დაინტერესებული წყლის ხარისხით, რაც შეეხება მუნიციპალურს, არ მგონია, რომ აქაც რაიმე პრობლემა იყოს. როგორც ვიცი, ამას მაქსიმალური ყურადღება ექცევა.

ამ შემთხვევაში, როცა ნაგავსაყრელებზე ვსაუბრობთ, დგას მდინარეების და ზოგადად გარემოს დაბინძურების პრობლემა.

– თქვენს ბიზნესს თუ უქმნის ეს პრობლემას?

– ეს პრობლემას მიქმნის მე, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს და, რა თქმა უნდა, პრობლემას უქმნის ჩემს ბიზნესსაც, იმდენად რამდენადაც, ძალიან ბევრი სტუმარი, რომელიც ჩემთან ჩამოდის, მათ სხვადასხვა რაიონებში ვატარებ... პრობლემას ქმნის ის, რომ უამრავი მოუწესრიგებელი ნაგავსაყრელი გვხვდება, რაც დამეთანხმებით, ადამიანებს მინიმუმ დისკომფორტს უქმნის. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ამ პრობლემას მალე მოაწესრიგებენ. ამ საკითხზე უკვე მუშაობს რამდენიმე ორგანიზაცია, ვნახოთ რა შედეგები იქნება.

კახეთის რეგიონში ნაგავსაყრელების პრობლემაზე ჩვენ, მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის ხელმძღვანელს ვესაუბრეთ, რომელმაც უკვე დაიწყო იმერეთის რეგიონში, კონკრეტულად კი ქუთაისის ნაგავსაყრელის საკითხზე მუშაობა, რომლის ნაცვლადაც დაგეგმილია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რეგიონალური ნაგავსაყრელის მშენებლობა. კახეთის რეგიონს და თელავის ნაგავსაყრელს, ამ შემთხვევაში პროექტზე, რომელიც ასევე დაწყებულია, გათვალისწინებულია მხოლოდ 400 000 ლარი, რაც არანაირად არ ყოფნის მაღალი დონის ნაგავსაყრელის მოწყობას.

გიორგი შუხოშვილი: „ჩვენ რეგიონალური ოფისი გავხსენით თელავშიც, გვყავს კოორდინატორები, ნაგავსაყრელებზე დავნიშნეთ ოპერატორები და დავიწყეთ სრულფასოვანი მუშაობა. თელავის ნაგავსაყრელის მიწები ჩვენს კაპიტალში ივნისის დასაწყისში გადმოვიდა და ახლა სხვა ნაგავსაყრელების მიწებიც შემოდის ნელ-ნელა. თელავის ნაგავსაყრელზე პირველადი საექსპლოატაციო სამუშაოები ჩავატარეთ. ძალიან მძიმე სურათია ამ ნაგავსაყრელებზე, იქ ტექნიკა ერთ წელზე მეტია არ შესულა. ჩვენ გავწმინდეთ გზები, ელემენტარულად იმისთვის, რომ ნაგავმზიდებს ევლოთ. გავწმინდეთ უჯრედებიც და მოვამზადეთ იმისთვის, რომ იქ ნარჩენები სწორად განთავსდეს. ადგილზე გვყავს ოპერატორები, რომლებიც მიუთითებენ და გააკონტროლებენ. პარალელურ რეჟიმში თელავთან დაკავშირებით პროექტირებაზე გამოვაცხადეთ ტენდერი, რომელზეც გვყავს გამარჯვებული და ივლისის დასაწყისში გვექნება უკვე პროექტი. პროექტის მიხედვით იგეგმება თელავში ნაგავსაყრელის ფართობის შემოღობვა მთლიანად, გამშვები ჯიხურის დაყენება, სასწორის მოწყობა, ნარჩენების შეზიდვა, ზვინულების გაკეთება, გადატკეპნა, საიზოლაციო ფენით დაფარვა, რომ არ მოხდეს აალება და სუნიც ავიცილოთ თავიდან და ასევე შიდა გზების მოწყობა.

– ნარჩენების დახარისხება არ შედის პროექტში?

– არა, დახარისხება არ შედის. არსებულ ნაგავსაყრელზე, რაც გვაქვს, არსად არ მოხდება დახარისხება.

– საწრეტი ავზებიც არ იქნება?

– მოეწყობა წყალარენების სისტემები, ანუ გაიჭრება არხები, რომლებიც ნაჟურ წყლებს ააცილებს, ანუ სრულფასოვანი ექსპლოატაცია განხორციელდება.

– ეს წყალარენები ცვლის საწრეტ ავზებს?

– არა, ეს იქნება არხები, რომლებიც წყალს ააცილებს ნაგავს, რომ არ მოხდეს წყლის დაბინძურება.

– ნარჩენების ლპობის შედეგად გამოჟონილი წყალი სად წავა?

– ლპობის შედეგად გამოჟონილი წყალიც არხებზე გავა. ეს არის მაქსიმუმი, რაც ჩვენ ამ ეტაპზე შეგვიძლია გავაკეთოთ.

– ანუ ეს არის მაქსიმუმი, მაგრამ ეს არ არის ის, რაც თანამედროვე სტანდარტებს პასუხობს...

– დიახ, ეს არ არის საერთაშორისო სტანდარტების. საერთაშორისო სტანდარტების ნაგავსაყრელი რომ გავაკეთოთ, ყველა არსებული ნაგავსაყრელი უნდა დაიხუროს და აშენდეს ახალი სანიტარული ნაგავსაყრელი, სადაც იქნება სორტირების ბლოკიც და სპეციალურ გეომემბრანებით დაფენილ უჯრედში მოხდება ნარჩენების განთავსება, რაც უკვე დაიგეგმა ქუთაისის მიმდებარედ, ეს იქნება იმერეთის რეგიონალური ნაგავსაყრელი, ამასთან ვგეგმავთ რაჭა ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის მიბმასაც. იქნება გადამტვირთი სადგურები და ძირითადი იქნება ერთი რეგიონალური ნაგავსაყრელი იმერეთში.

– კახეთს რაც შეეხება, იგივე თელავის ნაგავსაყრელს?

– მაქსიმუმი რისი გაკეთებაც ამ ეტაპზე ამ თანხებით შეგვიძლია, არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, უკვე მოგახსენეთ...

როგორც შუხოშვილი ამბობს, ამ ეტაპზე დაგეგმილია ტერიტორიის შემოღობვა, ნარჩენების სწორად განაწილება, შიდა გზების გაყვანა და სპეციალური არხების მოწყობა, რომლებიც წყალს ააცილებს ნაგავსაყრელის ტერიტორიას, როგორც გავიგეთ, ნარჩენების ლპობის შედეგად გამოჟონილი წყალიც ამ არხებში გაივლის. თუმცა საწრეტ ავზებში გავლის გარეშე (სადაც დაბინძურებული წლის დაწრეტა და ქიმიური დამუშავება ხდება იმისთვის, რომ ის გარემოსთვის საშიში არ იყოს) დამპალი ნარჩენებიდან გამოჟონილი წყალი, სავარაუდოდ, ისევ იმ არხებში მოხვდება, რომლებიც ალაზანში ჩაედინება, რაც მდინარის დაბინძურების პრობლემას არანაირად არ ხსნის.

ინფრასტრუქტურის სამინისტროს საკანალიზაციო გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა, მხოლოდ თელავში, ისიც 2014 წლისთვის აქვს დაგეგმილი – რა ბედი ეწევა დანარჩენ 8 ქალაქს, უცნობია...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

სოსო მანჯავიძე: „დარწმუნებული იყავით, რომ ძალიან მალე ჩვენ მივაღწევთ რეფერენდუმის ჩატარებას“

ხათუნა მგალობლიშვილი

არასაპარლამენტო ოპოზიცია ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს ითხოვს. „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა“ ცესკოში უკვე შეიტანა განაცხადი რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით. სოსო მანჯავიძის განცხადებით, თუ საკითხი ყველა ეტაპს დროულად გაივლის, რეფერენდუმი შესაძლოა, ახალ წლებამდეც კი ჩატარდეს.

მოქმედი კანონმდებლობით, რეფერენდუმის ჩატარების უფლება მხოლოდ პრეზიდენტსა და პარლამენტს აქვს. არის მესამე გზაც. თუ რომელიმე პოლიტიკური ძალა შეძლებს 200 ათასი ხელმოწერის შეგროვებას მაშინ ცესკოს გავლით დოკუმენტი განსახილველად პრეზიდენტს წარედგინება. მანჯავიძის გათვლებით, იმ დროისთვის, როცა საჭირო რაოდენობის ხელმოწერა შეგროვდება, პრეზიდენტის პოსტზე უკვე „ოცნების“ კანდიდატი იქნება... თუმცა წინასწარვე ცნობილია ვადამდელი არჩევნებისადმი ივანიშვილის დამოკიდებულება. პრემიერმა ერთხელ უკვე განაცხადა, რომ მოქმედი პარლამენტი ძალაში კიდევ ოთხ წელიწადს დარჩება...

სოსო მანჯავიძე, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი:

– საინიციატივო ჯგუფმა ცესკოში შევიტანეთ განცხადება რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნით. კითხვა ასეა ფორმულირებული: გსურთ თუ არა, რომ საქართველოში ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები? ცესკოს აქვს ერთი თვის ვადა, რომ გაგვცეს არგუმენტირებული პასუხი, არეგისტრირებს თუ არა ამ საინიციატივო ჯგუფის მოთხოვნას. ამის შემდეგ სამი თვის განმავლობაში ჩვენ უნდა შევაგროვოთ 200 ათასი ხელმოწერა. ხელმოწერები კვლავ ცესკოს წარედგინება, განიხილავს ხელმოწერების ავთენტურობას და იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდა მათი საჭირო რაოდენობა, ეს დოკუმენტი გადაეცემა პრეზიდენტს. იმ დროისთვის საქართველოს უკვე ახალი პრეზიდენტი ეყოლება და სწორედ მას მოუწევს ხელმოწერა. ახალ პრეზიდენტს საშუალება ექნება, გამოავლინოს, რომ ის ნამდვილად დემოკრატი მმართველია და არა ავტორიტარი.

– უარის თქმის რა მეთოდები აქვს ხელისუფლებას?

– რეფერენდუმზე უარი შეიძლება ითქვას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანაში საომარი მდგომარეობა იქნება, ან სარეფერენდუმო კითხვა არაკონსტიტუციური აღმოჩნდება. სხვა მიზეზი არ არსებობს და არც არავის აქვს უფლება, დაბლოკოს ხალხის მოთხოვნა. პრეზიდენტს ერთი თვე მიეცემა საკითხის განსახილველად და დადებითი პასუხის შემთხვევაში ორიდან ექვსი თვის ვადაში უნდა დანიშნოს რეფერენდუმი.

– თუ ამ ყველა ეტაპს გაივლის თქვენი ინიციატივა, სავარაუდოდ, რა დროს მოუწევს ჩატარება?

– დრო საკმაოდ დიდ პერიოდში მერყეობს. გააჩნია, რა ტემპებში მოხდება ყველა ეტაპის გავლა. შეიძლება ახალ წლამდეც მოხდეს, ოღონდ ეს სწრაფი ტემპით გავლის შემთხვევაში. რეფერენდუმის ჩატარების მაქსიმუმი 2014 წლის გაზაფხულია. შეიძლება დაემთხვას ადგილობრივ არჩევნებს და ამ შემთხვევაში ფინანსურადაც ნაკლები ხარჯები იქნება. სანამ საქართველოში რეფერენდუმები არ გაიმართება, ავტორიტარული სისტემა, რომელიც საქართველოში არსებობს, მუდმივად იქნება. თუ ასე გაგრძელდება, ეს ხელისუფლება ძალიან მძიმედ დაასრულებს არსებობას.

– ამ საკითხთან დაკავშირებით პრემიერმა ბევრჯერ განაცხადა, რომ ვერ ხედავს ვადამდელი არჩევნების ჩატარების საჭიროებას და მისი ბოლო განცხადება იყო, რომ არსებული პარლამენტი 4 წელი გააგრძელებს მუშაობას...

– პრემიერმა რაც თქვა, ეს მისი მოსაზრებაა, ვნახოთ, რას იტყვის ხალხი. პრემიერის აზრი, რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევია, მაგრამ ასევე, ანგარიშგასაწევია ხალხის ნება. ამომრჩეველს ეს პარლამენტი, რომელიც ამჟამად არის, არ უნდა და მათ ინტერესებს არ აკმაყოფილებს.

– კოალიციის წევრები მიიჩნევენ, რომ ვადამდელი არჩევნებით დიდი ცვლილება არ მოხდება პარლამენტში წარმოდგენილ ძალებში...

– ასეთი განცხადებები ძალიან გამაღიზიანებელია ხალხისთვის. ვინც ამას ამბობს, გარწმუნებთ, რომ ის და მისი პარტია საერთოდ ვერ გადალახავენ საარჩევნო ბარიერს. ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი მათ მხარს საერთოდ არ დაუჭერს. გამოდის, კოალიციაში, ნაციონალების გარდა, სხვა ძალებს ვერ ხედავენ. თურმე ქართველ ხალხს პოტენციალი საერთოდ არ ჰქონია?

– რომელი ძალები შეძლებენ ბარიერის გადალახვას, როგორ ფიქრობთ?

– ჩვენ. და დარწმუნებული იყავით, რომ ძალიან მალე ჩვენ მივაღწევთ რეფერენდუმის ჩატარებას. რეფერენდუმზე კარგად გამოჩნდება, რა უნდა ხალხს. ახალმა გუნდმა კარგად გადაიბარა არჩევნების გაყალბების მეთოდები. ისინი არც სიებს ცვლიან, არც ცესკოს შემადგენლობას და ახლა უნდათ, ნაციონალების ტექნოლოგიებით მართონ ქვეყანა. არ გამოუვათ. სჯობია, რომ ეს ცივილიზებული პოლიტიკური ფორმებით მოხდეს, რეფერენდუმის გზას ვგულისხმობთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება ისე, როგორც მანამდე მოხდა...

– მანამდე როგორ?

– ოქტომბრის არჩევნებს ვგულისხმობ. ნუ გგონიათ, რომ ეს მართლა არჩევნები იყო. ეს იყო ხავერდოვანი რევოლუცია. უკმაყოფილება უკვე არის. „ნაციონალური მოძრაობა“ კი ჩამოაშორეს ხელისუფლებას, მაგრამ გაურკვეველი წარმომავლობის ძალებმა, როგორიც არის, მაგალითად, რესპუბლიკელები, დაიკავეს მათი ადგილი. არანაირი სამართლიანობის აღდგენა არ მიმდინარეობს და სწორედ ეს იწვევს დიდ უკმაყოფილებას. გენერალური პროკურორი გამოდის და ამბობს, 2 ათასმა კაცმა მომმართა გაუპატიურების ბრალდებითო და მეორე წუთას იგივე პროკურორი აცხადებს, არსებული კადრები უნდა შევინარჩუნოთო... წარმოუდგენელი რამ ხდება.

– ისინი ხსნიან, რატომ ვერ ცვლიან კადრებს მთლიანად...

– ამას ახსნა არ აქვს.

– ისევ რეფერენდუმს რომ დავუბრუნდეთ, თქვენ კი ახსენით, როგორ უნდა განვითარდეს პროცესი ლოგიკურად, მაგრამ არ ფიქრობთ, რომ ამას პოლიტიკური ნებაც სჭირდება? ივანიშვილის პოზიცია ვიცით ამ საკითხთან დაკავშირებით...

– როგორ შეუშლის ხელს? მაშინ უნდა გამოვიდეს და თქვას, რომ თქვენ კი გინდათ რეფერენდუმის ჩატარება, მაგრამ მე არ მინდა და არ ჩავატარებო.

– მაგალითად, შეიძლება თქვენ მიერ შეგროვებულ ხელმოწერებში აღმოჩნდეს შეცდომები, ცდომილებები და არ შეგროვდეს საჭირო რაოდენობა...

– ჩვენც გამოცდილი ადამიანები ვართ. გვესმის, რომ ეს პოლიტიკური ბრძოლაა. ვიცით, როგორ შევაგროვოთ ხელმოწერები. ჯერჯერობით ივანიშვილისთვის წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობას ვერ ვხედავ. გავიმეორებ, ეს არის ხალხში დაგროვილი უკმაყოფილების ცივილიზებული გზით გადაჭრის საშუალება. ყველას უნდა ესმოდეს, რომ ეს უკმაყოფილება არსად არ მიდის. როგორც წესი, გროვდება, იზრდება და ბოლოს ძალიან ცუდი ფორმებით გამოიხატება. თანაც მოულოდნელად. აუცილებელი არ არის ქუჩაში გამოვარდნები...

– რა ფორმებს გულისხმობთ?

– არავინ ელოდა თავის დროზე, რომ გია გაჩეჩილაძე საკანში შევარდებოდა, მაგრამ შევარდა და ამან მთლიანად შეცვალა პოლიტიკური სიტუაცია. არავინ ელოდა, რომ „სახალხო კრება“ დაიწყებდა მოძრაობას და ეს ბევრისთვის მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნას ჰგავდა... არავინ ელოდა, რომ აღმოჩნდებოდა ჯგუფი, რომელიც ციხეებში შევიდოდა და იქიდან ციხის კადრებს გამოიტანდა. ელოდა ვინმე ამ შედეგებს? ეს ყველაფერი ხომ გავაკეთეთ? ეს გზა ნახა ხელისუფლებამ... თუ იქნება ხელშეშლა, ბუნებრივია, ჩვენ ამას ნებისმიერ საერთაშორისო სასამართლოში გავასაჩივრებთ. ეს იქნება ავტორიტარიზმის ლუსტრაცია. რაც შეეხება ხელმოწერების პრობლემას, ჩვენ შევაგროვებთ 300 ათასს, დამოწმებულს ნოტარიუსით, რომ არ გაბედონ და არ თქვან, სამასი ათასიდან ორასი ათასი არ ვარგოდაო. ეს იქნება რევოლუციური მნიშვნელობის საკითხი.

– ფიქრობთ, რომ ახალი პარლამენტი რადიკალურად განსხვავებული იქნება დღევანდელისგან?

– უმრავლესობით ვინ შევა ვადამდელი არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში, ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ. პოლიტიკური ამინდი არის ძალიან ცვალებადი. ამ კოჰაბიტაციას ჩიხში შეჰყავს სიტუაცია და დაანგრევს ქვეყანას. ლუსტრაცია ხდება ყოველდღიურად და ყოველსაათობრივად. მმართველი გუნდი ლეგიტიმაციას კარგავს, მალე სახელმწიფო დაკარგავს ძალიან ლეგალური გამოყენების უნარს, რადგან არ ხდება დამნაშავეების დასჯა. ამის გარდა, კიდევ ბევრი სხვა პრობლემაა. მმართველი გუნდი არ არის მომართული ქვეყანაში რეფორმების ჩასატარებლად. ინტრიგების გარდა, არავინ არაფერზე ფიქრობს.

„პრემიერის აზრი, რა თქმა უნდა, ანგარიშგასაწევია, მაგრამ ასევე, ანგარიშგასაწევია ხალხის ნება. ამომრჩეველს ეს პარლამენტი, რომელიც ამჟამად არის, არ უნდა და მათ ინტერესებს არ აკმაყოფილებს“

„ახალმა გუნდმა კარგად გადაიბარა არჩევნების გაყალბების მეთოდები. ისინი არც სიებს ცვლიან, არც ცესკოს შემადგენლობას და ახლა უნდათ, ნაციონალების ტექნოლოგიებით მართონ ქვეყანა. არ გამოუვათ“

„ახალ პრეზიდენტს საშუალება ექნება, გამოავლინოს, რომ ის ნამდვილად დემოკრატი მმართველია და არა ავტორიტარი“

EXCLUSIVE

„არავინ ელოდა, რომ აღმოჩნდებოდა ჯგუფი, რომელიც ციხეებში შევიდოდა და იქიდან ციხის კადრებს გამოიტანდა. ელოდა ვინმე ამ შედეგებს? ეს ყველაფერი ხომ გავაკეთეთ?“

„უმრავლესობით ვინ შევა ვადამდელი არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში, ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ. პოლიტიკური ამინდი არის ძალიან ცვალებადი. ამ კოჰაბიტაციას ჩიხში შეჰყავს სიტუაცია და დაანგრევს ქვეყანას“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გაუხმაურებელი სკანდალი ალასანიას უწყებაში

my View
მირიან ბოძოლიშვილი

რატომ დაიჭირეს სამხედრო პოლიციის მაღალჩინოსანი და რატომ გადაიყვანეს კადრების განკარგულებაში სერგო ჩაჩიბაია?

„სამხედრო დაზვერვაში დაინიშნა ირაკლი ალასანიას ალალი ბიძაშვილი, ვინმე ყუფუნია“

EXCLUSIVE

თავდაცვის სამინისტროში ეს ფაქტი ამ დრომდე არ გაუხმაურებიათ... როგორც ჩანს, ალასანიას უწყებაში მორიგ ხმაურს მოერიდნენ, თუმცა „პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა იმ საკადრო პოლიტიკის შესახებ, რომელსაც უკვე შეეწირა სამხედრო პოლიციის რამდენიმე მაღალჩინოსანი. „პრაიმტაიმთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების ყოფილი მთავარი სერჟანტი, ალეკო გორგაძე იმ კორუფციულ სქემაზე საუბრობს, რომელსაც თავდაცვის უწყებაში კადრების დანიშვნისას აქვს ადგილი. თავად გორგაძეს ამჟამად თავდაცვის ყოფილ მინისტრ ბაჩო ახალაიასთან ერთად, ე.წ. სენაკის ეპიზოდში ასამართლებენ და ჯარისკაცებისთვის თავისუფლების უკანონო აღკვეთაში ადანაშაულებენ. ამბობს, რომ მისი საქმის „შეკერვას“ პირადად სამხედრო პოლიციის უფროსის მოადგილე, სერგო ჩაჩიბაია ხელმძღვანელობდა, რომელიც ცოტა ხნის წინ თავადვე გაეხვია სკანდალში და კადრების განკარგულებაში გადაიყვანეს. რა ინფორმაციას ფლობს თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსანი და რა ხდება რეალურად სამხედრო პოლიციაში? „პრაიმტაიმი“ ალეკო გორგაძეს ესაუბრა:

– პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ ბრალდებები, რომელიც მე წამიყენეს, ვითომ ვიღაც ჯარისკაცებს აღვუკვეთე თავისუფლება და გადავამეტე უფლებამოსილებას, არის სრული აბსურდი. ჩემს წინააღმდეგ საქმის „შეკერვა“ უშუალოდ აიღეს თავის თავზე სამხედრო პოლიციის უფროსის მოადგილემ, სერგო ჩაჩიბაიამ და მისმა გარემოცვამ, კერძოდ, ვინმე კალანდიამ და ცაავამ. ეს პირები უშუალოდ ამუშავებენ მოწმეებს. დაშინებისა და წარსულში ჩადენილი დანაშაულების ამოქექვით ცდილობენ, ჩვენს წინააღმდეგ რაიმე ჩვენება მიაცემინონ. ეს სამივე პიროვნება თავად არის ნასამართლევი და თანაც საკმაოდ მძიმე ბრალდებით. ეს მოხდა 2004 წელს, მათ ბრალი წაუყენეს არასრულწლოვნის წამებისთვის, რომელიც დანაშაულის აღიარების მიზნით დენზეც კი შეაერთეს. ამის შემდეგ მათ თავდაცვის სისტემასთან შეხება არ ჰქონიათ, თუმცა ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ისინი თავდაცვის უწყებაში საკმაოდ მაღალ თანამდებობებზე დასაქმდნენ. როგორც ჩანს, მათ ამჯერადაც განაგრძეს უკანონო საქმიანობა. მე მაქვს ძალიან ბევრი ინფორმაცია თვითონ უწყების შიგნიდან. შემიძლია, სანდო წყაროზე დაყრდნობით მოგაწოდოთ ერთი ინფორმაცია, რომელსაც თავად სამინისტრო არ ახმაურებს. უბრალოდ მე იმ პირის ვინაობას არ დავასახელებ ვინც ეს ინფორმაცია მომანოდა, რადგან მას სერიოზული პრობლემები შეექმნება.

– გასაგებია... რა ინფორმაციაზეა საუბარი?

– საუბარია იმაზე, რომ სამსახურში მოწყობა ხდება გარკვეული თანხის საფასურად. სერგო ჩაჩიბაიამ სამხედრო პოლიციიდან უამრავი პროფესიონალი გაათავისუფლა, მათ ადგილზე მიიყვანა თავისი ხალხი, ოღონდ იმ პირობით რომ ხელფასის 50 პროცენტი მისთვის უნდა გადაეხადათ. ეს საქმე გასკდა, როგორც ჩანს, საქმეც აღიძრა, თუმცა დაიჭირეს მხოლოდ ვინმე მალხაზ ბოხუა, სერგო ჩაჩიბაია თანამდებობიდან მოხსნეს და კადრების განკარგულებაში გადაიყვანეს. როგორც გავიგე, ცოტა ხნის წინ ჩაჩიბაია უწყებაში აღადგინეს, ერთ-ერთი სამმართველოს უფროსის პოსტზე.

– ანუ ქრთამის სანაცვლოდ ხდებოდა დასაქმება სამხედრო პოლიციაში?

– დიახ, საუბარია იმაზე, რომ ხელფასიდან ყოველთვიურად მიეცათ მათთვის 50 პროცენტი. გარდა ამისა, საკმაოდ აქტუალური პრობლემაა ნაცნობობით თანამდებობებზე დანიშვნა და პროტექციონიზმი. მაგალითად, სამხედრო დაზვერვაში დაინიშნა ირაკლი ალასანიას ალალი ბიძაშვილი, ვინმე ყუფუნია. კიდევ უფრო საინტერესოა ერთი ფაქტი, რომლითაც პირადად მე გაოცებული დავრჩი.

– კონკრეტულად?

– გაერთიანებული შტაბის უფროსის მოადგილის, ვახტანგ კაპანაძის 21 წლის ქალიშვილი დაინიშნა არარსებული რეაბილიტაციის ცენტრის ხელმძღვანელად. ასეთი ცენტრი თავდაცვის უწყებაში საერთოდ არ არსებობს და შტატი ხელოვნურად შეიქმნა. კიდევ უფრო საინტერესო გახლავთ ის, რომ დანიშვნისთანავე ეს გოგონა თავდაცვის სამინისტროს ხარჯებით აშშ-ში გაემგზავრა სასწავლებლად. ეს ფაქტები სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ შესაბამისი ორგანოები დაინტერესდნენ. თქვენი გაზეთის მეშვეობით მინდა მივმართო თავდაცვის საბჭოს, რომელიც გულმოდგინედ იძიებდა ჯავშანჟილეტების საკითხს. დაინტერესდით ამ საქმეებით, დაინტერესდით, რეალურად რა ხდება შეიარაღებულ ძალებში. აუცილებელია, ამ ყველაფერზე დროული რეაგირება მოხდეს. დღეს თავდაცვის სამინისტრო ამ ყველაფერზე ხმამაღლა არ საუბრობს, თუმცა 14 წელია, ამ სფეროში ვარ და შემიძლია, დაგარწმუნოთ, რომ არაფერი იმალება. მერწმუნეთ, ბათუმის ბაზაზე რამე რომ მოხდეს, ეს ამბავი ზუსტად ნახევარ საათში იქნება ცნობილი ვაზიანის ბაზისთვის.

„ჩემს წინააღმდეგ საქმის „შეკერვა“ უშუალოდ აიღეს თავის თავზე სამხედრო პოლიციის უფროსის მოადგილემ, სერგო ჩაჩიბაიამ და მისმა გარემოცვამ, კერძოდ, ვინმე კალანდიამ და ცაავამ“

P.S. „პრაიმტაიმი“ სამხედრო პოლიციაში არსებულ ვითარებასა და სერგო ჩაჩიბაიას თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ თავდაცვის სამინისტროს დაუკავშირდა. უწყების პრესსამსახურის უფროსის, ლევან ჯორბენაძის განცხადებით, სერგო ჩაჩიბაია დაკავებულ თანამდებობაზე აღარ არის, მაგრამ უწყებაში რჩება.

ლევან ჯორბენაძე: „სერგო ჩაჩიბაია, უბრალოდ, აღარ არის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, თუმცა ის რჩება თავდაცვის სამინისტროში. რა თანამდებობას დაიკავებს მომავალში, ვერ გეტყვით... რაც შეეხება მალხაზ ბოხუას, მის საქმესთან დაკავშირებით სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა განმარტება უკვე გააკეთა და შეგიძლიათ, იმით იხელმძღვანელოთ“.

თავდაცვის სამინისტროში ბოხუასთან დაკავშირებით შემდეგი განმარტება გაკეთდა:

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის გამოძიების მთავარი სამმართველოსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ ერთობლივად გატარებული ღონისძიებების შედეგად, დაკავებულია სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის ყოფილი მოადგილე, პოლკოვნიკი მალხაზ ბოხუა.

სამხედრო პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსანი მხილებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. მალხაზ ბოხუას ბრალი ედება 2012 წლის იანვარ-აგვისტოში, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფთან ერთად, მართლსაწინააღმდეგოდ ქმედებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის სპეცსახსრებისთვის გამოყოფილი დიდი ოდენობით – 500 000 ლარზე მეტი თანხის მითვისებასა და გაფლანგვაში. მალხაზ ბოხუა ამჟამად დაკავებულია. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება“.

სახმელეთო ჯარების მთავარი სერჟანტი „პრაიმტაიმს“ თავდაცვის უწყებაში არსებულ კორუფციულ სქემას უშიფრავს

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

შეძლებენ თუ არა არ
ერთი კანდიდატის ირ

გიორგი გუგავა: „ჩვენი მომავლისთვის, ჩვენი ქვეყნის გაღარჩენისთვის ერთადერთი გზა არსებობს და ეს არის შალვა ნათელაშვილი“

my View

ხათუნა მგალობლიშვილი

აპრილში ჩატარებულ შუალედურ არჩევნებში არასაპარლამენტო ოპოზიციამ, ჯამში, 49% აიღო. მაშინ, როდესაც „ოცნების“ კანდიდატმა – 39% და ნაციონალებმა – 15%. არასაპარლამენტოებმა გამარჯვება მარტო იმიტომ დაკარგეს, რომ საკუთარი ამბიციები ვერ დათმეს. მიუხედავად იმისა, რომ მოწოდებები გაერთიანების აუცილებლობაზე თითქმის მთელი საარჩევნო მარათონის დროს ისმოდა, შემხვედრი ნაბიჯი ერთმანეთისკენ არავის გადაუდგამს.

ეს არ ყოფილა პირველი შეცდომა, შედეგი რომ არ სცოდნოდათ, ან ვერ გაეთვალათ. ნებისმიერი ტიპის ოპოზიცია ამ გზას გადის და არათუ სხვის, საკუთარ შეცდომებზეც ვერ სწავლობს. ახლა ისინი არჩევანის წინაშე დგანან: ან გაერთიანდებიან საკუთარი ამბიციების დათმობის ხარჯზე, ან მინიმუმ ოთხი წლის განმავლობაში მოუწევთ, ისმინონ ხელისუფლებისგან, რომ „ოცნებას“, ნაციონალების გარდა, უბრალოდ, არ ჰყავს ოპონენტი და პარლამენტსგარეთ დარჩენილი პარტიები ნულოვანი რეიტინგის მქონენი არიან...

კახი კახიშვილი, ექსპერტი:

– საერთოდ, საპრეზიდენტო არჩევნებს აქვს ძალიან სტრატეგიული მნიშვნელობა. ყველამ ვიცით, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ პრიორიტეტული საკითხი ამ არჩევნებში მეორე ადგილის დაფიქსირებაა. თუ ის ამას შეძლებს, მერე ნახეთ კოჰაბიტაციის მოთხოვნა და მათი წევრების დაბარებები დაკითხვებზე. აქ არის მეორე მომენტიც. „ოცნებას“ აწყობს ასეთი დისკრედიტებული ოპოზიცია ოპონენტად. ეს კი ქვეყნისთვის კარგი არ არის. ამ ორ პოლიტიკურ სუბიექტს მთლიანად აქვს ოკუპირებული სივრცე, როგორც პოლიტიკაში, ასევე მედიაში. არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი: რა აწყობს საზოგადოებას? საზოგადოების ინტერესში შედის სწორედ ის, რომ ამ ხელისუფლებას ძლიერი ოპონირება გაუწიოს ასევე ძლიერმა ოპოზიციურმა ძალამ, რომ გამუდმებით არ მოუწიოს „სამ დურაკ“-ის პრინციპის გამოყენება. ამ მხრივ, არასაპარლამენტო ოპოზიციის გაერთიანებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ არასაპარლამენტოები საპრეზიდენტო არჩევნებზე მეორე ადგილს დააფიქსირებენ, მაშინ მალე გარდაუვალი იქნება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები.

– მალე – რამდენ ხანში?

– შეიძლება ერთ წელიწადში, ან რამდენიმე თვეში. ასეთ შემთხვევაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება, რა პირობებში ჩატარდება ეს არჩევნები, რადგან დღევანდელი უმრავლესობა, თავის დროზე, როცა ოპოზიციაში იყო, გამუდმებით აკრიტიკებდა ხელისუფლებას, საარჩევნო სისტემის, სიების, საარჩევნო კოდექსის გაუმართაობის გამო.

– არასაპარლამენტოებს აქვთ შანსი, მეორე ადგილი დაიკავონ?

– ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორ მოახერხებენ ერთი პერსონის გარშემო შემოკრებას. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ძალიან ბევრი პარტია და მათი ლიდერი ისე მონაწილეობს არჩევნებში, რომ ამომრჩეველს კი არა, მათი ოჯახის წევრებსაც კი არ სჯერათ გამარჯვების. ასეთი ძალიან ბევრია. ასეთმა კანდიდატებმა დამოუკიდებლად უნდა იგრძნონ ის პასუხისმგებლობა, რაც ამჯერად მათ აკისრიათ.

– კუკავამ გააკეთა შეთავაზება მათი მისამართით, რომ ერთი კანდიდატის ირგვლივ გაერთიანდნენ...

– „ოცნებასაც“ და ნაციონალებსაც თავისი ამომრჩეველი ჰყავს, რომლებიც სხვას არავითარ შემთხვევაში არ მისცემენ ხმას. არის ამომრჩეველთა საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელსაც არც ერთი კანდიდატი არ მოსწონს. ასეთი ამომრჩეველი სწორედ ამ ფლანგში დაიწყებს სასურველი კანდიდატის ძიებას. ამ ადამიანების ხმები აუცილებლად გაიხლიჩება, ვთქვათ, ნინო ბურჯანაძის, ნესტან კირთაძის, სალომე ზურაბიშვილისა და კიდევ სხვა კანდიდატებს შორის. ვიღაცა 3%-ს აიღებს, ვიღაც – ბევრად ნაკლებს, ან ოდნავ მეტს, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ ეს გახდება ნაციონალების მეორე ადგილზე გასვლის მიზეზი. თუ არასაპარლამენტო ოპოზიცია არ გაერთიანდება, მაშინ ნაციონალები თუნდაც მინიმალური პროცენტით, მაგრამ მაინც დაფიქსირდებიან მეორე ძალად. ძლიერი ახლა სწორედ ის იქნება, ვინც საკუთარი ამბიციების დაძლევასა და ერთიანი კანდიდატის ირგვლივ გაერთიანებას მოახერხებს. თუ ასე მოხდება, შესაძლებელია მეორე ტურიც კი ვიხილოთ საპრეზიდენტო არჩევნებზე.

„ყველამ ვიცით, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ პრიორიტეტული საკითხი ამ არჩევნებში მეორე ადგილის დაფიქსირებაა“

– მაგრამ, ვთქვათ, ბურჯანაძეს რა უნდა შესთავაზონ, რომ დათმოს საკუთარი ამბიციები? მით უფრო ნათელაშვილი უკვე იძახის, აქეთ შემომიერთდითო...

– სწორედ ასეთმა საუბრებმა დაღუპეს. კარგად მახსოვს, სულ ასე იყო, მე შენთან არ მოვალ, ეგღა მაკლია, შენ შემოგიერთდე, აქეთ მოდი, თუ კარგია და ასე შემდეგ. სწორედ ამიტომაც იყო მიშა სააკაშვილი ხელისუფლებაში ცხრა წლის განმავლობაში. ვამბობთ, რომ მიშას მმართველობა იყო ძალიან ხისტი, რეალურად კი ეს ყველაფერი სწორედ ოპოზიციის უუნარობით იყო განპირობებული. სწორედ მათ მისცეს სააკაშვილს გაძლიერების საშუალება და ყოველი დაშვებული შეცდომა სააკაშვილის სასარგებლოდ მიემართებოდა. ოპოზიციის შეცდომები კი საკმაოდ ბევრი იყო. ახლაც იგივე გრძელდება. ვფიქრობ, არის მომენტები, როცა კარგად უნდა გააანალიზო საკუთარი შესაძლებლობები. იმის მაგივრად, რომ ათი დღის განმავლობაში ტელევიზორში გამოჩნდე, ისიც ეპიზოდურად, სჯობია, იფიქრო მომავალ განვითარებაზე. ერთი მხრივ, ჩვენ ვიცით, რომ დღევანდელი პარლამენტი არ ასახავს საზოგადოების ინტერესს და ფაქტია, რომ ასე კიდევ ოთხი წელი ვერ გაგრძელდება.

– პრაიმერის ჩატარებაც დასახელდა გამოსავლად, მაგრამ ყველა თავად მოითხოვს პრაიმერის ჩატარებას, სადაც, ბუნებრივია, თავადვე იქნება გამარჯვებული.

– ჩამოიყვანონ საზღვარგარეთიდან სპეციალური ჯგუფი, ბოლოს და ბოლოს, და დაადგინონ, ვინ არის რეალურად რეიტინგული და ამის შემდეგ გადაწყვიტონ, ვის ირგვლივ გაერთიანდებიან. არა მგონია,

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

...ასაპარლამენტოები გვლივ გაერთიანებას

კახა კუკავა: „ვინ იქნება ერთიანი კანდიდატურა, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, შედეგი ვაჩვენოთ“

რომელიმე პარტიის ლიდერის ინტერესებში შედიოდეს თუნდაც 3%-იანი რეიტინგის დაფიქსირება. მით უმეტეს ბურჯანაძეს, რომელიც პრეზიდენტობისთვის ემზადება, მეეჭვება, უნდოდეს, 3% დაუფიქსირდეს. მათი გაერთიანება ვალდებულება უფროა. ეს არის საზოგადოების მოთხოვნა.

რამდენად ესმით საზოგადოების მოთხოვნა პოლიტიკოსებს, ეს დღემდე უცნობია. ისინი უფრო მეტად თვითგადარჩენის ინსტინქტებით მოქმედებენ. მაგალითად, შალვა ნათელაშვილს, უბრალოდ, ვერ წარმოუდგენია, რის სანაცვლოდ უნდა დათმოს საკუთარი კანდიდატურა. თუმცა ეს სულაც არ უშლის ხელს არც მას და არც მის თანაგუნდელებს, ლეიბორისტები ერთადერთ რეალურ ოპოზიციურ ძალად დაასახელონ.

გიორგი გუგავა, „ლეიბორისტული პარტიის“ წევრი:

– შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, რომ ჩვენ შეგვიძლია, დავიწყოთ კონსულტაციები ერთიანი ეროვნული მთავრობის ჩამოყალიბებაზე. ამ მხრივ, დღეს შალვა ნათელაშვილი უალტერნატივოა. ამას ამტკიცებს მისი განვლილი გზა, მისი შეუვალობა და მტკიცე ხასიათი. მას არ უღალატია ქვეყნის ინტერესებისთვის, მიუხედავად ბევრი კონიუნქტურისა. 2003 წელს ჩვენ ერთადერთი ძალა ვიყავით, რომელიც სააკაშვილის რეჟიმის ხელისუფლებაში მოსვლას შეეწინააღმდეგა. ჩვენ დავზარალდით, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მართლები აღმოვჩნდით. იგივე შემიძლია ვთქვა 2012 წლის ოქტომბერზეც. ერთადერთი ვიყავით, ვინც რეალურად დავუპირისპირდით ივანიშვილს და განვაცხადეთ, რომ „ქართული ოცნება“ არაფრით არ განსხვავდებოდა ნაციონალებისგან. ჩვენი სიმართლე რამდენიმე თვეში დამტკიცდა. ამ გაგებით ნათელაშვილი უალტერნატივოა. ჩვენი მომავლისთვის, ჩვენი ქვეყნის გადარჩენისთვის ერთადერთი გზა არსებობს და ეს არის შალვა ნათელაშვილი.

– ანუ ამ თემაზე კონსულტაციები გამორიცხულია?

– ჩვენ მზად ვართ ნამდვილ ოპოზიციასთან კონსულტაციებისთვის. თუმცა ნამდვილ ოპოზიციასთან და არა იმ ნაწილთან, ვის დასმასაც ივანიშვილი აპირებს ხელოვნურად. ჩვენ მზად ვართ, ერთიანი ფრონტით გავიდეთ ამ არჩევნებზე და შესაძლებელია, მარგველაშვილიც კი დავამარცხოთ.

ნათელაშვილი, ამ მხრივ, საერთოდ არ პროგრესირდა. ასეთი იყო წლების წინათ და ასეთივეა დღესაც. სწორედ ამიტომაც მის მიმართ ყოველთვის იყო ეჭვები, კითხვები და ხანდახან მტკიცებულებებიც, რომ ის არჩევნებს როგორც მომგებიან ბიზნესს, ისე უყურებს. ყიდის საკუთარ სახელსა და გვარს იმისთვის, რომ ვიღაცას ხმები წაართვას ან ვიღაც უკან დახიოს...

კახა კუკავა, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი:

– შალვა ნათელაშვილზე ყოველთვის მახსენდება ის ეჭვები, რომ ის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა და ყოველთვის მიდიოდა წაგებულ არჩევნებში. 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში, მაგალითად, შალვა ნათელაშვილმა უშუალოდ ვანო მერაბიშვილის დავალებით დაყენა საკუთარი კანდიდატურა, იმიტომ რომ ლევან გაჩეჩილაძისთვის ხმები წაერთმია. სხვათა შორის, ეს მისივე პარტიის წევრებმა დაადასტურეს, რომლებმაც „ლეიბორისტული პარტია“ სწორედ ამიტომ დატოვეს. მათ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ნათელაშვილი სააკაშვილის ხელისუფლებასთან თანამშრომლობდა და ახლაც სიამოვნებით ითანამშრომლებდა ივანიშვილის ხელისუფლებასთან. არაფერი რთული არ არის ამ ლოგიკაში. ნათელაშვილმა სულ 4% აიღო შუალედურ არჩევნებში და ფაქტია, რომ ამ 4%-ით ის ვერ გახდება პრეზიდენტი. მაგრამ საერთო კანდიდატისთვის ეს 4% შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს. „ოცნებას“ რომ სერიოზული ოპონენტი არ ჰყავდეს, ამისთვის დააყენებინებენ კანდიდატურებს სხვადასხვა პარტიებს და გაუყოფენ ხმებს. სავარაუდოდ, ივანიშვილი ასეთ პარტიებს თავადვე მისცემს დაფინანსებას და ისინიც „გმირულად“ აიღებენ 3%. წაგებული არჩევნების შემდეგ კი იტყვიან, რომ არჩევნები გაყალბდა.

– თქვენზეც ითქვა, რომ ბოლო მომენტში დააყენებთ კანდიდატად საკუთარ თავს...

– მე არ განვიხილავ ამ შესაძლებლობას, არ დავაყენებ საკუთარ კანდიდატურას ერთიანი კანდიდატის საწინააღმდეგოდ. ჩვენ გვაქვს კონსულტაციები, პროცესში მინიმუმ ხუთი ოპოზიციური პარტიაა ჩართული და ჩვენ, სავარაუდოდ, ერთ კანდიდატზე შევთანხმდებით. ვინ იქნება ეს ერთიანი კანდიდატურა, ამას დიდი მნიშვნელობა ჩემთვის არ აქვს. მთავარია, რომ შედეგი ვაჩვენოთ.

– თქვენთვის შეიძლება არ არის მნიშვნელოვანი, მაგრამ ბურჯანაძეს რა უნდა შესთავაზოთ ისეთი, რომ მან საკუთარი კანდიდატურა მოხსნას ერთიანი კანდიდატის სასარგებლოდ?

– მართალი გითხრათ, საერთოდ არ მესმის ასეთი ლოგიკის, ვერ ვხვდები, რაში ხედავენ 3%-ის „მუღამს“. 3%-ს რომ აიღებ, რა, უფრო დიდი პოლიტიკოსი გახდები, თუ რა მოხდება? თუ ადამიანს პრეზიდენტობის შანსი აქვს, პრაიმერი ხომ უფრო ადვილად უნდა მოიგოს? როცა პრაიმერის გეშინია და მასში მონაწილეობაზე უარს აცხადებ, უკვე ჩანს, რა შანსები გაქვს საპრეზიდენტო მარათონში.

–კონსულტაციების დროს, ალბათ, მიმდინარეობს საუბრები იმაზეც, ვის რა ინტერესები აქვს და რომელი თანამდებობების მიმართ?

– თანამდებობების გადანაწილებაზე საუბარი ნამდვილად არ მიმდინარეობს, იქიდან გამომდინარე, რომ პრეზიდენტი შეზღუდული ფუნქციებით იქნება. თანამდებობებზე ვაჭრობა ქართულ პოლიტიკაში მიღებული თემაა, თორემ, ზოგადად, ეს არ არის გადამწყვეტი საკითხი. რა თქმა უნდა, ევროპაში, როცა კოალიციები იქმნება, თანამდებობები ნაწილდება, მაგრამ არა პერსონალურ დონეზე. ანდა რომ შეჰპირდე ვინმეს რაიმე თანამდებობას, მერე ვერ მოატყუებ თუ რა? მე პირადად, თუ მხარს დავუჭერ პრეზიდენტობის კანდიდატს, საერთოდ თავშიც კი არ მომივა, მოვითხოვო რაიმე თანამდებობა. ან რაზე უნდა დამნიშნონ? უშიშროების საბჭოში მეორე განყოფილების უფროსად?

ამ საკითხზე საუბრისას კუკავას ადგილას ბევრ კითხვას საერთოდ არ დასვამდა ნინო ბურჯანაძე. მან ზუსტად იცის, რა ან რამდენი უნდა. ექსპერტ კახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ბურჯანაძეს ურჩევნია, წინასაარჩევნო პერიოდში, თუნდაც ათი დღის განმავლობაში მეორეხარისხოვან გადაცემებში, ისიც ეპიზოდურად, გამოჩნდეს, ოღონდ პრეზიდენტობის კანდიდატად დასახელდეს.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ბიოპლანით თბილისში ახალგაზრდა ბიჭი გარდაიცვალა

ერეკლე სტურუა

როგორც ცნობილია, პარლამენტში ნარკოკანონმდებლობის ლიბერალიზაციაზე უკვე აქტიურად ალაპარაკდნენ, საზოგადოების ნაწილი კი მარიხუანას დეკრიმინალიზაციას მოითხოვს. სანამ საკანონმდებლო ორგანო ამ ცვლილებებს განახორციელებს, შავ ბაზარზე საკმაოდ მოიკიდა ფეხი ე.წ. ბიოპლანმა, რომელსაც ქართველი მომხმარებლები ძირითადად ინტერნეტის საშუალებით იწერენ.

„პრაიმტაიმისთვის“ ცნობილი გახდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ბიოპლანის მოწევის შედეგად ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა, მათ შორის იყო ფატალური შედეგიც. დაახლოებით 25 წლის ახალგაზრდა რამდენიმე დღის წინ პლეხანოვზე სწორედ ბიოპლანის მოწევის შემდეგ გარდაიცვალა. გარდაცვლილის ვინაობას ჩვენ შეგნებულად არ ვასახელებთ, თუმცა, როგორც სტაციონარში განგვიმარტეს, ახალგაზრდას ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების ნიშნები აღენიშნებოდა. ნივთიერება იმდენად მძიმე აღმოჩნდა, რომ პაციენტის გადარჩენა ვერ მოხერხდა. ბიოპლანის მოწევის შედეგად განვითარებული პირველი სიმპტომი კრიჭის შეკვრა და ჰაერის უკმარისობა გახლავთ. სოციალურ ქსელებში სხვადასხვა მომხმარებლები წერენ, რომ მსგავსი შემთხვევები ბოლო პერიოდში საკმაოდ გახშირდა, რადგან ინტერნეტის საშუალებით ამ ნარკოტიკული ნივთიერების გამოწერა ვერ კონტროლდება.

საქართველოში საკმაოდ მომრავლდა ინტერნეტსაიტები, რომელთა საშუალებითაც ახალგაზრდები პლანს იწერენ, დაფასოებული ნივთიერება პირდაპირ მითითებულ მისამართზე მიდის. ყველაზე მთავარი კი აქ ის არის, რომ ინტერნეტ-პლანი არასრულწლოვნებისთვისაც ხელმისაწვდომია. ანუ ინტერნეტი არ აკონტროლებს, რამდენი წლის მოზარდი აკეთებს შეკვეთას. ის ნებისმიერ შემთხვევაში მივა მითითებულ მისამართზე, სულ რაღაც, რამდენიმე დღეში.

პლანის სახეობა ბევრნაირია. მიახლოებითი წარმოდგენისთვის ისინი დაახლოებით „M&M“-ის ზომის პაკეტშია მოთავსებული და მისი საშუალო ღირებულება 50 ლარია. ანუ ნებისმიერი ახალგაზრდა 50 ლარით შეძლებს, იყიდოს 1 გრამი ნივთიერება, რომლისგანაც დაახლოებით 8-10 ღერი სიგარეტი კეთდება და მოწევისას ზუსტად იგივე ეფექტს ახდენს, როგორიც ძლიერ პლანს აქვს. როგორც ბიოპლანის რამდენიმე მომხმარებელი ანონიმურობის გარანტიით გვიყვება, საქართველოში ეს ნივთიერება უხარისხო იგზავნება და, სავარაუდოდ, სწორედ ამას უკავშირდება შემდგომი პრობლემები, მათ შორის ფატალური შედეგებიც.

ბიოპლანს სინთეტიკურ ნარკოტიკსაც ეძახიან. მცენარეული მასაა, რომელიც ბიოლოგიურად არის დამუშავებული. პაკეტებს გარეკანზე სხვადასხვა სახის ნახატები აქვს. ზოგს „რიჟიკა“ ახატია და ეს იმას ნიშნავს, რომ მოწევის შემთხვევაში ეიფორიულ სიცილს იწვევს. ზოგიერთ მათგანს ჩონჩხი ახატია, რაც „მოსაწევის“ სიძლიერეზე მიუთითებს. ე.წ. ბიოპლანი ძირითადად ამერიკიდან შემოდის. ბუნებრივია, მოზარდის ჯანმრთელობაზე მსგავსი ნივთიერებები სერიოზულ უარყოფით გავლენას ახდენს. თუმცა აღნიშნული „მოსაწევის“ „დადებითი“ მხარე ის არის, რომ ნარკოლოგიური შემოწმების შემთხვევაში ის არ ფიქსირდება. ანუ თუ ნებისმიერი სხვა „პლანი“ ორგანიზმში დაახლოებით ათი დღე რჩება და მისი დაფიქსირება მოხმარებიდან მეათე დღესაც კი შესაძლებელია, ამ შემთხვევაში ტესტი დადებით ჩვენებას ახალმიღებულზეც კი არ იძლევა. ცნობილია, რომ ინტერნეტსერვისით საკმაოდ ბევრი ახალგაზრდა სარგებლობს.

ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ „ᲛᲝᲡᲐᲬᲔᲕᲘᲡ“ „ᲓᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘ“ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲜᲐᲠᲙᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲘᲡ ᲐᲠ ᲤᲘᲥᲡᲘᲠᲓᲔᲑᲐ

რომელი პარტიები

my View

ᲮᲐᲗᲣᲜᲐ ᲛᲒᲐᲚᲝᲑᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

არასაპარლამენტო ოპოზიცია ივანიშვილის პირობებში თავს განსაკუთრებით დაჩაგრულად გრძნობს. ცვლილებებს კანონპროექტში პარტიების დაფინანსების შესახებ პირად ანგარიშსწორებად აფასებენ და მიიჩნევენ, რომ ახალი ხელისუფლება ერთადერთ დაპირებას ასრულებს – შუას კრეფს...

კახა კუკავა, ჯონდი ბაღათურია, შალვა ნათელაშვილი, ნინო ბურჯანაძე – ყველა მათგანის დაფინანსება ნული ლარი და ნული თეთრი გახდება იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტი ცვლილებებს დაამტკიცებს.

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი, კახა კუკავა გულწრფელად აღიარებს, რომ სიტუაცია ბევრად უფრო გართულდა, ვიდრე ეს საკაშვილის ხელისუფლების დროს იყო. შედეგად კი იგივე კუკავას პარტია ოფისებს ოფისებზე ხურავს და მიმდინარე ხელფასებსაც ვეღარ არიგებს.

მოქმედი კანონმდებლობით საბიუჯეტო დაფინანსებას იღებს ყველა კვალიფიციური პოლიტიკური პარტია. ანუ ყველა ის პარტია, რომელმაც 2010 წლის თვითმმართველობისა და 2013 წლის საპარლამენტო არჩევნებზე 4% და 5% ბარიერი გადალახა. მათი წლიური დაფინანსება 150 ათას ლარს შეადგენდა. თუმცა ეს თანხა იზრდებოდა იმის მიხედვით, რა შედეგი დადო არჩევნებში ამა თუ იმ პარტიამ, რამდენი ხმა მიიღო, რამდენი დეპუტატი შეიყვანა, რამდენი ქალბატონი ჰყავს სიაში... ამ დათვლების მიხედვით, მაგალითად, ქრისტიან-დემოკრატები წლიურად 221 236 ლარს იღებდნენ, ახალი მემარჯვენეები – 147 073 ლარს, პაატა დავითაიას პარტია კი – 229 156 ლარს. თამაშგარეთ და დაფინანსების გარეშე იყვნენ დანარჩენი არასაპარლამენტოები.

ინტერფრაქციული ჯგუფის მიერ მომზადებული ცვლილებების შედეგად, 150-ათასიანი დაფინანსება კვალიფიციური პარტიებისთვის ორმაგდება. ანუ ისინი 300 ათასს მიიღებენ. თანაც არა 4%-იანი ბარიერის გადალახვის შემდეგ – ფინანსური მხარდაჭერისთვის 3%-ც საკმარისი იქნება. ხოლო იმ პარტიებს, რომლებიც არჩევნებში 8%-ს გადალახავენ, ეს 300 ათასიც გაუორმაგდებათ და სანაცვლოდ 600 ათასს მიიღებენ. თუმცა საუბარია, რომ 8%-იანი ბარიერიც 6%-მდე დაიწევს...

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ: „ᲔᲡᲔᲜᲘ ᲒᲕᲔᲣᲑᲜᲔᲑᲘᲐᲜ, ᲐᲮᲚᲐᲕᲔ, ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲛᲝᲒᲕᲔᲪᲘᲗᲝᲗ ᲓᲐ ᲠᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲖᲔ ᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ ᲐᲛᲐᲡ, ᲕᲔᲠ ᲒᲕᲔᲣᲑᲜᲔᲑᲘᲐᲜ“

ზაქარია ქუცნაშვილი, საპარლამენტო უმრავლესობის წევრი:

– ჩვენ ვსაუბრობთ, რომ 150-ათასლარიანი საბაზო დაფინანსება გაორმაგდეს და გახდეს 300 ათასი ლარი. 150-ათასლარიანი დაფინანსება თვეში 12-13 ათას ლარს ნიშნავს, რაც საქართველოში ოფისების გახსნაზეც კი არ ჰყოფნის გამარჯვებულ პარტიას. ამაზეა საუბარი.

ოპოზიციის დათვლით „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ ბიუჯეტიდან, ჯამში, 2 მილიონ ლარზე ცოტა მეტს მიიღებენ. საუბარია ასევე დამატებით ბონუსებზეც. მაგალითად, ერთ-ერთი ბოლო ვერსიით, დაფინანსება 300 ათასი ლარით დამატებით გაეზრდებათ იმ საპარლამენტო პარტიებს, რომლებსაც საკანონმდებლო ორგანოში ფრაქციის შექმნა მოახერხეს. მაგალითად, კოალიციაში თავიდან ფორუმელები სულაც არ ჩქარობდნენ ფრაქციის შექმნას. როგორც ჩანს, ამის სტიმული არ ჰქონდათ. თუმცა ბოლოს მაინც იზრუნეს საკუთარ ფინანსურ წყაროებზე...

ფინანსური სარგებლის გარეშე დარჩენილი პარტიების ოფისები კი დახურვის პირასაა...

კახა კუკავა, „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი:

– ჩვენი ოფისი იხურება ამ თვის ბოლოს, 2 ათასი დოლარი უკვე ვალი გვაქვს. გარდა ამისა, მიმდინარე ხელფასები და იჯარის თანხებიც გადასახდელია. იმ კანონით, რომელიც „ოცნებამ“ შემოგვთავაზა და რომელიც რესპუბლიკელებმა მოამზადეს, ჩვენი დაფინანსება შეადგენს ნულ ლარს და ნულ თეთრს. საერთოდ აღარ მივიღებთ დაფინანსებას. თუმცა ეს პრობლემა არ გვაქვს მარტო ჩვენ. იგივე პრობლემის წინაშე დგას ყველა არასაპარლამენტო ოპოზიციური ძალა. ჯონდი ბაღათურია, ნინო ბურჯანაძე, შალვა ნათელაშვილი... ყველას დაფინანსება ექნება ნული ლარი და ნული თეთრი. სამაგიეროდ სატელიტი პარტიების დაფინანსება გაორმაგდება, ასევე, გაორმაგდება მმართველი პარტიების დაფინანსება, რომელიც ისედაც მრავალმილიონიანია. ამ გაორმაგებულ დაფინანსებას კიდევ დაემატება ბონუსები – ისინი, ვისაც აქვთ ფრაქციები, დამატებით დაფინანსებას მიიღებენ.

– ფიქრობთ, რომ ეს მიზანმიმართული ნაბიჯია?

– ეს არის ბიძინა ივანიშვილის

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

რჩებიან დაფინანსების გარეშე

„ჩვენი ოფისი იხურება ამ თვის ბოლოს, 2 ათასი დოლარი უკვე ვალი გვაქვს. გარდა ამისა, მიმდინარე ხელფასები და იჯარის თანხებიც გადასახდელია“

კახა კუკავა: „იმ კანონით, რომელიც „ოცნებამ“ შემოგვთავაზა და რომელიც რესპუბლიკელებმა მოამზადეს, ჩვენი დაფინანსება შეადგენს ნულ ლარს და ნულ თეთრს“

პირდაპირი დავალება, რომ ეროვნული იდეოლოგიის პარტიები ფინანსურად განადგურდნენ.

– რა ბერკეტები გაქვთ იმისთვის, რომ ამ წესების ამოქმედება არ მოხდეს?

– არანაირი საშუალება არ გვაქვს. თუ ინტერვიუს ბოლოში მიაწერთ ჩვენი ანგარიშის ნომერს, მადლობელი დაგრჩებით. ჩვენ მივმართეთ შემომწირველებს თხოვნით, რომ შემოიტანონ თანხა ანგარიშზე. თუ საჭირო რაოდენობა შეგროვდა, მაშინ გადავიხდით იჯარას, თუ არადა, ოფისები დაიხურება. ჩვენ არ ვქმნით ამისგან ტრაგედიას. მოვა დრო, როდესაც თამაშის წესები შეიცვლება. ამ მხრივ, ნამდვილად უარესი სიტუაციაა, ვიდრე ნაციონალების დროს იყო. როგორც ჩანს, ივანიშვილს ეშინია. ის საუბრობს და პირდაპირ ასახელებს, ვის ისურვებდა ოპოზიციად. დანარჩენ ოპოზიციაზე კი მიუთითებს, რომ მოუსპონ დაფინანსების წყაროები. ჩვენ ოპოზიციად არასდროს არ აღგვიქვამდნენ. სააკაშვილი ჩვენზე ამბობდა, რომ ვართ რუსეთის ჯაშუშები, სამაგიეროდ ნამდვილ ოპოზიციურ პარტიად მიაჩნდა გია თორთლაძე. იგივეს აკეთებს ივანიშვილი.

ქუცნაშვილი მათ საპასუხოდ ამბობს, რომ ფინანსების გარეშე დარჩენილ პარტიებს აქვთ ერთი პრობლემა – ისინი ვერ ხვდებიან კვალიფიციურ პარტიათა რიგებში. შესაბამისად, ასეთმა პარტიებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ხედვა, როგორ სურთ, განისაზღვროს კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტი. ასეთ შემთხვევაში ინტერფრაქციული ჯგუფი მზად არის, მათი წინადადებები განიხილოს.

გამოსავლის პოვნის აუცილებლობაზე საუბრობს „სამართლიანი არჩევნების“ წარმომადგენელი ნინო ლომჯარიაც. მისი განცხადებით, ყველაზე მეტად დაფინანსების მიღების წესი ისეთი პარტიებისთვის უნდა გამარტივდეს, რომლებსაც საშუალება არ აქვთ, ფიზიკური და იურიდიული პირებისგან მიიღონ ფინანსური მხარდაჭერა.

ნინო ლომჯარია, „სამართლიანი არჩევნები“:

– მე ვფიქრობ, რომ მთავარი დაფინანსება მაინც უნდა იყოს მიმართული არასაპარლამენტო ოპოზიციისკენ, რადგან რეალურად მათ სჭირდებათ დაფინანსება. პარლამენტში წარმოდგენილ ყველა პარტიას, ასე თუ ისე, აქვს დაფინანსება. განსაკუთრებით მმართველ პარტიასა და ოპოზიციასაც. თუ უკანასკნელ პერიოდს გადავავლებთ თვალს, მათ დაფინანსების პრობლემა არ ჰქონიათ. ამიტომ, თუ სახელმწიფო დაფინანსების ზრდაზეა ლაპარაკი, ალბათ, იმ პარტიებზე უფრო უნდა იყოს აქცენტი, ვისაც ფიზიკური და იურიდიული პირებისგან დაფინანსების მოძიება არ შეუძლიათ და ერთადერთი და გადამწყვეტი წყარო მათთვის შეიძლება სახელმწიფო დაფინანსება იყოს.

ამ საკითხზე თავიანთი შეხედულებები აქვთ ქრისტიან-დემოკრატებს. მათი მოსაზრებით, 300-ათასიანი დაფინანსება უნდა მიიღოს ყველა იმ საარჩევნო სუბიექტმა, რომელმაც ადგილობრივ არჩევნებში გადალახეს – 1%, საპარლამენტო არჩევნებში – 2% და საპრეზიდენტო არჩევნებში – 3%. ასევე, მათი მოთხოვნაა, რომ 500-ათასიანი დაფინანსება მიიღოს პარტიამ, რომელმაც იგივე არჩევნებში 5%-იანი ბარიერი გადალახა. გიორგი თარგამაძის გუნდი 200-ათასიან დაფინანსებას ითხოვს იმ პარტიებისთვის, რომლებმაც 2012 წლის 1-ლი ოქტომბრის არჩევნებში 0,1% აიღო.

დაფინანსების გარეშე დარჩენილი პარტიები გამოსავლის პოვნას თავადვე ცდილობენ. მაგალითად, კახა კუკავა ითხოვს, რომ შუალედურ არჩევნებში დაფიქსირებული შედეგი ჩაეთვალოს და კვალიფიციურ პარტიებს შორის მოხვდეს. თავისი პირობები აქვს ნინო ბურჯანაძესაც. ის ითხოვს, რომ კვალიფიციური სუბიექტის განმსაზღვრელად ითვლებოდეს საპრეზიდენტო არჩევნებიც. გარდა ამისა, ბურჯანაძეს კიდევ ერთი პრეტენზია აქვს. 2012 წლის ოქტომბრის არჩევნებში მან მხარდაჭერა სწორედ ივანიშვილის გუნდს გამოუცხადა და არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო. დღეს კი აცხადებს, რომ „ოცნების“ გამო გამოტოვა არჩევნები, წინააღმდეგ შემთხვევაში 2-3%-ს მეც მივიღებდიო... დაახლოებით იგივე პრეტენზია აქვს ჯონდი ბაღათურიასაც. მან ყველგან მოხსნა საკუთარი კანდიდატურა, საბურთალოს გარდა. ეს „ოცნების“ სასარგებლოდ გავაკეთე, თორემ პროცენტებს მეც გავიზრდიდიო... ყველა ეს წინადადება ივანიშვილის გასაგონად კეთდება. მხარდაჭერის სანაცვლოდ, ურეიტინგო პარტიები მადლიერებას ელიან. ეს მადლიერება კი მათთვის აგვიანებს. ყველა მათგანის პრეტენზიაზე პასუხი აქვს ცვლილებების ინიციატორ პარტიას. დავით ზურაბიშვილის განცხადებით, საკითხის გართულება არ ღირს, პარტიამ უნდა დადოს კონკრეტული შედეგი და დაფინანსებასაც დამსახურებულად მიიღებს...

დავით ზურაბიშვილი, „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი:

– ისინი ითხოვენ იცით, რას? მაგალითად, შუალედურ არჩევნებში კუკავას პარტიამ რომ მიიღო 14%, ეს პარტიას ჩაეთვალოს და ამის მიხედვით მიიღოს დაფინანსებაო. მაგრამ არ არის სწორი, შუალედური არჩევნების შედეგები მიღებული იყოს, როგორც პარტიის რეიტინგი, რადგან კახა კუკავას მაგივრად ყრუაშვილი რომ ყოფილიყო წარდგენილი, დარწმუნებული ვარ, 2%-ს აიღებდა და მეტს ვერა. რაღაც კრიტერიუმებით ხომ უნდა მივცეთ დაფინანსება. მარტო იმიტომ დაგაფინანსო, რომ პარლამენტსგარეთ ხარ, ასე არ ხდება. რაიმე კონკრეტული შედეგი უნდა დადო. თუ რაიმე შედეგი დაიდება, დღევანდელ დაფინანსებაზე მეტს მიიღებენ. ამ დაფინანსების მისაღებად კი სულაც არ სჭირდებათ რაიმე სასწაული შედეგის დადება. ესენი გვეუბნებიან ახლავე, პირდაპირ მოგვეცითო და რის საფუძველზე ითხოვენ, ამას ვერ გვეუბნებიან. იგივე ბურჯანაძის პარტია ითხოვს პრეზიდენტის არჩევნების შედეგებზე დაფინანსების მიღებას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორი გადაწყვეტილება იქნება, რომ თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილე პარტიების შედეგების მიხედვით მოხდეს დაფინანსების მიღება.

„თუ სახელმწიფო დაფინანსების ზრდაზეა ლაპარაკი, ალბათ, იმ პარტიებზე უფრო უნდა იყოს აქცენტი, ვისაც ფიზიკური და იურიდიული პირებისგან დაფინანსების მოძიება არ შეუძლიათ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ

KazTransGas TBILISI

- **გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. გარემოში CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.**
- **უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.**

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:

- **ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;**
- **სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;**
- **გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;**
- **შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.**

დარეკეთ 114-ზე!

- **გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;**
- **ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.**

კატეგორიულად აკრძალულია!

- **საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);**
- **სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;**
- **არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანთურების გამოყენება;**
- **გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);**
- **დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;**
- **გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;**
- **ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;**
- **გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.**

გახსოვდეთ, რომ:

- **პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.**

პატივცემულო მომხმარებლებო!

გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვანო ჩხარტიშვილის დაპატიმრება იგეგმება

მარიამ ნადირაძე

სამართალდამცველებმა ამჯერად ფრთები გაშალეს და თუ სხვადასხვა ეტაპზე მხოლოდ ერთი სახეობის საქმეებით, ან ერთი ჯგუფის პერსონებით შემოიფარგლებოდნენ, ამჯერად სპექტრი უფრო გაამრავალფეროვნეს. ამ ეტაპზე, არც ბაჩანა ახალაიას და არც ვანო მერაბიშვილის ვარამს არ შევეხებით და სულ სხვა ვანოს შესახებ გვინდა გიამბოთ, რომელსაც, როგორც გვატყობინებენ, იგივე ბედის გაზიარებას ჰპირდებიან.

რა საქმეებზე მოსთხოვს მას პასუხს გამოძიება?

EXCLUSIVE

კარგად მახსოვს, როცა ბადრი პატარკაციშვილი ოლიგარქად დაბრუნდა ქვეყენაში და საქართველოში ინვესტიციების ჩადება დაიწყო, მას პრიორიტეტებს ვანო ჩხარტიშვილი ურჩევდა ხოლმე. ერთ-ერთი ასეთი პრიორიტეტი იყო ცირკის ყიდვა. ამ ინფორმაციის გაჟღერებისთანავე ჩხარტიშვილმა ერთადერთი პრეტენზია იმაზე გამოთქვა, რომ მაკლერი არ იყო. რა თქმა უნდა, როგორც ჩანს, მას გაცილებით შორს გამიზნული გეგმები ჰქონდა და ეს ფუნქცია, თუნდაც ოლიგარქის ორბიტაზე, მისთვის დამამცირებლად გამოიყურებოდა.

ასეა, თუ ისე, ვანო ჩხარტიშვილი პირველი იყო, ვინც ბადრი პატარკაციშვილის ახლო წრეში მოიაზრებოდა და ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ...

2008 წლის 12 თებერვალს ოფიციალურად დადგენილ, მაგრამ მაინც ბურუსით მოცულ გარემოებებში ოლიგარქი გულის შეტევით გარდაცვალა. მას შემდეგ, აგერ უკვე 5 წელია, მისი ოჯახი პატარკაციშვილის ახლო წრისგან მითვისებული ქონების დაბრუნებას დღემდე ცდილობს. ოჯახის საპირისპირო მხარეს, ჯოზეფ კეის მსგავსად, ვანო ჩხარტიშვილიც აღმოჩნდა.

მართალია ოლიგარქის ოჯახმა ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლო წააგო, მაგრამ მას ბრძოლა მაინც არ შეუწყვეტია.

თავიდან მათი დავა ყულევის ტერმინალით დაიწყო. მასში პატარკაციშვილს 150 მილიონი ჰქონდა ჩადებული. საკაშვილის ხელისუფლების მხრიდან ოლიგარქის შევიწროების გამო, მან ტერმინალის გასხვისება გადაწყვიტა. მის სახელთან დაკავშირებულმა კომპანიამ „კროლ ჰოლდინგ ლიმიტედმა“ ტერმინალი ვირჯინიის კუნძულებზე დარეგისტრირებულ „კარლინას“ მიჰყიდა. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, პატარკაციშვილმა აქციათა 24,5 პროცენტი ვანო ჩხარტიშვილს გადასცა. მაშინვე ითქვა, რომ ეს ფორმალური გარიგება იყო. ჩხარტიშვილს ნაციონალური ხელისუფლება იმ დროისთვის ნაკლებად ერჩოდა. უფრო მეტიც, როგორც ამბობენ, მას ხელისუფლების გარკვეულ წრეებთან ერთად საერთო ბიზნესებიც კი ჰქონდა აგარის შაქარში, აზოტის ქარხანასა და კაზინო „შანგრილაში“. ის იგებდა გზების ტენდერებსაც. ასე რომ, ნაციონალურ ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნესმენისთვის აქციების გადაცემით პატარკაციშვილმა ჩათვალა, რომ ის თავის ქონებას გადაარჩენდა...

საქმეში ჩახედულები აცხადებენ, რომ პატარკაციშვილმა ჩხარტიშვილის რეკომენდაციით ერთ-ერთი პირი, ქავთარაძე აღჭურვა დოკუმენტებზე ხელმოწერის, წილის გაყიდვის უფლებით. პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ კი მასთან ასოცირებულმა კომპანიამ, „კოპელა ვინჩერს ლიმიტედმა“ 12 მილიონ 275 ათას დოლარად გაყიდა თბილისის უნივერმაღი. ამ თანხიდან ოლიგარქის ოჯახს თეთრი არ მიუღია.

დავის საგანი იყო ფოთის წისქვილკომბინატიც, რომლის აქტივებიც გაიყიდა და თანხაც იგივე ხელწერით გაქრა. ეს წისქვილკომბინატი პატარკაციშვილის მფლობელობაში მყოფი კომპანია „ბლუტროპიკ ლიმიტედის“ საკუთრებაში იყო. აქციების 92, 85 პროცენტი 2 მილიონ 692 ათას 22 ლარად გაიყიდა, 2008 წლის 5 მარტს, როდესაც პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან 3 მხოლოდ კვირა იყო გასული...

იგივე ხერხით გაიყიდა ნავმისადგომები ფოთში, იმავე წლის 10 მარტს...

პატარკაციშვილის ოჯახი დაობდა ოლიგარქის კომპანია „ლაკარპას“ საკუთრებაში არსებულ „ვითიბი ბანკის“ 7,51 პროცენტის აქციებზე და „ენერჯი ინვესტის“ 34 პროცენტ წილზე, რომელიც 7 მილიონ 840 ათასად გასხვისდა. ეს წილი კომპანია „კოლჩესტერმა“ მიიღო, რომელმაც მოგვიანებით გიორგი ქავთარაძეს, როგორც „ლაკარპას“ ნდობით აღჭურვილ პირს გადასცა ეს თანხა მოკლევადიანი სესხით. მალევე, ეს თანხა ვანო ჩხარტიშვილის ქალიშვილს გადაერიცხა, დოკუმენტს კი საფუძვლად ფინანსური დახმარება დაედო...

თავის დროზე პატარკაციშვილის ოჯახსა და ვანო ჩხარტიშვილს შორის დაწყებული დავის მოგვარება ახლობლებმა ითავეს. როგორც „პრაიმტაიმმა“ შეიტყო, ოჯახის პოზიციებს ლევან გაჩეჩილაძე წარმოადგენდა, ჩხარტიშვილისას კი გოგა ხაინდრავა. ეს მოლაპარაკებებიც, საბოლოოდ, კრახით დასრულდა. სამწუხაროდ, დღეს ორივე თავს არიდებს „პრაიმტაიმთან“ ამ თემების განხილვას.

2012 წლის დეკემბერში პატარკაციშვილის ოჯახმა მთავარ პროკურატურას მიმართა და მოითხოვა ვანო ჩხარტიშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის დევნის დაწყება. ერთ თვეში თბილისის პროკურატურამ გამოიტანა დადგენილება, რომლის მიხედვითაც ცხრა ეპიზოდზე გამოძიება შეწყდა. დადგენილების თანახმად აღნიშნული საქმეები არ შეიცავდა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს და დავა სამოქალაქო წესით უნდა გაგრძელებულიყო. ამ გადაწყვეტილებას სოციალური ქსელით გამოეხმაურა თავად ვანო ჩხარტიშვილი და ახალ ხელისუფლებას სამართლიანობა მიულოცა. თუმცა, როგორც „პრაიმტაიმმა“ გაარკვია, ნაადრევი აღმოჩნდა ჩხარტიშვილის სიხარული, რადგან პროკურატურამ გამოძიება სხვა ეპიზოდებზე დაიწყო და სწორედ მათ ჩამონათვალს გთავაზობთ:

ეპიზოდი #1

ბადრი პატარკაციშვილის სახელთან დაკავშირებულმა კომპანიამ „კოპელა ვინჩერს ლიმითედ“-მა, ავთანდილ წერეთლისგან თამბაქოს ქარხანა (100% პროცენტიანი წილით) 8 მილიონ 762 000 ათას დოლარად იყიდა. ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან რამდენიმე დღეში „კოპელას“ წილი სულ რაღაც 107 ათას 170 ლარად გადაიფორმა კომპანია „სონატა ალიანს ჯორჯიამ“ (ჩხარტიშვილთან ასოცირებული კომპანია), ხოლო შემდეგ ეს წილი სრულად დაუთმო შპს „სმარტ გრუპს“, რომლის დამფუძნებლებიც იმ დროისთვის ვანო ჩხარტიშვილის შვილები იყვნენ - ნათია ჩხარტიშვილი-51% -ის, მიხეილ ჩხარტიშვილი კი 49 % -ის მფლობელი. „სონატა ალიანს ჯორჯიამ“ პატარკაციშვილის კომპანიის წილი ისე გადაიფორმა, რომ თანხაც არ გადაუხდია...

ეპიზოდი #2

ლილოს ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთი გიორგი ქავთარაძის მინდობილობის საფუძველზე, გადაიფორმა „სონატა ალიანს ჯორჯიამ“. არც ამ შემთხვევაში მიუღია კომპანიას ის მიზერული თანხა, რომელიც მითითებული იყო ხელშეკრულებაში.

ეპიზოდი #3

დოკუმენტების მიხედვით ირკვევა, რომ კიდევ ერთი ობიექტი, რომელიც ჩხარტიშვილმა, სავარაუდოდ, მიითვისა - „კოპელას“ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთია, კოლმეურნეობის მოედანზე - 2008 წლის 5 მარტს ისევ გიორგი ქავთარაძის მიერ გადაფორმდა კომპანია „მენეჯმენტ კონსტანტინ ლიმიტედზე“, შემდეგ კი მალევე, იგივე ნაკვეთი გადაიფორმა შპს „სმარტ ჯგუფმა“ - კომპანიამ, რომლის დამფუძნებლებიც ვანო ჩხარტიშვილის შვილები არიან.

როგორც „პრაიმტაიმს“ კომპეტენტური წყარო აცნობებს, სწორედ ეს სამი ეპიზოდი გახდება ვანო ჩხარტიშვილის შესაძლო დაპატიმრების მიზეზი.

პატარკაციშვილის ოჯახის ადვოკატი, ლაშა ბირკაია ჩვენთან საუბრისას ადასტურებს, რომ ვანო ჩხარტიშვილის მიმართ გამოძიება 7 ივნისს ფინანსურ პოლიციაში განახლდა:

- გამოძიება მიმდინარეობს ყველა ეპიზოდთან დაკავშირებით, რის თაობაზეც საჩივარი შევიდა.

- რა გახდა გამოძიების განახლების საფუძველი. მგონი გასულ წელსაც გქონდათ საჩივარი შეტანილი პროკურატურაში...

- გამოძიებას განმეორებით მიმართა იმ კომპანიების წარმომადგენლობამ, რომელთა აქტივებიც იყო საქართველოში და ამ აქტივების გასხვისება მოხდა მათი ნების საწინააღმდეგოდ. მართალია, მათ ადრეც შეიტანეს საჩივარი და საქმე გამოძიებამ შეწყვიტა, მაგრამ 7 ივნისს დამატებით განცხადებით მიმართეს, წარუდგინეს დამატებითი მტკიცებულებები და ეს გახდა გამოძიების განახლების საფუძველი. ამ კომპანიების ბენეფიციარები, რა თქმა უნდა, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის წევრები არიან, მაგრამ საჩივრის ავტორი არის თავად კომპანია, როგორც იურიდიული პირი.

- არსებობს ინფორმაცია, რომ შესაძლოა, მოხდეს ვანო ჩხარტიშვილის დაკავება...

- ვერაფერს გეტყვით, სამწუხაროდ. ამ ეტაპზე მხოლოდ ის ვიცით, რომ გამოძიება განახლდა.

ამდენად, „პრაიმტაიმს“ ისღა დარჩენია, თავის უსაზღვროდ ცნობისმოყვარე მკითხველს აცნობოს ის, რაც თავად შეიტყო. რაც შეეხება პოზიციებს, ამას საქმის მსვლელობა აუცილებლად გამოაჩენს.

„პრაიმტაიმი“ ფინანსურ პოლიციასაც დაუკავშირდა. პრესსამსახურის ხელმძღვანელი ნათია სუხიაშვილი ადასტურებს ინფორმაციას და აცხადებს: „საქმე ამჟამად წარმოებაშია და ამ ეტაპზე დამატებითი კომენტარებისგან თავს შევიკავებთ“.

რაც შეეხება ჩხარტიშვილის ადვოკატის დიმიტრი გაბუნიას განმარტებას, ის საქმის კურსშია რ არის. მისი თქმით, ამ ეტაპზე გამოძიება ვალდებული არ არის, რომ ჩვენ შეტყობინება გამოგვიგზავნოს.

„ადრეც შეიტანეს საჩივარი, მაგრამ ახლა გამოძიებას წარუდგინეს დამატებითი მტკიცებულებები, ეს გახდა გამოძიების განახლების საფუძველი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლევან კორტავას მკვლელ

„სუბარიდან დაწყებული, ყველაზე აღძრან საქმე. თუ არადა, ამოვთხრი ჩემს შვილს და მივუყვან ივანიშვილს მის რეზიდენციასთან...“

მარიამ ნადირაძე

უკვე სამი კვირაა გასული 24 წლის პატიმარ ლევან კორტავას გარდაცვალებიდან. გამოძიებას კონკრეტული პასუხი ჯერ არ აქვს იმასთან დაკავშირებით, ვინ გაიმეტა სასიკვდილოდ პატიმარი. შესაბამისად, ჩნდება ვერსიები. ერთ-ერთი უკანასკნელი ვერსია საკმაოდ სკანდალურია და ამის შესახებ „პრაიმტაიმს“ გარდაცვლილის მამიდა უამბობს. თუმცა, სანამ ამ საუბარს შემოგთავაზებდეთ, შეგახსენებთ, რომ სასჯელაღსრულების სამინისტროს ინფორმაციით, 12 მაისს გეგუთის კოლონიაში მომხდარი ინციდენტის დროს დაშავებული მსჯავრდადებული ლევან კორტავა, განეული სამედიცინო დახმარების მიუხედავად, 23 მაისს ცხაკაიას სახელობის ინტერვენციული მედიცინის დასავლეთ საქართველოს ეროვნულ ცენტრში გარდაიცვალა. გარდაცვალების წინასწარ დიაგნოზად ქალა-ტვინისა და ქალა-სახის დახურული ტრავმა, გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა დასახელდა. გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა – ეს იყო ყველაზე გავრცელებული დიაგნოზი, რითიც სააკაშვილის რეჟიმის დროს პატიმრები „იღუპებოდნენ“. შეიცვალა თუ არა რამე მას შემდეგ, ახალი ხელისუფლების პირობებში?

„პრაიმტაიმი“ გარდაცვლილის ოჯახის ადვოკატს, ლედი კორტავას ესაუბრება:

– ეს ამბავი ერთ ისტორიას მაგონებს, რომელიც მაშინ მოხდა, როცა სააკაშვილი იუსტიციის მინისტრი იყო. მაშინ მე ვიცავდი ერთ ადამიანს (მისივე ინტერესებიდან გამომდინარე, ვერ ვასახელებ ვინაობას). მას ჰქონდა ნარკოტიკის რეალიზაციის ბრალდება და დაკავებული იყო. ის ერთი კვირის განმავლობაში არ გამოდიოდა ოჯახთან კონტაქტზე. შესაბამისად, გაჩნდა ეჭვები. დავუკავშირდი ციხის უფროსს და პატიმართან

ვისოლმა „ქუთაისის ტორპედოს“ ახალი შემადგენლობის საზეიმო პრეზენტაცია გამართა

„ქუთაისის ტორპედოში“ სიახლეა. 14 ივნისს, „ვისოლმა“ ქუთაისის ცენტრალური სტადიონის სადღესასწაულო დარბაზში, „ქუთაისის ტორპედოს“ ახალი შემადგენლობის საზეიმო პრეზენტაცია გაიმართა, სადაც მიწვეულ სტუმრებსა და ჟურნალისტებს, კლუბის პრეზიდენტმა ლევან ფხაკაძემ, რამდენიმე სასიამოვნო სიახლე გაგვაცნო. ამიერიდან ლეგენდარულ გუნდს საერთაშორისო გამოცდილების მქონე ესპანელი მწვრთნელები - ჟერარდ სარაგოზა მულე და ალბერტო ბეროკალ კორეა უხელმძღვანელებენ. მოთამაშეთა რიგებს კი ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელები შეურთდებიან, რომლებმაც პირველად საქართველოს ისტორიაში, 2012 წელს, სლოვენიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატში (17 წლამდე ნაკრებებს შორის) ნახევარფინალამდე მიიყვანეს საქართველოს გუნდი.

როგორც ჟურნალისტებთან საუბარში ლევან ფხაკაძემ განაცხადა, ისტორია, რომელიც „ვისოლ ჯგუფში“ ახალ ფურცლებს წერს, გუნდის ახალგაზრდა, ნიჭიერი ბეხბურთელებით გადახალისება განვითარების ახალ პერსპექტივებს დასახავს.

„ტორპედო ქუთაისის“ კლუბის პრეზიდენტი ლევან ფხაკაძე: „გასული ორი წლის განმავლობაში კლუბი ზედიზედ დაეუფლა ბრინჯაობს მედლებს. თუმცა ჩვენ ამაზე ვერ გავჩერდებით. ჩვენ არასდროს გადაგვიხვევია ჩვენი გეზიდან, ვინაიდან გვინდა „ვისოლ ჯგუფის“ მოღვაწეობა იყოს გამორჩეული და წარმატებას პატიოსანი შრომით მიაღწიოს. ახლა ჩვენ გვინდა წინ წავიწიოთ და დამსახურებული ოქროს მედლები მოვიპოვოთ. ჩვენ ვნახეთ, რომ თბილისის „ლოკომოტივს“ სათავეში ედგა ორი ძალიან ძლიერი მწვრთნელი. ისინი უკვე არიან ჩვენი მეგობრები და ჩვენი გუნდის მწვრთნელები. აღსანიშნავია, რომ რაც ჟერარდი გახდა „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელი, ამ გუნდს არც ერთი თამაში არ წაუგია. მინდა მას იგივე ვუსურვო „ტორპედო ქუთაისში“.

„ვისოლმა“ ახალ მთავარ მწვრთნელ ჟერარდ სარაგოსასთან სამწლიანი შრომითი ხელშეკრულება გააფორმა. მის ასისტენტად დიმიტრი თოფურიძე დაინიშნა. ფიზმომზადებას ალბერტო ბეროკალ კორეა უხელძმღვანელებს. მეკარეების მწვრთნელი კონსტანტინე გუგუნავა იქნება. ექიმი - დიმიტრი ზაალიშვილია, ხოლო ფიზიოთერაპევტად კი რობერტ ხვადაგიანი იმუშავებს.

ჟერარდ სარაგოზა მულე: „ჩემთვის „ტორპედო ქუთაისის“ ახალი შემადგენლობის ფეხბურთელები არ არიან უცხო მოთამაშეები. ესენი არიან ადამიანები, ვისთანაც მთელი წელინადი ვითამაშე და ვისი იმედიც მაქვს მომავალში. მინიმუმ იმას გავაკეთებთ, რომ წინა სეზონთან შედარებით წინ წავიწიოთ, მაგრამ ამის ზევით მაქსიმუმი და მაქსიმუმი გაკეთდება. სწორედ ამისთვის ვარ მე აქ მოსული. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ლევან ფხაკაძეს, რადგან გვერდით მიდგანან და მენდობიან. დიდი მადლობა ჩემს გუნდს იმისთვის, რასაც აკეთებენ ჩემთან ერთად სტადიონზე. იმის მიუხედავად, რომ ძალიან ახალგაზრდა მოთამაშეები არიან, ეს არ ნიშნავს, რომ მათ არ აქვთ გამოცდილება. მათ უთამაშიათ ძალიან მაღალი კლასის თამაშები და ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ. ძალიან მიხარია, რომ ისეთ ქალაქში მომიწია ცხოვრება, სადაც ადამიანები ფეხბურთით ცხოვრობენ. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ აქ მოსული ადამიანი თამაშით იყოს გახარებული“.

მათე ცინცაძე, დავით ჯიქია, ალეკო მზევაშვილი, ნიკა ჭანტურია, გიორგი გოროზია „ტორპედო ქუთაისის“ გუნდის ახალი წევრები არიან, რომლებმაც 17 წლამდელთა ნაკრების სხვა მოთამაშეებთან ერთად შარშან ელიტრაუნდის ჯგუფში ესპანეთი და ინგლისი ჩატოვეს. ბაჩო მიქავა, დავით მთივლიშვილი, დავით უბილავა აქამდე საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრების წევრები იყვნენ. „ტორპედო ქუთაისს“ წყალტუბოს გუნდიდან გადმოსული თორნიკე კაპანაძეც შეურთდა, რომელმაც პირველ ლიგაში 30-მდე გოლი გაიტანა. გუნდს თბილისის „ლოკომოტივის“ ახალგაზრდა ფეხბურთელებიც შემოუერთდებიან. მათ შორის: ბექა ტყემალაძე, რევაზ ჩიტეიშვილი, გიორგი გაბაძე, გიორგი გურეშიძე, რევაზ ბარაძე, ჯემალ ყანჩაშვილი, გიორგი დუმბაძე, გურამ ლიკავა, დავით გუჯაბიძე, ნიკა ნივწივაძე და ლუკა კიკაბიძე. მან ყოფილ მწვრთნელთან – ჟერარდ სარაგოსასთან ერთად 15-მაჩტიანი წაუგებელი სერია მოაწყო და პირველ ლიგაში მეორე ადგილზე გადავიდა.

ქუთაისის მერი, დიმიტრი კოპალიანი: „ძალიან მიყვარს ფეხბურთი. ამერიკაში ისეთი პოპულარული არ არის, თუმცა მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებს ხშირად ვადევნებ თვალს. ახალგაზრდობაში ხშირად დავდიოდი „ტორპედოს“ თამაშებზე. ეს ოცი წლის წინ იყო. ჩემი ბავშვობა აქ იყო და მინდა ეს გუნდი წარმატებული იყოს. ჩემი წარსულია „ქუთაისის ტორპედო“. საჭიროა უფრო პოპულარული გახდეს ფეხბურთი და ეს გუნდი. ქუთაისს ეს ტრადიცია აქვს და იმედია, ასეც მოხდება“.

„ქუთაისის ტორპედოზე“ მზრუნველობა „ვისოლმა“ 2010 წლიდან დაიწყო და გუნდის განვითარებისთვის ყოველწლიურად ოთხი მილიონი ლარის ინვესტიციას ახორციელებს. ამას გარდა, „ვისოლ ჯგუფმა“ ჯამურად უკვე 30 მილიონზე მეტი ლარი გაიღო თბილისსა და რეგიონებში ევროპული სტანდარტების სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნისა და ზოგადად ქართული სპორტის განვითარებისთვის.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ოგის სკანდალური ვერსია



ქუთაისის გუბერნატორი, შაშიაშვილი და როდესაც ის გაემართა სამინისტროს წარმომადგენლებთან შესახვედრად, ამდენმა მანქანამ მას გვერდი აუქცია და ციხისკენ გამოემართა. სხვათა შორის, აქედან დაიწყო შაშიაშვილისა და სააკაშვილის სკანდალური დაპირისპირება, ამ ისტორიიდან, როდესაც შაშიაშვილი სააკაშვილმა გაღიმებული დატოვა. როდესაც ჩამოვიდნენ, მე საცოდავად ვიდექი ციხის კართან. გამომივარდა ეს ბელმონდო და მეუბნება, ახლა მაინც რა გინდა აქო, ამათთან ერთად ვარ-მეთქი. როგორც კი ქალბატონმა მაია ნიკოლეიშვილმა დაინახა, რომ პატიმარი იყო ნაცემი, ციხის ადმინისტრაციამ მაშინვე მოიფიქრა „გამოსავალი" და თქვა, ნარიდან ჩამოვარდაო. მერე მაიამ ნახა, რომ პატიმარს ყური ჰქონდა მოჭმული და ამ დაზიანებას პატიმარი, ბუნებრივია, ნარიდან ჩამოვარდნით ვერ მიიღებდა. ამ ამბის მერე, ამ ციხეში კარისკაციც კი არ დარჩენილა – ყველა მოხსნეს. მაშინ პატიმარი იხვეწებოდა და იმუდარებოდა, პასუხისგებაში არ მიეცათ ადმინისტრაციის თანამშრომლები.

– რატომ?

– შეეშინდა. ეს ადამიანი ვიღაცამ რაღაცისთვის დასაჯა.

– ვინ?

– მათ, ვისაც, ასე ვთქვათ, ციხე ებარა... ამიტომაც მას შეეშინდა, რომ იგივე ხალხი ისევ შეუქმნიდა პრობლემას.

„როგორც კი „ოცნება" მოვიდა, ციხეებში გაიმართა წამების მარათონი. ახალაიების ბრიგადა ასეთ რამეს თუ აკეთებდა, ამას თვითონ აკეთებდა. „ოცნება" სხვას აკეთებინებს და შვილებს წამებაში გვიკლავენ"

ლევან კორტავა



ხათუნა კორტავა

„სადისტურად სცემეს, სამკუთხედი თავი ჩავაყოლე მინაში ბიჭს. მარჯვენა მხარეს თავის ქალა არ უჩანდა, ფქვილივით იყო. ხერხემლის ფუძეც ფქვილივით იყო. სხეულის ნაწილი არ აქვს დარჩენილი, რომ დაზიანება არ ჰქონდეს"

შეხვედრა ვთხოვე. ძალიან კატეგორიული და აგდებული პასუხი მივიღე, ახლავე დატოვე ტერიტორიაო. ბელმონდო ერქვა მეტსახელად. საკმაოდ გავლენიანი იყო. ეს ამბავი ქუთაისის ციხეში ხდებოდა. ბელმონდო დამემუქრა, ძალიან ცუდად დამთავრდება ჩვენი ურთიერთობაო. დავურეკე გიორგი არველაძეს, რომელიც იმ დროისთვის მინისტრ სააკაშვილის თანაშემწე იყო და ავუხსენი, რაც ხდებოდა. როცა მიშამ ეს ისტორია გაიგო, მითხრა, ციხის ტერიტორიაზე დავლოდებოდი და ძალიან მალე, თავისი სწრაფი რეაგირების ჯგუფით ჩამოვიდოდა. ქალბატონი მაია ნიკოლეიშვილი მაშინ ექსპერტიზის ხელმძღვანელი იყო. ძალიან მალე გადაიკეტა ციხის ტერიტორია და ისინი ჩამოვიდნენ. მიშა მორბოდა წინ, დანარჩენები კი ჟურნალისტებთან ერთად მოჰყვებოდნენ. ამ დროს ინფორმაციას იღებს ამ ადამიანისგან განსხვავებით, გარდაცვლილი ლევან კორტავა, მისი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ძალიან ვაჟკაცი ბიჭი იყო. ის არ იყო ის ადამიანი, ვინც თავისი ცხოვრებით მიუღებელია ე.წ. ციხის კანონებისთვის, არ იყო რეალიზატორი და ა.შ. მე მგონია, რომ თავიდან ბოლომდე ადმინისტრაციის ხელი ატყვია ამ ყველაფერს. თუმცა, ეს არის ვერსიები, რომელიც აუცილებლად უნდა გადამოწმდეს და თავისი სახელი უნდა დაერქვას. მე ვარ ადვოკატი და ეს პროფესია მხოლოდ სამართლებრივ მიდგომებს მავალდებულებს. ვერსიების შესახებ კი, ალბათ, ოჯახი გიამბობთ...

ხათუნა კორტავა, ლევან კორტავას მამიდა:

– ბავშვი რომ სადისტურად არის მოკლული, ეს ფაქტია. როგორც კი ის ეტაპის მანქანიდან გადმოვიდა და ფეხი შედგა იზოლატორში, ინციდენტი მაშინვე დაიწყო. ყველა პატიმარი გაჰყავთ კარანტინში. იმ 12 პატიმრიდან მარტო ლევანი იღუპება სადისტური ცემის შედეგად. შესვლიდან 2 საათში მიჰყავთ საავადმყოფოში. ფაქტობრივად, ის უკვე მკვდარი იყო. ტვინი იყო გაჩერებული. ერთადერთი გული მუშაობდა და შეაერთეს აპარატზე. ხერხემალი ორ ადგილას ჰქონდა გადატეხილი. დღე არ გავა, რომ პატიმრებმა არ დამირეკონ. სასჯელაღსრულების სისტემაში, გეგუთის ციხე იქნება თუ სხვა დაწესებულება, დღეს უკვე მოძლიერდა ქურდული მენტალიტეტი და არიან „მაყურებლები". ამის თქმა ხმამაღლა შემიძლია.

– ამაზე უკვე საუბრობენ და თქვენ ირწმუნებით, რომ ეს ინსტიტუტი მართლა ამოქმედდა ისევ?

– დიახ. სააკაშვილის დროს ეს ინსტიტუტი არ იყო, იმიტომ, რომ თვითონ მაშინდელი ხელისუფლება იყო ქურდიც, „მაყურებელიც", ჯალათიც, მკვლელიც და სადისტიც. მაგრამ, როგორც კი „ოცნება" მოვიდა, ციხეებში გაიმართა წამების მარათონი. ახალაიების ბრიგადა ასეთ რამეს თუ აკეთებდა, ამას თვითონ აკეთებდა. „ოცნება" სხვას აკეთებინებს და შვილებს წამებაში გვიკლავენ. ქუთაისის ციხეში „მაყურებლები" უფრო მეტად მეგრელები არიან. გეგუთში ყველა კორპუსს თავისი „მაყურებელი" ჰყავს. ერთ-ერთი კვანტალიანი, ზუსტად ის „მაყურებელია", რომლის გამოც ლევანი სადისტურად აწამეს. როდესაც ლევანს ბადრაგთან ჩხუბი მოუვიდა, ის კვანტალიანი შემოვიდა და სიტყვასიტყვით ასე უთხრა: „ბიჭო, რატომ ყვირიხარ. „პალაჟენიე" გვაქვს დალაგებული და ნუ გვირევო". ლევანი მოტრიალდა და სცემა. გაიტანეს ეს კვანტალიანი და ბადრაგი მერე ჩემს ბიჭს სასტიკად გაუსწორდა...

– ანუ, ქრონოლოგიურად როგორ იყო? ეტაპიდან კოლონიაში მიყვანილ ლევანს ბადრაგმა მიაყენა შეურაცხყოფა და...

– ხონის ბადრაგი იყო. ლევანს მოვლილი ჰქონდა სასჯელაღსრულების დაწესებულებები. ის გეგუთში უკვე ნამყოფი იყო. ხონის დაწესებულებაშიც. როცა გეგუთში დაბრუნდა, იქ დახვდა ბადრაგი, რომლებიც ლევანს იცნობდნენ. მას თავიდანვე მიაყენეს შეურაცხყოფა. ამას ჩემი ბიჭი არ მოითმენდა. ეტაპში მისულ პატიმრებს ბადრაგები ისევ აყენებენ ძალიან დიდ შეურაცხყოფას. მაგრამ ამისთვის არც ახლა ისჯება ვინმე. რამდენჯერაც მოხსნეს კუჭავა, მერე უფრო მაღალ თანამდებობაზე დაინიშნა. სხვებსაც თუ ხსნიდნენ, მერე ანინაურებდნენ. 150 კაცი გაექცათ ციხიდან და ყველა ბადრაგი დღეს უკეთეს თანამდებობაზეა.

– კუჭავა ვინ არის?

– ციხის უფროსის მოადგილე. ხუთჯერ არის მოხსნილი. ყოველი მოხსნის შემდეგ თითო საფეხურით აწინაურებდნენ. ახლა ციხის უფროსი გახადეს. ამჯერად დროებით შეწყვეტილი აქვს უფლებამოსილება, არასწორი ინფორმაცია მოგვაწოდაო, – ასე განაცხადა ბატონმა სუბარმა.

– კიბეზე დაგორდაო, მან უთხრა?

– დიახ. უფლებამოსილების შეწყვეტა ეყოფა მაგას? ლევანი კარანტინიდან ცოცხალი არ გაუყვანიათ. ამას მეუბნება ყველა პატიმარი. გეგუთში იმ დღეს სამინისტროს წარმომადგენელიც ყოფილა. გვარს არ ასახელებენ პატიმრები. როდესაც დაწესებულებაში ასეთი რამ ხდება, თან სამინისტროს წარმომადგენელიც იქ არის, ადმინისტრაცია რას უყურებს, სერიალს?

– გინდათ თქვათ, რომ კარანტინში პატიმრებს ისევ სცემენ?

– როდესაც იქ პატიმარი შედის, აგინებენ და დუბინკებს აყოლებენ თავზე. ვისაც თავმოყვარეობა აქვს, თავს არავინ დახრის... კარანტინიდან მხოლოდ იმ პატიმარს უშვებენ, ვინც მათთვის მისაღებია, თუ არადა 3-4 საათი იქ ამყოფებენ. სამედიცინო შემოწმებაო..., პირადი საქმე... მერე არის დერეფანი. მისი გავლით ზონაში გადადიან. ამ დერეფანში ორივე მხარეს დგას ბადრაგი, ზოგჯერ „სპეცნაზიც"... ამ დერეფანში რომ გარბიან პატიმრები, თავზე აქვთ ხელი აფარებული, თავი რომ არ გაუხეთქონ. თუ რომელიმე წაიქცა, ან წაიბორძიკა, გადაუვლიან კატოკივით. ასფალტს რომ არ გაასწორებენ, ისე. ჩემი ბიჭი მოსაკლავად მიიყვანეს იქ. სხვებთან ერთად შეიყვანეს, რკინის საკნებში შეყარეს დანარჩენები, ლევანი კი სადისტურად სცემეს, სამკუთხედი თავი ჩავაყოლე მინაში ბიჭს. მარჯვენა მხარეს თავის ქალა არ უჩანდა, ფქვილივით იყო. ხერხემლის ფუძეც ფქვილივით იყო. სხეულის ნაწილი არ აქვს დარჩენილი, რომ დაზიანება არ ჰქონდეს. ეს პატიმრების გაკეთებული არ არის. ეს მთავრობაც და ის მთავრობაც, ორივე გაწყვიტა ჭირმა, პატიმრებზე იხოცავენ ხელს. კეთილი ინებონ, სოზარ სუბარიდან დაწყებული, ყველაზე აღძრან სისხლის სამართლის საქმე. ამისთვის ვიბრძოლებ ბოლო ამოსუნთქვამდე, თუ არადა, ამოვთხრი ჩემს შვილს და მივუყვან ივანიშვილს მის რეზიდენციასთან. ივანიშვილი და ის „ოცნება" არ იყო, ცოცხების გამო, აგორებული ტალღის გამო რომ მოვიდნენ ხელისუფლებაში? ეს ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ ის ცოცხები „ოცნების" სასაკლაოთი ჩაენაცვლებინათ? ეს ის ივანიშვილი არ არის, ევროპას პირობას რომ აძლევს, საპატიმროებში ყველაფერი რიგზეაო? მე დასაკარგი აღარაფერი მაქვს. ლევანი შავ სამარეს მიაბარეს, მათი შვილები ხომ არიან დაცულები?

– ანუ, თქვენი ინფორმაციით, ბადრაგმა „მაყურებლის" ცემის გამო მოკლა ლევანი?

– დიახ. „მაყურებლები" უკვე ყველა კოლონიასა და ციხეში არიან. რა უნდა „მაყურებელს", კვანტალიანს კარანტინში? „მაყურებელი" და ადმინისტრაცია „ობშიაკის" ფულს იყოფენ და იმიტომაც აქვთ ამდენის უფლება. ეს რა, არ იცის სოზარ სუბარმა? ჩემგან გაიგებს პირველად, რომ გეგუთში პირველი კორპუსის „მაყურებელია" კვანტალიანი? მეორეზე ვიღაც სვანია. მესამეზე „მაყურებელს" გალ-ს ეძახიან, ეტყობა, გალელია. მეოთხეზე კი – ქუთაისელი წრიპა.

ერთი სიტყვით, ლევან კორტავას მკვლელობის სკანდალურ საქმეში ახალი სკანდალური ვერსია ჩნდება და რაკი ეს ვერსია არსებობს, ბუნებრივია, ამით გამოძიება უნდა დაინტერესდეს. რაც შეეხება „მაყურებლების" თემას, ამის შესახებ „პრაიმტაიმი" ორი კვირის წინ წერდა, სადაც, ჩვენი რესპონდენტის პროგნოზით, „მაყურებლების" „პალაჟენიის მოგვარებას" ციხეებიდან გვამების გამოდინება მოჰყვებოდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„პროფილის“ ახალმა პროექტმა „ბრენდების მარათონმა“ სტარტი აიღო

საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილმა“ მისი არსებობის ათი წლის მანძილზე არა ერთ წარმატებულ პროექტს ჩაუყარა საფუძველი. ახალი პროექტი „ბრენდების მარათონი“ სპორტული შეჯიბრებაა ქართული ბრენდებს შორის. რადგან ჯომარდობამ დიდი ხანია პირველობა მოიპოვა ექსტრემალური სპორტით გატაცებულ ადამიანთა შორის, ამიტომაც წელს, პირველი „ბრენდების მარათონი“ სწორედ ამ სპორტის სახეობაში ჩატარდება.

ამ პროექტის მიზანია არასამუშაო ვითარებაში, სპორტული შეჯიბრების მეშვეობით კიდევ ერთხელ შეკრიბოს და პოპულარიზაცია გაუწიოს ქართულ ბრენდებს, ხელი შეუწყოს კონკურენტების დამეგობრებასა და პარტნიორებს შორის ურთიერთთანამშრომლობას.

შაბათს, 8 ივნისს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილმა“ ქართული ბრენდის დღის შუალედური პროექტი „ბრენდების მარათონი“ 9 ქართული ბრენდის მონაწილეობით წარმოადგინა. სპორტულ შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ პროექტის გენერალური სპონსორები - ჭიპლარის სისხლის ბანკი „ჯეოქორდი“ და ავიაკომპანია Flygeorgia, ასევე, დავით გაგუას კლინიკა, „მათემოტორსი“, „პსპ“, „ენმედიცი“, Hairline international, Gulf, თბილისის გულისა და სისხლძარღვთა კლინიკა. პრესის ნავს, რომელიც კონკურსგარეშე ჯომარდობდა, თვით პროექტის ერთ-ერთი დამფუძნებელი ნინო ცისკარაძე უწევდა კაპიტნობას.

ბრენდები ერთმანეთს ჯომარდობაში შეეჯიბრნენ. თითოეული გუნდი 6 ადამიანით იყო დაკომპლექტებული. გუნდებს შორის პაექრობა 13:00 საათისთვის დაიწყო. ისინი ასპარეზობაში 5-წუთიანი ინტერვალით ჩაებნენ. ექსტრემალურ სიტუაციას წვიმაც „უწყობდა ხელს“. 14-კილომეტრიანი მანძილის დაფარვის შემდეგ, ლოგიკურად, გამარჯვებულებიც გამოვლინდნენ: პირველი ადგილი არავის დაუთმო კომპანია „ენმედიცი“, მეორე ადგილი წილად ხვდა „პსპ ჯგუფს“, რომელიც სულ ერთი წამით ჩამორჩა მოწინააღმდეგეს, მესამე ადგილზე კი დავით გაგუას კლინიკის გუნდი გავიდა.

ბრენდების მარათონი გრანდიოზული პიკნიკით დასრულდა. როგორც „პროფილის“ გენერალური დირექტორი მანანა გეგიძე და პროექტის გენერალური მენეჯერი ნინო ცისკარაძე აცხადებენ, ქართული ბრენდების მარათონი ყოველწლიურ სახეს მიიღებს. პროექტმა უკვე დიდი გამოხმაურება ჰპოვა, როგორც ქართული ბრენდების, ისე მედიის მხრიდან და სტარტი წარმატებულად აიღო.

„თბილისის მიკროავტობუსი“ მომხმარებელს ახალ სერვისს – „მიკროავტობუსი გამოძახებით“ სთავაზობს

CBS GROUP
CAUCASUS BUSINESS SOLUTION

„სი ბი ეს ჯგუფში“ შემავალი კომპანია „თბილისის მიკროავტობუსი“ ბაზარზე ახალი ინიციატივით გამოდის.

1-ლი ივნისიდან მომხმარებელს მიკროავტობუსის დაქირავების შესაძლებლობა აქვს. დაინტერესებულ პირებს ახალი სერვისით სარგებლობა საქართველოს მასშტაბით ნებისმიერი მიმართულებით შეუძლიათ. „თბილისის მიკროავტობუსი“ აღნიშნულ ახალ მომსახურებაზე მომხმარებელს შეღავათიან ტარიფს სთავაზობს, კერძოდ, ტარიფები დადგინდება ინდივიდუალურად, მარშრუტისა და დაქირავების ხანგრძლივობიდან გამომდინარე.

„თბილისის მიკროავტობუსი“ გახლავთ სოციალური პასუხისმგებლობის კომპანია, რომელიც ორიენტირებულია მგზავრთა უსაფრთხო, კომფორტულ და დროულ მომსახურებაზე. ახალი სერვისის – „მიკროავტობუსი გამოძახებით“ დანერგვით კომპანია მომსახურების ახალ ეტაპზე გადადის. კერძოდ, ის ორიენტირებული ხდება ბაზრის გამოწვევებზე და პასუხობს ახალ მოთხოვნებს.

როგორც „თბილისის მიკროავტობუსში“ აცხადებენ, „მიკროავტობუსი გამოძახებით“ სერვისით სარგებლობისას, კომპანია მომხმარებელს აძლევს გარანტიას, რომ მგზავრობა იქნება კომფორტული და უსაფრთხო.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ, დაუკავშირდნენ დიღომში მდებარე „თბილისის მიკროავტობუსის“ ავტოპარკს, შემდეგ მისამართზე: დიღომი, ჯორჯ ბალანჩინის ქ. #7, ტელ.: 579 05 50 53.

Ⓐ

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

Airzena

35 წუთი და თქვენ უკვე ბათუმში ხართ!

სიახლე ავიაკომპანია აირზენასგან!

1 აგვისტოდან

ყოველდღიური ფრენები ბათუმში!

დაგვიკავშირდით **2 505 005**

ან ეწვიეთ საიტს www.airzena.com

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

გიგა ლორთქიფანიძე - საწოლიდ



my View

თამარ გონგაძე

„რთული ცხოვრება გავიარეთ, მაგრამ სიძულვილი არასდროს მქონია. მიყვარდა ადამიანი და ხელოვნება“

იანვრის ბოლოს ჩავწერე... უკვე ორი თვის ჩაწოლილი იყო. ინტერვიუს მოცემაზე არ უყუყმანია, პირიქით, მოწესრიგებულიც კი დამხვდა. იქვე, საწოლზე, თვალი ელექტრო საპარსისკენ გამექცა. თავი ყოველდღე მომყავს ფორმაშიო... როგორც ჩანს, ინტელიგენტობას ავადმყოფობაც ვერ ერევა. ფეხმა უმტყუნა, მარცხენამ, რომელმაც ამდენი წელი უერთგულა და რეჟისორი უმოქმედო გახადა. 19 ოქტომბერს 85 წლის გახდა. ნერვები მეშლება, რომ ვწევარ და უმოქმედოდ ვარო, დარდი გამიზიარა. „ბევრი რამის გადაღება მინდა, მაგრამ არ ვიცი, მოვასწრებ კიი?“... ველარ მოასწრო. ვერც ლეგენდარული დათა თუთაშხიას დაკრძალვას დაესწრო, არ შეეძლო. რამდენიმე კვირის წინ რეჟისორი სუნთქვის უკმარისობის დიაგნოზით რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოათავსეს, 13 ივნისს კი გარდაიცვალა... გთავაზობთ „პრაიმტაიმისთვის“ მოცემულ გიგა ლორთქიფანიძის ბოლო ინტერვიუს.

„დღეს ამით ვცხოვრობ“

გიგა ლორთქიფანიძე: „ასაკს კარგის მეტი არაფერი მოაქვს. პროფესიაში გამოცდილი და ძლიერი ხდები. მაგრამ სიბერისკენ წასვლის მომენტი დგება. უკვე წავედი სიბერისკენ... ეს, ორი-სამი წელინადია ვიგრძენი. ფიზიკურად აღარ შეიძლია, რომ ძველებურად აქტიური ვიყო. განუწყვეტლივ, ყოველ ღამე მესიზმრება, რომ ან ჩემი ფილმების გადაღებაზე ვარ, ან თეატრში რეპეტიციაზე. დღეს ამით ვცხოვრობ“.

სიყვარული...

„ჩემი და ქეთინოს სიყვარულის ისტორია ცოტა უცნაურია. ქეთინოზე 12 წლით უფროსი ვარ. როცა გავიცანი იმ დროს უკვე ცნობილი რეჟისორი ვიყავი, ინსტიტუტშიც ვასწავლიდი, ქეთინო მესამე კურსის სტუდენტი იყო. პირველად, მიშა თუმანიშვილის სპექტაკლში ვნახე - გამხდარი, სიფრიფანა, ლირიული, რაღაც საოცრება... გამოვედი და ვთქვი, ეს ქალი უნდა შევირთო-მეთქი. და ასეც მოხდა. მაშინ გოგოს რესტორანში წაყვანა გამორიცხული იყო. კინოში დავდიოდით, ფილმებს ვნახულობდით და სახლში ვაცილებდი. ბორჯომელია და თბილისში ნათესავთან ცხოვრობდა. ერთ მშვენიერ დღეს, სახლამდე რომ მივაცილე, ვუთხარი: მე ავადმყოფი კაცი ვარ, ამდენი სიარული კი არ შემიძლია, ცოლად უნდა გამომყვე-მეთქი. მაშინვე დამთანხმდა. ეტყობა იფიქრა, ეს ისეთი ტიპია, მეორეჯერ არ მეტყვისო... 30 წლის ვიყავი... გაგვიჩნდა ქალიშვილები, მერე გვეყოლა შვილიშვილები, უკვე შვილთაშვილები გვყავს. მესამე ქალიშვილი, მაიკო რომ დაიბადა, მოსკოვში ვდგამდი სპექტაკლს. ქეთინომ შემატყობინა... ჩამოვედი და ქუჩაში იაშა ტრიპოლსკი შემხვდა, შვილი გამიჩნდა-მეთქი. გოგოა თუ ბიჭი? მესამეც გოგოა-მეთქი. ის დროა, ისევ უკან მოსკოვში მიდიოდეო... ქეთინომ ძალიან განიცადა, რომ მესამეც გოგო შეგვეძინა. მე არა, შვილი - შვილია“.

- სიყვარული რა არის?

- იმ ადამიანის ცხოვრება უფრო მნიშვნელოვანი ხდება შენთვის, ვიდრე საკუთარი. რომ არ ეთქვათ, ცოლი ათამაშა თავის სპექტაკლებშიო, ნაკლებად ვაკავებდი როლებზე. გარდა იმისა, რომ კარგი მეუღლე, დედა და ბებიაა, კარგი მსახიობია. მართალი მსახიობია. 55 წელი გავატარეთ ერთად. ამ ხნის განმავლობაში იყო უთანხმოებაც, ეჭვიანობაც... ამის გარეშე არც არის საინტერესო. ეჭვიანობა ორივეს მხრიდან იყო. ერთხელ სახლიდან გაიქცა. მივაკითხე და წამოვიყვანე. ამდენი წლის მერე უკვე იმდენად ახლობლები ხდებით ერთმანეთისთვის, რომ ურთიერთობის გარკვევის დრო აღარ არის.

პროტესტი

„ბავშვობაში ვერის აბანოს უკან, ერთ პატარა ქუჩაზე, აგურის კედლის იქით, შავი თუთის ხე იდგა. ძალიან მინდოდა თუთა და კედელზე ავძვერი... მოულოდნელად აგური მოწყდა, გადმოვვარდი და მომტყდა ფეხი, განგრენა დამემართა და მარჯვენა ფეხი 12 წლის ასაკში დავკარგე. მაგრამ ამ ამბავს არ შევგუებივარ. ფიზიკურად ვშრომობდი, ერთი დღე არ დამისვენია. ახლა წამაქცია, 85 წლის ასაკში... ის ჯანმრთელი ფეხი გადაიღალა, ამდენი წელი მასზე რომ იყო დატვირთვა. წოლამ ძალიან დამჩაგრა. პასიური მდგომარეობა არაორგანულია ჩემთვის. ნერვებს ვერ ვთოკავ...

მაშინ გამიჩნდა პროტესტის გრძნობა. ქუჩაში ყავარჯნით (მაშინ პროთეზი არ იყო, მოგვიანებით გავიკეთე) დავდიოდი და ხალხს რომ ვეცოდებოდი, ვერ ვიტანდი. საკმაოდ კარგი შესახედაობის ბიჭი ვიყავი და სიბრალულზე თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობდი. ამიტომ, პროტესტის ნიშნად, ფაქტობრივად „ხულიგნობა“ დავიწყე. არ მინდოდა ვინმეს შევცოდებოდი და თავდაცვის ასეთი გზა ვარჩიე. ისეთი აუტანელი მონაფე გავხდი, სკოლებიდან მაგდებდნენ. შვიდი სკოლა გამოვიცვალე. ჩხუბი, აყალ-მაყალი, გაკვეთილის არევა... ჩემი და, მარიკა ლორთქიფანიძე, ხუთი წლით უფროსია ჩემზე. ის ფრიადოსანი იყო. ერთხელ ოთხი დაუწერეს და ისეთი ისტერიკა ჰქონდა, ორ ქალს მოჰყავდა. ამ დროს მე სკოლას ვიკლებდი. ერთხელ დამრიგებელმა დედაჩემი ერთ მასწავლებელს გააცნო და უთხრა - ეს მარიკა და გიგა ლორთქიფანიძეების დედააო. „ორივესიო? მამაც ერთი ჰყავთო?“ - ვერ დაიჯერა, რომ ჩვენ ერთი მშობლების შვილები ვიყავით. სკოლა სოფელ ქვიტირში დავამთავრე. თბილისში აღარ მედგომებოდა. თეატრალურში კი ძირფესვიანად შეიცვალა ჩემი ცხოვრება, იმდენად გატაცებული ვიყავი ჩემი მომავალი პროფესიით. მანამდე დირიჟორობაც მინდოდა. დედის ძმა ევგენი მიქელაძე იყო. ჩემს მუსიკალურ მონაცემებზე დიდი წარმოდგენის იყო, ნიჭიერად მთვლიდა. „ონ ბუძეტ დირიჟორამო“,- ამბობდა. მე და მარიკა მის რეპეტიციებს ვესწრებოდით. ერთხელ „ლატავრას“ გენერალურ რეპეტიციაზე სახეშეშლილი ადმინისტრატორი შემოვიდა - ევგენი სიმიონოვიჩს კითხულობენო. ბიძაჩემი მიხვდა, ცუდად იყო საქმე, ჩეკისტები ეძებდნენ. შემოვიდნენ და გაიყვანეს... ათი წლის ვიყავი, ბოლომდე ვერ მივხვდი, რა მოხდა. მარიკა მიხვდა და კივილი ატეხა. მამა უკვე დაპატიმრებული გვყავდა... ჟენია უცნაური ღიმილით მოგვიბრუნდა, ქეთუსიას (ცოლს) შეატყობინეთო. მარიკამ ხელი დამტაცა და მაჩაბლის ქუჩის ბოლოსკენ გავიქეცით. სახლთან რომ მოვედით, ქეთუსია ორახელაშვილი უკვე დაპატიმრებული ჩამოჰყავდათ... რთული ცხოვრება გავიარეთ, მაგრამ სიძულვილი არასდროს მქონია. მიყვარდა ადამიანი და ხელოვნება“.

პირველი ფილმი - 50 წლის ასაკში

„რუსთავში მე გავხსენი თეატრი, 1967 წელი იყო. 12 წელინადი ვიყავი იმ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. მერე მთავრობამ დასით დამაბრუნა მარჯანიშვილის თეატრში. მერე მარჯანიშვილში ვიყავი სამხატვრო ხელმძღვანელი. უნდა გადამეღო „ჭრიჭინა“, დამდგმელ რეჟისორად დამტკიცებული ვიყავი, მაგრამ „ჭრიჭინას“ როლზე არ დამიმტკიცეს მედეა ჯაფარიძე, რომელიც თეატრში ამ როლს ბრწყინვალედ თამაშობდა. მე მსახიობის ისეთი ერთგული ვარ, რომ მის გარეშე ფილმის გადაღებაზე უარი ვთქვი. როლების განაწილებაშიც კი ერეოდა პარტიის ცენტრალური კომიტეტი. ამის შემდეგ, კარგა ხანს, კინოში ჩემთვის არ დაუძახიათ. 35 წლისა ვიყავი... „დათა თუთაშხიას“ გადაღება რომ შემომთავაზეს, უკვე 50 წლის ვიყავი. დიდი სიხარულით დავთანხმდი“.

- „თუთაშხიას“ 50 წლამდე, ალბათ, ვერც გადაიღებდით...

- ალბათ. ცხოვრებისეული გამოცდილება უნდა მქონოდა. რაც ხდება, ყველაფერს თავისი დრო აქვს. გენიალური ნანარმოებია ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“. საუკუნის რომანზე ეს იყო ჩემი პირველი ფილმი. მანამდე მარჯანიშვილის თეატრში მინდოდა მისი დადგმა, მაგრამ ამ თემის სამ საათში ჩატევა შეუძლებელია.

„დათა თუთაშხია“

„ტრაბახად ნუ ჩამომართმევთ და ასამდე პერსონაჟში ვერც ერთზე ვერ იტყვით, რომ სხვა ვინმე უკეთესი იქნებოდა იმ როლში. იდეალური განაწილებაა. ჩემი, როგორც რეჟისორის, მნიშვნელოვანი თვისება იყო როლების სწორი განაწილება, თეატრშიც და კინოშიც. ქეთინოსაც ძალიან გაუხარდა ბეჩუნის როლის შესრულება. ერთ-ერთი სანტერესო პერსონაჟია. თუ შეიძლება ქმარმა ცოლი აქოს, ვიტყვი, რომ კარგად ითამაშა. მისი ერთ-ერთი საინტერესო როლია. საერთოდ საეტაპო ფილმია. ოთარ მელვინეთუხუცესისთვის არ არის საეტაპო როლი? თენგიზ არჩვაძისთვის არ არის? ერთ-ერთი უბრწყინვალესი პერსონაჟია გრაფი სეგედი. იური იარვეტი ერთხელ მყავდა ტალინში სპექტაკლში ნანახი და სცენარი გავუგზავნე. მოეწონა და ჩამოვიდა. შესანიშნავად ვიმუშავეთ. ნამდვილი ესტონელი იყო, რუსული ენაც უცხო იყო მისთვის. ქვეყნის პატრიოტი იყო. მითხრა, სცენარი რომ წავიკითხე, მაშინვე უნდა დაგთანხმებოდი, ასეთი პატრიოტული ნანარმოები იშვიათად მინახავსო. რუსებმა „მეფე ლირი“ რომ გადაიღეს, ლირი იურიმ ითამაშა. დიდი მსახიობი იყო და დაკავებულობის მიუხედავად ჩამოვიდა და როლზე მუშაობას დიდი სიყვარულით შეუდგა. როდესაც დაილაპარაკა, შემეშინდა. მისთვის ორგანული არ იყო რუსული. შეგიძლიათ ესტონურად თარგმნოთ და ითამაშოთ ეს სცენა-მეთქი, შევთავაზე. გაუხარდა, ერთ საათში თარგმნა და მთელი როლი ესტონურად ითამაშა. მერე რეზო თავართქილაძემ ბრწყინვალედ გაახმოვანა. მისი ხმა ძალიან მოუხდა იურის გარეგნობას. სხვათა შორის, დიდმა მსახიობებმა ვერ გაახმოვანეს, ძლივს ვიპოვე თავართქილაძე. მისი ხმის წყალობით შთაბეჭდილება რჩება, რომ ეს ესტონელი კაცი ქართულად თამაშობს“.

- კადრი, რომელიც განსაკუთრებულად გიყვართ.

- ყოველი სცენა ეტაპი იყო ჩემს სარეჟისორო შემოქმედებაში. დუქნის - კიკუს სცენის გადაღებისას ვიგრძენი, როგორ ატმოსფეროში უნდა ყოფილიყო ეს ფილმი. ბრწყინვალე სცენაა. იქიდან დავიწყე ამ ნაწარმოების სპეციფიკასა და ფსიქოლოგიურ სიმდიდრეში ღრმად წვდომა. საერთოდაც, თუთაშხიას მსგავს გმირს ქართულ ლიტერატურაში ვერც კი დავასახელებ. შვიდი სერია ორ წელინად-ნახევარში გადავიღეთ. ყველა შეყვარებული ვიყავით ნაწარმოებზე. განუწყვეტლივ ვმუშაობდით.

- ეკრანიზაციაზე ჭაბუა ამირეჯიბის აზრი როგორი იყო?



„ბევრი დამრჩა გასაკეთებელი, ფილმის გადაღებაც მინდა და სპექტაკლის დადგმაც, მაგრამ ამის ფიზიკური ძალა, ფაქტობრივად, აღარ მაქვს“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ან მოცემული ბოლო ინტერვიუ

EXCLUSIVE

„ჩემი მოღვაწეობით უკმაყოფილო არ ვარ. ბევრი მიშრომია... მე ვფიქრობ, საინტერესო ცხოვრება გავიარე. ასეთი დატვირთვით თეატრშიც და კინოშიც - ასეთი ბიოგრაფიის კაცი იშვიათად არის“

„ერთი დღე არ დამისვენია. ახლა ნამაქცია, 85 წლის ასაკში. ის ჯანმრთელი ფეხი გადაიღალა, ამდენი წელი მასზე რომ იყო დატვირთვა. წოლამ ძალიან დამჩაგრა. პასიური მდგომარეობა არაორგანულია ჩემთვის. ნერვებს ვერ ვთოკავ“

- ჭაბუა მიცნობდა როგორც თეატრის რეჟისორს და ვმეგობრობდით. თავიდან ეჭვის თვალით უყურებდა ჩემთვის ამ ეკრანიზაციის ნდობას. კინოს თავისი სპეციფიკა აქვს. გახსოვთ, ფილმში ასეთი სცენა - სადგურის რესტორანში თუთაშხია და მუშნი ზარანდია ერთმანეთს რომ დაინახავენ. ეს სცენა რომანში არ არის. სცენარის მიხედვით მეხუთე სერიაში უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, ზარანდიას ოჯახში. მაგრამ მე გამიჩნდა სურვილი, რომ მათ ერთმანეთი მანამდე თვალებით ენახათ... ეს სცენა მოვიგონე. შავად რომ დავამონტაჟე და ეკრანზე ვუყურებდი, სიბნელეში დარბაზში ჭაბუა შემოსულა და თურმე გადაღებულ მასალას უყურებდა. სცენა რომ დამთავრდა, მისი ქვითინი გავიგონე - ხმამაღლა ტიროდა. „საღოლ, გიგა, საღოლო“... აი, მაშინ დაიჯერა, რომ ფილმი გამოვიდოდა. დღეს, ჭაბუა იქ წევს, მე - აქ. დავბერდით, რას იზამ... ოცნებად მქონდა მისი რომანის - „გორა მბორგალის“ გადაღება. მასაც უნდოდა, მაგრამ... ჭაბუამ რომ ავტობიოგრაფია დაწეროს, ერთ-ერთი საუკეთესო გამოვა. მე მგონია, არ არსებობს ადამიანი, რომელსაც მისი მსგავსი ბიოგრაფია ჰქონდეს. გადასახლებიდან რამდენიმე გაქცევა... ის წლობით იმალებოდა.

მოსკოვში, ცენტრალური ტელევიზიის დირექტორი ლაპინი მრისხანე პიროვნება იყო. მისი შიშით ხალხს აკანკალებდა. კომუნისტურად მოაზროვნე კაცი იყო. ლაპინი ნახულობდა ფილმის ნახევარს ან ერთ სერიას და დასკვნას აკეთებდა, გაუშვებდა თუ არა მას არხზე. უცნაური მანერა ჰქონდა. არავის ასწრებდა მასთან ერთად ფილმის ნახვას, ალბათ, რომ არაფერი გამოჰპარვოდა. დაიწყო „თუთაშხიას“ ნახვა. შვიდივე სერიას შესვენების გარეშე უყურა, ეს კი დაახლოებით ათი საათია. ტელევიზიის მმართველობა გაოცდა. მერე გვიხმო, ადგა, გაიარ-გამოიარა და თქვა - მე კინოში ამდენი ბრწყინვალე როლი არ მინახავს, დიდი მადლობაო. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია მივიღე. 1969-70 წლები იყო... ტელევიზიამ გაუშვა ფილმი და ჩვენების დროს მოსკოვის ქუჩები ცარიელი იყო. რეჟისორმა სერგეი გერასიმოვმა თქვა, მე და ჩემი მეუღლე, თამარა მაკაროვა „ვგიკი“-დან ლექციებიდან ვიპარებოდით, რომ სახლში ფილმისთვის მიგვესწროო. გაზეთებში იწერებოდა, „დათა თუთაშხია“ რომ გადიოდა, იმ დროს ტაქსის მძღოლები გეგმას ვერ ასრულებდნენ.

- და, ვფიქრობ, მუსიკა ამ ფილმის ერთ-ერთი მთავარი გმირია.

- მთელი ჩემი ცხოვრებაა დაკავშირებული კომპოზიტორ ბიძინა კვირნაძესთან. უსაყვარლესი კომპოზიტორი და უსაყვარლესი ადამიანი იყო. „თუთაშხიას“ მუსიკა შედევრია. მეორე ოთახში რომ გაიგონებს ადამიანი, ამბობს, „თუთაშხია“ იწყებაო. ეს იშვიათად ხდება ხოლმე. მთავარი - „დათას“ თემა - შესანიშნავია, ბეჩუნის თემა... და სიმღერა, რომელსაც მერე მთელი ცხოვრება ვმღეროდი. მიყვარს ეს სიმღერა...

ნოდარ დუმბაძე

„ქართულ თეატრში ნოდარ დუმბაძის მოყვანა, დადგმა, ჩემი ინიციატივა იყო. პირველად მე დავდგი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ - ეს გასაგიჟებელი ნაწარმოები. მაშინ ნოდარი „ნიანგში“ მუშაობდა. არ იყო ძალიან ცნობილი. პატარ-პატარა ნოველებს წერდა. ჩვენ ერთ უბანში, ვერაზე გავიზარდეთ, ერთი ბიოგრაფიის ხალხი ვიყავით. მამა ორივეს დაჭერილი და დახვრეტილი გვყავდა... ვმეგობრობდით. ერთხელ - ნახე, რაღაც დავწერეო და ხელით ნაწერი „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ მომცა. სახლში მოვედი და ღამე დავიწყე კითხვა. დედაჩემს და ქეთინოს ეგონათ გავაფრინე - ხმამაღლა ვტიროდი და ხმამაღლა ვიცინოდი. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ამ გენიალურმა ნაწარმოებმა. უსათუოდ უნდა დავდგა-მეთქი, გადავწყვიტე. მეორე დღეს ეს ნოდარს ვუთხარი და მიპასუხა - რას სულელობ, რა უნდა ილიკოს და ილარიონს სცენაზეო? ვცდი-მეთქი. ვფიქრობ, ერთ-ერთი საეტაპო სპექტაკლი გამოვიდა, არა მარტო ჩემს შემოქმედებაში, არამედ მაშინდელ ქართულ თეატრში. იმ დროს მოდაში იყო პირობითი დეკორაციები. მხატვარი ოთარ ლითანიშვილი იყო. ერთხელაც მე და ოთარი ვაკეთებდით დეკორაციების მონტაჟს; პარტერში სესილია თაყაიშვილი შემოვიდა - ეს რა არისო? დეკორაციაა-მეთქი, ვუთხარი. ჩა...ვით მაგ დეკორაციაშიო, გვითხრა. ბუხარი დამიდგით, ქვასანაყი მომეცით და შიგნით სუნელი ჩამიყარეთ. ნამდვილი სუნი თუ ვერ ვიგრძენი, ისე ამ როლს ვერ ვითამაშებო. არც ისე ასაკოვანი იყო, მაგრამ ჩიფჩიფი უნდოდა და პროტეზი ამოიღო. ამხელა მსხვერპლზე წავიდა. გასაოცრად ითამაშა... სანდრო ჟორჟოლიანი იყო ილიკო. სპექტაკლს უდიდესი წარმატება ჰქონდა. 600 სპექტაკლი ვითამაშეთ და სულ ანშლაგით ჩაიარა ყველამ. ბილეთებს ძლივს შოულობდნენ. მერე გადაიღო თენგიზ აბულაძემ ფილმი. ამას მივაყოლე ნოდარის ასევე ბრწყინვალე „მე ვხედავ მზეს“. ქეთინო კიკნაძე, როგორც მსახიობი, ხატიას როლის შესრულებით დაიბადა. მერე იყო „საბრალდებო დასკვნა“. თვითონ ნოდარს ძალიან მოეწონა სპექტაკლები. ჩემს მიმართ, უკვე როგორც რეჟისორის მიმართ, გაუჩნდა რწმენა. როცა „თეთრი ბაირაღები“ გადავიღე, ნოდარი უკვე აღარ იყო... ჩემთვის ერთ-ერთი უდიდესი ტრაგედია იყო ნოდარ დუმბაძის ასე უდროოდ გარდაცვალება... გვერდიგვერდ პალატებში ვიწექით, მეც გულის შეტევა მქონდა იმ დროს, როცა ის გარდაიცვალა. სამი წლის მერე გადავიღე „თეთრი ბაირაღები“. ჩემი საყვარელი ფილმია. ისიც დახუნძლულია კარგი პერსონაჟებით. მანამდე თეატრში დადგმული მქონდა, ვიჯექი მასალაში. აკაკი ვასაძე თამაშობდა ისიდორეს. გენიალური არტისტი იყო. სცენაში - თავის ისტორიას რომ უყვება პატიმრებს და სასამართლო რომ მოუწყვეს, რეპეტიციაზე ისე მოყვა ეს ისტორია, რომ მსახიობებს ისტერიკული ტირილი აუვარდათ.

ნოდარ დუმბაძე იყო კაცი, რომელსაც უარყოფითი პერსონაჟიც უყვარდა. ტიგრანა არ უყვარდა? უყვარდა. დუმბაძის მოსკვლა ლიტერატურაში და თეატრში დიდი მოვლენა იყო“.

რეკორდსმენი

„რეკორდსმენი ვარ, 156 სპექტაკლი მაქვს დადგმული და 6 ფილმი გადაღებული, თითქმის სულ მრავალსერიიანი - „დათა თუთაშხია“, „წიგნი ფიცისა“, „ფიროსმანი“, „თეთრი ბაირაღები“... ჩემი მოღვაწეობით უკმაყოფილო არ ვარ. ბევრი მიშრომია... მე ვფიქრობ, საინტერესო ცხოვრება გავიარე. ასეთი დატვირთვით თეატრშიც და კინოშიც - ასეთი ბიოგრაფიის კაცი იშვიათად არის. თითქმის არ არის საქართველოში თეატრი, სადაც სპექტაკლი არ დამიდგამს. ბევრი დამრჩა გასაკეთებელი, ფილმის გადაღებაც მინდა და სპექტაკლის დადგმაც, მაგრამ ამის ფიზიკური ძალა, ფაქტობრივად, აღარ მაქვს. ძალიან მინდოდა პოლიკარპე კაკაბაძის „კახაბერის ხმალის“ ფილმად გადაღება. ძალიან საინტერესო თემაა, ისტორიული, მაგრამ დღევანდელი ჟღერადობის. სერიებად გადავიღებდი“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ჟოლო NEWS

ინტერნეტსივრცეს ახალი ვებგვერდი შეემატა. „ჟოლო“, კულტურულ-საზოგადოებრივ თემებზეა ორიენტირებული. გაზეთი „პრაიმტაიმი“ ამგებების მცირე ნაწილს გთავაზობთ, ვრცლად კი შეგიძლიათ იხილოთ მისამართზე www.jolo.ge

„თქვენ მე მაგიურ სამყაროში გადამისროლეთ“

„გუშინ სიამაყით ვიყავი სავსე“, - ამბობს ანიტა რაჭველიშვილი facebook-ზე განთავსებულ სტატუსში... სიამაყე ქართველ მომღერალს უცხო მიწაზე შესრულებულმა ქართულმა სიმღერამ და ფეხზე წამომდგარმა დარბაზმა მიანიჭა... მსოფლიოში აღიარებული ქართველი მეცო სოპრანო პუერტო-რიკოს დედაქალაქის სან-ჰუანის მსმენელის წინაშე წარსდგა. რამდენიმეწუთიანი აპლოდისმენტები „სამშობლოვ ჩემოს“ - მოჰყვა. აი, როგორია ერთ-ერთი მსმენელის შეფასება კონცერტის შემდეგ...

სარა ბიტრიზი, მსმენელი პუერტო-რიკოდან:

„ვერ აგინერთ რა განვიცადე, როდესაც თქვენი შესანიშნავი ხმა მოვისმინე. თქვენ მე მაგიურ სამყაროში გადამისროლეთ, ალბათ, უფალთან, რადგან თქვენი ხმა სწორედ ისეთია, ღვთიურ სამყაროს რომ შეეფერება. ქართული ტრადიციული სიმღერა, რომელიც ბოლოს შეასრულეთ, საოცრება იყო. ვერ გავიგე სიტყვები, მაგრამ გავიგე შეგრძნება. პირველი შემთხვევაა ჩემს ცხოვრებაში, როდესაც სიმღერის მოსმენისას თვალები მეცრემლება. მადლობა, მადლობა, მადლობა! იმედი მაქვს, თქვენს ხმას კიდევ ერთხელ მოვისმენ. ღმერთმა დაგლოცოთ“...

ანიტა რაჭველიშვილი: „საოცარი საღამო იყო. დაუვიწყარი კონცერტი სან-ჰუანში. საოცრად თბილი მაყურებელი. კონცერტის დასასრულს ბისზე თამარ სალუქვაძის „სამშობლოვ ჩემო“ შევასრულე... ამ ულამაზესი ქმნილების მერე მაყურებელი ფეხზე იდგა და გაგიჟებული უკრავდა ტაშს. ცრემლი მომადგა თვალზე... საქართველოს საზღვრებს გარეთ არც ისე ხშირად სრულდება ქართული მუსიკა და გუშინ სიამაყით ვიყავი სავსე. უბედნიერესი ვარ. დიდი მადლობა ამ კონცერტის ორგანიზატორს ბატონ გულიერმო მარტინესს და დიდი მადლობა პუერტო- რიკოს“.

ნაჭრის ნაკუწებისგან შექმნილი სამყარო

ნაჭრის ნაკუწებისგან შექმნილ ულამაზეს სურათებს, ახალ, ფერად სამყაროში გადაჰყავხარ. გგონია, რომ იქ შენც ერთი პატარა ნაჭრის ნაგლეჯი ხარ, შენი სათქმელით... ნამუშევრები ფიქრის მორევში გითრევს... მერე კი, მოგვიანებით, როცა გონს მოეგები, აცნობიერებ, რომ ნაჭრის ნაკუწი კი არა, მისი ერთი ძაფიც კი არა ხარ, უფრო მეტიც, მის სათქმელსაც კი ვერ ჩაწვდი ბოლომე, უბრალოდ, მის წინ დგახარ და სურათს მისჩერებიხარ... ასეთი შთაბეჭდილება დამიტოვა მანანა თავაძის გამოფენამ, რომელიც ბაია გალერეაში მოეწყო. მისი ხედვა დეკორატიულ ხელოვნებაში ორიგინალური და საინტერესოა. „ეს არის სრულყოფილი ნამუშევარები“ ასე შეაფასა ხელოვნებათმცოდნე ბაია წიქორიძემ მანანა თავაძის ნამუშევრები.

ამ გალერეაში ხელოვანის ეს უკვე მესამე გამოფენაა, როგორც თავად გვითხრა, ყოველი გამოფენისას ძალიან ღელავს. გალერეაში გამოფენილი 10 ნამუშევარი, 5 თვეში დამზადდა.

„ვფიქრობ, მანანა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხატვარია ამ სფეროში, რადგან მის ნამუშევრებში ჩანს შესრულების მაღალი ტექნიკა და ორიგინალური სტილი. მისი ნამუშევრები ასევე ნოვატორულია, რადგან ნაჭრების ნაკუწებიდან ცოცხლდება შინაარსობრივად დატვირთული თემები“,- აღნიშნა „ბაია გალერეის“ ხელმძღვანელმა.

გამოფენა „ბაია გალერეაში“ 20 ივნისის ჩათვლით გაგრძელდება.

ელისო ბოლქვაძე და Batumi MusicFest

მსოფლიოში აღიარებული ქართველი პიანისტი ელისო ბოლქვაძე კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალისთვის ემზადება. ფესტივალი, რომლის დამფუძნებელიც თავად არის, ბათუმში ჩატარდება. Batumi MusicFest წელს 22-28 ივნისს გაიმართება. ფესტივალში მონაწილეობენ საზღვარგარეთიდან მოწვეული მუსიკოსები, ასევე ბათუმის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი და კაპელა, უცხოელი სახელგანთქმული მუსიკოსები საფრანგეთიდან, საბერძნეთიდან, გერმანიიდან, ლიტვიდან და იტალიიდან. ბათუმს ფესტივალის გასაშუქებლად სპეციალურად ესტუმრებიან საერთაშორისო ჟურნალისტები. ფრანგული არხი Mezzo, რომელიც 45 ქვეყანაში გადასცემს და 70 მილიონ მაყურებელს მოიცავს, ორი კვირის განმავლობაში გააშუქებს ფესტივალის მონაწილეებს... ფესტივალი საქართველოს კულტურის სამინისტროს და აჭარის კულტურის სამინისტროს დაფინანსებით ტარდება.

ელისო ბოლქვაძე: ფესტივალის მიზანია, ადგილობრივი მუსიკოსების აღმოჩენა, წარმოჩენა და მათი თანამშრომლობა ცნობილ ქართველ და უცხოელ მუსიკოსებთან, რაც ხელს შეუწყობს მათი პროფესიული დონის ამაღლებას. Batumi MusicFest უთუოდ გახდება საკურორტო ქალაქის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავიზიტო ბარათი და ადგილს დაიმკვიდრებს მსოფლიო მნიშვნელობის საერთაშორისო სივრცეში. უმოკლეს ვადაში კი შევა ევროპის საერთაშორისო ფესტივალების ფედერაციაში... ასე რომ, 22-28 ივნისს, კლასიკური მუსიკის მოყვარულებს ბათუმის მუსიკალური ცენტრის დიდ საკონცერტო დარბაზში ველით.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ᲘᲜᲢᲠᲘᲒᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲮᲚᲐᲠᲗᲣᲚᲘ „ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲗᲬᲚᲔᲓᲘ“

„ნიჭიერთა ათწლედი“ კულტურის სამინისტროს უპირისპირდება და პრემიერ-მინისტრის მისამართით ვრცელ წერილს აქვეყნებს. ხელოვნების სკოლის კოლექტივის განცხადებით კულტურის სამინისტრო მათ სკოლას ბოიკოტს უცხადებს. „კულტურის სამინისტრო მიზანმიმართულად და დაუფარავად უკეთებს იგნორირებას სასწავლებელს და ბლოკავს ჩვენი დირექტორის ყველა იმ პროგრესულ წამოწყებას, რასაც წლები ველოდით“,- ნათქვამია წერილში.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა თითქმის ერთ საუკუნეს ითვლის. ამ სკოლაში აღიზარდნენ მუსიკოსები, რომელთაც შექმნეს მე-20 საუკუნის ქართული სამუსიკო ხელოვნების ისტორია. მათ რიცხვს ეკუთვნის: ბიძინა კვერნაძე, დავით თორაძე, ლექსო თორაძე, ნოდარ გაბუნია, ელისო ვირსალაძე, ჯანსუღ კახიძე, ელისო ბოლქვაძე, ალექსანდრე კორსანტია, თენგიზ ამირეჯიბი, ალექსანდრე ნიჟარაძე, ლიზა ბათიაშვილი, მედეა ამირანაშვილი, ლიანა ისაკაძე, ლამარა ჭყონია, ზურაბ ანჯაფარიძე, ხატია ბუნიათიშვილი და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი მსოფლიოში აღიარებული ხელოვანი.

ამონარიდი პრემიერ-მინისტრისადმი მიწერილი წერილიდან

მართალია სამინისტრომ შეგვინარჩუნა გაზრდილი ბიუჯეტი, მაგრამ მხარდაჭერა მხოლოდ ფინანსებში არ გამოიხატება. ნათლად ვხედავთ აქტიურ მუშაობას, კოლექტივში განხეთქილების დასანერგად, რაშიც გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს პედაგოგების მცირე ნაწილთან. იწერება საჩივრები, რომელთაც ხელს აწერენ ათწლედისა და კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებლები და შემდგომ ირკვევა, რომ უმეტეს შემთხვევაში ადამიანები შეცდომაში არიან შეყვანილნი და ხელმოწერები მოტყუებითაა მოპოვებული. ეჭვი გვაქვს, მსგავსი ინტრიგების ავტორები სწორედ სამინისტროს მაღალჩინოსანთა წაქეზებით მოქმედებენ...

ჩვენ, მუსიკოსები, წლების მანძილზე ერთგულად ვემსახურებოდით ჩვენს საქმეს, მორჩილად ვიღებდით რეალობას და მიუხედავად გაუსაძლისი პირობებისა, ვზრდიდით მუსიკოსებს, რომელთაც საკუთარი შემოქმედებით ჩვენი სამშობლო მსოფლიოს გააცნეს, როგორც მაღალი კულტურის ქვეყანა. მაგრამ დგება მომენტი, როდესაც სიტუაცია კრიტიკულ ზღვარზეა და პასიურობა დანაშაულის ტოლფასია. დღეს შექმნილი საგანგაშო ვითარება გვაიძულებს, მივმართოთ ღია წერილის ფორმას და კიდევ ერთხელ გთხოვოთ, მოგვაქციოთ ყურადღება და დაგვიდგეთ გვერდში საქართველოში სამუსიკო ხელოვნების გადასარჩენად. ნუ დაუშვებთ, რომ თქვენი მმართველობისას საბოლოოდ განადგურდეს ქართული მუსიკის ეს უნიკალური კერა!!!

ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘ ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲬᲚᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ



18 ივნისს, ავჭალის არასრულწლოვანთა დაწესებულებას ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო მოზარდმაყურებელთა თეატრი ეწვევა. არასრულწლოვანი მსჯავრდებულები რეჟისორ ხათუნა მილორავას მიერ დადგმულ სპექტაკლს „დეჟა ვუ“-ს ნახავენ. სპექტაკლი, რომელშიც ნინო ლეჟავა და კოტე თოლორდავა მონაწილეობენ, ორი მარტოსული ადამიანის შესახებ არის. სპექტაკლში მარტოხელა ქალისა და ქალებზე მონადირე ცოლშვილიანი კაცის ურთიერთობაა ასახული... ციხეში სპექტაკლის გამართვა, როგორც „ჟოლოსთვის“ გახდა ცნობილი, სახალხო დამცველის იდეაა. ლონისძიებას სახალხო დამცველთან, უჩა ნანუაშვილთან ერთად სასჯელაღსრულების მინისტრი სოზარ სუბარი დაესწრება.

ᲙᲘᲜᲝᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ WORLD FROM DAWN TILL DUSK ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ᲤᲘᲚᲛᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲔ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲣᲙᲕᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘᲐ. ᲐᲛᲐᲖᲔ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲜᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲛᲐ ᲘᲖᲠᲣᲜᲐ. ᲛᲐᲗᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲚᲘ ᲙᲘᲜᲝᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲘ ᲔᲬᲕᲘᲕᲜᲔᲑᲘ. ᲔᲠᲗᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲚᲝᲫᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲔᲑᲘ ᲛᲐᲡᲢᲔᲠᲙᲚᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲐᲡ ᲩᲐᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲜ, ᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓᲐᲪ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠ ᲤᲘᲚᲛᲔᲑᲡ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲒᲛᲘᲠᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲐ, ᲐᲛ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. ᲡᲐᲑᲝᲚᲝᲝ ᲯᲐᲛᲨᲘ ᲙᲘ ᲨᲔᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲡᲐᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲖᲔ.

ᲯᲐᲑᲐ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲫᲔ, ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲘᲐᲠ-ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘ: - საერთოდ მასტერკლასების ციკლი WORLD FROM DAWN TILL DUSK მსოფლიოს სხვადასხვა კინოსკოლების სტუდენტებისთვის ტარდება. პროექტი სამ ეტაპად არის დაყოფილი. პირველ ეტაპზე იყო პროექტის პრეზენტაცია და სხვადასხვა ფილმების ჩვენება. მეორე ეტაპი 29 ივნისს დაიწყება და სამ კვირას გასტანს, ჩატარდება მასტერკლასები, იქნება გადაღებები სტუდენტებთან ერთად, თავად პროდუქტი მზად დეკემბერში იქნება, სავარაუდოდ, დეკემბერშივე იქნება ფილმის პრემიერა საქართველოში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲘᲜᲝᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

© ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲪᲣᲚᲘᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲐ ᲘᲙᲠᲫᲐᲚᲔᲑᲐ

ლექსო თორაძე წარსულზე, ხელო

my View
დეა თავგერიძე

არ ვიცი კიდევ როდის ესტუმრება ეს ხელოვნების ჯადოქარი თბილისს, ის კი დანამდვილებით ვიცი, რომ განცდა, რომელიც პიანისტის მოსმენის შემდეგ გამომყვა, კარგა ხანს დარჩება ჩემთან... მსმენელის მოჯადოება ეს მისი ხელწერაა... ნამდვილად შეუძლია თავისი მგრძნობიარე ნოტებით წაგიყვანოს იქ, სადაც ჯერ არასდროს ყოფილხარ... გამოგზაუროს ჯადოსნურ სამყაროში... წარმოსახვის ამ საოცარ უნარს პიანისტის ვირტუოზულობა გძენს და „გაიძულებს“ მისტიკური მოტივების პერსონაჟად იქცე... შემდეგ კი მხოლოდ ნეტარებაა და შენ სიამოვნების ცრემლებად იღვრები... ამ ყველაფერში მთავარი დამნაშავე ლექსო თორაძე და გემოვნებით შესრულებული „რაველია“. მორის რაველის საფორტეპიანო კონცერტი სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ნიკოლოზ რაჭველის დირიჟორობით შესრულდა...

„გული მტკივა, რომ ასეთი მოგონებები არის“

„ოჯახს რა მოუვიდა და ჩემი წასვლის შემდეგ, ძალიან მალე, მამა გარდაგვეცვალა... ეს ტვირთი მე ყოველთვის მექნება“

აშშ-ში მოღვაწე მსოფლიოში აღიარებული ქართველი პიანისტი, უკვე რამდენიმე დღეა, საქართველოშია. მან, ნიკოლოზ რაჭველთან ერთად, დიდი ხნის წინ დაგეგმილი პროექტი განახორციელა. ლექსო თორაძემ საქართველოში ორი კონცერტი გამართა. მონატრებულ მაესტროს ქართველი მსმენელი 14-15 ივნისს შეხვდა... რაველთან ერთად შესრულდა იგორ სტრავინსკის სიუიტა ბალეტიდან „ფასკუნჯი“ და გუსტავ მალერის პირველი სიმფონია.

ლექსო თორაძე ამერიკაში 1983 წლიდან ცხოვრობს. საბჭოთა პერიოდში მისი ამერიკაში „გადახვეწა“ დიდ ტკივილთან იყო დაკავშირებული. თბილისში დარჩენილი ოჯახი კაგებეს მეთვალყურეობის ქვეშ მოექცა... მისი წასვლა ოჯახის წევრებს, ახლობლებს, ნათესავებს დიდ ტკივილად ექცათ. ოჯახში ტრაგედია დატრიალდა. კაგებეში დაბარების შემდეგ მამა გარდაეცვალა... ამერიკაში წასულისთვის კი სამშობლოში დაბრუნება აუხდენელი ოცნება იყო... მაშინ ბევრმა გაკიცხა კიდეც ამ ნაბიჯისთვის... თუმცა, როდესაც უსმენ, ხვდები, რომ ეს შემსრულებელი კომუნისტურ რეჟიმს ვერ დაემონებოდა, ხვდები, რომ სწორედ ამან აიძულა გაერისკა და ამერიკას შეხიზნოდა... დღეს ის მსოფლიოში აღიარებული პიანისტია. მისი კონცერტები მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში იმართება. გასტროლები 2-3 წლით ადრე აქვს დაგეგმილი. ამჟამად, ამერიკის ინდიანას შტატის, ქალაქ საუზბენდის მუსიკალური ცენტრის (უნივერსიტეტის) საფორტეპიანო ფაკულტეტის კათედრის გამგეა. თავისი სტუდია აქვს. ამ სტუდიაში ბევრი ქართველი სწავლობს...

ალბათ, დიდი ადამიანების ხიბლი უბრალოებაშია, როგორი სასიამოვნოა, როცა ამ უბრალოებას სწორედ იქ აწყდები, სადაც ყველაზე ღირებული იქმნება.

ლექსო თორაძე: - ბგერების ერთმანეთთან დამოკიდებულებას ვუსმენ და ვცდილობ, ეს დამოკიდებულება შეძლებისდაგვარად წავიყვანო და ვატარო აქეთ-იქით. გუშინ ერთმა ჩემმა მეგობარმა ხალხური სიმღერების არაჩვეულებრივ შემსრულებელზე თემურ ქევხიშვილზე თქვა - სიმღერა აქეთ-იქით ატარაო. შთამბეჭდავი გამოთქმაა. რადგან მართლაც ასე იყო, ასეთი მომღერლისთვის გონაშვილის შემდეგ არ მომისმენია. სიმღერა და ხმა ბუნებრივი ჯადოა. როიალსა და ინსტრუმენტზე რთულია ამის თქმა. მაგრამ უნდა შეეცადო, რომ ატარო ეს მუსიკა აქეთ-იქით...

- რეპეტიციაზეც ზუსტად ისე იხარჯებით, როგორც კონცერტზე?

- ორგანიზმს ვერ მოატყუებ, ძალიან ვცდილობ, მაგრამ მაინც ვერ მოატყუებ. კონცერტზე ასობით მსმენელია და ეს უფრო ძაბავს ჰაერს, უფრო ფაქიზს ხდის. ბევრი ადამიანის დრო გაქვს ხელში და ასმენინებ შენს სეირნობას ამ მუსიკასთან ერთად, ეს ძალიან ფაქიზი მომენტია. იძულებულები არიან, თავიანთი ცხოვრების დრო დახარჯონ და გისმინონ. დაძაბული სიტუაციაა, ამიტომ ორგანიზმს ვერ დააჯერებ, რომ რეპეტიცია არის კონცერტი, მაგრამ დამოკიდებულება უნდა იყოს ზუსტად ასეთი, რომ რეპეტიცია არ არსებობს ასეთი რაღაც, განსაკუთრებით, როდესაც ორკესტრთან მუშაობ და ამდენი ხალხი გისმენს, მათ უნდა დაიჯერონ, რომ ხდება გარკვეული აქტი და არა ავტოპილოტით რაღაც ტემპების შერჩევა და ფორმალური დამოკიდებულება. მთავარია, კონტაქტი დაამყარო. ამის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი დირიჟორია, დირიჟორმა უნდა გადასცეს ეს კავშირი, მაგრამ თვითონ ორკესტრს ხომ ესმის სოლისტი რას აკეთებს.

„თითქმის ათი წლის შედეგ დავუბრუნდი საქართველოს“

- აქ დარჩენილებისთვის ტრაგედია იყო თქვენი ამერიკაში წასვლა, თქვენთვის?

- ჩემთვისაც ტრაგედია იყო, თან ძალიან დიდი, მაშინ ფაქტი იყო და გეგონა, რომ მთელი ცხოვრება ვეღარ ჩამოხვიდოდი... ვინ ფიქრობდა 10 წელიწადზე. განიცდიდი ოჯახზე და



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ვნებასა და ქართულ რეალობაზე

„ნიკა, მთელი თავისი არსებით, უჩვეულოდ დიდი მასშტაბის მუსიკალური ორგანიზმია, რომელსაც ესმის არა მარტო ყურით, არამედ თითებით და თვალებით... ის მუსიკალური განძია და მოვლა სჭირდება“

ლექსო თორაძემ დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო კონსერვატორია, იაკოვ ზაკის, ბორის ზემლიანსკისა და ლევ ნაუმოვის ხელმძღვანელობით. არაერთი საერთაშორისო ფესტივალის მონაწილე და კონკურსის გამარჯვებულია. 1983 წელს, მოსკოვის დიდი თეატრის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, საგასტროლო მოგზაურობის დროს, ქალაქ მადრიდში, პიანისტმა მიმართა აშშ საელჩოს და მოითხოვა თავშესაფარი. მას შემდეგ საუდ ბენდის ინდიანას უნივერსიტეტის პროფესორია და ამავდროულად ხელმძღვანელობს საფორტეპიანო სტუდიას, რომლის შემადგენლობაშიც არაერთი უნიჭიერესი ქართველი შემსრულებელია და უდიდესი აღიარებით სარგებლობს მთელს მსოფლიოში. დღეისთვის ალექსანდრე თორაძე აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა და თანამშრომლობს მსოფლიო რანგის ორკესტრებთან და დირიჟორებთან.

გამუდმებით ფიქრობდი ოჯახს რა მოუვა?! ოჯახს რა მოუვიდა და ჩემი წასვლის შემდეგ, ძალიან მალე, მამა გარდაგვეცვალა... ეს ტვირთი მე ყოველთვის მექნება. ერთი კვირით ადრე, ვიდრე გარდაიცვლებოდა, ძალიან დიდი ხანი ველაპარაკე მამაჩემს, თითქმის საათ-ნახევარი, ეს 1983 წლის 31 ოქტომბერს იყო. ჩვენი ლაპარაკი მთლიანად ჩავიწერე. ვიცოდი, რომ ჩვენს ტელეფონს უსმენდა და ლაპარაკს მედგრად იწერდა აქაური კაგებე. მეც ჩემი ვერსია მინდოდა მქონოდა და მაქვს ახლაც. ამ ჩანაწერში იმას არ მეუბნება, ყოჩაღო, მაგრამ შიგნით ვგრძნობ, რომ ამბობს - მოსახდენი მოხდა, შენ ახლა შენს საქმეს უნდა მიხედო... გაახარე ის ადამიანები, რომლებიც აქ ძალიან განიცდიან და ძალიან უყვარხარო...

- როგორც ვიცი, 1983 წელს, მამამ საფორტეპიანო კონცერტი მოგიძღვნათ, რომლის საქართველოში შესრულებაც გინდოდათ...

- 1983 წელს, 12 აპრილს, ლუბლიანაში დავუკარით, მაშინ იუგოსლავია იყო, ახლა სლოვენიაა. მამა იყო ამ შესრულებაზე. ამ ბოლო ლაპარაკში ჩვენ ამაზეც გვაქვს ბჭობა, პარტიტურა თან მქონდა წაღებული, მამას ვუთხარი, აქ მოთხოვნები არის, რომ შევასრულო-მეთქი. კატეგორიულად წინააღმდეგი იყო, შენ მაგის დრო და თავი არ გაქვსო. პოლიტიკური მიზნებით გთხოვენო... მართალიც იყო, - ახალი ჩამოსული პიანისტი, რომელმაც პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვა და მამამისის კონცერტს დაუკრავს... ეს არც შენ გჭირდება და არც მე, მოვა დრო და დაუკრავ. ჯერ შენი საქმე გააკეთე და მერეო... მართლაც ასე მოხდა, მაგრამ ამ მერეს 12 წელი დასჭირდა... ამის შემდეგ რამდენჯერმე მაქვს დაკრული. მაგრამ ბევრჯერ არა, რთული შესასრულებელია. საქართველოში არ დამიკრავს. სურვილი დიდი მაქვს. ეს დროც მოვა. თვითონ მამა არაფერში ჩქარობდა. ერჩივნა 10 წელი ეცადა, მაგრამ კარგ სიტუაციაში შესრულებულიყო, ანუ ისეთ დირიჟორთან, რომლის რწმენაც ჰქონდა, რომ ის მოუვლიდა მის მუსიკას, ორკესტრს და ასე შემდეგ. ამას ბევრი ფიქრი არ უნდა, უახლოეს მომავალში აუცილებლად ჩამოვიტან ამ კონცერტს, რადგან ძალიან კარგი კონცერტია...

- ამ კონცერტსა და სიმფონიურ ორკესტრზე რას იტყვით?

- დიდი ხანია ვგეგმავთ ამ კონცერტს, ნიკოლოზ რაჭველის ორკესტრთან მქონდა შესრულებული რამდენჯერმე, მაგრამ მასთან ასეთი შეხვედრა არ მქონია. ეს ჩვენი პირველი ერთობლივი გამოსვლა გახლავთ, რაც ძალიან მახარებს. ორკესტრი ძალიან კარგად მუშაობს. ძალიან დიდი დატვირთვით და, შეიძლება ითქვას, თავგანწირვით. რამაც დიდი შთაბეჭდილება დატოვა.

- ამ ბოლო დროს ნიკოლოზ რაჭველთან დაკავშირებული მოვლენების შემდეგ, საინტერესოა თქვენი მოსაზრება, როგორ დაახასიათებდით მას, როგორც ხელოვანს?

- ნიკა მთელი თავისი არსებით უჩვეულოდ დიდი მასშტაბის მუსიკალური ორგანიზმია, რომელსაც ესმის არა მარტო ყურით, არამედ თითებით და თვალებით... რასაც ხედავს, ის ესმის კიდეც, რასაც მიეკარება, იმას გრძნობს... ძალიან უნიკალური ორგანიზმია ნიკა და მოვლა სჭირდება. ჯერ ახალგაზრდაა ძალიან. დირიჟორი ბევრად უფრო გვიან ყალიბდება. ამიტომაც სჭირდება მოვლა ამისთანა მუსიკალურ განძს, რომელსაც ერთი ადამიანი წარმოადგენს. ბევრი წინააღმდეგობები აქვს, მაგრამ მერე ფიქრობ, რატომ არ უნდა ჰქონდეს წინააღმდეგობები?! ვინც კი ოდესმე მართლა სერიოზულად რამის გამკეთებელი იყო, წინააღმდეგობა ყველას ჰქონდა. ქართულ სინამდვილეზე არა მაქვს ლაპარაკი, ზოგადად მსოფლიოში. იგივე რაველისა თუ დებიუსის ჩათვლით. დებიუსიზე ჩაიკოვსკი იცინოდა... კომშარიაო... ეს მაშინ, როცა ჩაიკოვსკი უკვე ჩაიკოვსკი იყო, ვიდრე გარდაიცვლებოდა სამი წლით ადრე. ასევე იყო ბერლიოზი, სანამ აღიარება სხვაგან არ მიიღო, საფრანგეთში კაცად არ თვლიდენენ... ამიტომ არ უნდა გაგიკვირდეთ, პირიქით, უნდა გაგიხარდეთ... აჟიოტაჟები ბევრია მსოფლიოში... არადა თბილისს ჰგონია, რომ განსაკუთრებით თბილისშია...

- ამერიკაშიც ხშირია ამგვარი დაპირისპირებები?

- მთელ მსოფლიოში ასეა, შიდა კულტურული ძალების ბრძოლა ყველაგან არის. მაგრამ არა პოლიტიკოსებსა და მუსიკოსებს შორის, არამედ შიდა ორგანიზაციაში, მაგალითად, ბრძოლა ორკესტრისა და ადმინისტრაციის, ან დირიჟორის... ასეთი რაღაცები ყველგან ხდება. ჩვენ, უბრალოდ, ცოტანი ვართ, პატარები ვართ, ერთმანეთს ძალიან კარგად ვიცნობთ და ეს გადადის პირად ელემენტებზე... თან ჩვენთან არის საბჭოური გადმონაშთი, როდესაც მინისტრი ან თუნდაც პრეზიდენტი ერევა მხატვრულ ცხოვრებაში, იმაში, რაშიც აბსოლუტურად არაფერი გაეგება. დირექტივული ბრძანებები მიმდინარეობს ზემოდან, რაც სხვადასხვა ორგანიზაციებს მუშაობაში უშლის ხელს, ამით აქეზებს ერთმანეთს და მიდის ერთმანეთის არასაინტერესო, ბანალური შეურაცხყოფები... გული მტკივა, რომ ასეთი მომენტები არის...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ნუგზარ შარია საქართველოში

my View
თამარ გონგაძე



„ახლახან გავიგე, თურმე, ანა კალანდაძეს გულის ჯიბეში სდებია ჟურნალიდან ამოჭრილი ჩემი სურათი და ჩემ რადიოგადაცემებს საბნის ქვეშ უსმენდა“

„როგორც ბატონმა რეზო ჩხეიძემ შეაფასა, ორივე ფილმი 15 მილიონი დოლარი ჯდება. თუ ეს ფილმები ინგლისურ ენაზე იქნება გადაღებული, სისხლით მოგიწერთ ხელს - მილიონებს მოიტანს“

თვე-ნახევარია „ხევისბერი გოჩას“ ლეგენდარული ონისე - ნუგზარ შარია - თბილისშია. კახი კავსაძისა და გივი ბერიკაშვილის საიუბილეო საღამოზე ვნახე და გამიხარდა - ჩავწერ-მეთქი. „მე მივდივარ იქ, სადაც მელოდებიან. ბატონმა რეზო ჩხეიძემ მითხრა - უნდა ჩამოხვიდეო, დავჯექი თვითმფრინავში და ჩამოვფრინდი“. კონკრეტული მისია აქვს და სამშობლოში რჩება მანამ, სანამ ამ მისიას არ შეასრულებს. ორი ფილმის გადაღებას აპირებს - „წმინდა ნინო“ და „ქეთევან წამებული“. 2005 წლის ათი ოქტომბრით თარიღდება პატრიარქის წერილი, რომელიც წერს, რომ მიესალმება ნუგზარ შარიას ინიციატივას ინგლისურ ენაზე გადაიღოს ფილმები - „წმინდა ნინო“ და „ქეთევან წამებული“. საავტორო უფლება შეერთებული შტატების კონგრესმა მიანიჭა. მას შემდეგ ნუგზარ შარია მხოლოდ ამ პროექტზე მუშაობს. ის გახლავთ სცენარის ავტორი და რეჟისორი. პროექტის სამხატვრო ხელმძღვანელი რეზო ჩხეიძეა, ხოლო გენერალური კონსულტანტი, როგორც თავად ამბობს - პატრიარქი. ფილმებში გამოყენებული იქნება უწმინდესის მუსიკა.

პროექტი მთლიანად ქართულია, ქართული შემოქმედებითი ჯგუფით, მხოლოდ ინგლისურ ენაზე. იქნება ქართული ვერსიაც. „ამ სამ მილიონ-ნახევრიანი ერის კულტურას მსოფლიო ნახავს. ამიტომაც ვილებთ ინგლისურ ენაზე. თანაც ქართველი მსახიობები ამერიკელ მსახიობებს სჯობს“. როლები თითქმის განაწილებული აქვს. წმინდანების - წმინდა ნინოსა და წმინდა ქეთევანის როლებზე, როგორც ამბობს, პატრიარქის თქმით ტიპაჟები სოფლებში უნდა აარჩიოს. აპირებს გადაიღოს პიერ პაოლო პაზოლინის მანერაში - ვიზუალური აზროვნებით, დიალოგებით ნაკლებად დატვირთული. პროექტი მზად არის, დაფინანსებას ელოდება. „მე ჩემი მისია დავამთავრე. ახლა მათზეა დამოკიდებული“.

43 წელია ემიგრაციაში ცხოვრობს, ამერიკაში. საზღვრის უკანონო გადაკვეთისა და ანტისაბჭოთა აზროვნებისთვის ყოფილ საბჭოთა კავშირში მისი დახვრეტის მუხლით გასამართლება უნდოდათ. ამაზე მსახიობი და რეჟისორი თავად ყვება. მე კი მასთან სახლში ერთი ისტორიული შეკრების მომსწრე გავხდი. იქ დამხვდნენ კახი კავსაძე და გივი ბერიკაშვილი, მოგვიანებით შემადგენლობას ჯემალ ღაღანიძე შემოუერთდა. ძნელი წარმოსადგენი არ არის, როგორ გავიხარებდი. ჩემთვის ჩუმად დავჯექი და ამ ისტორიული შეხვედრის ჩაწერაზე ნებადართულმა ბუმბერაზების საუბარი თქვენთვის წამოვიღე. ნუგზარ შარია მსახიობებს თავის პროექტსა და მათთვის განკუთვნილ როლებზე ესაუბრა.

სტუმრად ნუგზარ შარიასთან

ნუგზარ შარია: - ძმებო, შვიდი წლის წინ ამერიკიდან სცენარებით რომ ჩამოვედი და პატრიარქმა მათი გადაღების კურთხევა წერილობით მომცა, ამის შემდეგ ის ბატონ ბიძინა ივანიშვილს მათ დაფინანსებაზე მოელაპარაკა. ახლა კი ბატონ რეზო ჩხეიძის თხოვნით ჩამოვედი. მან მითხრა - უნდა მოხდეს, ჩემი, შენი, პატრიარქის და ბიძინა ივანიშვილის [illegible] ბატონ ბიძინა ივანიშვილის უოლტ დისნეისთან. უხეშად შემხვდა, რა არის ამ საბჭოთა პრესაში ფაშისტად რომ გამომიყვანეთო? მერე შემომხედა - არა, თქვენ მსახიობი ხართ, ჟურნალისტი არ ხართო. რა გავაკეთო თქვენთვისო, მკითხა. თქვენს რეპეტიციას დამასწარით-მეთქი. დავესწარი და აღმოვაჩინე, რომ დისნეი ყველას აზრს ეკითხებოდა და ითვალისწინებდა. ეს სამუდამოდ დამამახსოვრდა. მეც მაინტერესებს ყველა თქვენგანის აზრი.

კახი კავსაძე: - როგორ ფიქრობ, რამდენი დაჯდება ეს ფილმები?

ნუგზარ შარია: - როგორც ბატონმა რეზო ჩხეიძემ შეაფასა, ორივე ფილმი 15 მილიონი დოლარი ჯდება. თუ ეს ფილმები ინგლისურ ენაზე იქნება გადაღებული, სისხლით მოგიწერთ ხელს - მილიონებს მოიტანს. შეკვეთა პატრიარქისგან ინგლისურ ენაზეა. ბატონი ბიძინა მართალია. მან, რეზო ჩხეიძის ვარსკვლავის გახსნაზე ბატონ რეზოს უთხრა, ფილმში ამდენი მილიონი რომ ჩავდო, საქართველოს მოსახლეობა სულ 3 მილიონ-ნახევარია და შემოსავალს ვერ მომიტანსო. ამიტომ ინგლისურ ენაზე უნდა გადავიღოთ, რომ ის მსოფლიოს ინგლისურ ენოვან ქვეყნებში გაიყიდოს. ამ ფილმებით მსოფლიო გაიცნობს საქართველოს. მე ვარ ჰოლივუდის პროფკავშირის წევრი. ჰოლივუდის მსახიობების გასამრჯელო თქვენ გასამრჯელოსთან შედარებით უზარმაზარია. ნიკოლ კიდმანმა ეკრანზე პირი რომ გააღოს, 25 ათასი დოლარი ღირს. ამ დროს თქვენთან შედარებით ეს გოგო 25 კაპიკიც არ ღირს.

კახი კავსაძე: - მე მომწონს, კარგად არტისტობს. 25-ს არა, 24-ს მივცემდი:) ნუგზარ, ვთქვათ, ბატონმა ბიძინამ დადო 15 მილიონი, როდის ფიქრობ ფილმის გადაღების დაწყებას?

- იმწუთში დაიწყება, როცა თანხმობა იქნება. მე მაგისთვის ვარ ჩამოსული.

26 წლის ასაკში დამსახურებული არტისტი

ნუგზარ შარიას თავისი დიდი და საინტერესო ბიოგრაფია დოკუმენტებად ერთად აქვს თავმოყრილი. სპეციალურად „პრაიმტაიმისთვის“ 72 წლის მსახიობი თავის ისტორიას ჰყვება.

„ჩემი პირველი რეჟისორი მიხეილ ჭიაურელი იყო. 15 წლის ვიყავი „ოთარაანთ ქვრივს“ რომ იღებდა. მე მოჯირითე ვიყავი. წინანდალში ვიღებდით, 1 სექტემბერს მამამ რომ ჩამომაკითხა, სკოლა ინყებოდა. დამიტოვე შენი შვილი, კარგ მსახიობად გავზრდიო, უთხრა. მერე სოფიკო ჭიაურელთან, მალხაზ გორგილაძესთან, არიადნა შენგელაიასთან ერთად ვითამაშე ფილმში „ენგურის ნაპირებზე“. ჭიაურელმა მითხრა, ეგ ფილმი არ ვარგა, თუმცა შენ აღმოჩენა ხარო. ეგ

„ამას წინათ ქალაქ რუსთავში „ხევისბერი გოჩა“ უჩვენებიათ. ჩემ გამოჩენაზე მაყურებელი ფეხზე ამდგარა და ტაშისცემა და ფეხების ბაკუნი აუტეხავს. რა უფლება მაქვს ამ სიყვარულს და პატივისცემას ზურგი შევაქციო?“



CATHOLICOS-PATRIARCH OF ALL GEORGIA

Tbilisi 0105, King Erekle II sq. 1
Tel.:99 03 78, 98 95 40 FAX: (+99532) 98 71 14

ბატონ ნუგზარ შარიას

ბატონი ნუგზარ შვიტყვეთ, რომ გაქვთ სურვილი ინგლისურ ენაზე გადაიღოთ [illegible] ფილმი წმინდა ნინოსა და წმინდა ქეთევან წამებულთან დაკავშირებით.

ღვეს, როდესაც საქართველო თანდათან გადის საერთაშორისო ასპარეზზე და ცდილობს თავისი ადგილი დაიკავოს ცივილიზებულ სახელმწიფოთა შორის, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მსოფლიოსათვის საქართველოს ისტორიისა და კულტურის გაცნობას.

ვეკერნობ ეს ფილმი ხელს შეუწყობს ამ მიზნის განხორციელებას. ამიტომაც საქართველოს ეკლესია მხარს უჭერს და მიესალმება თქვენს ინიციატივას. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს საეკლესიო თემა და იგი თავისი სპეციფიკით გამოირჩევა.

ჩვენს მხრიდან აუცილებლად მოგვაჩნია კონსულტანტის გამოყოფა, რომელთანაც შეთანხმდება რიგორც სცენარი ფილმისათვის, ისე გადაღების პროცესი და მონტაჟი. (სცენარი უკვე წაკითხულია და მოწონებული).

იმედი ურთიერთთანამშრომლობა სარგებლობის მომტანი იქნება ორივე მხარისათვის.

ღმერთს დაგლოცოთ და მოგცეთ ძალა ღვთისსათნო მრავალ საქმეთა აღსასრულებლად.

ღრმა პატივისცემით

+ილია II

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

10 ოქტომბერი, 2005 წელი

პატრიარქის წერილი



Form PA
For a Work of Performing Arts
UNITED STATES COPYRIGHT OFFICE

This Certificate issued under the seal of the Copyright Office in accordance with title 17, United States Code, attests that registration has been made for the work identified below. The information on this certificate has been made a part of the Copyright Office records.

Marybeth Peters
Register of Copyrights, United States of America

PAu2-999-357

Month 11 Day 21 Year 05

DO NOT WRITE ABOVE THIS LINE. IF YOU NEED MORE SPACE, USE A SEPARATE CONTINUATION SHEET.

1 TITLE OF THIS WORK: SAINT NINO AND THE MARTYRED QUEEN KETEVAN
PREVIOUS OR ALTERNATIVE TITLES:
NATURE OF THIS WORK: DRAMATIC WORK

2 a NAME OF AUTHOR: NOUGZAR SHARIA
AUTHOR'S NATIONALITY OR DOMICILE: UNITED STATES
DATES OF BIRTH AND DEATH: 03/19/41
WAS THIS AUTHOR'S CONTRIBUTION TO THE WORK: Anonymous No, Pseudonymous No
NATURE OF AUTHORSHIP: SCREENPLAY

b NAME OF AUTHOR:
AUTHOR'S NATIONALITY OR DOMICILE:
DATES OF BIRTH AND DEATH:
WAS THIS AUTHOR'S CONTRIBUTION TO THE WORK:
NATURE OF AUTHORSHIP:

c NAME OF AUTHOR:
AUTHOR'S NATIONALITY OR DOMICILE:
DATES OF BIRTH AND DEATH:
WAS THIS AUTHOR'S CONTRIBUTION TO THE WORK:
NATURE OF AUTHORSHIP:

3 a YEAR IN WHICH CREATION OF THIS WORK WAS COMPLETED: 2005
b DATE AND NATION OF FIRST PUBLICATION OF THIS PARTICULAR WORK

4 COPYRIGHT CLAIMANT(S): NOUGZAR SHARIA, 22 ARBOROAKS, SARASOTA FLORIDA, 34232

APPLICATION RECEIVED NOV 7 2005
ONE DEPOSIT RECEIVED
TWO DEPOSITS RECEIVED NOV 21 2005
FUNDS RECEIVED

MORE ON BACK

Page 1 of 2 pages

აუმ-ს კონგრესის საავტორო უფლება

საჭოთა კავშირის მოღალატე

„მერე იყო რუსეთი... უმაღლესი სარეჟისორო კურსები დავამთავრე. სამი წელი ვცხოვრობდი სარდაფში. რეჟისორებს საერთო საცხოვრებელს არ აძლევდნენ. ლეონიდ ტრაუბერგის მონაფე ვიყავი. არ უნდოდა ჩემი მიღება, შენი გარეგნობის ქართველი კაცი რესტორან „არაგვში“ იქეიფებს და ქალებში დროსტარებას გადაჰყვებაო. გადავიღე სადიპლომო ფილმი „შუადღე“, რომელიც ანტისაბჭოთა ფილმად მონათლეს. იქიდან თბილისში დაბრუნებული აღარსად მიმიღეს: არც კინოსტუდიაში, არც თეატრში, სცენარი დამიბლოკეს, შტატში არ ჩამრიცხეს, ხელფასი არ მომცეს. ფარაჯანოვმა სომხეთში გამიშვა სათამაშოდ. მერე შუა აზიაში ვიყავი, 18 ფილმში ვითამაშე. იქაც მომხსნეს როლიდან. ალბათ, ნიჭით ვჯობნიდი... ამიტომ 1970 წელს საფრანგეთში პოლიტიკური თავშესაფარი ვითხოვე. 15 წუთში მომცეს. მხოლოდ ღმერთი იყო ჩემს გვერდით. გოგი ჩხეიძემ შემიკედლა. თერთმეტ თვე-ნახევარი დავყავი პარიზში.

1976 წელს ანდრეი გრომიკომ საბჭოთა მოქალაქეობა გამიუქმა, საჭოთა კავშირის მოღალატისა და საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით. დახვრეტა მომისაჯეს... მოსკოვიდან საქართველოში გამოგზავნეს ჩემი საბუთები. ამით მოსკოვმა ხელი დაიბანა. ანუ თუ გამასამართლებდნენ, აქ უნდა დავეხვრიტე. ცხონებული დედა და ძმა ზვიად გამსახურდიასთან მივიდნენ. მაშინ არ იყო პრეზიდენტი. პროკურატურაში შეიტანეთ საქმე ნუგზარის რეაბილიტაციის შესახებო, ურჩია. 1989 წელს თბილისის სასამართლომ დახვრეტის მუხლი მომიხსნა. მერე ბატონმა ზვიადმა მომიწვია საქართველოში, საბჭოთა საელჩო კი ვიზას არ მაძლევდა. მოსკოვმა არ იცოდა, რომ მე რეაბილიტირებული ვიყავი“.

ანა კალანდაძე

„ამერიკის ელჩმა პარიზში მითხრა, რატომ დარჩით აქ? მოსკოვში დავამთავრე სარეჟისორო. ჩავედი საქართველოში და იქ ყველა კარი დამიხურეს-მეთქი. გამოდის, უმუშევრობის გამო ითხოვთ თავშესაფარს. მიბრძანდით რადიო „თავისუფალი ევროპის“ ამერიკის ბიუროში და მუშაობის დაწყება სცადეთო. პირველი გადაცემა რუსულ ენაზე გავაკეთე და დამიწუნეს. „კაგებეს“ მე, მიშა კობახიძე და ოთარ იოსელიანი შავ სიაში ვყავდით. ეს გადაცემა ანტირუსულად ჩათვალეს. მერე რამდენიმე ქართული გადაცემა მქონდა... მერე მივიღე საემიგრაციო ვიზა და ამერიკაში წავედი. ახლახან გავიგე, თურმე, ანა კალანდაძეს გულის ჯიბეში სდებია ჟურნალიდან ამოჭრილი ჩემი სურათი და ჩემ რადიოგადაცემებს საბნის ქვეშ უსმენდა. ეს დაუვინყარი მოვლენაა ჩემთვის. ჩემი პირველი გადაცემა რადიო „თავისუფალ ევროპაში“ მქონდა სათაურით - „საბჭოთა სამართალი ანუ სასამართლო მიდის განაჩენის გამოსატანად“ - ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, გურამ დოჩანაშვილის პირველ დაპატიმრებაზე. ასეთ ეროვნულ პროგრამებს ვინყებდი გიტარის თანხლებით და სიმღერით - „საქართველოო ლამაზო, სხვა საქართველოო სად არის“, ანუ ანას ლექსით... და ის კიდევ, თურმე, ჩუმად მისმენდა, საბნის ქვეშ... აი, ასეთი დამთხვევა იყო. ეს მე მისი დისშვილისგან გავიგე...“

„არც ერთი წამი საქართველოს გარეშე“

- როგორი ქვეყანაა ამერიკა და როგორ მიგიღოთ?

- ჭკვიანური შეკითხვაა. მიჭირს ჩემს თავზე ლაპარაკი... საქართველოს გარეთ, სადაც არ უნდა იყო, ადგილობრივზე ათჯერ უკეთესი უნდა იყო, რომ ფიზიკურად გარული დაივიწყე; თუ ბედი გენია და მეორე როლი შემოგთავაზეს, ტექნიკა ერთი ფილმიდან მეორეში უნდა გადაიტანოო. 19 წლის ვიყავი, პირველკურსელი. ეს სიტყვები სამუდამოდ ჩამრჩა. ასე ვითამაშე 37 ფილმში. 26 წლის ასაკში დამსახურებული არტისტის წოდება მომანიჭეს. ყოფილ საბჭოთა კავშირში ჩემი კინოეპოპეა მაშინ დავასრულე.

სიკო დოლიძის „პალიასტომის ტბაში“ ყაჩაღი დარჩია ვითამაშე. ასეთი დამთხვევა იყო. გლეხი ივანე ეკითხება - საით გაგიწევია დარჩია? რა ვიცი, ბატონო, წავალ, ქვეყანა დიდიაო. ასე ასრულდა ჩემს ცხოვრებაში, აქედან წასვლა მომიხდა...

„ხევისბერი გოჩა“ ქართული კინოხელოვნების ნიმუშად არის ქცეული. გადაღებამდე მთელი სცენარი სარეპეტიციო დარბაზში თავიდან ბოლომდე გავიარეთ. ამიტომ გამოვიდა ფილმი. უკვე ნამუშევარი გვქონდა მასზე. რუსთაველის თეატრში ერთადერთი როლი ვითამაშე „ამირანში“ აკაკი ხორავასთან და ლეილა აბაშიძესთან ერთად. პრემიერაზე აკაკი ხორავამ შუბლზე მაკოცა“.

- ძალიან სიმპათიური მამაკაცი იყავით და ალბათ, ქალთა არმია თავს გეხვიათ...

- დედამ მითხრა ერთხელ, შენ ქალებმა დაგლუპეს და ალბათ, ისევ ქალები თუ გადაგარჩენენო. გამოვიდა, რომ ქალებმა გადამარჩინეს... ქალების საკითხში მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე ძალიან კორექტული ვიყავი. ჩემი პოპულარობითა და გარეგნობით არასდროს მისარგებლია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ორი ფილმის გადაღებას გეგმავს

„მე რომ უცხოეთში დავრჩი - აქ ბომბი გასკდა, ნუგზარ შარია უცხოეთში დარჩაო. რომ ვერაფერი მოიფიქრეს - უნიჭოდ გამომაცხადეს“

„წმინდა ნინოს“ და „ქეთევან წამებულის“ ფილმების სცენარი ჩემი მოპრიანება არ არის, პატრიარქის კურთხევა მაქვს. მე მივდივარ იქ, სადაც მელოდებიან“

EXCLUSIVE

დარჩე. გამოვიდა, რომ ეს მოვახერხე. არც ერთი სცენარი ჩემი სურვილით არ გამიკეთებია. „ჰაჯი მურატი“ ტოლსტოის ქალიშვილის სურვილით გავაკეთე. არც „წმინდა ნინოს“ და „ქეთევან წამებულის“ სცენარია ჩემი მოპრიანება, პატრიარქის კურთხევა მაქვს. ხომ ვამბობ, მე მივდივარ იქ, სადაც მელოდებიან.

მე რომ უცხოეთში დავრჩი - აქ ბომბი გასკდა, ნუგზარ შარია უცხოეთში დარჩაო. რომ ვერაფერი მოიფიქრეს - უნიჭოდ გამომაცხადეს. თუ უნიჭო კაცი წავიდა, მოგილოცავთ-მეთქი, პასუხს ვუთვლიდი. ახლა თქვენ წერეთ სცენარები და თქვენ ითამაშეთ-მეთქი. ამას წინათ ქალაქ რუსთავში „ხვეისბერი გოჩა“ უჩვენებიათ. ჩემს გამოჩენაზე მაყურებელი ფეხზე ამდგარა და ტაშის ცემა და ფეხების ბაკუნი აუტეხავს. რა უფლება მაქვს ამ სიყვარულს და პატივისცემას ზურგი შევაქციო?

- მძაფრია ნოსტალგიის განცდა ოკეანის გადაღმა?

- არც ერთი წამი საქართველოს გარეშე არ მიცხოვრია, მიუხედავად იმისა, რომ 43 წელი აქ არ მიცხოვრია. ვმუშაობდი რადიო „თავისუფალ ევროპაში“, რადიო „თავისუფლებაში“, „ამერიკის ხმაში“, ნიუ- იორკის ტელევიზიაში, ვაშინგტონის ტელევიზიაში, „ნიუ- იორკ ტაიმსში“...

გახლავართ ბარაკ ობამას მიერ თეთრი სახლის აკრედიტებული წარმომადგენელი საქართველოს საკითხებში. მაქვს მისი წერილი - „დარწმუნებული ვიყავი გვერდში ამოგვიდგებოდი ამერიკის შეერთებული შტატების წინსვლაში დიდი დემოკრატიისკენ“. გაოცებული ვიყავი, რომ მე ნობელის პრემია მომანიჭეს - ობამებისგან 2009 წლის 15 დეკემბერს მოსალოცი წერილი მივიღე - „იმედი მაქვს თქვენთან მჭიდრო პოლიტიკურ-მორალური კავშირით შევძლებ ამერიკელ ხალხს დიდი სამსახური გავუწიო ყველა იმ საკითხებში, რის წინაშეც ჩვენი ერი დგას, რისთვისაც მადლობას გიხდით. იმედია, თქვენთან ერთად მძიმე ამოცანას დავძლევ“. ასევე მაქვს ბილ კლინტონის აკრედიტაცია და მილოცვა პენსიაზე ადრე გასვლასთან დაკავშირებით. ამერიკელი ხალხის სახელით მადლობას მიძღვნის ჩემი ღვაწლისთვის რადიო „თავისუფლებაში“ მუშაობისთვის. მაქვს ზვიად გამსახურდიას სამუდამო აკრედიტაცია, როგორც საქართველოს წარმომადგენლის ამერიკის შეერთებულ შტატებში. ედუარდ შევარდნაძის მთავრობისგან მონიჭებული მაქვს სრული აკრედიტაცია, რასაც მაშინ საქართველოს ელჩი თედო ჯაფარიძე ადასტურებს. მადლობას მიძღვნის მარშალი შალიკაშვილი, რომ მე 25 წელი ვითანამშრომლე რადიო „თავისუფალ ევროპასთან“ და რადიო „თავისუფლებასთან“, „ამერიკის ხმასთან“.

ფირფიტა სახელწოდებით „ნუგზარ შარია და მისი გიტარა (საბჭოთა ანდერგრაუნდი)“ 1973 წელს, ამერიკის კულტურის სამინისტროს და ამერიკის მაშინდელი პრეზიდენტის რიჩარდ ნიქსონის მიერ გამოიცა. ნიქსონმა პირადად გადასცა ლეონიდ ბრეჟნევს ეს 50 ფირფიტა. ამ ალბომში ვისოცკის შემოქმედებას ვასრულებ.

როდესაც ჩარლზ სპენსერ ჩაპლინი გარდაიცვალა, 1977 წლის 27 დეკემბერს, „ნიუ-იორკ ტაიმსში“ დაიბეჭდა ჩემი სტატია სათაურით „დღე, როდესაც სტალინმა ჩაპლინის ფილმებს სიცილი აუკრძალა“. შტატების მაშინდელმა ელჩმა სტალინს ჩაპლინის „დიდი დიქტატორი“ აჩვენა. ძალიან მოეწონა კადრები, სადაც მუსოლინი და ჰიტლერი ამწეთი ადიან. ბავშვივით იცინა. მაგრამ გაიგონა თუ არა მონოლოგი - დიქტატორების დრო დამთავრდაო, სტალინმა თქვა - ჩაპლინები არ მჭირდებაო. ამ სტატიას ამერიკის ხმაში გაუთავებელი წერილები მოჰყვა. 300 მილიონმა ადამიანმა გაიგო, რატომ იქნა აკრძალული ჩაპლინის ფილმები საბჭოთა კავშირში.

ბროდვეის თეატრის სცენაზე სპექტაკლი „ძია ვანია“ მუსიკალურად გავაფორმე. ამის შემდეგ ნიუ-იორკის ბროდვეის თეატრის ისტორიაში შემიყვანეს, როგორც საუკეთესო მუსიკალური გამფორმებელი.

დიუკ ელინგტონის და ლუი არმსტრონგის პროდიუსერი იყო ჯო გლეიზერი. იგივე სახელისა და გვარის იყო პროდიუსერი, რომელთანაც მე ჩემი ფირფიტა ჩავწერე. ამიტომ გლეიზერის გამო მოუსმინა ჩემს ფირფიტას დიუკ ელინგტონმა. გასაცნობად სახლში მიმინვია. ჩვენ ერთად დავუკარით „მზე შინა და მზე გარეთა“. ჩემი თხოვნით ნოტები დანერა და ხელი მოანერა. ეს ნოტები მუზეუმში ინახება. ელინგტონი თავის ანდერძში წერს: „როდესაც ნიკი (ასე დამარქვა) შარია უკრავს ფორტეპიანოზე, ის არ უკრავს თითებით, ის გულით უკრავსო“. მან ორი თეთრი როიალი მაჩუქა, ერთი მის ბინაში დევს ნიუ- იორკში, არ წამომიღია. მეორე ჩემს სახლშია ფლორიდაში.

1976 წელს ჩემი უეცარი გასტროლები მოეწყო ისრაელში. თვითმფრინავი თელ ავივში უნდა დამჯდარიყო, რომ უცებ ქრისტე გამომეცხადა! ღიმილით თითქოს მასთან მიხმობდა. დაახლოებით 200 ადამიანი დამხვდა ტრაპთან - ქართველი ებრაელობა და სკანდირებდნენ - ნუგზარ, ნუგზარ! იმ დროს დახვრეტა მქონდა მისჯილი და ეს ყველაფერი ხომ არ მელანდება-მეთქი, ვფიქრობდი. ჩემი სოლო კონცერტები იყო დაგეგმილი და ათი ათასი ბილეთი ათი დღით ადრე იყო გაყიდული. ათ კონცერტზე სულ 50 ათასი მაყურებელი დამესწრო. ისინი ჩემთან კი არა, საქართველოსთან მოვიდნენ...

გარდა იმისა, რომ 4 პრეზიდენტის მიერ აკრედიტებული გახლავართ, ვარ იერუსალიმის დროშის მფლობელი. ისრაელის საპატიო მოქალაქე. საქართველოს, აშშ-ს მოქალაქე. ქუთაისის საპატიო მოქალაქე... მაგრამ ყველაზე ძვირფასი ჩემთვის ანა კალანდაძის ისტორიაა...

„დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ლიიდ ჯორჯი ნიკო ნიკოლაძეს შეეკითხა: ვინ ხართ თქვენ და რა არის თქვენი ცხოვრების მიზანი, რაზეც ნიკო ნიკოლაძემ უპასუხა: მე ვარ ქართველი და მინდა ვიყო უკეთესი ქართველიო“

„მე რომ მეკითხებიან, რამდენი წლის ვარ, ვპასუხობ: აქედან რომ წავედი, 29 წლის ვიყავი და მე დავრჩი 29 წლის. მე სამშობლოზე ფიქრში ვცხოვროობდი და ასაკიც არ მომმატებია“

შვილები

„21 სექტემბერს ჩემი უფროსი ქალიშვილი, 43 წლის ნესტან შარია გარდაიცვალა. 22 სექტემბერს უნგრეთში დიდ ოპერაციას ვიკეთებდი და ეს დამიმალეს. ეჭვი ჰქონდათ კიბოზე და არ აღმომაჩნდა. ოპერაციის წინ რომ ეს ჩემთვის ეთქვათ, ამას ნამდვილად ვერ გადავიტანდი. ნორმალური ადამიანისთვის ძნელად გასაგებია რასაც ახლა ვიტყვი: ვინაიდან ჩემმა ქალიშვილმა უჩემოდ 43 წელი გაატარა, ის ჩემთვის დღესაც ისეთივე ცოცხალია, როგორც ორი წლის წინ იყო. ის უჩემოდ გაიზარდა. ჩემთვის ჩემი შვილი არ არის გარდაცვლილი, ის ჩემთანაა.

ნესტანის დედა, მსახიობი ლია გუდაძე, ჩემი პირველი მეუღლე იყო. ჩვენ ახალგაზრდები ვიყავით და მალე დავშორდით. ორ წელზე ნაკლები გავატარეთ ერთად. მერე ირა ჭილაძე შევირთე ცოლად. მასთან ერთად მანამ ვიცხოვრე, სანამ უცხოეთში წავიდოდი. ჩემი ვაჟი ზურიკო ორ წლინახევრის დავტოვე“...

სიყვარული

„1994 წელს ჩემს ცხოვრებაში გამოჩნდა სერბი მართლმადიდებელი, ის ახლა ჩემი მეუღლე - სოფია შარია გახლავთ. 1995 წლიდან ფლორიდაში ერთად ვცხოვრობთ. ამჟამად თავის სამშობლოში, იუგოსლავიაში გახლავთ. საქართველოში იყო ჩამოსული. 16 წლის იყო დასავლეთ ბერლინში რომ ჩავიდა და გერმანულ რესტორანში დაიწყო მუშაობა. დღეს 11 რესტორნის მეპატრონეა. მიუნჰენში ჩემი სიყვარულით გერმანული რესტორანი ქართულ რესტორნად გადააკეთა და „სოფია“ დაარქვა. ძალიან მაგარი რესტორანი გააკეთა. პროფესიულ დონეზე აკეთებს ხაჭაპურს, ხინკალს... ყველაფერს თვითონ აკეთებს. დასავლეთში ბიზნესი ასეა, დრო არ არსებობს. 24 საათი მუშაობენ.

სიყვარული? ცხოვრების მამოძრავებელი ძალაა. სიყვარული თუ თავდება, ცხოვრებაც თავდება. იმ 43 წლის მანძილზე მე სამშობლოს სიყვარულმა მომცა ცხოვრების იმპულსი და ძალა. მე რომ მეკითხებიან, რამდენი წლის ვარ, ვპასუხობ: აქედან რომ წავედი, 29 წლის ვიყავი და მე დავრჩი 29 წლის. მე სამშობლოზე ფიქრში ვცხოვრობდი და ასაკიც არ მომმატებია“...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

იური ბერიშვილის პერსონალური გამოფენა გალერეა „შარდენში“

my View
დეა თავგერიძე

ის არის მხატვარი, რომელიც ფერსა და გრძნობებზე ნადირობს და თავისი ნახატებით ამბებს გიყვება. მისი ტილოები „გაიძულებენ“, რომ იაზროვნო, იქ დაუჯერებელი რამეები ხდება... ვისაც თანამედროვე მხატვრობა უყვარს, იური ბერიშვილის ნახატები მისთვის უცხო ნამდვილად არ არის. ხოლო მას ვისაც საოცარ ფერებში მოგზაურობა სურს, გალერეა „შარდენს“ უნდა ეწვიოს. იური ბერიშვილის ნახატები ამ გალერეაში 14 ივნისს გამოიფინა და კიდევ 10 დღე გაგრძელდება. 2010 წლის შემდეგ მხატვარი პერსონალურ გამოფენას პირველად აწყობს.



იური ბერიშვილი: „გამოფენა ყოველთვის მიხარია, რადგან საბოლოო ჯამში გრძნობ, რომ რეალობაში ცხოვრობ და რაღაცისთვის ემზადები. ბოლოს ეს კულმინაცია - გამოფენაა. ბოლო და ბოლოს ეს მიზეზია იმისთვის, რომ შეხვდე ადამიანებს, ურთიერთობებია... აქ არიან შენი მეგობრები, ნაცნობები, ცოტა უცნობებიც... თანაც ხედავ გამოფენის ხარისხს. თუ გამოფენა კარგი გააკეთე, რეალურად მასტერკლასი გამოგდის, სარკის ეფექტი აქვს... კარგ წიგნს როცა

წაიკითხავ და დადებითი ემოცია გეუფლება, ასეა. აქ 80% ბოლო პერიოდის ნამუშევრებია“.

- ამბობენ, იური ბერიშვილი უცხოეთში უფრო იყიდებაო.

- მართალია, საქართველოში ცოტა ნაკლებად იყიდება ნახატები. აქ საერთოდ ჭირს გაყიდვა. რადგან მომჭირნე კოლექციონერები არიან. ფულის დახარჯვა ეძნელებათ.... თუ ნახატი გაიყიდა, ესაც კარგია. თუმცა, ეს უკვე სხვა საკითხია, როგორც რუსები ამბობენ, „შკურნიე ვაპროსი“, ეს არის ისეთი თემა, რომელიც არ არის სალაპარაკო, რადგან ხელოვნებაში ბევრად საინტერესოა სხვა ფაქტები და არა ტყავი...

- ე.ი. სხვა მხატვრების მსგავსად გამოფენა არ განერვიულებთ.

- არა. უკვე იმდენჯერ მქონდა გამოფენა, რომ აღარ განვიცდი, პირიქით, ამით სიამოვნებას ვიღებ. ნერვებს იცით რა მიშლის? ის, რომ ქაღალდი უნდა დააკრა, რაღაც უნდა დააწებო... აი, ამაზე ნერვიულობ და ფიქრობ, ნეტავ მყავდეს მენეჯერი, ან ის, ვინც ამ საქმეს გააკეთებს და მე ბევრად მშვიდად ვიქნები.

- ამ რანგის მხატვარს, მიკვირს, რომ მენეჯერი არ გყავთ.

- ჩვენ სხვა ქვეყანაში ვცხოვრობთ, სხვა რეალობაში. მოწყობილ ქვეყნებში ჩვენი დონის მხატვრებს მენეჯერები ნამდვილად ჰყავთ. თუმცა ახლა ამაზე ლაპარაკი იგივეა, რომ მთვარის, მარსისა და დედამიწის კლიმატები განვიხილოთ...

- რამდენად სასიამოვნოა ხატვის პროცესი? ზოგიერთი ხელოვანის თქმით სიამოვნება შედეგს მოაქვს... ამბობენ, პროცესი წვალება არისო...

- ჩემ შემთხვევაში არა. ეს ინდივიდუალურია... ჩემთვის სიამოვნებაა, აბა, რისთვის ვხატავ? როცა ვხატავ, ვითიშები. მთელი ცხოვრება ასე ვარ. რეალობაში ზოგჯერ ჩემი თავის შეგრძნებას ვკარგავ. ეს სადღაც 2-3 საათი გრძელდება, ზოგჯერ ერთი დღეც.... გააჩნია... ჩემთვის ეს პრობლემა არ არის. პრობლემა იცით რაშია? ხატვის მერე ქუჩაში რომ გახვალ. უნდა ჩამოხვიდე, აზრზე მოხვიდე და ადეკვატურად უპასუხო... ხატვა ღვინისმაგვარია, გათრობს, ოღონდ ეს ჯანმრთელი ღვინოა... პახმელია არა აქვს... ის ვიღაც კი, ეტყობა პახმელიაზე ლაპარაკობს. მე პახმელიაზე არასოდეს ვლაპარაკობ, რადგან ხატვის შემდეგ არასოდეს მქონია.

„თხემით-ტერფამდე ხელოვანი და უნიჭიერესი ადამიანი “- ასე აფასებენ მას გამოფენაზე შეკრებილები. ხელოვანს, რომ საზღვრები არ სჭირდება, ეს ყველაზე მეტად მისივე ნახატებში ჩანს. ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ მხატვარი თავის ნახატებს ჩარჩოში არასოდეს სვამს და ერთი უცნაურობაც, სახელოსნო არასდროს ჰქონია. იური ბერიშვილი თურმე პროფესიონალი რაგბისტიც არის. რაგბს უმაღლეს ლიგაში თამაშობდა. მერე არჩევანის წინაშე დადგა და მხატვრობა აირჩია. ისიც მითხრეს, მისი შემოქმედება დღეს უცხოეთში ბევრად უფრო დაფასებულია, ვიდრე საქართველოში... გამოფენილია ბევრ ქვეყანაში და ყველაზე მნიშვნელოვან გალერეებში. მისი ნამუშევრები ამერიკისა და ევროპის ცნობილ კოლექციებშია, ასევე, ვაშინგტონში მსოფლიო ბანკის კოლექციაში, სადაც საქართველოდან და დსთ-დან მანამდე არც ერთი მხატვარი არ მოხვედრილა.

კოლექციები და ფონდები:

მსოფლიო ბანკი, ვაშინგტონი, აშშ ნორტონ და ნენსი დოდჯების ნონკომფორმიზმის ფონდი, ზიმერლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, აშშ კოლოდზეის თანამედროვე ხელოვნების ფონდი „ახალი ხელოვნების კოლექცია“, ნიუ-ჯერსი, ნიუ-იორკი, აშშ. საქართველოს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, საქართველოს ეროვნული გალერეა, აშშ-ს საელჩო, გერმანიის საელჩო, „ქორთიარდ მარიოტი“, „მაგთი GSM“ - თბილისი...

გია მირზაშვილი: „იური ბერიშვილის გამოფენა არის ფერწერის ზეიმი. ის ერთ-ერთი საუკეთესო მხატვარია. სულ წინ და წინ მიიწევს, ვითარდება. ერთ ადგილას არ ჩერდება. ეს მის შემოქმედებას ახასიათებს. მისი ნახატებით ყოველთვის აღფრთოვანებული ვრჩები... მადლობა ამისთვის იური ბერიშვილს. ეს ნახატები ბევრმა დამთვალიერებელმა უნდა ნახოს, რადგან ისევ ვიტყვი, ეს ნამდვილად ფერწერის ზეიმია“.

ია დვალი, გალერეა შარდენის ერთ-ერთი დამფუძნებელი: „იური ბერიშვილი 80-იანელების ერთ-ერთი საინტერესო და თვალსაჩინო წარმომადგენელია. აქ ძირითადად აბსტრაქციაა წარმოდგენილი. ახალ ნამუშევრებთან ერთად ვთხოვეთ ის ნახატებიც გამოეფინა, რომლებიც ჩვენ განსაკუთრებულად მოგვწონს. ამიტომ 2-3 ნახატი ძველია. მისი პერსონალური გამოფენა ჩვენს გალერეაში უკვე ორჯერ იყო. ახლა მესამედ იმართება. ძალიან მოგვწონს ეს მხატვარი, ესთეტიკურ სიამოვნებას გვანიჭებს, ძალიან გვიყვარს და ამიტომაც ვფენთ ხოლმე. მისი ნამუშევრების ფასი 800-დან 2 500 დოლარამდეა. იური იმდენად კარგი მხატვარია, რომ ეს ფასი მისი შემოქმედებისთვის იაფიც არის. რომ არა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა, შეიძლება, რომ გაცილებით ძვირი ღირდეს“.

ზაზა შათირიშვილი, ფილოსოფოსი: „იურა ბერიშვილი, ჩემი აზრით, ძალიან დიდი მხატვარია, დღეს ის ისეთ რამეს აკეთებს, რასაც არავინ. იმიტომ რომ დღეს ჩვენ რეალურად ისეთ სიტუაციაში ვიმყოფებით, როდესაც მხატვრობამ არა მარტო დატოვა კლასიკური ფორმები, არამედ მხატვრობა, როგორც ასეთი, აღარცა გვაქვს, თუ გადავავლებთ თვალს იმას, რაც თანამედროვე აქტუალურ ხელოვნებაში ხდება, ასეა. აქტუალური ხელოვნება გამორიცხავს მხატვრობას. იურა არის ერთ-ერთი, რომელთანაც ფერი არის შენარჩუნებული. ეს ჯერ კიდევ არის ფერწერა“.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„დღევანდელი კონცერტი თუ შემოქმედებითი დანაშაულია, დამხვრიტეთ!“

my View
დეა თავგერიძე

ზვიად ბოლქვაძე: „საუკეთესო კონცერტი იყო, რაც ოდესმე მინახავს თუ მომისმენია. რაც შეეხება ორკესტრს ბევრად წინ წასულია და ბევრად უფრო მაღალ დონეზე ჟღერს“

ბრავო და აღტაცებული შეძახილები დიდხანს გაგრძელდა... დარბაზი ფეხზე იდგა და ასე უხდიდა მადლობას ახალგაზრდა დირიჟორს და სიმფონიურ ორკესტრს. კონცერტის შემდეგ კი დადებით ემოციებს ერთმანეთს უზიარებდნენ. კარგად შესრულებულმა მალერის სიმფონიამ თითქოს შეისრუტა ის ტკივილი, რომელიც თვეებია ნიკოლოზ რაჭველის გულშემატკივრებს აწუხებთ... კონცერტამდე დარბაზს ეუწყა, რომ ეროვნული ცენტრის მუსიკოსებმა დებულებაში შეტანილი ცვლილებები მთავრობაში გაასაჩივრეს, რადგან კულტურის სამინისტრომ ეს ცენტრის ადმინისტრაციასთან შეუთანხმებლად განახორციელა. მის განხილვამდე დოკუმენტის მოქმედება ერთი თვით შეჩერდა. გასაჩივრებული დებულების თანახმად ეროვნულ ცენტრს შემოქმედებითი დანაშაულისთვის მაკონტროლებელი ოთხკაციანი საბჭო დაენიშნა... „დღევანდელი კონცერტი თუ შემოქმედებითი დანაშაულია, მაშინ დამხვრიტეთ!“-მითხრა ერთ-ერთმა მსმენელმა... სადირიჟორო პულტთან ნიკა რაჭველი იდგა, როიალთან მსოფლიო რანგის პიანისტი - ლექსო თორაძე და მთელი განცდით უკრავდა ორკესტრი...

გელა ჩარკვიანი: „ვფიქრობ, რომ მთელმა საზოგადოებამ მადლობა უნდა უთხრას მას“

გელა ჩარკვიანი: „ეს არის ურთულესი სიმფონია და ჩემთვის იყო დღესასწაული, რადგან ბრწყინვალე შესრულებით მოვისმინე. რაჭველმა არა თუ გაართვა თავი, უფრო მეტიც... ის უნიჭიერესი ახალგაზრდაა, რომელიც ყველაფერს ართმევს თავს. აი, ეს არის ყველაზე უცნაური. ასეთი პროდუქტიული მუსიკოსი, რომელსაც მუდმივად შეუძლია ამხელა მოცულობის სამუშაო შეასრულოს და პრაქტიკულად ყველა ჟანრში იმუშაოს, მე ბევრი არ ვიცი... ის უდიდეს პოპულარიზაციას უწევს, როგორც აკადემიურ მუსიკას, ასევე ყველა სხვა პოპულარულ მუსიკას. ეს არის მისი როლი ჩვენს ხელოვნებაში და მე მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ვფიქრობ, რომ მთელმა საზოგადოებამ მადლობა უნდა უთხრას მას“.

ნანი ბრეგვაძე: „ნიკოლოზ რაჭველი ბრწყინვალე ხელოვანია. არ ვიცი სიმფონიურ ორკესტრზე ვილაპარაკო თუ ესტრადაზე... ძალიან დიდი გემოვნების პატრონია. არაფრისგან არაჩვეულებრივ ნაწარმოებს აკეთებს, მას შეუძლია ისე გაზარდოს კომპოზიტორი და ისე შეგაყვაროს, რომ გაგაოცოს... მინდა ნიკოლოზს გამარჯვება ვუსურვო ყველა საქმეში, მე ყოველთვის მის გვერდით ვიქნები, რადგან ნიჭს დიდ პატივს ვცემ, ნიჭიერი ხალხი მიყვარს. საოცარი კონცერტი იყო, ხომ ნახეთ რაც მოხდა, ძალიანაც რომ მოენდომებინა ნიკას, ცუდი არ გამოუვიდოდა. ამიტომ ყოველთვის მივესალმები მის გამარჯვებას. საერთოდ ჯობია, რომ ყველამ თავისი საქმე აკეთოს“...

თაკო ჩარკვიანი, მუსიკათმცოდნე: „უნიჭიერესი კაცია ნიკა რაჭველი. ვეებერთელა სამუშაოა განეული ორკესტრთან. ამ ნაწარმოებს ეპოტინება მსოფლიოს ყველა დიდი ორკესტრი და ყველა კარგი დირიჟორი. სიმართლე გითხრათ, როდესაც გავიგე, რომ რაველის სიმფონია უნდა შეესრულებინა, შემეშინდა კიდეც, დიდი განაცხადი იყო. დღეს კი მივესალმები ამ განაცხადს. საერთოდ, ჩვენ, ქართველები, მაქსიმალისტები ვართ, ამიტომ აქ მესმის - კარგია, მაგრამ ზუბენ მეტა, აბადო... მე კი ვიტყვი, თუ ამ კონცერტმა ეს შედარება გამოიწვია, ყოჩაღ, ნიკა რაჭველს...

- დაპირისპირებასთან დაკავშირებით?

- ნიუანსებში გარკვეული არა ვარ, შეიძლება იმ დაპირისპირებაში რაღაც გარკვეული სიმართლეც ჰქონდეს ვიღაცას, მაგრამ ეროვნული ცენტრი მოდის ნიკა რაჭველთან ერთად და ეს ფაქტია. ამას ვერ წავართმევთ. ხომ ხედავთ რამხელა მხარდაჭერაა, რაღაც დაიმსახურა ეტყობა ამ ბიჭმა. უშეცდომო კი არავინაა. შეიძლება ვიღაცამ ცხელ გულზე რაღაც გადაწყვეტილება მიიღო და იმ გაშვებულ მუსიკოსებში ძალიან კარგი სამი მუსიკოსი მოჰყვა, ასეთი ტრაგედია ხდება ხოლმე. შეიძლება შემდეგ განხილვა მოხდეს და ვიღაცა დაბრუნდეს. ვერ გეტყვით, ვფიქრობ, რომ ეს ყველაფერი სიმშვიდეში უნდა მოგვარდეს... მაგრამ მოვაცილოთ ნიკოლოზ რაჭველი იმიტომ, რომ იმიტომ არამართებულია. რადგან ნიკა რაჭველი ნიჭიერი მუსიკოსია და ნიჭიერი ხალხის ასე მოცილება მგონი არ გვარგებს... შემოქმედი ადამიანია და შეიძლება მენეჯმენტი ვერ მიჰყავდეს ისე ზუსტად, როგორც ბიზნესმენი წაიყვანს. ამაში მე ტრაგიკულს ვერაფერს ვხედავ... ტრაგიკული იქნებოდა, უნიჭო შემოქმედი რომ იყოს ორკესტრის სათავეში. ასე რომ არ არის, ეს ხომ ფაქტია... ე.ი. უკვე ტრაგედიასთან არ გვაქვს საქმე, დანარჩენი კი, ვფიქრობ, სიმშვიდეში უნდა მოგვარდეს.

თაკო ჩარკვიანი: „ნიკა რაჭველი ნიჭიერი მუსიკოსია და ნიჭიერი ხალხის ასე მოცილება არ გვარგებს“

ვაჟა აზარაშვილი: „ნიკოლოზმა დღეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ როგორც ხელოვანი და შემოქმედი უნიჭიერესია და მე მის გვერდით ვარ“

ვაჟა აზარაშვილი, კომპოზიტორი: - ნიკა, ჩემი სტუდენტიც იყო და იმთავითვე იქცევდა ყურადღებას, როგორც ნიჭიერი მუსიკოსი. წლების მანძილზე ვადევნებ თვალს, კონცერტებზეც ხშირად ვესწრები და მხოლოდ ერთი რამ შემიძლია ვთქვა - ის ნიჭიერი კაცია. ძალიან ორიგინალურად აორკესტრებს ბევრ რამეს. ამას წინ ერთ-ერთი „კონტრაპუნქტი“ იყო, მეც ვმონაწილეობდი და ძალიან კმაყოფილი დავრჩი ჩემი ნაწარმოების შესრულებით. საერთოდ, იშვიათად არის ხოლმე კომპოზიტორი კმაყოფილი. ნიკას და მის ნიჭიერ სოლისტებს მადლობა ამისთვის. დღეს კი უმაღლეს დონეზე შესრულდა რაველის სიმფონია. ეს არის ურთულესი კომპოზიტორი და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ როგორც ხელოვანი და შემოქმედი უნიჭიერესია და მე მის გვერდით ვარ...

21-სა და 22 ივნისის ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში გენიალური კომპოზიტორის გია ყანჩელის ნაწარმოებები შესრულდება მათ შორის, „სტიქსი“...



ნანი ბრეგვაძე: „მინდა ნიკოლოზს გამარჯვება ვუსურვო ყველა საქმეში, მე ყოველთვის მის გვერდით ვიქნები, რადგან ნიჭს დიდ პატივს ვცემ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„რუსთავი 2“-ის თინეიჯერუ

თამარ გონგაძე

“რუსთავი 2” 15 ივნისს გიწვევთ კომპანიის დაბადების დღეზე თინეიჯერული ასაკის ბოლო დღის აღსანიშნავ წვეულებაზე” - ასეთი იყო მოსაწვევი, რომელსაც ბუდა ბარში მისული სტუმრების ხელში დაინახავდით. მშვიდობის ხიდიდან წვეულების ლოკაცია მშვენივრად ჩანდა - წითელი ხალიჩა, სცენა, სტენდი და უზარმაზარი ტორტი. ტორტი ამ წვეულებაზე ცალკე თემა იყო. მას ტრიუმფალური თაღის ფორმა ჰქონდა. ტრიუმფი და გამარჯვება ხომ არ არხს არც აკლია. არხის დაბადების დღეზე უამრავმა სტუმარმა მოიყარა თავი. აქ ნახავდით თითქმის ყველას, ვისაც კი “რუსთავი 2”-ში უმუშავია... გარდა ამისა, იყვნენ ჟურნალისტების მეგობარი სელებრითები. წვეულება 20 საათზე “საქართველოს ვარსკვლავის” კონკურსანტების კონცერტით დაიწყო. მუსიკალური პერფომანსების ფონზე სამახსოვრო ფოტოების გადასაღებად ბანერთან და სამ მეტრიან ბრჭყვიალა ტორტთან ერთამანეთს ყველასათვის ნაცნობი სახეები ცვლიდნენ. ამასობაში სცენა ჯგუფ “გამოუვალი მდგომარეობის” ბენდმა დაიკავა. ეს იყო ამ ბენდის პირველი სოლო კონცერტი სერიალის - ‘ჩემი ცოლის დაქალების” გადასაღები მოედნის გარეთ. ათის ნახევარზე მთავარ ინტრიგას მივადექით - ამწეთი დიკო ჯოჯუა და ზალიკო უდუმაშვილი ტორტს გასაჭრელად მიუახლოვდნენ. ტორტი ხიდის ქვეშ იყო მოთავსებული. მტკვრის ჯებირები შუშხუნებმა ააჭრელა. “კურიერის” წამყვანების უჩვეულო გარემოში დანახვამ სტუმრების გახალისება გამოიწვია. წამყვანებმა იპოზირებს და დათქმულ დროს გიორგი გაბუნიას “კურიერის” ეთერში ტორტის გაჭრით ჩაერთნენ. ეს იყო ყველაზე არაორდინალური ტორტის ყველაზე არაორდინალური გაჭრა, რაც კი მინახავს. ამ დროს რიყის ცა ფეიერვერკებმა გადააჭრელა. იყო მილოცვები, ბევრი დადებითი და პოზიტიური ემოცია... ყველაზე ორიგინალური კი მაინც 19 წლის იუბილარი არხისთვის ალბომის გამოშვების იდეა იყო. ალბომის პრეზენტაცია ბუდაბარში შედგა. დეტალებზე ორგანიზატორები ჰყვებიან, ისინი კი ბევრი არიან: ოთარ ქირია, მაია ლომიძე, გიორგი ლაფერაშვილი, სალომე ბენაშვილი, თამარ ჩანტლაძე, ბექა მჭედლიშვილი...

ოთარ ქირია: რუსთავი 2-ის აუდიო ლოგოების - გადაცემების ქუდების მუსიკების ჩაწერის იდეა მე გამიჩნდა. ის აპრილის ბოლოს სიგარეტის მოწევის დროს მოვიდა... იდეა ხელმძღვანელობას მოეწონა და დავიქოქეთ. დაბადების დღის აღნიშვნა 8 ივნისს გვქონდა დაგეგმილი, თუმცა არავის გვინდოდა, ავღანეთში დაღუპული ბიჭების გამო. აუდიო ლოგოები სამმა დიჯეიმ გააკეთა და ალბომად გამოვუშვით. ალბომს ქვია “რუსთავი 2” ბით.” 19 თინეიჯერული ასაკის ბოლო წელია. რახან დიჯეის თემა იყო - ბოლომდე ავიწყვიტოთო, ვთქვით. დისკის გადაცემა პომპეზური რომ გამოსულიყო, ივენთიც მივაბით და წვეულებაც გამოვიდა...

მაია ლომიძე: ყველაზე დიდი ინტრიგა ეს ალბომია. ძალიან დიდი იმედი გვაქვს საზაფხულო კლუბებში დაუკრავენ. მასზე 19 ტრეკია, ისეთი დრაივით, რომ მართლა გამოხატავს ჩვენს რიტს და მაჯის ცემას. ჩვენი ტორტი კი ნამდვილი მონოლითია. მისი ავტორი სინამდვილეში არქიტექტორია.

გეგა ფალავანდიშვილი: ვულოცავ ყველას. წარმატებული ყოფილიყოს მუდამ. დიდი ხანია არხი ლიდერია, მინიმუმ 19 წელი კიდევ ლიდერი იქნება.

ნიკა გვარამია: ვეცდებით 20 წლიდან უფრო სოლიდურები და აკადემიურები ვიყოთ, თუმცა ძველებურად დაბალანსებული და ხარისხიანი. მე მიყვარს ჩემი არხი. იმედი მაქვს ყველაფერი კარგად იქნება. ტორტი არხის მსაგვსად გამორჩეულია.

გიორგი ქორქია: მივულოცავ მშობლიურ არხს. სხვა ტელევიზიებთან შედარებით ბევრად მეტი თავისუფლება აქ მაქვს. პირველად აქ მომეცა საავტორო გადაცემის გაკეთების საშუალება, პირველმა აქ წავიყვანე რეალური შოუ...

აკაკი გოგიჩაიშვილი: ეს ფაქტიურად ჩემი დაბადების დღეა, 1997 წლიდან ამ არხე ვმუშაობ. სახლში უფრო ნაკლებად ვარ, ვიდრე ამ ტელევიზიაში. ვულოცავ...

დიმა ობოლაძე: დღეგრძელობას და დიდხანს არსებობას ვუსურვებ. 20 წლის კიდევ უფრო განვითარებული ვიქნებით. ყველა გულშემატკივარს ვულოცავ...

გიორგი ლაფერაშვილი: ის, რაც დილის თათბირზე დაბადებული იდეა იყო ამ წვეულებაზე ძალიან კარგად განხორციელდა. ვულოცავ ყველას!

ზაალ უდუმაშვილი: ათი წელია რუსთავი 2 ზე ვმუშაობ. სიტყვებით ძნელია ემოციების გადმოცემა. თითქოს 19 წელი არაფერია, მაგრამ საქართველოსთვის ძალიან ბევრია. როდესაც წამყვანი პოზიცია გიჭირავს, ეს საამაყოა. ორი დღესავით გაირბინა ამ დრომ...

დიკო ჯოჯუა: ამ არაჩვეულებრივი და უმაგრესი გუნდის წევრი 7 წელი ვარ. ეს ჩვენი ოჯახია. ბედნიერი ვარ, რომ ამდენი სტუმარი გვყავს.

ვასო ფხაკაძე: რუსთავი 2 ქართულ სატელევიზიო სივრცეში პიონერია. ჯერ ეს არხი აკეთებს, მერე მისგან იღებენ სხვები. ეს რეალობაა. ვულოცავ ყველა თანამშრომელს, დიდი მადლობა მშობლიურ არხს, რომელმაც გამოგვზარდა. ვინც ეს არხი დავაფასეთ ყველა აქ ვართ.

ვანიკო თარხნიშვილი: სიმღერ-სიმღერით ვულოცავ დაბადების დღეს, ჩვენი ჯგუფის პირველი კონცერტით. რეიტინგებს ვუსურვებ და წარმატებას ვულოცავ.

დავით კიკალიშვილი: 18 წელია ამ არხის ნაწილი ვარ. ყველაფერ კარგს ვუსურვებ. აღმაფრენას დაღმაფრენა მოჰყვებოდა მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ რუსთავი 2-მა თავისი პოტენციალი შეინარჩუნა. არხი კვლავაც ლიდერია. ისე, თვალის დახამხამებაში გაირბინა ამ წლებმა. ძალიან რომანტიული პეროდი გვქონდა. უკვე ზრდასრული ხალხი ვართ, არხი თინეიჯერულ ასაკს გამოემშვიდობა.

პაატა იაკობაშვილი: ყველაზე მაგარი სატელევიო არხის ყველაზე მაგარი დაბადების დღეა აქ. იმედია ბევრ დაბადების დღეს გადავიხდით.

ნინო შუბლაძე: თინეიჯერობის ბოლო წელი გვაქვს. თინეიჯერული საღამოა მიუხედავად იმისა, რომ სოლიდურობა არ გვაკლია. ავღნიშნეთ პოლიტიკისა და პოლიტიკოსების გარეშე - ჩვენს მეგობრებთან, თანამშრომლებთან და პარტნიორებთან ერთად.

ბაია დვალიშვილი: როგორც გაიარეს ეს 19 წელი და რა ღირებულებებიც ქონდათ იმაზე კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე ასულიყვნენ და გაძლიერებულიყვნენ. ნარმატებას ვუსურვებ. ჩემი ცხოვრების ნაწილი გახდა ეს არხი. მინდა ყველაფერი კარგი ვუსუვო.

ირაკლი მაისურაძე: მიხარია, რომ ამ არხის ნაწილი ვარ. ყოველთვის სიმაღლეზე იდგა. მე ყოველთვის ვიზრუნებ, რომ რუსთავი 2 ყოველთვის იყოს ლიდერი და ერთი თაობით მაღალი ტელევიზია, ვიდრე კონკურენტები არიან. არხს ვუსურვებ იმ შრომისმოყვარე ადამიანებს, რომლებიც დღეისთვის არსებულ რეიტინგს მრავალი წელი უნარჩუნებს. მსოფლიოში ცნობადობის გაზრდას ვუსურვებ.

თეა ადეიშვილი: ეს არის ტელევიზია, რომელსაც საზოგადოების გულის ცემაზე მუდმივად უდევს ხელი. ის ყოველთვის ის ტელევიზია იყო, სადაც მინდოდა მუშაობა. 5 წელია ამ ტელევიზიის ნაწილი ვარ. დღესაც რომ მომიხდეს მისი დატოვება ჩემი ცხოვრების ნაწილად რჩება.

გელა ჩარკვიანი: არხს დღეგრძელობას ვუსურვებ ისე როგოც ადამიანს. ადამიანს შეზღუდული აქვს ცხოვრება, ტელევიზიას - არა. რუსთავი 2 ღირსია მარადიული ცხოვრების. ბევრ გამოცდას გაუძლო და კიდევ გაუძლებს, ძლიერია.

ნანუკა ჟორჟოლიანი: ყველაზე მაგარი არხია. მომწონს რომ ვხედავ ძველ და ახალ კურიერელებს. სოფო მეგრელიძე ამბობდა 2002 წელი მგონია, პროგრამას ჩავყრი და კურიერის გადაღებებზე გაგიშვებთო. ბევრი უნახავი კუერიერელი ვნახე და ძალიან გამიხარდა.

ნათია ბანძელაძე: ამ არხის მიმართ ყოველთვის განსაკუთრებული გრძნობა მაქვს. ჩემი სულის ნაწილი აქ არის. ბრალს ნუ დამდებენ სუბიექტურობაში. ეს არის არხი რომელმაც სტერეოტიპები დაანგრია და ახალი მოდური ტენდენციები შემოიტანა სატელევიზო სივრცეში. აქ მუშაობენ ადამიანები რომლებმაც იციან რა არის გუნდური პრინციპი. იციან როგორ უნდა დადონ რეიტინგი და იციან რა უნდა მის მაყურებელს. მე ბედნიერი ვარ რომ ერთი პატარა აგური მეც მაქვს დადებული ამ არხზე. 5 წელი ვიყავი და საამაყოა ის წლები ჩემთვის. დღესაც ბევრს ისევ რუსთავი 2-ში ვგონივარ. ეს ამ არხის სიძლიერზე მეტყველებს.

„ისე, თ
‘ბაირაბი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

ლი იუბილე - არხი 19 წლისაა

„თინეიჯერული სალამოა მიუხედავად იმისა, რომ სოლიდურობა არ გვაკლია“

ვალის დასამსახურებაში ნა ამ ღლეგმა“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time
N24 (222) ორშაბათი 17 ივნისი 2013 წ.
ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge

„რთული ცხოვრება გავიარეთ, მაგრამ სიძულვილი არასდროს მქონია. მიყვარდა ადამიანი და ხელოვნება“

გიგა ლორთქიფანიძე - საწოლიდან მოცემული პოლო ინტერვიუ

ლექსო თორაძე წარსულზე, ხელოვნებასა და ქართულ რეალობაზე

exclusive

იური ბერიშვილი: „როცა ვხატავ, ვითიშები. მთელი ცხოვრება ასე ვარ. ზოგჯერ რეალობაში ჩემი თავის შეგრძნებას ვკარგავ“

EXCLUSIVE

ნუგზარ შარია საქართველოში ორი ფილმის გადაღებას გეგმავს

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება